

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასიოლოგია

რევაზ აბაშია

სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ და დადესტნურ ენებში
(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის (PHD) აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად (ფილოლოგიის მიმართულებით)
წარმოდგენილი

დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფ. ც. ბარამიძე



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარჩევი

1	შესავალი	2
2	თავი I. სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ ენებში. §1. სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტა მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში	18
3	§2. ქართული დიალექტიკური ლექსიკა და საერთოქართველური ფუძე-ენის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი	23
4	§3. თანხმოვანთა გადაწევის საერთო წესი ქართველურ ენებსა და დიალექტებში	27
5	§4. სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი საერთო ქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში	29
6	§5. სიბილანტა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში	33
7	§6. ქართველური ფუძე-ენის სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი	39
8	§7. დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი	47
9	§8. სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. I	55
10	§9. სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. II	59
11	§10. მორფემათა შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში	65

12	§11. სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში - - - - -	67
13	თავი II. საერთოქართველური ლექსიკა სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით და ქართველური ეტიმოლოგიები	77
14	თავი III. სიბილანტურ ფონემათა სისტემა დადესტნურ ენებში	
	§1. სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სისტემის შედგენილობისათვის დადესტნურ ენებში - - - - -	110
15	§2. ხუნძური ენის სიბილანტურ ფონემათა სისტემა და დადესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი - - - - -	116
16	§3. „კავკასიური ბგერები“ და დადესტნურ ენათა ფონემა- ტური სისტემა - - - - -	118
17	§4. „სისინასიბილანტური“ და „შიშინასიბილანტური“ დადესტნური ენები და დიალექტები - - - - -	121
18	§5. სიბილანტურ სპირანტთა შესატყვისობისათვის დადეს- ტნურ და ქართველურ ენებში - - - - -	123
19	§6. სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციისათვის იბერი- ულ-კავკასიურ ენებში - - - - -	126
20	§7. სიბილანტურ სპირანტთა რეფლექსებისათვის დადეს- ტნურ ენებში - - - - -	132
21	დასკვნა - - - - -	135
22	ლიტერატურა - - - - -	151
23	წყაროები - - - - -	174

შესავალი

ქართველოლოგიაში გავრცელებული თეორიის მიხედვით საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში უნდა არსებებოდა სიბილანტურ ფონემათა (სპირანტთა და აფრიკატთა) სამი რიგი:

1. წინა რიგი: სისინა (ზ ს ძ ც წ) სიბილანტები;
2. შუა რიგი: სისინ-შიშინა (ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტები;
3. უკანა რიგი: შიშინა (ჟ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები;

აქედან წარმოდგა ქართველურ ენებში სიბილანტთა შესატყვისობის ცნობილი წესი:

1. საერთო ქართველური – სისინა: ქართული – სისინა: ზანური – სისინა: სვანური სისინა;

2. საერთო-ქართველური- სისინ-შიშინა: ქართული – სისინა: ზანური – შიშინა: სვანური – შიშინა;

3. საერთო-ქართველური – შიშინა: ქართული – შიშინა: ზანური - შიშინა + ველარი ტიპის თანხმოვანთკომპლექსი: სვანური – შიშინა + ველარი ტიპის თანხმოვანთკომპლექსი (Мачавариანი, 1960; მაჭავარიანი, 1965).

ქართველურ ენათა სისინა და ზანურ-სვანურ შიშინა სიბილანტთა ამოსავლად ფუძე-ენაში სხვადასხვა რიგის (სხვადასხვა ბუნების) ფონემათა არსებობაზე მიუთითებდა ვ. პოლაკი (Polak, 1955). ასევე ფუძე-ენის დონეზე სისინ-შიშინა სიბილანტთა ნაცვლად სიბილანტური თანხმოვანთკომპლექსები ივარაუდეს კ. შმიდტმა (Schmidt 1961; 1962), გ.წერეთელმა (წერეთელი, 1965), ი. მელიქიშვილმა (მელიქიშვილი, 1980, 2001).

სიბილანტთა სამი რიგის თეორიის შექმნამდე ქართველოლოგიაში ტრადიციული იყო მოსაზრება ფუძე-ენაში ორი რიგის– სისინა და შიშინა – სიბილანტთა არსებობის შესახებ (Чикобава, 1948; როგავა, 1960).

კვლავაც დაისმის კითხვა: რას უნდა გამოეწვია ქართველური ენების შესატყვის ფუძეებში ქართული სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურ-სვანური როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტების არსებობა?

ვფიქრობთ, ამ მოვლენას საფუძვლად უდევს არაერთი მიზეზი, შედიძლება ითქვას, მიზეზთა კომპლექსი. შესაძლებლად გვესახება ქართველოლოგიაში ამ მიმართებით გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით სხვაგვარი ინტერპრეტაციის მცდელობაც.

სიბილანტოა შესატყვისობაში გამოვლენილი ზოგიერთი წესის მიხედვით, ფიქრობთ, ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი რიგის (შუა რიგის – სისინ-შიშინა) სიბილანტოა დაშვების საჭიროება არ ჩანს.

ამას გვაგარაუდებინებს რამდენიმე მიზეზი. მათ შორის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია: ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების შეთავსებადობის პრინციპი და დიალექტური პოზიციის პრინციპი.

ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების შეთავსებადობის პრინციპი გატარებულია როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემებში, ისე ცალკეული ქართველური ენის დონეზე აღდგენილ არქტიპებშიც. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს ერთი კანონზომიერება: არც ერთი დამაჯერებლად რეკონსტრუირებული პრაფორმა (საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი არქტიპი) არ შეიცავს შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთან ერთად წინა რიგის (შიშინა) სიბილანტს, ისევე როგორც ცალკეულ არქტიპში დაუშვებელია წინა რიგის (სისინა) და უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტოა თანაარსებობა. ცალკეულ არქტიპში სხვადასხვა რიგის სიბილანტოა დაუშვებლობაზე მიუთითებენ გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი, 1965) და კ. ფენრიხი (ფენრიხი, 1978). ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტოა არსებობის შემთხვევაში კი ასეთ სიბილანტოა სიახლოვის (შეთავსებადობის) გამო როგორც წინა რიგის (სისინა), ისე – უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტებთან (წარმოითქმის ადგილის მიხედვით სავსებით დასაშვები იყო ცალკეულ არქტიპში სისინ-შიშინა სიბილანტის როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტთან თანაარსებობა, თუმცა, დაუშვებელია სისინა სიბილანტის შიშინასთან თანაარსებობა).

ეს ვითარება არა მხოლოდ ქართველურ ფუძე-ენაში, არამედ ცალკეულ ქართველურ ენაში რეკონსტრუირებულ პრაფორმათა რეინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა.

ქართული წუერ-ი („წუერი“): ზანური წვანჯ-ი/წვანდ-ი: სვანური უერ ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ასეთი პროცესები: წვანდ - <წვანჯ- <*ჭუანჯ- <*ჭუაჯ- <ჭუარ- (ზანურში) და უერ- <*ჰუერ- <*ჭუერ- (სვანურში) დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. ე. ი. ქართველურ ფუძე-ენასა და ქართულში აღდგება სისინა (წ) სიბილანტიანი ფუძე, ხოლო ზანურსა და სვანურში მისი შიშინა (ჭ) შესატყვისის შემცველი ფუძე.

ქართული სიძე: ზანური სინჯა/სინდა (მეგრ.), სიჯა (ჭან.): სვანური ჩიჟე შესატყვისობის მიხედვითაც ზანურში ამოსავლად წინა რიგის (სისინა) ს

სპირანტიანი ფუძე ვერ მიიხნევა, ვინაიდან იმავე ფუძეში უკანა რიგის (შიშინა) ჯ სიბილანტი გვხვდება. ამდენად: სინდა<სინჯა<*შინჯა<*შიჯა, ასევე დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. ამას აშკარად უჭერს მხარს სვანური ფუძე – ჩიჟე, რომელშიც ორივე სიბილანტი შიშინაა, ე.ი. ერთი რიგისაა (ჩიჟე < *შიჯე) და არ არღვევს სიბილანტთა შეთავსებადობის წესს. აღდგენილ პრაფორმებში ერთი რიგის სიბილანტთა თანაარსებობის ეს წესი არაერთი არქტიპის ახლებური რეკონსტრუქციის საფუძველს ქმნის: საერთო ქართველური *ცუარ: ქართ. ცუარ- ზან: ცუნჯ- <*ჩუნჯ- <*ჩუჯ- <*ჩუოჯ-; საერთოქართველური *ძეწნ-: ქართ. ძეწნ-: ზან. ზიჭონ- <*ძიჭონ- <*ჯიჭონ- და სხვ.

სხვაგვარ ინტერპრეტაციას მოითხოვს ასევე საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი ის არქტიპები (*ძარც'უ- „ძარცვა“, *ძეშა „შეშა“, *ძეც'ხ- „ცეცხლი“, *ზაშუ- „შაშვი“), სადაც თითოეული ფუძისთვის სხვადასხვა რიგის სიბილანტებია რეკონსტრუირებული, რაც არღვევს ცალკეულ არქტიპებში სიბილანტთა შეთავსებადობის ზემოხსენებულ პრინციპს. ამ პრინციპის სასარგებლოდ მეტყველებს ქართველოლოგიაში რეკონსტრუირებულ პრაფორმათა სისწორულ-რაოდენობრივი მიმართებაც: თუ სხვადასხვა რიგის სიბილანტები სულ ხუთიოდე არქტიპშია წარმოდგენილი (რომელიც არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მოეპოვება ალტერნაციული დაკავშირებები), ერთი რიგის (საერთო, საზიარო რიგის) სიბილანტთა შემცველი არქტიპების რაოდენობა ხუთ ათეულს სცილდება (იხ. არქტიპთა საძიებელი, წიგნში: კ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II შევსებული გამოცემა, თბ. 2000).

დიალექტური პოზიციის პრინციპი (ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით) გულისხმობს როგორც ზანურში, ისე სვანურში დიალექტთა (თქმათა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ამ ენებში საერთოქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას. ეს ვითარება ნაწილობრივ ქართულ დიალექტებშიც გამოვლინდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზანურსა და სვანურში ქართული ენა-დიალექტებიდან შესული არაერთი ფუძე გვხვდება, რომელიც სისინა სიბილანტს შეიცავს, ვფიქრობთ, მრავალ ზანურ-სვანურ ფუძეში ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტის ასევე სისინა (იდენტური) ეკვივალენტია შენარჩუნებული. ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა სიბილანტთა

განაწილება და მათ ეკვივალენტთა ჩამოყალიბება სხვადასხვა დიალექტურ არეალსა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს:

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველ საფეხურზე წინა რიგის (სისინა) სიბილანტები უცვლელადაა წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურ და სვანურ იმ დიალექტებში, რომლებიც არ ემიჯნავენ ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, ამასთანავე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში ისევ სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში, რომელიც მომიჯნავე და დაცილებულ (პერიფერიულ) დიალექტებს შორისაა მოქცეული, ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგრამ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებშიც ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ სისინა სიბილანტიანი ლექსიკის დიდი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებას იწყებს შესატყვისობა ხმოვნებს შორის, რომელმაც გარკვეულწილად შეზღუდა შესატყვისობის ჩამოყალიბება თანხმოვნებს შორის (სისინა სიბილანტთა შიშინად გადაქცევის პროცესი). სვანურში ამ მიმართებით ფართო გასაქანი ეძლევა ფონეტიკურ პროცესებს: უმლაუტიზაციას, აფრიკატიზაციას, დეზაფრიკატიზაციას.

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება, ანუ სესხება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ე. წ. დუბლექტური ვარიანტის სახით (ასეთ ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სისინა სიბილანტთა გაშიშინების შედეგად) ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ძირი (ძ-) და მისგან ნაწარმოები ფუძეები (ძ-ევ-ს; მ-ძ-ევ-ალ-ი, ძ-ებ-ა; გან-ძ-ებ-ა...), რომლებიც აშკარად მიუთითებენ ქართველურ ფუძე-ენაში არა სხვადასხვა ბუნების ბუნების (სისინა და სისინ-შიშინა: ძ და ძ') ფონემათა, არამედ ოდენ სისინა ძ ფონემის არსებობაზე.

ერთი მხრივ საერთოქართველური *ძ- (სისინა) სიბილანტის უდავო ეკვივალენტია ქართულ-ზანურ-სვანური იდენტური (სისინა) ძ- სიბილანტი:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ- / ძ-უ (მეგრ.), ძ-უნ, ზ-უნ (ჭან.); სვან. ზ- /ზ-ი (ზ<ძ). მეორე მხრივ, საერთო-ქართველური *ძ (ასევე სისინა და არა – სისინ-შიშინა) სიბილანტის ასევე უდავო ეკვივალენტები ჩანს ქართული ძ- (სისინა) და ზანურ-სვანური ჯ- (შიშინა) სიბილანტები:

ქართ, ძ-ევ-ს: ზან. ჯ-ან-გ/ჯ-ან-უ „წევს“ (ეტიმოლოგიურად: „ძევს“). ამავე ძ-ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებშიც სისინათა შესატყვისად ზანურში შიშინა სიბილანტი დაჩნდება:

ქართ. მ-ძ-ევ-ალ-ი (ძ-ევ-ს): ზან. ჯ-ალ-ი „id“;

ქართ. გან-ძ-ებ-ა, გან-ა-ძ-ო: ზან. გო-(ნ)ჯ-ამ-ა „გახსნა; გაღება“ ..., გან-ჯ-გ, გან-ჯ-უ „გახსნა; გააღო“... (ეტიმოლოგიურად: ერთმანეთისაგან „განაძო“).

ქართულში ძ-ევ-ს/ძ-ებ-ა-ს პარალელურად გვაქვს დ-ევ-ს/დ-ებ-ა და მასთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჯ-ედ/ჯ-დ-ომ-ა, სადაც შიშინა ჯ- სიბილანტია წარმოდგენილი. დ-/ძ-/ჯ- ბგერათმონაცვლეობის მიზეზი მათი სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობაა, რომელსაც ადრინდელ ქართველურ-ფუძე-ენაში ერთი ფონემა ჰქონდა ამოსავლად.

ასეთი პროცესების დაშვებას ქართველურ ენებსა და დიალექტებში შესაძლებლად მიიხნევდა ამ ენათა ნარეკობის თეორიის ავტორი ნ. მარი: „Скрещение диалектических явления происходило не только в пределах каждого языка особо скрещивались различные языки одной и той же группы, отливались диалектические явления других групп“ (Март, 1914; 8). ნ. მარის ეს მოსაზრება გაზიარებულია სპეციალისტების მიერ.

ეს მაგალითები ცხადყოფენ როგორც შიშინა ჯგუფის (ზანურ-სვანურ), ისე სისინა ჯგუფის (ქართულ) ენა-დიალექტებში წარმოდგენილ საერთო ქართველურ ფუძეებში შიშინა სიბილანტების პარალელურად სისინათა არსებობას. ქართულის (და არა მხოლოდ ქართულის) სხვა მაგალითებშიც ეს ვითარება ჩანს ამოსავალი: ხვეტა/ხვეწა/ ხვეჭა, ტილი/წილი/ჭილი, თიკანი/ციკანი, ფრცხილი/ფრჩხილი, დაჯ სობა/დახშობა, ბრწკალი/ბრჭყალი, ხიწვი/ხიჭვი, პატარა/პაწია/პაჭუა და სხვა ფუძეთა მონაცვლეობის მთავარი მიზეზი

დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ და არა მათ სიმბოლურ (ექსპრესიულ) ხასიათში.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის სრულფასოვანი კვლევა მოითხოვს ცალკეული ჯგუფის თუ ქვეჯგუფის ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში (resp. ცალკეულ ძირში, მორფემაში) ფონემათა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების დადგენას, რაც გულისხმობს ფონოტაქტიკის ამა თუ იმ წესის დაშვებასა და გამოვლენას. ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების დადგენა სიბილანტურ ფონემებს შორის.

საერთოქართველურ ფუძეებს შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მიხედვით ირკვევა, რომ საერთოქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის გარკვეული წესი მოქმედებდა. კერძოდ, ცალკეულ ძირში თუ ძირისეულ მორფემაში დაუშვებელი იყო სხვადასხვა ლოკალური რიგის ორი ან ორზე მეტი სიბილანტური ფონემა – სპირანტი ან აფრიკატი. როგორც ჩანს, სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის ეს წესი ცალკეულ მორფემებში ექვემდებარებოდა გარკვეულ შეზღუდვებს, რის მიხედვითაც დაუშვებელი იყო წინა რიგის (სისინა) **ზ ს ძ ც წ** სიბილანტურ ფონემათაგან ნებისმიერის შემცველ ძირში უკანა რიგის (შიშინა) **ჟ შ ჯ ჩ ჭ** ფონემათაგან ნებისმიერის არსებობა, მაგრამ ბუნებრივი იყო რომელიმე ცალკეული რიგის სიბილანტა ცალკეულ ძირში თანაარსებობა.

საერთოქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის ეს წესი უგამონაკლისოა და დარღვევის არც ერთ მაგალითს არ იცნობს.

საერთოქართველურ ფუძე-ენაში სიბილანტურ თანხმოვანთა განაწილების ასეთი წესის არსებობის შესახებ პირველად მიუთითა გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1965, 80), მაგრამ მის მიერვე აღდგენილ ყველა არქექტიპში ის არაა გათვალისწინებული, ვინაიდან ამ არქექტიპებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია დაშვებული (მაგ.: *ზაშუ (resp.*ზაშუ-) „შაშვი“, *ზეშა (resp.*ზეშა-) „შეშა“ და სხვა.), რომ არაფერი ვთქვათ ე.წ. შუასიბილანტური რიგის შესახებ, რომლის არსებობა ფუძე-ენაში დაუშვა ცნობილმა მეცნიერმა (რაც შემდგომ გაიზიარა ქართველოლოგთა დიდმა ნაწილმა), მაგრამ ქართველურ ენებსა და დიალექტებში დღესაც ცოცხალი ათეულობით დუბლეტური (წინა და უკანა რიგის – და არა შუა რიგის – სიბილანტა მონაცვლე) ფუძეების ბგერათშესატყვისობის საფუძველზე ფუძე-ენაში შუა რიგის სიბილანტა

რეკონსტრუქცია მართებული არ ჩანს. მაგ: ქართული ძაჯ ველ : სვანური ჟაჯ უ-ერ („არყის ხე“) შესატყვისობის მიხედვით ფუძე –ენაში აღადგენენ შუა რიგის ძ სიბილანტის შემცველ ძირს - *ძახუ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 623), რაც დაუშვებელია, ვინაიდან ქართულ ენასა და დიალექტებში დასტურდება დუბლეტური ფუძეც ჯახველი/ჯახველა (ქართლ., მესხ., რაჭ., ლეჩხ., იმერ.). ეს შიშინა (უკანა რიგის) სიბილანტიანი ფუძე – ჯახვ-ელ – სისინა (წინა რიგის) სიბილანტიან ძახვ-ელ- ფუძეს ენაცვლება, რაც ქართულში მოსალოდნელი არ იყო ფუძე-ენაში სისინ-შიშინა (შუა რიგის) სიბილანტთა დაშვების შემთხვევაში, ვინაიდან ფუძე-ენის სისინ-შიშინა ძ სიბილანტი ქართულ ენასა და დიალექტებში ზანურ-სვანურის მსგავსად ვერ მოგვცემდა შიშინა ჯ სიბილანტს, არადა როგორც სამწერლობო ქართულში, ისე მის დიალექტებში მრავლად გვხვდება ასეთი დუბლეტური (ფრცხილი || ფრჩხილი, კენიწი || კენიჭი, ძმერხლი || ჯმერხლი, ხიწვი || ხიჭვი, წნეხა || ჭნეხა, ზრზოლა || ჟრჟოლა...) ფუძეები.

ქართულ ენასა და დიალექტებში დუბლეტურ ფუძეთა არსებობა ცოცხალი არგუმენტია ქართველურ ფუძე-ენაში შუა რიგის სიბილანტთა რეკონსტრუქციის საწინააღმდეგოდ.

ამდენად სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის აღნიშნული წესი სრულფასოვნად მოქმედებდა ქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში. ამასთანავე გარკვეული შეზღუდვები არსებობდა ერთი და იმავე ლოკალური რიგის სიბილანტთა განაწილებაშიც, კერძოდ: 1. დაუშვებელი იყო ცალკეულ ძირში ცალკეული რიგის სიბილანტთა ასეთი თანმიმდევრობა – ჯერ ყრუ ფშეინვიერი ან მკვეთრი და შემდეგ – მჟღერი (მაგ., დაუშვებელი იყო წ-ძ, მაგრამ დასაშვები იყო ძ-წ (*ძეწნ - „ძეწნა“) თანმიმდევრობა, ასევე, ჭ-ჯ, მაგრამ ჯ-ჭ (*ჯაჭუ „ჯაჭვი“) და ა.შ. 2. დასაშვები იყო თანმიმდევრობა: მჟღერი სიბილანტი – მჟღერი სიბილანტი (ერთი და იმავე სერიის და ლოკალური რიგისა: ზ-ზ, ძ-ძ, ჟ-ჟ, ჯ-ჯ).

სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის აღნიშნული წესის მოქმედება ძირითადად იგულისხმება ქართველური ფუძე-ენის იმ ქრონოლოგიურ დონეზე, რომლის შემდგომ ეტაპზეც მოხდა ფუძე-ენის დიფერენციაცია. ადრინდელი ქართველური ფუძე-ენის ვითარების რეკონსტრუქცია კი ბევრად უფრო რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც, ვინაიდან არ მოგვეპოვება სათანადო მასალა ადრინდელ საერთოქართველურში სიბილანტურ ფონემათა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების საკვალიფიკაციოდ, თუმცა ჰიპოთეტურად ამ წესს აღნიშნულ დონეზეც უნდა ემოქმედა (შდრ.: ფენრიხი 1978, 112).

ზემოთქმულის შესაბამისად, ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებული ის არქეტიპები, რომლებშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტური ფონემებია დაშვებული, ვფიქრობთ, გადასინჯვას მოითხოვს.

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე საერთოქართველურ ფუძეს, რომელთა შორის ბგერათშესატყვისობა ქართველოლოგიაში სადავო არ არის, მაგრამ არქეტიპებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქცია, ჩვენი აზრით, მართებული არაა:

1. ქართული შაშუ-ი, შაშე-ი: ზანური ზესქე-ი (მეგრ.), ზესქუ/ზესკუ/მზესქუ (ჭან.) შესატყვისობის საფუძველზე ფუძე-ენაში დაშვებულია არქეტიპები: *საშუ (კლიმოვი 1964), *ზაშუ (resp. *ზაშუ) (მაჭავარიანი 1965), *ზაჟუ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965) *ჟაშუ (გულაგა 1964). ამ არქეტიპებში (*ჟაშუ ძირის გარდა) სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია (ს-შ, ზ-შ, ზ-შ, ზ-ჟ) პოსტულირებული და, ამდენად, ჩვენი აზრით, უმართებულოა. *ჟაშუ (სადაც ერთი საერთო ლოკალური რიგის ჟ-შ ფონემებია) და *სა-შ-ჟ- (ჩიქობავა 1938) არქეტიპი, სადაც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია (ს-შ), მაგრამ ფუძის, და არა – საერთო ძირის, კუთვნილებაა, არ ეწინააღმდეგება სიბილანტურ თანხმოვანთა შეთავსებადობის აღნიშნულ წესს.

2. ქართ. სიძე: ზან. სინჯა / სინდა (მეგრ.), სიჯა (ჭან.): სვან. ჩიჟე შესატყვისობის მიხედვით ქართველურ ფუძე-ენაში აღდგენილია არქეტიპები: *სიძე (კლიმოვი 1964), *სიძე (კლიმოვი 1998), *სიძე (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965), *სიძე (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). ამ არქეტიპებშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია წარმოდგენილი (ს-ძ) ან ერთი რიგისა (ს-ძ), მაგრამ ეს რიგი (შუასიბილანტური) არც არის ფუძე-ენაში სავარაუდებელი. ამდენად, არქეტიპად სხვა შდგენილობის ძირი (ან, შესაძლოა, ფუძე, როგორც ამას არნ. ჩიქობავა ვარაუდობდა) უნდა ვიგულისხმობთ, კერძოდ, ერთი ლოკალური რიგის (წინასიბილანტური) ს-ძ სპირანტ-აფრიკატის შემცველი *სიძე.

3. ქართ. ძეწნ-ი/ძეწნ-ა: ზან. ზიჭონ-ი შესატყვისობით ფუძე-ენაში აღდგენილია არქეტიპები: *ძეწნ- (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; კლიმოვი 1964), *ძეწნ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; კლიმოვი 1998). ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია წარმოდგენილი (ძ-წ). ვფიქრობთ, ქართულ-ზანურ ფუძეებს დაუკავშირდება სვანური ჭ ჭ ნ-დ /ჩ ჭ ნ-დ/ ჩიჭინ-დ „ძეწნა“ და არქეტიპად ფუძე-ენაში აღდება ერთი ლოკალური რიგის (ძ-წ) აფრიკატების შემცველი *ძეწნ-.

საერთოქართველურ ფუძე-ენაში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა შეთავსებადობის აღნიშნული წესი სისტემატური ხასიათისაა და ფონოტაქტიკის მკაცრ მოთხოვნებს ასახავს. ამ წესის მართებულობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ვითარებაც, რომელიც ცალკეული ლოკალური რიგის სიბილანტთა შეთავსებადობის თვალსაზრისით უნდა არსებულებო, კერძოდ: რომელიმე ცალკეული საერთო ლოკალური –წინა(სისინა) ან უკანა (შიშინა)– რიგის სიბილანტთა ცალკეულ ძირში მოქმედი შეზღუდვები (იხ. ზემოთ), რაც ერთგვარად მოსალოდნელი არ იყო, ამყარებს სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობაში მოქმედ შეზღუდვებს, რაც უფრო მოსალოდნელი იყო.

ამდენად, ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი ყველა ის არქეტიპი, რომლებშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტური ფონემებია პოსტულირებული, ამ ფონემათა შეთავსებადობის ზემოაღნიშნული წესის მიღების შემთხვევაში, გადასინჯვასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამის გათვალისწინებით ფუძე-ენის დონეზე აღდგენილ ცალკეულ არქეტიპში მხოლოდ ცალკეული ლოკალური რიგის (და არა – სხვადასხვა ლოკალური რიგისა) სიბილანტური ფონემების რეკონსტრუქციაა მართებული.

სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის ეს წესი, როგორც ჩანს, მოქმედებდა აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენებშიც. იბერიულ-კავკასიურ ენებში (დიალექტებში, კილოკავებში, მიკროენობრივ ერთეულებში) სისინა და შიშინა სიბილანტთა (სპირანტ-აფრიკატთა) განაწილების თვალსაზრისით შეინიშნება ერთი საერთო წესი: თითოეული იბერიულ-კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი სისინა და შიშინა სიბილანტები, რომელთაც ამოსავლად რომელიმე საერთო (სისინა ან შიშინა) ფონემა აქვთ, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთდროულად არა მხოლოდ ცალკეული ენისა და დიალექტის, არამედ თქმის, მეტყველების ან უმცირესი ენობრივ-დიალექტური ერთეულის ფარგლებშიც.

მაგალითად, აბაზური ენის ტაპანთიურ დიალექტში „ორივე რიგის ბგერების არსებობის შემთხვევაში ერთნაირად აღრევით გამოიყენება როგორც სისინა, ისე შიშინა სახეობები: ძიღჳ⁰, ციღწ⁰, წიღჭ⁰. ამ ნიადაგზე, მაგ., ა-წ⁰ა „ვაშლი“ ტაპანთურში არის როგორც წ⁰ა, ისე ჭ⁰ა...

აქ სხვადასხვა მთქმელის ენაში არის ან შიშინა, ან „სისინა“ სახეობები ლაბიალიზებული სპირანტებისა და აფრიკატებისა ისე, რომ საერთოდ ტაპანთური დიალექტის მიხედვით იგივე, ორივე სახეობის ბგერები გვაქვს,

როგორც ბზიფურში (ე.ი. ჟ⁰შ⁰ და ზ⁰ს⁰), ოღონდ ფუნქციურად განუსხვავებელი: შესაძლოა ერთი მოქმედი როგორც „ძველს“ (აჟ⁰), ისე „ძროხას“ (აზ⁰) გამოთქვამდეს ზ⁰ ბგერით, მეორე კი – ორივეს ჟ⁰ ბგერით და ა.შ.“ (ქ. ლომთათიძე 1976; 166).

ყაბარდოული ენის მალკის კილოკავში მოქმელთა ერთი ჯგუფის მეტყველებაში სისინა სიბილანტია (სპირანტებია) წარმოდგენილი, მეორე ჯგუფის მეტყველებაში კი – შიშინა ეკვივალენტები (ასევე სპირანტები) (ა. შაგიროვი – 1967; 165).

ადიღურ ენებში შეინიშნება პირველადი შიშინა აფრიკატების სპირანტიზაცია (გ. როგავა, 1967; 97), რაც იწვევს ამ ენებსა და დიალექტებში ოპოზიციური წყვილების შექმნას არა მხოლოდ სისინ-შიშინობის მიხედვით.

ეს ვითარება დამახასიათებელია ნახური ენებისთვისაც, სადაც ადპირისპირებას ერთი საერთო სიბილანტური ფონემისაგან მომდინარე რეფლექსების შორის ქმნის მათი სპირანტობა, აფრიკატობა და აბრუპტივობა. მაგ., ჩეჩნური ზ (ბუორზ „მგელი“): ინგუშური ძ (ბუორძ): ბაცბური წ (ბროწ) (ი. დეშერიევი – 1967; 185).

სისინა და შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუცია საერთო ფუძეებში აშკარად ჩანს დადესტნის მრავალ ენასა და დიალექტში (კილოკავში). ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავები, სადაც სისინა და შიშინა სიბილანტებს შორის ისეთი რეგულარული ბგერათშესატყვისობაა წარმოდგენილი, როგორც ქართველურ ენებში (ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის). სისინა>შიშინა გადასვლის მაგალითები დასტურდება ხუნძურის სხვა დიალექტებსა და კილოკავებშიც (პ. უსლარი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, შ. მიქაილოვი...) ასეთივე პროცესი ვლინდება ახვახურ და ჭამალურ ენებშიც (ნ. ტრუბეცკოი, ტ. გუდავა).

ლეზგიური ენის კიურიულ დიალექტში (კილოკავებში) სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო სამურის დიალექტში (კილოკავებში) – შიშინა ეკვივალენტები (უ. მეილანოვა – 1967; 529).

ლაკური ენის აშთიყულის დიალექტში სისინა სიბილანტები (ზ ს სჟ სპირანტები) სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტების შიშინა სიბილანტებს (ჟ შ შჟ სპირანტებს) ენაცვლება (პ. მურყელინსკი – 1967; 488).

სისინა და შიშინა სიბილანტურ ფონემათა განაწილების ეს წესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელი იყო ქართველური ენებისა და

დიალექტებისთვისაც. ამ წესს საფუძვლად უნდა დასდებოდა **დიალექტური პოზიციის პრინციპი** (ქართველურ დიალექტთა, კილოკავთა) გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით. რაც გულისხმობს როგორც ზანურში, ისე სვანურში დიალექტთა (კოლოკავთა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ამ ენებში საერთოქართველური სისინა სიბილანტიანი ფუძეების გვერდით შიშინა სიბილანტიანი ფუძეების არსებობას.

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შეესატყვისება, ერთი მხრივ, ასევე წინა რიგის (სისინა ზ ს ძ ც წ) და, მეორე მხრივ, უკანა რიგის (შიშინა უ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გავრცელებული თვლასაზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი შუა რიგის (სისინ-შიშინა ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთა ლექსიკური მასალაც იძლევა:

ქართული ენის დიალექტებშიც ისევე, როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა-სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე – შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა სიბილანტები), ე.ი. ზანურ-სვანურში) ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისაც სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა → ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა) და საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა → ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა) ყოფილა დამახასიათებელი და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა → ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისათვის ბუნებრივ და, ამდენად მოსალოდნელ, საერთო თვისებას. სიბილანტები, როგორც ცნობილია, „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად

ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში (და ამ დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში) შემონახული საერთოქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი, სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სახეცვლილების ფონეტიკური (ან სხვა ხასიათის, გარდა დიალექტურისა) საფუძველი არ უჩანთ (resp. ცხადია, დიალექტურ ცვლილებებსაც ისტორიულად – ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში – გარკვეულწილად ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა):

წინა რიგის (სისინა)	უკანა რიგის (შიშინა)
სიბილანტიანი ფუძეები:	სიბილანტიანი ფუძეები:
ბლაცუნ-ი (გურ.)	– ბლახუნ-ი (აჭარ.), ბახუნი (ზ. იმერ.)
ბრწყინვა (ქველ.)	– ბრჭყუნვა „მცირე ბრწყინვალება“ (საბა)
ბურბგი (გურ.), ბურბგე-ი (ლენხ.)	– ბუჯგ-ი (აჭარ.)
ზლაზვნა (ქველ.)	– ჟრანჟვა (გურ.)
ცეხვა (ქველ.)	– მოჩეხ-ებ-ა (გურ.)
ღრძ-ილ-ი (ქველ.)	– ღჯ-ილ-ი (გურ., ლენხ., ქველ.)
და-წნეხ-ა (ქველ.)	– დაჭნეხ-ა (გურ., აჭარ.)
და-წრეხ-ა, და-წრეხ-ილ-ი (მთხ., მთიულ.)	– დაჭრეხ-ილ-ი (ფშ., ხევს.)
და-წუხ-ვა „დახუჭვა“ (საბა)	– და-ხუჭ-ვა „თვალთ მოკრება, დაჭუხ-ვა“ და-ჭუხ-ვა „თვალთ დახურვა, დაწუხვა“ (საბა)
გა-წვრეთ-ა (ხევს.)	– ჭვრეთ-ა-ი (თუშ.), სა-ჭვრეთელ-ი (ფშ., თუშ., მთიულ.)
ფარცხვა (ქველ.)	– ფარჩხვა (ლენხ.)
ფრცხ-ილ-ი (ქველ.)	– ფრჩხ-ილ-ი (ქველ.)


ფორცხ-ი (ქიზიყ), ფოცხ-ი (ქეგლ.) – ფორჩხ-ი (კახ., იმერ., ქეგლ.)

ლოწიალ-ი (იმერ.) – ლოჭიალ-ი (რაჭ.) და სხვ.

წარმოდგენილ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტებს არა აქვთ ფუნქციური დატვირთვა და, შესაბამისად, არ იწვევენ მორფოლოგიურ და სემანტიკურ ცვლილებებს. თუ გამოვრიცხავთ ამ ლექსემების შესაძლო ბგერწერით (ხმაბაძვით, ექსპრესიულ) ხასიათს (თუმცა ხმაბაძვით სიტყვებშიც ვლინდება შესატყვისობის წესები), მაშინ საერთო ფუძეებში სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობების არსებობის მიზეზი მათ დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძეების სისინა (წინა რიგის) სიბილანტმა ქართულ დიალექტებში მოგვცა როგორც სისინა, ისე – შიშინა ეკვივალენტი:

ქართველური ფუძე-ენა ქართული სამწერლო ენა და დიალექტები



ე.ი. ქართული ენის დიალექტებში და რომელიმე დიალექტის (ან დიალექტების) მეშვეობით სამწერლო ქართულშიც დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის როგორც სისინა-სიბილანტური, ისე – შიშინა-სიბილანტური ფუძეები.

სიბილანტური ფონემების ამგვარი განაწილებისათვის ისტორიული საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საგულვეტელი, რაც გულისხმობს სიბილანტთა ეკვივალენტების ჩამოყალიბებას ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის, ამ დიალექტთა ურთიერთგავლენის, გარდამავალი და ნარევი დიალექტური ზოლების მიხედვით.

ქროთა განმავლობაში ქართველურ და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებსა და დიალექტებში უნდა მომხდარიყო დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: შიშინა სიბილანტიანი ფუძეები დამკვიდრდა სისინა სიბილანტიანი დიალექტების (თქმების, მიკრო-ენობრივი ერთეულების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური ან მორფოლოგიური ცვლილებების შედეგად სისინა ან შიშინა ეკვივალენტების ჩამოყალიბებით ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის შესატყვისობა გულისხმობს ბგერთფარდობის რეგულარულ წესს: ერთი მხრივ, ქართული ენის სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურსა და სვანურში წარმოდგენილია ასევე სისინა, იდენტური კორელატები და, მეორე მხრივ, – შიშინა სიბილანტები, ხოლო ქართული ენის შიშინა სიბილანტებს შეესატყვისება ზანურ-სვანური თანხმოვანთკომპლექსები (შიშინა სიბილანტები ვერალურ ხშულებთან ერთად). ამ მიზეზით ნ. მარმა ქართულ ენას „სისინა ჯგუფის“, ხოლო ზანურს (მეგრულ-ჭანურს) „შიშინა ჯგუფის“ ენები უწოდა.

სიბილანტურ ფონემათა ასეთი „ყოფაქცევა“ მეტნაკლებად დამახასიათებელია ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის და, მათ შორის, დადესტნური ენებისთვისაც. დადესტნის მონათესავე მრავალრიცხოვან ენათა შორის თითოეული ენა მონოგრაფიულადაა შესწავლილი, რაც გვაძლევს გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას ამ ენათა „სისინა“ თუ „შიშინა“ ჯგუფის ენებად კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით, დადესტნურ ენათა უმრავლესობა (დაახლოებით 20 ენა) „სისინა ჯგუფის“, უფრო ზუსტად, „სისინა-სიბილანტური“ ენებია. ერთადერთი ენა დადესტნურ ენათა შორის, რომელიც აშკარად შეიძლება ჩაითვალოს „შიშინა-სიბილანტურ“ ენად, ახვახური ენაა (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფი), ვინაიდან ახვახური ენა თითქმის უგამონაკლისოდ წარმოგვიდგენს შიშინა სიბილანტებს სხავ დადესტნურ ენათა სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად (ბევრად უფრო მეტად და რეგულარულად, ვიდრე ზანური და სვანური ქართულ ენასთან მიმართებით). უდიურ ენაშიც თითქმის ასეთივე ვითარებაა ასახული – სხვა დადესტნურ ენათა სისინა სიბილანტებს აქ ზოგჯერ შიშინა შეესატყვისება, მაგრამ ეს შესატყვისობა რეგულარული ხასიათისა არ არის, როგორც ახვახურში. ამის გამო უდიურის კვალიფიკაცია „შიშინა-სიბილანტურ“ ენად

გაჭირდება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ უდიურ ენაში შიშინა-სიბილანტური რიგის სრულ შედგენილობას (უდიური ენა ერთადერთია დადესტნურ ენათა შორის, რომელსაც შიშინა სიბილანტები – არამაგარიც და მაგარიც, ანუ ინტენსიურიც – სრულად დაუცავს, ხოლო სისინა-სიბილანტური რიგი ნაკლული აქვს – არ მოეპოვება ინტენსიური კორელატები), მაშინ უდიური ენის „შიშინა-სიბილანტურ“ ენად მიღება შესაძლებელი ჩანს.

სისინა სიბილანტთა გადასვლა შიშინებში დასტურდება დიდოურ ენებსა და დიალექტებშიც (ელ. ლომთაძე, ტ. გუდავა): ბეჟიტურში (ტლადალურ დიალექტში), ჰუნზიბურში, ჰინუხურში, თუმცა ამ ენებში ად დიალექტებში ის პოზიციურ-კომბინაციური ხასიათისაა.

რეგულარულ ხასიათს ატარებს შიშინა-სიბილანტური შესატყვისობა ხუნძური ენის ბათლუსურ დიალექტში, ყოროდის თქმაში და, განსაკუთრებით, ანწუხური დიალექტის ჭადაქოლურ თქმაში. ამდენად ეს დიალექტები და თქმები სალიტერატურო ხუნძურთან და მის სხვა დიალექტებთან და თქმებთან მიმართებით (ისევე, როგორც „სისინა-სიბილანტურ“ სხვა დადესტნურ ენობრივ ერთეულებთან მიმართებით) „შიშინა-სიბილანტური“ აღმოჩნდა.

ასევე, ლეზგიური ენის სამურის დიალექტსა და თქმებში კიურიული დიალექტისა და თქმების სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად შიშინა სიბილანტებია წარმოდგენილი (უ. მეილანოვა).

სალიტერატურო ლაკურ ენასა და დიალექტებშიც აშთიყულის დიალექტის სისინა სიბილანტების (სპირანტების) ეკვივალენტებად შიშინა სიბილანტები (ასევე სპირანტები) დასტურდება (გ. მურყელინსკი).

ეს ვითარება ნაწილობრივ არაერთ სხვა დადესტნურ ენაში, დიალექტში, თქმაში თუ მეტყველებაში ვლინდება.

დადესტნურ ენებში ისევე, როგორც ქართველურ ენებში, სიბილანტთა შესატყვისობას, როგორც ჩანს, საარტიკულაციო ბაზისი ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ – გადაწვევის წესი განაპირობებს, თუმცა ხსენებულ ენებსა და დიალექტებში მოქმედებს ბგერათშესატყვისობის უკუპროცესის (ინტენსიური შიშინა სიბილანტების გადასვლა ინტენსიურ სისინა სიბილანტებში), რომელსაც გარკვეული ახსნა მოეპოვება და ვერ არღვევს ბგერათშესატყვისობის მაგისტრალურ ხაზს – სისინა (არაინტენსიური) სიბილანტების გადასვლას შიშინა (ასევე არაინტენსიურ) სიბილანტებში ისევე, როგორც ქართულ ენასა და დიალექტებში არსებული დუბლეტური ფუძეები, სადაც ხდება სისინა და შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუცია (ასეთი ფუძეები

მრავლად გეხვედება), ვერ არღვევს ქართველურ ენათა შორის
ბგერათშესატყვისობის კანონზომიერ, რეგულარულ ხასიათს.

თავი I

სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ ენებში

§1. სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტა

მონაცვლეობისათვის ქართველურ

ენებსა და დიალექტებში

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ, ს, ძ, ც, წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შესატყვისება, ერთი მხრივ, ასევე წინა რიგის (სისინა ზ ს ძ ც წ) და, მეორე მხრივ, უკანა რიგის (შიშინა ქ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გავრცელებული თვალსაზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი შუა რიგის (სისინ-შიშინა ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთა ლექსიკური მასალაც იძლევა.

ქართული ენის დიალექტებშიც, ისევე როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც ციცინა (იდენტური), ისე შეშენა ეკვივალენტები. ქართული დიალექტიკური ლექსიკაც მეტ-ნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისაც სისინა სიბილანტთა სენარჩუნება (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა → ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა) და საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა → ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა) ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა → ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისთვის ბუნებრივ (resp. და ამდენად მოსალოდნელ) საერთო თვისებას.

სიბილანტები, როგორც ცნობილია, „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში (და სამწერლობო ქართულში) შემონახული საერთო ქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე როგორც ზანურ-სვანურში, და ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტიკური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი (მეორე ნაწილის შესახებ იხ. ზემოთ), სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სახეცვლილებების ფონეტიკური (ან სხვა ხასიათის, გარდა დიალექტურისა) საფუძველი არ უჩანთ:


წინა რიგის (სისინა)	უკანა რიგის (შიშინა)
სიბილანტიანი ფუძეები:	სიბილანტიანი ფუძეები
ბეზ-ვა (ქეგლ., იმერ.) (ზან.ბაზ.-უ-ა)	ბეჟ-ვა (ქეგლ.)
ზეზ-ვა (იმერ.) (ზან. ჟაჟ-უ-ა)	ჟეჟ-ვა (ქეგლ. გურ.)
ზეპ-ვა (ქეგლ.) (ზან. ზაპ-უ-ა)	ჟეპ-ა (ქეგლ. ქსნის ხეობის ქართლ., რაჭ.)
ზრზ-ოლ-ა (ძვ. ქართ.), ზორზ-ალ-ი (მესხ.)	ჟრჟ-ოლ-ა (ახ. ქართ.), ჟრჟ-ო (ქიზიყ.)
ზან. ზარზ-ალ-უ-ა/ ჟარჟ-ალ-უ-ა)	
ზღმარტლ-ი (ქეგლ.)	ჟრმარტლ-ი (ქართლ. მესხ.)
კენიწ-ი (ქართლ., ქიზიყ)	კენიჭ-ი (ლენხ.)
კნაწ-ა (ქიზიყ.)	კნაჭ-ა (ლენხ., ზ. იმერ. ქიზიყ.)
ნარცხ-ი (ქიზიყ.)	ნარჩხ-ი (ქიზიყ.)
ცენდ-არ-ი (ფშ., იმერ.) (ზან. ცანდ-არ-ელ-ი)	ჩენდ-არ-ი (ლენხ.)
სვან. ჩენდ-არ	
ძაბ-უნ-ი (გურ., ქეგლ.)	ჯაბ-უნ-ი (გურ.)
ძაჳ ველ-ი, ძახველ-ი, ძახველ-ა,	ჯახველ-ა (ქართლ., მესხ., რაჭ., (სვან.
მძახველ-ი (მთიულ., დშ., ხევს., ქვ. რაჭ., ლენხ., იმერ.)	ჟაჳ უერ)
ძენძ-ი (ქეგლ.)	ჯენჯ-ი (ქეგლ.), იმერ., გურ.)
ძონძ-ი (ქეგლ.)	ჯონჯ-ი (მთიულ.)

ძაგარ-ი (ხევს.) ძაგარ-ა-ი (გურ.)	ჯაგარ-ი (ქეგლ.)
ძირკ-ი (გურ.) (ზან. ჯიკ-ი)	ჯირკ-ი (ქეგლ.)
ძმერხლ-ი (გურ.)	ჯმერხლ-ი (იმერ.)
წნეს-ა, წნეს-გ-ა (ქეგლ., გურ., იმერ.)	ჭნეს-ა (გურ.), ჭნეს-გ-ა (იმერ.)
(ზან. ო-ჭინახ-უ)	
წვინტ-ი, მო-წვინტ-ულ-ი (გურ.)	ჭვინტ-ი (ქეგლ.), მო-ჭვინტ-ულ-ი (გურ.)
წმახ-ე (მესხ.)	მჭახ-ე (გურ., აჭარ.)
წყურტ-ი (ქეგლ., ლეჩხ.)	ჭყურტ-ი (ქეგლ., ზ. აჭარ.)
წეს-იერ-ი (ქეგლ.)	ჭეშ-ნ-იერ-ი (იმერ.), ჭომ-ნ-იერ-ი (ზ. იმერ.)
წყენ-ა (ქეგლ.)	ჭყენ-ა (ლეჩხ.)
წირპლ-ი (ქეგლ.)	ჭიპლ-ი (ინგილ.)
წიწიტ-ა (ქეგლ., ხევს.)	ჭიჭიტ-ან-ა (ქართლ.), ჭიჭიტ-ალ-ა იმერ. და ა.შ.

წარმოდგენილ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტებს არა აქვს ფუნქციური დატვირთვა და, შესაბამისად, არ იწვევენ მორფოლოგიურ ან სემანტიკურ ცვლილებებს. თუ გამოვრიცხავთ ამ ლექსემების შესაძლო ბგერ-წერით (ძმაბაძვით, ექსპრესიულ) ხასიათს, მაშინ საერთო ფუძეებში სიბლანტთა სისინა და შიშინა სახეობების არსებობის მიზეზი მათ დიალექტიკურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძე-ენის სისინა (წინა რიგის) სიბილანტთა ქართულ დიალექტებში მოგვცა როგორც სისინა, ისე შიშინა ეკვივალენტი:

ქართველური ფუძე ენა



ე.ი. ქართულ დიალექტებში და რომელიმე დიალექტის (ან დიალექტების) მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრდა შიშინა სახეობაც: ჟჟჟ-გ-ა, ქართულისათვის მოსალოდნელი ე გახმოვანებით მაშინ, როცა ზანურში გვაქვს ასევე შიშინა სახეობა ჟაჟ-უ-ა, ა გახმოვანებით.

სამწერლობო ქართულში დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტიკური წარმომავლობის როგორც სისინა (ძვ. ქართული **ზრზოლა**), ისე - შიშინა (ახ. ქართ. **ჟრჟოლა**) ვარიანტები, ასევე სამწერლობო ქართულში ერთდროულადაც

დასრტურდება დიალექტიკური სისინა სიბილანტიანი (ლექსუმური წყურტი) და შიშინა სიბილანტიანი (ზ. აჭარ. ჭყურტი).

სიბილანტურ ფონემათა ამგვარი განაწილებისათვის ისტორიული საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საგულეებელი, რაც გულისხმობს სიბილანტთა ეკვივალენტების ჩამოყალიბებას ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის, ამ დიალექტთა ურთიერთგავლენის, გარდამავალი და ნარევი დიალექტური ზოლების მიხედვით.

დროთა განმავლობაში ქართველურ დიალექტებში უნდა მომხდარიყო დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება:

შიშინა სიბილანტიანი ფუძეები დამკვიდრდა სისინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური ან მორფოლოგიური ცვლილებების შედეგად სისინა ან შიშინა ეკვივალენტების ჩამოყალიბებით ან სემანტიკური გადაწვეისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

სხვადასხვა ლოკალური რიგის (სისინა და შიშინა) სიბილანტთა მონაცვლეობის ეს წესი, როგორც ჩანს, არც დადესტნური ენებისა და დიალექტებისთვისაც არის უცხო. დადესტნურ ენებსა და დიალექტებშიც, არანაკლებ ვიდრე ქართველურ ენებსა და დიალექტებში, ხშირია დუბლეტურ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტთა მონაცვლეობა (ზოგი მკვლევარი საერთო-დადესტნური ფუძე-ენის დონეზეც უშვებს დუბლეტური ფუძეების არსებობას).

სისინა და შიშინა სიბილანტებს შორის შესატყვისობისა და სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობის მიხედვით ფასეულ ჩვენებებს იძლევა ხუნძური ენის ანწუსური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური თქმები, სადაც რეგულარული ბგერათშესატყვისობის ისეთი წესია წარმოდგენილი, როგორიც ქართველურ ენებში – ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის. ასეთივე წესი მოქმედებს ბათლუხის, ყოროდისა და ხუნძური ენის ზოგ სხვა თქმასა და მეტყველებაში (პ. უსლარი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, შ. მიქაილოვი...) ასეთივე პროცესი ვლინდება ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის სხვა ენებსა და დიალექტებშიც: ახვახურში, ჭამალურში... (ნ. ტრუბეცკოი, ტ. გუდავა).

სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობა განსაკუთრებით დამახასიატებელია ლაკურ-დარგუული და ლეზგიური ქვეჯგუფის არაერთი ენისა და დიალექტისათვის.

ლეზგიური ენის კიურიულ დიალექტში სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო სამურის დიალექტში – შიშინა (შ. მეილანოვა).

ლაკური ენის აშთიყულის დიალექტის სისინა სიბილანტებს (სპირანტებს) შიშინა ენაცვლება სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში.

როგორც ჩანს, დაღესტნურ ენებსა და დიალექტებშიც (მიკრო-ენობრივ ერთეულებში) ისევე, როგორც ქართველურ ენებსა და დიალექტებში, სხვადასხვა დიალექტური რიგის (სისინა და შიშინა) სიბილანტურ ფონემათა მონაცვლეობის საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საძიებელი, რაც შეპირობებულია სხვადასხვა დიალექტურ არეალში სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე ჩამოყალიბებული სისინა და შიშინა სიბილანტების ერთგვარი შერევა-გადანაწილებით.

§2. ქართული დიალექტური ლექსიკა და საერთოქართველური ფუძე-ენის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი

მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული დიალექტური ლექსიკის გათვალისწინების გარეშე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება არა მხოლოდ ქართველურ ენათა სტრუქტურის სინქრონულ დონეზე სრულფასოვანი აღწერა და ანალიზი, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქართველურ ენათა ისტორიული, ამოსავალი ვითარების რეკონსტრუქცია.

ქართული ენის დიალექტებში შემონახულია ისეთი ლექსიკაც, რომელიც სამწერლობო ქართულში არ დასტურდება, მაგრამ მხოლოდ მისი გათვალისწინებითაა შესაძლებელი ზანურ-სვანური შესატყვისი ფორმების გამოვლენა და ქართველური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპების აღდგენა.

ქართული დიალექტიკური ლექსიკა საინტერესო სურათს გვიჩვენებს სიბილანტურ ფონემათა განაწილების თვალსაზრისითაც როგორც საკუთრივ ქართული ენის დიალექტების ფარგლებში, ისე ქართველურ ენათა და დიალექტთა ურთიერთმიმართების დასადგენად, ვინაიდან სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების შემცველი დუბლეტური ფუძეები განსაკუთრებით სწორედ ქართული ენის დიალექტებშია შემონახული.

ქართველურ ენებსა და დიალექტებში სიბილანტურ ფონემათა განაწილება და მათ ეკვივალენტთა ჩამოყალიბება ისტორიულად სხვადასხვა დიალექტურ არეალს და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს.

საერთოქართველურ ლექსიკაში მოიპოვება არაერთი ფუძე (resp. ძირი, მორფემა, აფიქსი), რომელიც საკუთრივ ქართული წინა რიგის (სისინა) და ზანურ-სვანური როგორც წინა რიგის (სისინა), ისე უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა შესატყვისობაში დიალექტური ლექსიკის განსაკუთრებულ როლს ასახავს.

სამწერლობო ქართულშიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის როგორც სისინა (მაგ., ძვ. ქართ. **ზრზოლა**), ისე შიშინა (ახ. ქართ. **ჟრჟოლა**) სახეობა; ასევე, სამწერლობო ქართულში ერთდროულადაც დასტურდება დიალექტური სისინა სიბილანტიანი (მაგ., ლეჩხუმური წყურტი) და შიშინა სიბილანტიანი (ზ. აჭარული ჭყურტი) ფუძეები.

ამ სახით დროთა განმავლობაში ქართველურ ენებსა და დიალექტებში (resp. თქმებში, მიკრო-ენობრივ ერთეულებში) მკვიდრდებოდა როგორც სისინა, ისე – შიშინა სიბილანტიანი ფუძე ან, უმეტესწილად – ერთ-ერთი მათ შორის.

მაშასადამე, ქართული ენის დიალექტებშიც, ისევე როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასრტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე (შიშინა) ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისაც სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა > ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა) და საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა > ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა) ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვეჩვენებოდა ფიძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა > ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა- დიალექტებისათვის ბუნებრივ და, ამდენად, მოსალოდნელ საერთო თვისებას.

სიბილანტები, როგორც ცნობილია, ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში (და ამ დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში) შემონახული საერთოქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე, როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი (იხ. აგრეთვე, ზემოთ), სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სახეცვლილების ფონეტიკური ან სხვა ხასიათის, გარდა დიალექტურისა, საფუძველი არ უჩანთ (resp. ცხადია, დიალექტურ

ცვლილებებსაც ისტორიულად – ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში – გარკვეულწილად ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა:

წინა რიგის (სისინა) სიბილიანტიანი ფუძეები: უკანა რიგის (შიშინა) სიბილიანტიანი ფუძეები:

ბლაცუნ-ი (გურ.)

ბლანუნ-ი (აჭარ.), ბანუნ-ი (ზ. იმერ.)

ბრწყინვა (ქეგლ.)

ბრწყენვა „მცირე ბრწყინვალება“ (საბა)

ბურბგ-ი (გურ.) ბურბგ-ი (ლენხ.)

ბუჯგ-ი (აჭარ.)

ზლაზუნა (ქეგლ.)

ჟრანჟვა (გურ.)

ზეპა (ქიზიყ.), ზეპვა (ქეგლ.)

ჟეპა (ქეგლ, ქართლ., რაჭ.)

ცეხვა (ქეგლ.)

მოჩეხ-ებ-ა (გურ.)

ღრბ-ილ-ი (ქეგლ.)

ღჯ-ილ-ი (გურ., ლენხ., ქეგლ.)

და-წინეხ-ა, და-წრეხ-ილ-ი (მოხ., მთიულ.)

და-ჭრეხ-ილ-ი (ფშ. ხევს.)

და-წუხ-ვა „დახუჭვა“ (საბა)

და-ხუჭ-ვა „თვალთ მოკრება, დახუჭვა“, და-ჭუხ-ვა „თვალთ დახურვა, დაწუხვა“ (საბა)

გა-წერეთ-ა (ხევს.)

ჭერეთ-ა-? (თუშ.), სა-ჭერეთ-ელ-ი (ფშ., თუშ., მთიულ.)

ფარცხვა (ქეგლ.)

ფარჩხვა (ლენხ.)

ფრცხ-ილ-ი

ფრჩხ-ილ-ი (ქეგლ.)

ფორცხ-ი (ქიზიყ.)

ფორჩხ-ი (კახ., იმერ., ქეგლ.)

ფოცხ-ი (ქეგლ.)

ფოჩხ-ი (ქართლ. რაჭა)

ღოწიალ-ი (იმერ.)

ღოჭიალ-ი (რაჭ.) და სხვ.

ასეთი დუბლეტური ფუძეები ქართული ენის დიალექტებში მრავლად გვხვდება და მათ უმეტეს ნაწილს ზანურსა და სვანურში შესატყვისები მოეპოვება, რის მიხედვითაც შესაძლებელია არქიტვიპებისწ ადღეენა საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე.

ყოველივე ეს ქართველურ ენათა და დიალექტთა ისტორიის არაერთი კარდინალური საკითხის გასარკვევად ქართული დიალექტური ლექსიკის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე მეტყველებს.

სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს წარმოვადგენთ:
ქართ. **ზეზ-ე-ა** „ძლიერად ცემა...“ (ღიალ. იმერ.)

სვან. ლგ-ჟჟ-გნ-ე, „1. დასივებული; 2. დაბეჟილი, დაჟეჟილი“, ლგ-ჟჟ-გნ-ილ, ლგ-ჟჟ-გნ-ოლ (კნინ.)“ (სვან. ლექსიკონი).

აქ წარმოდგენილ ქართულ-სვანურ შესატყვისობას ამყარებს ჰ. ფენრიხის მიერ გამოვლენილი ზანური (მეგრული) **ჟაჟ-უ-ა** ფუძე („ცემა“), რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ქართულ **ზეზ-ე-ა** და სვანური **ლგ-ჟჟ-გნ-ე** (< *ლგ-ჟჟ-გნ-ე) ფუძეებისა.

ქართველური ფუძეების დონეზე შესაძლებელია ***ზეზ-** ძირის რეკონსტრუქცია.

ქართ. მ-წარ-ე, გა-მ-წარ-ებ-ა;

ზან. (ჭან.) მ-წორ-უმ „ვიტანჯები“;

მ-წორ-უმ-ტი „ვიტანჯებოდი“.

ქართულ-ზანური წარ-: წორ- კანონზომიერი ბგერათფარდობის მაგალითია, რაც ორსავე შემთხვევაში სისინა შესატყვისობას ასახავს. ამასთანავე, ვფიქრობთ, გასაზიარებელია ვ. ბერიძის მიერ გამოვლენილი შიშინა შესატყვისები ზანურში: გითო-ჭორ-აფ-ა „სიმწარის მოშორება“ (მეგრ.), გე-ნჭორ-უ „თევზისგან მარილის მოშორება“ (ჭან.), რის მიხედვითაც, როგორც ჩანს, ზანურში გვაქვს დუბლეტური (სისინა და შიშინა) წორ- და ჭორ- ძირები. ეს შემთხვევაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი სისინ-შიშინა, შუა რიგის სიბილანტთა რეკონსტრუქცია საეჭვოა, ვინაიდან ქართულ წორ- და ზანურ წორ- / ჭორ- ფუძეთა შორის ბგერათშესატყვისობა ფუძე-ენაში მხოლოდ სისინა (წინა რიგის) წ- სიბილანტის შემცველი ძირის (*წარ-) რეკონსტრუქციას გულისხმობს.

§3. თანხმოვანთა გადაწევის საერთო წესი ქართველურ ენებსა და დიალექტებში

ქართველურ ენებსა და დიალექტებში, როგორც ჩანს, ისტორიულად მოქმედებდა თანხმოვანთა საწარმოთქმო ადგილის-არტიკულაციური ბაზისის – გადაწევის საერთო წესი. ეს წესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიბილანტურ ფონემათა შესატყვისობის მიხედვით, რომლებიც, როგორც სამართლიანად ითქვა, „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი).

ამ წესის შესაბამისად ქართულ ენასა და დიალექტებშიც, ზანურ-სვანურის მსგავსად, მომხდარა არტიკულაციური ბაზისის უკან გადაწევა: სისინა-სიბილანტი > შიშინა სიბილანტი (წინა რიგი > უკანა რიგი).

ქართულ ენასა და დიალექტებშიც დასტურდება ათეულობით დუბლეტური ფუძე, სადაც ქართველური ფუძე-ენის სისინა (წინა რიგის) სუბილანტების (ზ ს ძ ც წ) ეკვივალენტებად გვაქვს როგორც იდენტური სისინა (წინა რიგის: ზ ს ძ ც წ), ისე შიშინა (უკანა რიგის: უ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. მაგ.: ბრწყინვა – ბრჭყენვა „მცირე ბრწყინვალება“ (საბა), დაწნეხა (სამწ. ქართ.) – დაჭნეხა (გურ., აჭარ.), ხეპვა (სამწ. ქართ.) – უეპა (სამწ. ქართ., ქართლ., რაჭ.), ფარცხვა (სამწ. ქართ.) – ფარჩხვა (ლენხ.), ფრცხილი (სამწ. ქართ.) – ფრჩხილი (სამწ. ქართ.), ძა? ველი, ძახველი, ძახველა (მთიულ., ხევს., რაჭ.) – ჯახველა (ქართლ., მესხ., ლენხ., იმერ.), ძმერხლი (გურ.) – ჯმერხლი (იმერ.), ძონძი (სამწ. ქართ.) – ჯონჯი (მთიულ.), წნეხა, წნეხვა (სამწ. ქართ., გურ., იმერ.), - ჭნეხა (გურ.), ჭნეხა (იმერ.), დაჭნეხა (გურ., აჭარ.), დაწუხვა „დახუჭვა“ (საბა) – დაჭუხვა „თვალთ დახუჭვა, დაწუხვა“, დახუწვა „თვალთ მოკრება, დაჭუხვა“ (საბა) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ქართულ ენასა და დიალექტებშიც წინა რიგის სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის სიბილანტები, ე.ი. ზანურსა და სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად ქართული ენისა და დიალექტებისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა: ფუძე-ენის წინა რიგის (სისინა) სიბილანტებმა მოგვცეს არა მხოლოდ წინა რიგის (სისინა > სისინა), არამედ უკანა რიგის (სისინა > შიშინა) სიბილანტები. არ განხორციელდა საპირისპირო პროცესი, რომელიც, ქართველოლოგიაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვების შემთხვევაში, ე.ი. ქართველური ფუძე-ენის შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტები ქართულ ენასა და დიალექტებშიც, ზანურ-სვანურის მსგავსად, თუმცა არამასშტაბურად, შიშინა

სიბილანტებმა განივითარეს უკანა წარმოების ფონემები (მჭკნარი > მჭკნარი, ბრჭყალი > ბრჭყალი, შერა > უღერა...). საწარმოთქმო ადგილის უკანა მიმართულებით გადაწევის საკომპენსაციოდ.

ქართულ ენასა და დიალექტებშიც შემონახული საერთოქართველური ფუძეები, სადაც, ზანურ-სვანური ფუძეების მსგავსად, წინა რიგის სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის სიბილანტები, ერთგვარად ქმნის საფუძველს ქართველური ენებისა და დიალექტების უფრო მეტი სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისათვის.

§4. სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი საერთოქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის სრულფასოვანი კვლევა მოითხოვს ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში (resp. ცალკეულ ძირში, მორფემაში) ფონემათა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების დადგენას, რაც გულისხმობს ფონოტაქტიკის ამა თუ იმ წესის დაშვებასა და გამოვლენას. ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების დადგენა სიბილანტურ ფონემებს შორის.

საერთოქართველურ ფუძეებს შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მიხედვით ირკვევა, რომ საერთოქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის გარკვეული წესი მოქმედებდა. კერძოდ, ცალკეულ ძირში თუ ძირისეულ მორფემაში დაუშვებელი იყო სხვადასხვა ლოკალური რიგის ორი ან ორზე მეტი სიბილანტური ფონემა – სპირანტი ან აფრიკატი. როგორც ჩანს, სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის ეს წესი ცალკეულ მორფემებში ექვემდებარებოდა გარკვეულ შეზღუდვებს, რის მიხედვითაც დაუშვებელი იყო წინა რიგის (სისინა) **ზ ს ძ ც წ** სიბილანტურ ფონემათაგან ნებისმიერის შემცველ ძირში უკანა რიგის (შიშინა) **ჟ შ ჯ ჩ ჭ** ფონემათაგან ნებისმიერის არსებობა, მაგრამ ბუნებრივი იყო რომელიმე ცალკეული რიგის სიბილანტთა ცალკეულ ძირში თანაარსებობა.

საერთო ქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის ეს წესი უგამონაკლისოა და დარღვევის არც ერთ მაგალითს არ იცნობს.

საერთოქართველურ ფუძე-ენაში სიბილანტურ თანხმოვანთა განაწილების ასეთი წესის არსებობის შესახებ პირველად მიუთითა გ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 1965, 80), მაგრამ მის მიერვე აღდგენილ ყველა არქტიპში ის არაა გათვალისწინებული, ვინაიდან ამ არქტიპებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია დაშვებული (მაგ.: *ზაშუ (resp.*ზაშუ-) „შაში“, *ზეშა (resp.*ზეშა-) „შეშა“ და სხვა.), რომ არაფერი ვთქვათ ე.წ. შუასიბილანტური რიგის შესახებ, რომლის არსებობა ფუძე-ენაში დაუშვა ცნობილმა მეცნიერმა (რაც შემდგომ გაიზიარა ქართველოლოგთა დიდმა ნაწილმა), მაგრამ ქართველურ ენებსა და დიალექტებში დღესაც ცოცხალი ათეულობით დუბლეტური (წინა და უკანა რიგის – და არა შუა რიგის – სიბილანტთა მონაცვლე) ფუძეების ბგერათშესატყვისობის საფუძველზე ფუძე-ენაში შუა რიგის სიბილანტთა

რეკონსტრუქცია მართებული არაა. მაგ: ქართული **ძა?ველ** : სვანური **ჟა?უ-ერ** („არყის ხე“) შესატყვისობის მიხედვით ფუძე ენაში აღადგენენ შუა რიგის ძ სიბილანტის შემცველ ძირს - ***ძახუ** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 623), რაც დაუშვებელია ვინაიდან ქართულ ენასა და დიალექტებში დასტურდება დუბლეტური ფუძეც **ჯახველი/ჯახველა** (ქართლ., მესხ., რაჭ., ლეჩხ., იმერ.). ეს შიშინა (უკანა რიგის) სიბილანტიანი ფუძე – **ჯახვ-ელ** – სისინა (წინა რიგის) სიბილანტიან ძახვ-ელ- ფუძეს ენაცვლება, რაც ქართულში მოსალოდნელი არ იყო ფუძე-ენაში სისინ-შიშინა (შუა რიგის) სიბილანტთა დაშვების შემთხვევაში, ვინაიდან ფუძე-ენის სისინ-შიშინა ძ სიბილანტი ქართულ ენასა და დიალექტებში ზანურ-სვანურის მსგავსად ვერ მოგვცემდა შიშინა ჯ სიბილანტს, არადა როგორც სამწერლობო ქართულში, ისე მის დიალექტებში მრავლად გვხვდება ასეთი დუბლეტური (ფრცხილი > ფრჩხილი, კვნიწი > კვნიჭი, ძმერხლი > ჯმერხლი, ხიწვი > ხიჭვი, წნება > ჭნება, ზრზოლა > ჟრჟოლა...) ფუძეები.

ქართულ ენასა და დიალექტებში დუბლეტურ ფუძეთა არსებობა ცოცხალი არგუმენტია ქართველურ ფუძე-ენაში შუა რიგის სიბილანტთა რეკონსტრუქციის საწინააღმდეგოდ.

ამდენად სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის აღნიშნული წესი სრულფასოვნად მოქმედებდა ქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში. ამასთანავე გარკვეული შეზღუდვები არსებობდა ერთი და იმავე ლოკალური რიგის სიბილანტთა განაწილებაშიც, კერძოდ: 1. დაუშვებელი იყო ცალკეულ ძირში ცალკეული რიგის სიბილანტთა ასეთი თანმიმდევრობა – ჯერ ყრუ ფშვინვიერი ან მკვეთრი და შემდეგ – მჟღერი (მაგ., დაუშვებელი იყო წ-ძ, მაგრამ დასაშვები იყო ძ-წ (*ძეწნ - „ძეწნა“) თანმიმდევრობა, ასევე, ჭ-ჯ, მაგრამ ჯ-ჭ (*ჯაჭუ „ჯაჭვი“) და ა.შ. 2. დასაშვები იყო თანმიმდევრობა: მჟღერი სიბილანტი – მჟღერი სიბილანტი (ერთი და იმავე სერიის და ლოკალური რიგისა: **ზ-ზ, ძ-ძ, ჟ-ჟ, ჯ-ჯ**).

სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის აღნიშნული წესის მოქმედება ძირითადად იგულისხმება ქართველური ფუძე-ენის იმ ქრონოლოგიურ დონეზე, რომლის შემდგომ ეტაპზეც მოხდა ფუძე-ენის დიფერენციაცია. ადრინდელი ქართველური ფუძე-ენის ვითარების რეკონსტრუქცია კი ბევრად უფრო რთულია და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც, ვინაიდან არ მოგვეპოვება სათანადო მასალა ადრინდელ საერთოქართველურში სიბილანტურ ფონემათა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების საკვალიფიკაციოდ, თუმცა ჰიპოთეტურად ამ წესს აღნიშნულ დონეზეც უნდა ემოქმედა (შდრ.: ფენრიხი 1978, 112).

ზემოთქმულის შესაბამისად, ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებული ის არქეტიპები, რომლებშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტური ფონემებია დაშვებული, ვფიქრობთ გადასინჯვას მოითხოვს.

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე საერთო-ქართველურ ფუძეს, რომელთა შორის ბგერათშესატყვისობა ქართველოლოგიაში სადავო არ არის, მაგრამ არქეტიპებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქცია, ჩვენი აზრით, მართებული არაა:

ქართული შაშუ-ი, შაშე-ი: ზანური ზესქე-ი (მეგრ.), ზესქუ/ზესკუ/მზესქუ (ჭან.) შესატყვისობის საფუძველზე ფუძე-ენაში დაშვებულია არქეტიპები: *საშუ (კლიმოვი 1964), *ზაშუ (resp. *ზაშუ) (მაჭავარიანი 1965), *ზაჟუ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965) *ჟაშუ (გულაგა 1964). ამ არქეტიპებში (*ჟაშუ ძირის გარდა) სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია (ს-შ, ზ-შ, ზ-შ, ზ-ჟ) პოსტულირებული და, ამდენად, ჩვენი აზრით, უმართებულოა. *ჟაშუ (სადაც ერთი საერთო ლოკალური რიგის ჟ-შ ფონემებია) და *სა-შ-ე- (ჩიქობავა 1938) არქეტიპი, სადაც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია (ს-შ), მაგრამ ფუძის, და არა – საერთო ძირის, კუთვნილებაა, არ ეწინააღმდეგება სიბილანტურ თანხმოვანთა შეთავსებადობის აღნიშნულ წესს.

ქართ. სიძე: ზან. სინჯა / სინდა (მეგრ.), სიჯა (ჭან.): სვან. ჩიჟე შესატყვისობის მიხედვით ქართველურ ფუძე-ენაში აღდგენილია არქეტიპები: *სიძე (კლიმოვი 1964), *სიძე (კლიმოვი 1998), *სიძე (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965), *სიძე (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). ამ არქეტიპებშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია წარმოდგენილი (ს-ძ) ან ერთი რიგისა (ს-ძ), მაგრამ ეს რიგი (შუასიბილანტური) არც არის ფუძე-ენაში სავარაუდებელი. ამდენად, არქეტიპად სხვა შდგენილობის ძირი (ან, შესაძლოა, ფუძე, როგორც ამას არნ. ჩიქობავა ვარაუდობდა) უნდა ვიგულისხმობთ, კერძოდ, ერთი ლოკალური რიგის (წინასიბილანტური) ს-ძ სპირანტ-აფრიკატის შემცველი *სიძე.

ქართ. ძეწნ-ი/ძეწნ-ა: ზან. ზიჭონ-ი შესატყვისობით ფუძე-ენაში აღდგენილია არქეტიპები: *ძეწნ- (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; კლიმოვი 1964), *ძეწნ- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; კლიმოვი 1998). ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებია წარმოდგენილი (ძ-წ). ვფიქრობთ, ქართულ-ზანურ ფუძეებს დაუკავშირდება სვანური ჭგჭგნ-დ /ჩგჭგნ-დ/ ჩიჭინ-დ „ძეწნა“ და არქეტიპად ფუძე-ენაში აღდგება ერთი ლოკალური რიგის (ძ-წ) აფრიკატების შემცველი *ძეწნ-.

საერთოქართველურ ფუძე-ენაში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა შეთავსებადობის აღნიშნული წესი სისტემატური ხასიათისაა და ფონოტაქტიკის მკაცრ მოთხოვნებს ასახავს. ამ წესის მართებულობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ვითარებაც, რომელიც ცალკეული ლოკალური რიგის სიბილანტთა შეთავსებადობის თვალსაზრისით უნდა არსებულებო, კერძოდ: რომელიმე ცალკეული საერთო ლოკალური რიგის (წინა სისინა) ან უკანა (შიშინა) რიგისა) სიბილანტთა ცალკეულ ძირში მოქმედი შეზღუდვები (იხ. ზემოთ), რაც ერთგვარად მოსალოდნელი არ იყო, ამყარებს სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობაში მოქმედ შეზღუდვებს, რაც უფრო მოსალოდნელი იყო.

ამდენად, ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი ყველა ის არქეტიპი, რომლებშიც სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტური ფონემებია პოსტულირებული, ამ ფონემათა შეთავსებადობის ზემოაღნიშნული წესის მიღების შემთხვევაში, გადასინჯვასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამის გათვალისწინებით ფუძე-ენის დონეზე აღდგენილ ცალკეულ არქეტიპში მხოლოდ ცალკეული ლოკალური რიგის (და არა – სხვადასხვა ლოკალური რიგისა) სიბილანტური ფონემების რეკონსტრუქციაა მართებული.

**§5. სიბილანტოა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი
ქართველურ ენებში**

ქართველოლოგიაში გაგრძელებული ერთ-ერთი თვალსაზრისის შესაბამისად, საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში უნდა არსებულიყო სიბილანტების (სპირატ-აფრიკატების) სამი რიგი:

წინა რიგი (სისინა): **ზ ს ძ ც წ**;

შუა რიგი (სისინ-შიშინა): **ზ' ს' ძ' ც' წ'**

უკანა რიგი (შიშინა): **ჟ შ ჯ ჩ ჭ**.

აქედან წარმოდგა ქართველურ ენებში სიბილანტოა შესატყვისობის ცნობილი წესი:

საერთო ქართველური – სისინა : ქართული – სისინა : ზანური – სისინა : სვანური – სისინა;

ს. ქართვ. – სისინ-შიშინა : ქართ. – სისინა : ზან. – შიშინა : სვან. – შიშინა;

საქართვ. – შიშინა : ქართ. – შიშინა : ზან. – შიშინა + ველარი ტიპის კომპლექსი : სვან. – შიშინა + ველარი ტიპის კომპლექსი.

სიბილანტოა შესატყვისობაში არსებული დარღვევები მიჩნეულია, როგორც შედეგი ფონეტიკური ცვლილებებისა – ძირითადად პოზიციურ – კომბინაციური ხასიათისა.

ამჯერად, ჩვენ განვიხილავთ წინა რიგის (**ზ ს ძ ც წ**) და შუა რიგის (**ზ' ს' ძ' ც' წ'**) სიბილანტოა ურთიერთმიმართების საკითხებს: არსებობდა კი შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტები საერთო ქართველურ ფუძე-ენაში?

ამის შესახებ ადრე საფუძვლიანი არგუმენტაცია წარმოადგინა გიორგი როგავამ (გ. როგავა, ბგერათშ სატყვისობათა დარღვევის შემთხვევებისათვის ქართველურ ენებში, იკვ, ტ. XII, 1960), სადაც მან გამორიცხა ქართველურ ფუძე-ენაში სისინ-შიშინა სიბილანტოა არსებობა.

თეორია სისინა სიბილანტების ამოსავლად ქართველურ ფუძე-ენაში ორი რიგის (სხვადასხვა ბუნების) ფონემათა არსებობის შესახებ, რომელიც პირველად ვ. პოლაკმა წამოაყენა (V. Polak, 1955), კვლავაც ეჭვს იწვევს.

თუ უარყოფთ ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტოა არსებობას, მაშინ სვანური და ზანური შიშინა სიბილანტები საერთო-ქართველური და ქართული სისინა სიბილანტების ეკვივალენტად მიკიხნევა (შდრ. K.H. Schmidt, 1962; Я Тестелец, 1995; ი. მედიქიშვილი, 2001. – ამ ავტორთა

მოსაზრებით, საერთო ქართველურში სისინ-შიშინა სიბილანტების ნაცვლად შუა რიგში შიშინა სიბილანტები იყო წარმოდგენილი, ხოლო უკანა რიგის-შიშინათა ნაცვლად – შიშინა სიბილანტების შემცველი თანხმოვანთ კომპლექსები).

რას უნდა გამოეწვია ქართველურ ენების შესატყვის ფუძეებში იდენტური სიბილანტების (ზ ს ძ ც წ) არსებობა?

ფიქრობთ ამ მოვლენას საფუძვლად უდევს არაერთი მიზეზი (მიზეზხთა კომპლექსი). შესაძლებლად გვესახება, ქართველოლოგიაში ამ მიმართებით გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით სხვაგვარი ინტერპრეტაციის მცდელობაც. საერთო ქართველური ენის ფუძე-ძირთა აგებულებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების რაგვარობის პრინციპს (წარმოთქმის ადგილის მიხედვით). კერძოდ, გამოიკვეთა ერთი კანონზომიერება: არც ერთი დამაჯერებლად რეკონსტრუირებული ქართველური პრაფორმა (საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი არქეტიპი) არ შეიცავს შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთან ერთად წინა რიგის (სისინა) ან უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტს, თუმცა შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა საერთო-ქართველურში არსებობის შემთხვევაში ეს საკვებით მოსალოდნელი იყო. აქედან გამომდინარე, ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა არსებობა ნაკლებად სავარაუდოა არა მხოლოდ საერთო-ქართველურში, არამედ ცალკეულ ქართველურ ენაში რეკონსტრუირებულ პრაფორმატა რეიტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა:

ქართ. წუერ-ი: ზან. (მეგრ.). წვანჯ-ი/წვანდ-ი: სვან. უერ ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ასეთი გადასვლები: წვანდ- <წვანჯ- <*ჰანჯ- <*ჰანჯ სპირანტიზაციისა და დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. ასევე: უერ- <*ჰერ- <*ჰერ (სვან.).

ქართ. სიძე: ზან. (მეგრ.) სინჯა/სინდა: ზან. (ჭან.) სიჯა: სვან. ჩიჟე შესატყვისობის მიხედვითაც ზანურში ამოსავლად წინა რიგის (სისინა) ს სპირანტიანი ფუძე ვერ მიიხნევა, ვინაიდან იმავე ფუძეში უკანა რიგის (შიშინა) ჯ სიბილანტი გვხვდება. ამდენად: სინდა < სინჯა <*შინჯა <*შიჯა, ასევე სპირანტიზაციისა და დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. ამას აშკარად უჭერს მხარს სვანური ჩიჟე, რომელშიც ორივე სიბილანტი შიშინაა, ე.ი. ერთი რიგისაა და არა სხვადასხვა რიგისა, რაგვარობისა (საარტიკულაციო ადგილის მიხედვით).

აღდგენილ პრაფორმებში სხვადასხვა რიგის სიბილანტთა ერთად არარსებობის ეს წესი არაერთი არქეტიპის ახლებური რეკონსტრუქციის

საფუძველს ქმნის (ს. –ქართვ. *ცოარ-: ქართ. ცუქრ-: ზან. ცუნჯ- <*ჩუნჯ-; ს.-ქართვ. *ძეწნ-: ქართ. ძეწნ-: ზან. ზიჭონ - <*ძიჭონ- <*ჯიჭონ- და სხვ.). ახლებურ ინტერპრეტაციას მოითხოვს ისევე საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი ის არქეტიპები (*ძარც, O- *ძეშა, *ძერც, ხ-, *ზაშO-), სადაც თითოეული ფუძისათვის სხვადასხვა რიგის (რაგვარობის) სიბილანტების რეკონსტრუირებული, რაც არღვევს ერთ პტაფორმაში სიბილანთა თანაარსებობის ზემოხსენებულ წესს. ამ წესის სასარგებლოდ მეტყველებს ქართველოლოგიაში რეკონსტრუირებულ პრაფორმათა სიხშირეული მიმართებაც: თუ სხვადასხვა რიგის სიბილანტები სულ ხუთიოდე არქეტიპშია წარმოდგენილი, ერთი რიგის სიბილანტთა შემცველი არქეტიპების რაოდენობა ხუთ ათეულს სცილდება (იხ. არქეტიპთა საძიებელი, წიგნში კ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000).

ამდენად სიბილანტთა რაგვარობის პრინციპი გატარებულია როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე, ისე – ქართველური ენების ძირეულ მორფემებში, რაც ასეთ ფორმებში ბგერატშესატყვისობის დარღვევის მიზეზად პოზიციურ-კომბინაციური ხასიათის ფონეტიკურ ცვლილებებს წარმოგვიდგენს.

ქართველოლოგიაში გავრცელებული თეორია საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში სამი რიგის (სისინა, სისინ-შიშინა და შიშინა) სიბილანტების (სპირანტ-აფრიკატების) არსებობის შესახებ, ვფიქრობთ, გადასინჯვას მოითხოვს.

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: არც ერთი დამაჯერებლად რეკონსტრუირებული პრაფორმა (საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი არქეტიპი) არ შეიცავს შუა რიგის (სისინ-შიშინა: ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთან ერთად წინა რიგის (სისინა: ზ ს ძ ც წ) ან უკანა რიგის (შიშინა: ქ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტს, ისევე, როგორც ცალკეულ არქეტიპში დაუშვებელია წინა რიგის (სისინა) და უკანა რიგის (შიშინა) სიბილანთთა თანაარსებობა.

ამ წესს საფუძვლად უნდა დასდებოდა ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების რაგვარობის პრინციპი (წარმოთქმის ადგილის მიხედვით). ეს პრინციპი გატარებულია როგორც საერთო ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემებში, ისე ცალკეული ქართველური ენის დონეზე აღდგენილ არქეტიპებშიც, რის მიხედვითაც ქართველური ფუძე-ენისა და ქართულის სისინა სიბილანტთა ეკვივალენტებად ზანურ და სვანურ უმეტესობაში წარმოდგენილია ან აღდგება შიშინა სიბილანტები.

მეორე პრინციპი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ დიალექტური პოზიციის პრინციპი (ქართველურ დიალექტთა გავრცელების

ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით), ვფიქრობთ უნდა ყოფილიყო მიზეზი შიშინა ჯგუფის (ზანური, სვანური) ქართველურ ენებში წარმოდგენილი სისინა სიბილანტების შემცველი ყველა იმ საერთო-ქართველური ძირის (resp. ფუძის მორფემის) არსებობისა, რომლის ნასესხობა ან ფონეტიკურ ნიადაგზე გამოწვეული ცვლილება (გასისინება) გამოირიცხება.

ეს პრინციპი გულისხმობს როგორც ზანურში, ისე სვანურში სხვადასხვა დიალექტთა (თქმათა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ამ ენებში საერთო-ქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას. ქართულის (სისინა ჯგუფის) დიალექტებში ეს წესი არ გატარებულა (თუმცა, მისი ჩანასახი, როგორც ჩანს, იყო), ვინაიდან ქართულმა ძირითადად უცვლელად შემოინახა ქართველური ფუძე-ენის ის სისინა სიბილანტები, რომელთა ეკვივალენტებად ზანურსა და სვანურში შიშინა სიბილანტები გვაქვს.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციის პირველ საფეხურზე **ზ ს ძ ც წ** სიბილანტები უცვლელადაა წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე იმ ზანურ და სვანურ დიალექტებში, რომლებიც არ ემეზობლებიან ქართულის დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, ხოლო ქართულთან მომიჯნავე დიალექტებში ისევ სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ხდება ქართველური დიალექტების ენებად გარდაქმნა: ქართულ დიალექტებში სისინა სიბილანტები კვლავაც უცვლელადაა წარმოდგენილი, ხოლო ზანურისა და სვანურის მომიჯნავე დიალექტებშიც ჩნდება შიშინა ეკვივალენტები.

დროთა განმავლობაში ზანურსა და სვანურში ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალმორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი – ასეთ ფუძეებში სისინა სიბილანტთა გაშიშინებით ან სემანტიკური გადაწვევის წყალობით (ძირითადად) შენარჩუნებული პირვანდელი ფონემური (სისინა) სახით:

ქ შ ჯ ჩ ჭ ? ზ ს ძ ც წ

*ზ *ს ? ქართული

*ძ *ც *წ ზ ს ძ ც წ

ზვანური

ქ შ ჯ ჩ ჭ ? ზ ს ძ ც წ

სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ძირი (ძ-) და მისგან ნაწარმოები ფუძეები (ძ-ევ-ს; მ-ძ-ევ-ალ-ი, ძ-ებ-ა; გან-ძ-ებ-ა...), რომლებიც აშკარად მიუთითებენ ქართველურ ფუძე-ენაში არა სხვადასხვა ბუნების (სისინა და სისინ-შიშინა: ძ და ძ') ფონემათა, არამედ ოდენ სისინა ძ ფონემის არსებობაზე.

ერთი მხრივ, საერთო-ქართველური *ძ- (სისინა) სიბილანტის უდავო ეკვივალენტებია ქართულ-ზვანურ-სვანური იდენტური (სისინა) ძ- სიბილანტი.

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ-გ/ძ-უ (მეგრ.), ძ-უნ, მოგო-ზ-უნ (ჭან.): სვან. ზ-გ/ზ-ი (ზ<ძ). მეორე მხრივ, საერთო-ქართველური *ძ- (ასევე სისინა და არა – სისინ-შიშინა) სიბილანტის ასევე უდავო ეკვივალენტები ჩანს ქართული ძ- (სისინა) და ზვანურ-სვანური ჯ- (შიშინა) სიბილანტები:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ჯ-ან-გ/ჯ-ან-უ „წევს“ (ეტიმოლოგიურად: „ძევს“). ამავე ძ-ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებშიც სისინათა შესატყვისად ზვანურში შიშინა სიბილანტი დაჩნდება:

ქართ. მ-ძ-ევ-ალ-ი (<ძ-ევ-ს): ზან. ჯ-ალ-ი „id“;

ქართ. გან-ძ-ებ-ა, გან-ა-ძ-ო: ზან. გონ-ჯ-ამ-ა „გახსნა; გაღება“..., გან-ჯ-გ, გან-ჯ-უ „გახსნა; გააღო“... (ეტიმოლოგიურად: ერთმანეთისაგან „განაგრძო“).

ქართულში ძ-ევ-ს/ძ-ებ-ა-ს პარალელურად გვაქვს დ-ევ-ს/დ-ებ-ა და მათთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჯ-ედ/ჯ-დ-ომ-ა, სადაც შიშინა ჯ. სიბილანტია წარმოდგენილი დ-/ძ-/ჯ. ბგერათმონაცვლეობის მიზეზი მათი სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობაა, რომელსაც ადრინდელ ქართველურ-ფუძე-ენაში ერთი ფონემა ჰქონდა ამოსავლად.

ეს მაგალითები ცხადყოფენ როგორც შიშინა ჯგუფის (ქართულ) ენა დიალექტებში წარმოდგენილ საერთო-ქართველურ ფუძეებში შიშინა სიბილანტების პარალელურად სისინათა არსებობას. ქართულის (და არა მარტო ქართულის) სხვა მაგალითებშიც ეს ვითარება Vანს ამოსავალი: ხვეტა/ხვეწა/ხვეჭა, ტილი/წილი/ჭილი, თიკანი/ციკანი, ფრცხილი/ფრჩხილი,

და?სობა/დახშობა, ბრწკალი/ბრჭყალი, ხიწვი/ხიჭვი, პატარა/პაწია/პაჭუა და სხვა ფუძეთა მონაცვლეობის მთავარი მიზეზი დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ და არა მათ სიმბოლურ (ექსპრესიულ) ხასიათში.

საერთო ქართველურ ლექსიკაში მოიპოვება არაერთი ფუძე, რომელიც ქართული წინა რიგის (სისინა) და ზანურ-სვანური როგორც წინა რიგის (სისინა), ისე უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა შესატყვისობაში დიალექტური პოზიციის პრინციპს არ გამორიცხავს.

§6. ქართველური ფუძე-ენის სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი

ქართველოლოგიაში გავრცელებული თეორიის მიხედვით საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში უნდა არსებულებო სიბილანტურ ფონემათა (სპირანტთა და აფრიკატთა) სამი რიგი:

1. წინა რიგი: სისინა (ზ, ს, ძ, ც, წ) სიბილანტები;
2. შუა რიგი: სისინ-შიშინა (ზ', ს' ძ' ც' წ') სიბილანტები;
3. უკანა რიგი: შიშინა (ჟ, შ, ჯ, ჭ) სიბილანტები;

აქედან წარმოდგა ქართველურ ენებში სიბილანტთა შესატყვისობის ცნობილი წესი:

1. საერთო ქართველური – სისინა: ქართული – სისინა: ზანური – სისინა: სვანური სისინა;

2. საერთო-ქართველური სისინ-შიშინა: ქართული – სისინა: ზანური – შიშინა: სვანური – შიშინა;

3. საერთო-ქართველური – შიშინა: ქართული – შიშინა + ველარი ტიპის თანხმოვანთკომპლექსი: სვანური – შიშინა + ველარი ტიპის თანხმოვანთა კომპლექსი (Мачавариანი, 1960; მაჭავარიანი, 1965).

ქართველურ ენათა სისინა და ზანურ-სვანურ შიშინა სიბილანტთა ამოსავლად ფუძე-ენაში სხვადასხვა რიგის (სხვადასხვა ბუნების) ფონემათა არსებობაზე მიუთითებდა ვ. პოლაკი (Polak, 1955). ასევე სიბილანტთა შესატყვისობის მეორე რიგისათვის ამოსვლად სისინ-შიშინა სიბილანტთა ნაცვლად შიშინა ფონემები ივარაუდეს კ. შმიდტმა (Schmidt 1961; 1962), გ.წერეთელმა (წერეთელი, 1965), ი. მელიქიშვილმა (მელიქიშვილი, 1980, 2001).

სიბილანტთა სამი რიგის თეორიის შექმნამდე ქართველოლოგიაში ტრადიციული იყო მოსაზრება ფუძე-ენაში ორი რიგის სისინა და შიშინა – სიბილანტთა არსებობის შესახებ (Чикобава, 1948; როგავა, 1960).

კვლავაც დაისმის კითხვა: რას უნდა გამოეწვია ქართველური ენების შესატყვის ფუძეებში ქართული სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურ-სვანური როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტების არსებობა?

ვფიქრობთ, ამ მოვლენას საფუძვლად უდევს არაერთი მიზეზი, შედიძლება ითქვას, მიზეზთა კომპლექსი. შესაძლებლად გვესახება ქართველოლოგიაში ამ მიმართებით გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით სხვაგვარი ინტერპრეტაციის მცდელობაც.

სიბილანტთა შესატყვისობაში გამოვლენილი ზოგიერთი წესის მიხედვით, ვფიქრობთ, ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი რიგის (შუა რიგის – სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვების საჭიროება არ ჩანს.

ამას გვაგვარაუდებინებს რამდენიმე მიზეზი. მათ შორის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია: ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების შეთავსებადობის პრინციპი და დიალექტური პოზიციის პრინციპი.

ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების შეთავსებადობის პრინციპი გატარებულია როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირეულ მორფემებში, ისე ცალკეული ქართველური ენის დონეზე აღდგენილ არქტიპებშიც. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს ერთი კანონზომიერება: არც ერთი დამაჯერებლად რეკონსტრუირებული პრაფორმა (საერთო-ქართული ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი არქტიპი) არ შეიცავს შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა ერთად წინა რიგის (შიშინა) სიბილანტს, ისევე როგორც ცალკეულ არქტიპში დაუშვებელია წინა რიგის (სისინა) და უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა თანაარსებობა. ცალკეულ არქტიპში სხვადასხვა რიგის სიბილანტთა დაუშვებლობაზე მიუთითებენ გ. მაჭავარიანი, 1965) და ჰ. ფენრიხი (ფენრიხი, 1978). ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა არსებობის შემთხვევაში კი ასეთ სიბილანტთა სიახლოვის (შეთავსებადობის) გამო როგორც წინა რიგის (სისინა), ისე – უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტებთან (წარმოითქმის ადგილის მიხედვით, სავსებით დასაშვები იყო ცალკეულ არქტიპში სისინ-შიშინა სიბილანტის როგორც სისინა, მისე შიშინა სიბილანტთან თანაარსებობა, თუმცა, დაუშვებელია სისინა სიბილანტის შიშინასთან თანაარსებობა.

ეს ვითარება არა მხოლოდ ქართველურ ფუძე-ენაში, არამედ ცალკეულ ქართველურ ენაში რეკონსტრუირებულ პრაფორმათა რეინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა.

ქართული წურ-ი („წვერი“): ზანური წვანჯ-ი/წვანდ-ი: სვანური უერ ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ასეთი პროცესები: წვანდ - <წვანჯ- <*ჭვანჯ- <*ჭუაჯ- <ჭუარ- (ზანურში) და უერ- <*ჭურ- <*ჭურ- (სვანურში) დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. ე. ი. ქართველურ

ფუძე-ენასა და ქართულში აღდგება სისინა (წ) სიბილანტიანი ფუძე, ხოლო ზანურსა და სვანურში მისი შიშინა (ჭ) შესატყვისის შემცველი ფუძე.

ქართული სიძე: ზანური სინჯა/სინდა (მეგრ.), სიჯა (ჭან.) სვანური ჩიჟე შესატყვისობის მიხედვითაც ზანურში ამოსავლად წინა რიგის (სისინა) ს სპირანტიანი ფუძე ვერ მიიხნევა, ვინაიდან იმავე ფუძეში უკანა რიგის (შიშინა) ჯ სიბილანტი გვხვდება. ამდენად: სინდა<სინჯა<*შინჯა<*შიჯა, ასევე დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად. ამას აშკარად უჭერს მხარს სვანური ფუძე – ჩიჟე, რომელშიც ორივე სიბილანტი შიშინაა, ე.ი. ერთი რიგისაა (ჩიჟე < *შიჯე) და არ არღვევს სიბილანტთა შეთავსებადობის წესს. აღდგენილ პრაფორმებში ერთი რიგის სიბილანტთა თანაარსებობის ეს წესი არაერთი არქტიპის ახლებური რეკონსტრუქციის საფუძველს ქმნის: საერთო ქართველური *ცუარ: ქართ. ცუარ- ზან: ცუნჯ- <*ჩუნჯ- <*ჩუჯ- <*ჩუოჯ- <*ჩუორ-; საერთო-ქართველური *ძეწნ-: ქართ. ძეწნ-: ზან. ზიჭონ- <*ძიჭონ- <*ჯიჭონ- და სხვ.

სხვაგვარ ინტერპრეტაციას მოითხოვს ასევე საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი ის არქტიპები (*ძარც'უ- „ძარცვა“, *ძეშა „შეშა“, *ძერც'ხ- „ცეცხლი“, *ზაშუ- „შაშვი“), სადაც თითოეული ფუძისტივის სხვადასხვა რიგის სიბილანტებია რეკონსტრუირებული, რაც არღვევს ცალკეულ არქტიპებში სიბილანტთა შეთავსებადობის ზემოხსენებულ პრინციპს. ამ პრინციპის სასარგებლოდ მეტყველებს ქართველოლოგიაში რეკონსტრუირებულ პრაფორმატა სისშირულ-რაოდენობრივი მიმართებაც: თუ სხვადასხვა რიგის სიბილანტები სულ ხუთიოდე არქტიპშია წარმოდგენილი (რომელიც არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მოეპოვება ალტერნაციული დაკავშირებები), ერთი რიგის (საერთო, საზიარო რიგის) სიბილანტთა შემცველი არქტიპების რაოდენობა ხუთ ატეულს სცილდება (იხ. არქტიპთა საძიებელი, წიგნში: კ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II შევსებული გამოცემა, თბ. 2000).

დიალექტური პოზიციის პრინციპი (ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით) გულისხმობს როგორც ზნაურში, ისე სვანურში დიალექტთა (თქმათა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელშიც შეაპირობებწს ამ ენებში საერთო-ქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას. ეს ვითარება ნაწილობრივ ქართულ დიალექტებშიც გამოვლინდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზანურსა და სვანურში ქართული ენა-დიალექტებიდან შესული ან ფონეტიკურად ცვლილი (შიშინა – > სისინა) არაერთი ფუძე გვხვდება, რომელიც სისინა სიბილანტს შ ეიცავს, ვფიქრობთ, მრავალ ზანურ-სვანურ ფუძეში ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტის ასევე სისინა (იდენტური) ეკვივალენტია შენარჩუნებული. ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა სიბილანტთა განაწილება და მათ ეკვივალენტთა ჩამოყალიბება სხვადასხვა დიალექტურ არეალსა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს: ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველ საფეხურზე წინა რიგის (სისინა) სიბილანტები უცვლელადაა წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურ და სვანურ იმ დიალექტებში, რომლებიც არ ემიჯნავენ ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, ამასთანავე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში ისევე სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში, რომელიც მომიჯნავე და დაცილებულ (პერიფერიულ) დიალექტებს შორისაა მოქცეული, ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგრამ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებშიც ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ სისინა სიბილანტიანი ლექსიკის დიდი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებას იწყებს შესატყვისობა ხმოვნებს შორის, რომელმაც გარკვეულწილად შეზღუდა შესატყვისობის ჩამოყალიბება თანხმოვნებს შორის (სისინა სიბილანტთა შიშინად გადაქცევის პროცესი). სვანურში ამ მიმართებით ფართო გასაქანი ეძლევა ფონეტიკურ პროცესებს: უმლაუტიზაციას, აფრიკატიზაციას, დეზაფრიკატიზაციას.

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება, ანუ სესხება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალმორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სისინა სიბილანტთა გაშიშინებით ან სემანტიკური გადაწევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

ქართველურ ენებში სიბილანტთა განაწილება სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ, როგორც ეს 22-ე გვერდზე №1 სქემაზეა გამოსახული.

სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ძირი (ძ-) და მისგან ნაწარმოები ფუძეები (ძ-) და მისგან ნაწარმოები ფუძეები (ძ-ევ-ს; მ-ძ-ევ-ალ-ი, ძ-ებ-ა; გან-ძ-ებ-ა...), რომლებიც აშკარად მიუთითებენ ქართველურ ფუძე-ენაში არა სხვადასხვა ბუნების ბუნების (სისინა და სისინ-შიშინა: ძ და ძ') ფონემათა, არამედ ოდენ სისინა ძ ფონემის არსებობაზე.

ერთი მხრივ საერთო-ქართველური *ძ- (სისინა) სიბილანტის უდავო ეკვივალენტია ქართულ-ზანურ-სვანური იდენტური (სისინა) ძ- სიბილანტი:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ-გ/ ძ-უ (მეგრ.), ძ-უნ, ზ-უნ (ჭან.): სვან. ზ-გ/ზ-ი (ზ<ძ). მეორე მხრივ, საერთო-ქართველური *ძ (ასევე სისინა და არა – სისინ-შიშინა) სიბილანტის ასევე უდავო ეკვივალენტები ჩანს ქართული ძ- (სისინა) და ზანურ-სვანური ჯ- (შიშინა) სიბილანტები:

ქართ, ძ-ევ-ს: ზან. ჯ-ან-გ/ჯ-ან-უ „წევს“ (ეტიმოლოგიურად: „ძევს“). ამავე ძ-ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებშიც სისინათა შესატყვისად ზანურში შიშინა სიბილანტი დაჩნდება:

ქართ. მ-ძ-ევ-ალ-ი (ძ-ევ-ს): ზან. ჯ-ალ-ი „id“;

ქართ. გან-ძ-ებ-ა, გან-ა-ძ-ო: ზან. გონ-ჯ-ამ-ა „გახსნა; გაღება“ ..., გან-ჯ-გ, გან-ჯ-უ „გახსნა; გააღო“ ... (ეტიმოლოგიურად: ერთმანეთისაგან „განაძო“).

ქართულში ძ-ევ-ს/ძ-ებ-ა-ს პარალელურად გვაქვს დ-ევ-ს/დ-ებ-ა და მასთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჯ-ედ/ჯ-დ-ომ-ა, სადაც შიშინა ჯ- სიბილანტია წარმოდგენილი. დ-/ძ-/ჯ- ბგერათმონაცვლეობის მიზეზი მათი სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობაა, რომელსაც ადრინდელ ქართველურ-ფუძე-ენაში ერთი ფონემა ჰქონდა ამოსავლად.

ასეთი პროცესების დაშვებას ქართველურ ენებსა და დიალექტებში შესაძლებლად მიიჩნევდა ამ ენათა ნარეულობის თეორიის ავტორი ნ. მარი: „Скрещение диалектических явления происходило не только в пределах каждого языка особо скрещивались различные языки одной и той же группы, отливались диалектические флечения других групп“ (Март, 1914; 8). ნ. მარის ეს მოსაზრება გაზიარებულია სპეციალისტების მიერ.

ეს მაგალითები ცხადყოფენ როგორც შიშინა ჯგუფის (ზანურ-სვანურ), ისე სისინა ჯგუფის (ქართულ) ენა-დიალექტებში წარმოდგენილ საერთო ქართველურ ფუძეებში შიშინა სიბილანტების პარალელურად სისინათა არსებობას. ქართულის (და არა მხოლოდ ქართულის) სხვა მაგალითებშიც ეს

ვითარება ჩანს ამოსავალი: ხვეტა/ხვეწა/ ხვეჭა , ტილი/წილი/ჭილი, თიკანი/ციკანი, ფრცხილი/ფრჩხილი, და?სობა/დახ-შობა, ბრწკალი/ბრჭყალი, ხიწვი/ხიჭვი, პატარა/პაწია/პაჭუა და სხვა ფუძეთა მონაცვლეობის მთავარი მიზეზი დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ და არა მათ სიმბოლურ (ექსპრესიულ) ხასიათში.

აქ წაერმოდგენილი საანალიზო მაგალითებიც, ვფიქრობთ, ნათლად წარმოაჩენენ ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტთა ეკვივალენტებად ქართულში სისინა სიბილანტებს, ხოლო ზანურსა და სვანურში – როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტებს:

ქართვ. ფუძე-ენა- *ზ: ქართ. ზ: ზან. ზ: (სისინა ეკვივალენტები); *ზიდ: ქართ. ზიდ-ვ-ა: ზან. ზინდ-უ-ა „ზიდვა; ჭიმვა“ (მეგრ.); ო-ზდ-უ „ადება“ (ჭან.). (არნ. ჩიქობავა); *ზ: ქართ. ზ: ზან. ჟ (შიშინა ეკვივალენტი); *ზიდ: ქართ. ზიდ-ვ-ა: ზან. ჟიდ-უ-ა/გო-ჟიდ-უ-ა „გაჭიმვა“.

ქართვ. ფუძე-ენა ს: ქართ. ს: ზან. ს: სვან. ს (სის. ეკვივ.) *სუ: ქართ. სუ-მ-ა: „ეოლა“: სვან. ლ-ჯ-სუ „იეო“ (ეკ. ოსიძე; ბ. გიგინეიშვილი); *სუ: ქართ. სუ-მ-ა/მო-სუ-მ-ა „წასმა“: ზან. სუ-მ-ალ-ა (მეგრ.), ო-ს-უმ-უ (ჭან.) „წასმა“ (არნ. ჩიქობავა); *ს: ქართ.ს: ზან. შ: სვან. შ (შიშ. ეკვივ.); *სუ: ქართ. სუ-მ-ა „სმა დაღვევა“: ზან. შუ-მ-ა „სმა“, ნა-შვი „ნასვამი“ (მეგრ.), ო-შუ-მ-უ „სმა“, შვ-ერ-ი „ნასვამი“ (ჭან.); ნა-შუ „ნასვამი“ (სვან.). (მ. ბროსე, არნ ჩიქობავა, ვ. თოფურია).

ქართ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ძ: სვან. ძ(>ზ) (სის. ეკვივ.); ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ-უნ/ძგ (მეგრ.), ძ-უნ (ჭან.) „ძევს“. სვან. ზ-ი/ზ-გ „არის“, „უძევს“ (არნ. ჩიქობავა, ა. შმიდტი); *ძ-ინ: ქართ. შე-ძ-ინ-ებ-ა (მეგრ.), მო-ნძ-ინ-უ (ჭან.) „მატება, შეძენა“ (არნ. ჩიქობავა); *ძ: ზან. ჯ (შიშინა ეკვივალენტი); *ძ-ინ: ქართ. მო-ძ-ინ-ებ-ა „მოხედვა“: ზან. ჯ-ინ-ა „ხედვა“ (მეგრ.) (ზ. სარჯველაძე); ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ც (სის.ეკვივ.); *ცხ: ქართ. ცხ-გ-ა, სა-ცხ-გ-ელ-ი: ზან. ცახ-უ-ა „დაფქვა“ (მეგრ.) (კ. შმიდტი); *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (შიშ. ეკვივ.); *ცხ-: ქართ. ცხ-გ-ა, სა-ცხ-გ-ელ-ი; ზან. ჩახ-უ-ა „ჩღღრევა“ (მეგრ.) „თქვეფა, დღევა“ (ჭან.), ო-მ-ჩახ-ულ-ე „სადღეებელი“ (ჭან.);

ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ.წ; ზან. წ: სვან. წ (სის. ეკვივ.); *წულ-: ქართ. წულ-ი: სვან. ლი-წუილ-ე „განწულება“ (ვ. თოფურია); „*წულ: ქართ. წულ-ილ-ი/წურ-ილ-ი: ზან წულ-უ „მცირე“ (ჭან.) (ლ. ნადარეიშვილი); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ: სვან. ჭ: (შიშ.ეკვივ.); *წულ-: ქართ. წულ-ი: სვან. ჭუმ „ვაჟი“ (ვ. როგავა), ნა-ჭულ-აშ „საწულისი“ (ზ. სარჯველაძე); *წულ-: ქართ. წულ-ილ-ი/წურ-ილ-ი/წვრ-ილ-ი: ზან. მო-წკირ-ილ-ი „მოჭერილი, ვიწრო; დაწვრილებული“ (მეგრ.)

ქართვ. ფუძე-ენა *ზ: ქართ. ზ: ზან. ზ (სისინა): სისინა შესატყვისობა); *ზიზ: ქართ. გა-ზიზ-ინ-ებ-ა: ზან. გო-ზი-ზ-ინ-აფ-ა „გადავსება“ ს. ულენტი).

ქართვ. ფუძე-ენა *ზ: ქართ.ზ: ზან. ჟ (სისინა: შიშინა: შესატყვისობა); *ზიზ: ქართ. გა-ზიზ-ინ-ებ-ა: ზან. გო-ჟი-ჟ-ინ-აფ-ა „გავსება, გაჟღენთა: გასივება“.

ქართვ. ფუძე-ენა *ს: ქართ. ს: სვან. ს (სისინა: სისინა); *ს-უალ: ქართ. ს-რ-უ-ლ-ი, ს-რ-უ-ლ-ი-ად: სვან. სურ-უ „ძლიერ მთლად“ (პ. ფენრიხი).

ქართვ. ფუძე-ენა ს: ქართ.ს: ზან. შ (სისინა: შიშინა); *ს-უალ: ქართ. ს-რ-უ-ლ-ი (<*ს-ლ-უკ-ი<*ს-ვლ-უღ-ი<*ს-ვალ-უღ-ი), ს-რ-უ-ლ-ი-ად: ზან. შურ-ო „სულ; მთლად“.

ქართვ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ძ: სვან. ძ(>ზ) (სისინა:სისინა); *ძ/*ძ-ეუ-: ქართ. ძ-ეს „ძევს“: ზან. პ-გ-ნრძუან 9მეგრ.) „ძევს“, ძ-უნ (ჭან.) „ძევს“: სვან. ზ-ი „არის“, ხ-ო-ზ „უძევს“ (ზ<ძ) (არნ. ჩიქობავა, კ. შმიდტი).

ქართვ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ჯ (სისინა:შიშინა); *ძ/*ძ-ეუ-: ქართ. ძ-ეს „ძევს“, ძ-ევ-ნ-ა: ზან. ჯ-ან-გ/უ „წევს“ (ეტიმოლოგიურად „ძევს“), ჯ-ან-უ „წოლა“ (ეტიმოლოგიურად „ძევნა“).

ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: სვან. ც (სისინა:სისინა); ცინც-: ქართ. ცინც-ლ-გ-ა: სვან. ლი-ცინც-ურ-ე „წაგლეჯა; წართმევა“ (პ. ფენრიხი).

ქართვ. ფუძე-ენა*ც: ქართც: ზან. ჩ (სისინა: შიშინა); *ციც: ქართ. ცინც-ლ-გ-ა, ცინც-ლ-ავ-ს: ზან. ჩინჩ-ი „მცირე; წვრილი“, ჩინჩ-ოლ-უ-ა „დაფშვნა, დანამცეცება“ (ეტიმოლოგიურად „დაცინცვლა“).

ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. *წ: სვან. *წ (სისინა: სისინა); *წურ: ქართ. წურ-ვ-ა, წურ-ავ-ს: ზან. წირ-უ-ა, წირ-უნ-ს (მეგრ.), წირ-უმ-ს, წორ-უმ-ს (ჭან.) „იდ“: სვან. ლი-წურ-ე „წურვა“, ხ-ო-წურ „სღის“ (გ. კლიმოვი; პ. ფენრიხი).

ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან.ჭ (სისინა: შიშინა); *წურ: ქართ. წურ-წურ-ი (რედუპლიცირებული წურ-): ზან. ჭურ-ჭულ-ი „წურწური“.

ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ც (სისინა ეკვივალენტი); *ცეც-: ქართვ. ფუძე-ენა ცეც-ებ-ა: ზან. (მეგრ.) ცაც-აფ-ი (პ. ფენ რიხი); *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (შიშინა ეკვივალენტი); *ცეც-: ქართ. ცეც-ებ-ა: ზან. (მეგრ.) ჩა-ჩ-ჩაჩ-ი (რედუპლიცირებული ჩაჩ- „ცეცებით სიარული“).

ქართვ. ფუძე-ენა *წ ქართ. წ: ზან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წაფ-: ქართ. გა-წაფ-ვ-ა; და-ე-წაფ-ა, მო-წაფ-ე: ზან. (ჭან.) ო-ნწოფ-ულ-უ „სწავლება“, ნწოფ-ულ-ა „სასწავლებელი“ (არნ. ჩიქობავა); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წაფ-: ქართ. გა-წაფ-ვ-ა, და-ე-წაფ-ა: ზან. ჭოფ-უ-ა (მეგრ.), ო-ჭოფ-უ (ჭან.) „დაჭერა; აღება; მითვისება...“ (ზ. სარჯველაძე; ვ. შენგელია).

ქართვ. ფუძე-ენა - *წ: ქართ. წ: ზან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წეწ-ონ-უ-ა „წევა; გლეჯა“ (მეგრ.), ბ-წიწ-უმ „გწევ; ვჭიმავ“ (ჭან.) (ნ. მარი; არნ. ჩიქობავა); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა, გა-წეწ-ილ-ი: ზან. (მეგრ.), მო-წაწ-ილ-ი „id“ *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა, გა-წეწ-ილ-ი, გა-და-წეწ-ილ-ი: ზან. (მეგრ.) ჭაჭ-უ-ა, გო-ჭაჭ-ილ-ი „id“.

ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ: სვან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წუელ: ქართ. წუელ-ი, წუელ-? ზან. წუ (მეგრ.), წუ, ო-წვალ-ე (ჭან.): (სვან.) წუუ, წუ-ი (ვ. თოფურია; გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წუელ: ქართ. წუელ-ი: ზან. (მეგრ.) ჭველ-ა „წვრილი მცენარე, ნერგი“; იმერულ დიალექტში დასტურდება ჭვალო. „წველი, პურეულის ღერი“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართ. დიალექტოლოგია, 1,674), რომელშიც ზანიზმი ჩანს და ძველქართული წუელა-ს კანონზომიერი შიშინა შესატყვისია.

ქართვ. ფუძე-ენა - *ს (სისინა ეკვივალენტი); *ს (სისინა ეკვივალენტი); *სერ-: ქართ. მე-სერ-ი: ზან. (მეგრ. ჭან.). მა-სარ-ი: სვან. მესერ. მა-სერ „id“ (პ. ჭარაია; არნ. ჩიქობავა; გ. კლიმოვი); *ს: ქართ. ს: სვან. შ (შიშინა ეკვივალენტი); *სერ-: ქართ. სა-სრ-ევ-ი: სვან. ლი-შერ-ე „ლესვა“ ლა-შერ „სალესი“ (ზ. სარჯველაძე).

შესაძლო საზიარო ეტიმოლოგიის მქონე ასეთ მაგალითებში სისინა და შიშინა სიბილანტთა განაწილება, ვფიქრობთ, ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში სხვადასხვა დიალექტურ არეალში და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე სისინა სიბილანტების ჩამოყალიბებას გულისხმობს.

§7. დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი

(სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით)

ქართველურ ენათა და დიალექტთა ურთიერთმიმართება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტთა (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატთა) საფეხურებრივი ცვლილებისა და განაწილების მიხედვით შესაძლებელია პირობითად ასეთი სქემით წარმოვიდგინოთ:

ამოსავალი a სისტემა (ქართველური ფუძე-ენა)

სისინა სიბილანტები

I ქრონოლოგიური საფეხური

a ქვესისტემა (ქართული დიალექტი)სისინა სიბილანტები

b ქვესისტემა(ზანური დიალექტი)სისინა სიბილანტები

c ქვესისტემა(სვანური დიალექტი)სისინა სიბილანტები

II ქრონოლოგიური საფეხური

A სისტემა (ქართული სამწიგნობრო ენა და დიალექტები)

სისინა სიბილანტები

B სისტემა (ზანური დიალექტები)

სისინა და შიშინა სიბილანტები

C სისტემა (სვანური დიალექტები)სისინა და შიშინა სიბილანტები

III ქრონოლოგიური საფეხური

a₁, a₂, a₃ ქვესისტემები

(დიალექტები) სისინა სიბილანტები

b₁, b₂, b₃ ქვესისტემები (დიალექტები):

b_1 – სისინა სიბილანტები;

b_2 – ნარევი: სისინა და შიშინა სიბილანტები;

b_3 – შიშინა სიბილანტები

c_1, c_2, c_3 ქვესისტემები

(დიალექტები):

c_1 – სისინა სიბილანტები

c_2 – ნარევი: სისინა და შიშინა სიბილანტები;

c_3 – შიშინა სიბილანტები

შენიშვნა: 1. პირობითად ქართულ-ზანურ-სვანური $a_1-b_1-c_1$ ქვესისტემები (დიალექტები) ერთმანეთთან მომიჯნავე დიალექტებია; $a_2-b_2-c_2$ – მომიჯნავე და პერიფერიულ (დაცილებულ) დიალექტებს შორისაა მოქცეული; $a_3-b_3-c_3$ კი – პერიფერიული (დაცილებული) დიალექტებია.

2. წარმოდგენილი სქემა პირობითია: ამჯერად არ ვეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაცია და რა სახით: ჯერ სვანური გამოეყო, ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა თუ თავიდანვე ცალკეულ ენობრივ (დიალექტურ) ერთეულებად დაიშალა, ვინაიდან ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ქართველურ ენებში (დიალექტებში) სიბილანტების ურთიერთმიმართების საკვალიფიკაციოდ.

A სისტემაშიც (ქართულის a_1 ქვესისტემაში) ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ ეს პროცესი (სისინა სიბილანტთა გაშიშინება) არ განვითარებულა, ის გარკვეულ ეტაპზე შეჩერდა და ქართული სამწიგნობრო ენა და დიალექტები დარჩა სისინა რიგისა.

B სისტემაში (კერძოდ, ზანურის b_3 ქვესისტემაში) და C სისტემაში (სვანურის c_3 ქვესისტემაში) საერთოქართველური სისინა სიბილანტებს ენაცვლება შიშინა სიბილანტები. ზანურისა და სვანურის b_2 და c_2 ქვესისტემებში წარმოდგენილია როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტები, ხოლო საკუთრივ ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ და სვანურ დიალექტებში (b_1 და c_1 ქვესისტემებში) შენარჩუნებულია საერთოქართველური სისინა სიბილანტები.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს (თუ მას გავიზიარებთ), ქართველოლოგიაში გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი რიგის (შუა რიგის სისინ-შიშინა) სიბილანტების რეკონსტრუქციის საჭიროება უნდა მოიხსნას.

ამის კვალობაზე ზანურ და სვანურ დიალექტებში (B და C სისტემებში) წარმოდგენილი უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა ამოსავლადაც ქართველურ ფუძე-ენაში წინა რიგის (სისინა) სიბილანტები უნდა ვიგულისხმოთ, ისევე, როგორც ეს ნავარაუდევია ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში წარმოდგენილი სისინა სიბილანტებისათვის.

ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: ზანურ და სვანურ დიალექტებში წარმოდგენილი სისინა სიბილანტები საკუთრივ ქართული ენა-დიალექტებიდან შესული ფონემებია თუ ქართველური ფუძე-ენის შესაბამისი რიგის (წინა რიგის – სისინა) სიბილანტთა ეკვივალენტები?

მიუხედავად იმისა, რომ ზანურსა და სვანურში ქართული ენა-დიალექტებიდან შესული არაერთი ფუძე (resp. ძირი, მორფემა) გვხვდება, რომელიც სისინა სიბილანტს შეიცავს, ვფიქრობთ, **მრავალ ზანურ-სვანურ ფუძეში ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტის ასევე სისინა ეკვივალენტია შენარჩუნებული.**

ამ ვითარების ძიირთად მიზეზად დიალექტური პოზიციის პრინციპი ჩანს სავარაუდებელი.

ეს პრინციპი (ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთამნეთთან სიახლოვე-სიმორის მიხედვით) გულისხმობს ზანურ და სვანურ დიალექტებში (თქმებში) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ზანურსა და სვანურში (ნაწილობრივ – ქართულ დიალექტებშიც) საერთოქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას.

ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა (წინა რიგის) და შიშინა (უკანა რიგის) სიბილანტთა ჩამოყალიბება და განაწილება სხვადასხვა დიალექტურ არეალს და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურისა და სვანურის იმ დიალექტებში (b_3 და c_3 ქვესისტემებში), რომლებიც არ ესაზღვრებიან საკუთრივ ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები (ჟ შ ჯ ჩ ჭ), ამასთანავე, ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში (b_1 და c_1 ქვესისტემებში) ისევ სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში – b_2 და c_2 ქვესისტემებში – ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგრამ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ და სვანურ დიალექტებშიც (b₁ და c₁ ქვესისტემებში) ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგარმ სისინა სიბილანტების შემცველი საერთოქართველური ლექსიკის დიდი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებას იწყებს ბგერათშესატყვისობა ხმოვნებს შორის, რომელმაც ერთგვარად შეაჩერა სისინა სიბილანტთა გაშიშინების პროცესი: საერთოქართველურიდან მომდინარე ზანურ ფუძეებში (რომლებიც სისინა სიბილანტებსა და ე/ა ხმოვნებს შეიცავდნენ) ხმოვნებს შორის განსხვავების შექმნამ (ქართულ-სვანური ე/ა: ზანური ა/ო) გარკვეულ წილად შეზღუდა ასეთივე განსხვავების წარმოქმნა თანხმოვნებს შორის (*სისინა* : *შიშინას* ნაცვლად დარჩა *სისინა*: *სისინა*). სვანური ამ მიმართებით ფართო გასაქანს აძლევს ფონეტიკურ პროცესებს: უმლაუტიზაციას (ხმოვნებში), სპირანტიზაციას, აფრიკატიზაციას, დეზაფრიკატიზაციას (თანხმოვნებში).

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში (თქმებში) ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: სისინა სიბილანტიანი (b₁ და c₁ ქვესისტემების) ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების (b₂ b₃ და c₂ c₃ ქვესისტემების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი – ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სისინა სიბილანტთა გაშიშინებით ან სემანტიკური გადაწევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული პირვანდელი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

საერთოქართველურ ლექსიკაში მოიპოვება არაერთი ფუძე (resp. ძირი, მორფომა, აფიქსი), რომელიც საკუთრივ ქართული წინა რიგის (სისინა) და ზანურ-სვანური როგორც წინა რიგის (სისინა), ისე უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა შესატყვისობაში დიალექტური პოზიციის პრინციპს ათვალსაჩინოებს:

1 ქართვ. ფუძე-ენა *ზ: ქართ. ზ: ზან. ზ: (სისინა ეკვივალენტები); *ზიდ: ქართ. ზიდ-ვ-ა: ზინდ-უ-ა „ზიდვა; ჭიმვა“ (მეგრ.); ო-ზდ-უ „აღება“ (ჭან.). (არნ. ჩიქობავა). ზ: ქართ. ზ: ზან. ჟ (შიშინა ეკვივალენტი); *ზიდ: ქართ. ზიდ-ვ-ა: ზან. ჟიდ-უ-ა/გო-ჟიდ-უ-ა „გაჭიმვა“.

1 ქართვ. ფუძე-ენა *ს: ქართ. ს: ზან. ს: სვან. ს (სის. ეკვივ.) *სუ: ქართ. სუ-მ-ა: „ყოლა“: სვან. ლ-ა-სუ „იყო“ (ეკ. ოსიძე; ბ.

გიგინეიშვილი); *სუ-: ქართ. სუ-მ-ა/მო-სუ-მ-ა „წასმა“: ზან. სუ-მ-ალ-ა (მეგრ.). ო-ს-უმ-უ (ჭან.) „წასმა“ (არნ. ჩიქობავა); *ს: ქართ.ს: ზან. შ: სვან. შ (შიშ. ეკვივ.); *სუ-: ქართ. სუ-მ-ა „სმა, დაღევა“: ზან. შუ-მ-ა „სმა“, ნა-შე-ი „ნასვამი“ (მეგრ.), ო-შუ-მ-უ „სმა“, შე-ერ-ი „ნასვამი“ (ჭან.): ნა- შუ „ნასვამი“ (სვან.). (მ. ბროსე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია).

3. ქართვ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ძ: სვან. ძ(>ზ) (სის. ეკვივ.); ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ-უნ/ძ-გ (მეგრ.), ძ-უნ *ძ-: (ჭან.) „ძევს“: სვან. ზ-ი/ზ- „არის“, „უძევს“ (არნ. ჩიქობავა, ა. შმიდტი). *ძ-ინ: ქართ. შე-ძ-ინ-ებ-ა/შე-ძ-ენ-ა: ზან. ძ-ინ-ა (მეგრ.), მო-ნძ-ინ-უ (ჭან.) „მატება, შეძენა“ (არნ. ჩიქობავა); *ძ: ქართ. ძ: ზან. ჯ (შიშინა ეკვივალენტი) *ძ-ინ: ქართ. მო-ძ-ინ-ებ-ა „მოხედვა“: ზან. ჯ-ინ-ა „ხედვა“ (მეგრ.) (ზ. სარჯველაძე).
4. ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ც (სის. ეკვივ.); *ცეხ: ქართ. ცეხ-ვა, სა-ცეხ-ვ-ელ-ი: ზან. ცახ-უ-ა „დაფქვა“ (მეგრ.) (კ. შმიდტი); *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (შიშ. ეკვივ.); *ცეხ-: ქართ. ცეხ-ვა, სა-ცეხ-ვ-ელ-ი: ზან. ჩახ-უ-ა „ჩხლრევა“ (მეგრ.) „თქვეფა, დღეება“ (ჭან.), ო-მ-ჩახ-ულ-ე „სადღეებელი“ (ჭან.).
5. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ: სვან. წ (სის. ეკვივ.); *წულ-: ქართ. წულ-ი: სვან. ლი-წუილ-ე „განწულება“ (ვ. თოფურია) *წულ-: ქართ. წულ-ილ—ი/წურ-ილ-ი: ზან. წულ-უ მცირე“ (ჭან.) (ლ. ნადარეიშვილი); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ: სვან. ჭ: (შიშ. ეკვივ.); *წულ-: ქართ. წულ-ი: სვან. ჭუშ „ვაჟი“ (გ. როგავა), ნა-ჭულ-აშ „საწულისი“ (ზ. სარჯველაძე); *წულ-: ქართ. წულ-ილ-ი/წურ-ილ-ი/წვრ-ილ-ი: ზან. მო-ნჭირ-ილ-ი „მოჭერილი, ვიწრო; დაწვრილებული“ (მეგრ.).

6. ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ც (სისინა ეკვივალენტი); *ცეც-: ქართ. ფუძე-ენა ცეც-ებ-ა: ზან. (მეგრ.) ცაცაფ-ი (ჰ. ფენრიხი) *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (შიშინა ეკვივალენტი); *ცეც-: ქართ. ცეც-ებ-ა: ზან. (მეგრ.) ჩაჩ-ჩაჩ-ი (რედუპლიცირებული ჩაჩ-„ცეცებით სიარული“).
7. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წაფ-: ქართ. გა-წაფ-ვ-ა; და-ე-წაფ-ა, მო-წაფ-ე: ზან. (ჭან.) ო-ნწოფ-ულ-უ „სწავლება“, ნწოფ-ულ-ა, „სასწავლებელი“ (არნ. ჩიქობავა); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წაფ-: ქართ. გა-წაფ-ვ-ა, და-ე-წაფ-ა: ზან. ჭოფ-უ-ა (მეგრ.), ო-ჭოფ-უ (ჭან.) „დაჭერა; აღება; მითვისება ...“ (ზ.სარჯველაძე, ვ. შენგელია).
8. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა: ზან. წიწ-ონ-უ-ა „წევა; გლეჯა“ (მეგრ.), ბ-წიწ-უმ „ეწევა; ეჭიმავ“ (ჭან.) (ნ. მარი; არნ. ჩიქობავა); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა, გა-წეწ-ილ-ი: ზან. (მეგრ.), მო-წაწ-უ-ა, მო-წაწ-ილ-ი „Ld; *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა, გა-წეწ-ილ-ი, გა-და-წეწ-ილ-ი: ზან. (მეგრ.) ჭაჭ-უ-ა, გო-ჭაჭ-ილ-ი „id“.
9. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ : სვან. წ (სისინა ეკვივალენტი); წუელ-ი, წუელა-?: ზან. წუ (მეგრ.) წუ, ო-წვალ-ე (ჭან.): (სვან.) წუუ, წუ-ი (ვ. თოფურია; გ. კლიმოვი; ჰ. ფენრიხი); *წ: ქართ. წ : ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წუელ-: ქართ. წუელ-ი : ზან. (მეგრ.) ჭველ-ა „წვრილი მცენარე, ნერგი“; იმერულ დიალექტში დასტურდება ჭვალო „წველი, პურეულის ღერო“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართ. დიალექტოლოგია, I, 674), რომელიც ზანიზმი ჩანს და ძველქართული წუელა-ს კანონზომიერი შიშინა შესატყვისია.

10. ქართვ. ფუძე-ენა ***ს**: ქართ. ს: ზან. ს: სვან. ს (სისინა ეკვივალენტი); ***სერ-**: ქართ. მე-სერ-ი: ზან. (მეგრ. ჭან.). მა-სარ-ი: სვან. მე-სერ. მა-სერ „id“ (პ. ჭარაია; არნ. ჩიქობავა; გ. კლიმოვი); ***ს**: ქართ. ს: სვან. შ (შიშინა ეკვივალენტი); ***სერ-**: ქართ. სა-სრ-ევი: სვან. ლი-შერ-ე „ლესვა“ ლა-შერ „სალესი“ (ზ. სარჯველაძე).
11. ა) ქართვ. ფუძე-ენა ***ზ**: ქართ. ზ: ზან. ზ (სისინა : შიშინა შესატყვისობა); ***ზიზ**: ქართ. გა-ზიზ-ინ-ებ-ა: ზან. გო-ზიზ-ინ-აფ-ა „გადავსება“ (ს. უღენტი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა ***ზ**: ქართ. ზ: ზან. ჟ (სისინა : შიშინა შესატყვისობა); ***ზიზ**: ქართ. გა-ზიზ-ინ-ებ-ა: ზან. გო-ჟიჟ-ინ-აფ-ა „გავსება, გაუღენთა: გასივება“.
12. ა) ქართვ. ფუძე-ენა ***ს**: ქართ. ს: სვან. ს (სისინა : სისინა); ***ს-უალ**: ქართ. ს-რ-უ-ლ-ი, ს-რ-უ-ლ-ი-ა-დ: სვან. სურ-უ „ძლიერ; მთლად“ (პ.ფენრიხი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა **ს** : ქართ. ს: ზან. შ (სისინა : შიშინა); ***ს-უალ**: ქართ. ს-რ-უ-ლ-ი (<*ს-ლ-უ-ლ-ი<*ს-ვ-ლ-უ-ლ-ი<*ს-ვ-ალ-უ-ლ-ი), ს-რ-უ-ლ-ი-ა-დ: ზან. შურ-ო „სულ; მთლად“.
13. ა) ქართვ. ფუძე-ენა ***ძ**: ქართ. ძ: ზან. ძ: სვან. ძ(>ზ) (სისინა : სისინა); ***ძ/*ძ-ეუ-**: ქართ. ძ-ე-ს „ძევა“ : ზან. ძ-გ-ნ/ძ-უ-ნ (მეგრ.) „ძევა“, ძ-უ-ნ (ჭან.) „ძევა“ : სვან. ზ-ი „არის“, ხ-ო-ზ „უძევა“ (ზ<ძ) (არნ. ჩიქობავა, კ. შმიდტი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა ***ძ**: ქართ. ძ: ზან. ჯ (სისინა : შიშინა); ***ძ/*ძ-ეუ-**: ქართ. ძ-ე-ს „ძევა“, ძ-ე-ვ-ნ-ა: ზან. ჯ-ა-ნ-ე/უ „წევს“ (ეტიმოლოგიურად „ძევა“), ჯ-ა-ნ-უ „წოლა“ (ეტიმოლოგიურად „ძევა“).

14. ა) ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: სვან. ც (სისინა : სისინა); ცინც-: ქართ . ცინც-ლ-გ-ა: სვან. ლი-ცინც-ურ-ე „წაგლეჯა; წართმევა“ (ჰ. ფენრიხი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (სისინა : შიშინა); *ცინც: ქართ. ცინც-ლ-გ-ა, ცინც-ლ-აგ-ს: ზან. ჩინჩ-ი „მცირე; წვრილი“, ჩინჩ-ოლ-უ-ა „დაფშენა, დანამცეცება“ (ეტიმოლოგიურად „დაცინცვლა“).

15. ა) ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. *წ: ზან. *წ: სვან. *წ (სისინა: სისინა); *წურ: ქართ. წურ-გ-ა, წურ-აგ-ს: ზან. წირ-უ-ა, წირ-უნ-ს (მეგრ.), წირ-უმ-ს, წორ-უმ-ს (ჭან.) „id“: სვან. ლი-წურ-ე „წურვა“, ხ-წურ „სდის“ (გ.კლიმოვი; ჰ.ფენრიხი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (სისინა : შიშინა); *წურ:ქართ. წურ-წურ-ი (რედუპლიცირებული წურ-) ზან. ჭურ-ჭულ-ი „წურწური“.

ქართველურ ენებში სისინა სიბილანტთა განაწილება და მათ ეკვივალენტებად როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტების არსებობა ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში სხვადასხვა დიალექტურ არეალში და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე ბგერათმესატყვისობათა ჩამოყალიბებას გულისხმობს.

§8. სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. I

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შეესატყვისება, ერთი მხრივ, ასევე წინა რიგის (სისინა ზ ს ძ ც წ) და, მეორე მხრივ, უკანა რიგის (შიშინა ჟ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გაგრძელებული თვლასზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი შუა რიგის (სისინ-შიშინა ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთა ლექსიკური მასალაც იძლევა.

ქართული ენის დიალექტებშიც, ისევე როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტ-ნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისაც სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძე-ენის რიგის, სისინა – ქართული დიალექტების წინა რიგის, (სისინა) და საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა – ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა), ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა – ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისთვის ბუნებრივ და, ამდენად მოსალოდნელ, სართო თვისებას.

სიბილანტები, როგორც ცნობილია, „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში (და ამ დიალექტების მეშვეობით სამწერლობო

ქართულში) შემონახული საერთო-ქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი, (მეორე ნაწილის შესახებ იხ. აბაშია: სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი, I, 2003წ.), სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სახეცვლილების ფონეტიკური (ან სხვა ხასიათის, გარდა დიალექტურისა) საფუძველი არ უცანთ (resp. ცხადია, დიალექტურ ცვლილებებსაც ისტორიულად – ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში – ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა):

წინა რიგის (სისინა)

სიბილანტიანი ფუძეები

ბლაცუნ-ი (გურ.)

ბრწყინვა (ქეგელ.)

ბურძგ-ი (გურ.), ბურძგ-ი (ლენხ.)

ზლაზუნა (ქეგელ.)

ზეგა (ქიზიყ.) ზეგა (ქეგელ.)

ცეგა (ქეგელ.)

ღრძ-ილ-ი (ქეგელ.)

და-წნეს-ა (ქეგელ.) და-წრეს-ა, და-წრეს-ილ-ი (მოს., მთიულ.)

და-წუნ-გ-ა „დახუჭვა“ (საბა)

გა-წვრეთ-ა (ხევს.)

ფარცხვა (ქეგელ.)

ფირცხ-ილ-ი (ქეგელ.)

ფორცხ-ი (ქიზიყ.), ფოცხ-ი (ქეგელ.)

ღოწიალ-ი (იმერ.)

უკანა რიგის (შიშინა)

სიბილანტიანი ფუძეები

ბლახუნ-ი (აჭარ.), ბახუნ-ი (ზ.იმერ.)

ბრჭყუნვა „მცირე ბრწყინვალება“ (საბა)

ბუჯგ-ი (აჭარ.)

ჟრანუვა (გურ.)

ჟეპა (ქეგლ., ქართლ., რაჭ.)

მოჩეხ-ებ-ა (გურ.) დჯ-ილ-ი (გურ., ლენხ., ქეგლ.)

დაჭნეხ-ა (გურ., აჭარ.)

დაჭრეხ-ილ-ი (ფშ., ხევს.)

და-ხუჭ-ვა „თვალთ მოკრება, დახუჭვა“, დაჭუხ-ვა „თვალთ დახურვა, დაწუსება“ (საბა)

ჭვრეთ-ა-? (თუშ.), საჭვრეთ-ელ-ი (ფშ., თუშ., მთიულ.)

ფარჩხვა (ლენხ.)

ფრჩხ-ილ-ი (ქეგლ.)

ფორჩხ-ი (კახ., იმერ., ქეგლ.)

ფოჩხ-ი (ქართლ. რაჭ.)

ღოჭიალ-ი (რაჭ.) და სხვ.

წარმოდგენილ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტებს არა აქვთ ფუნქციური დატვირთვა და შესაბამისად, არ იწვევენ მორფოლოგიურ და სემანტიკურ ცვლილებებს თუ გამოვრიცხავთ ამ ლექსემების შესაძლო ბგერწერით (ხმაბაძვით, ექსპრესიულ) ხასიათს, მაშინ საერთო ფუძეებში სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობების არსებობის მიზეზები მათ დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძე-ენის სისინა (წინა რიგის)სიბილანტებმა ქართულ დიალექტებში მოგვცა როგორც სისინა, ისე – შიშინა ეკვივალენტი:

ქართველური ფუძე-ენა ქართული დიალექტები

***წუხ-**

წუხ- (და-წუხ-ვა, წუხ-ილ-ი, მ-წუხ-რ-ი)

ჭუხ- (და-ჭუხ-ვა)

ქართული სამწერლობო ენა

– წუხ- (წუხ-ილ-ი, მ-წუხ-რ-ი)

– ჭუხ- – ხუჭ- (და-ხუჭ-ვა)

ე.ი. ქართულ დიალექტებში და რომელიმე დიალექტის (ან დიალექტების) მეშვეობით სამწერლობო ქართულშიც დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის როგორც სისინა-სიბილანტური, ისე – შიშინა-სიბილანტური ფუძეები.

სიბილანტური ფონემის ამგვარი განაწილებისათვის ისტორიულ საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საგულვებელი, რაც გულისხმობს სიბილანტთა ეკვივალენტების ჩამოყალიბების ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის, ამ დიალექტთა ურთიერთგავლენის, გარდამავალი და ნარევი დიალექტური ზოლების მიხედვით.

დროთა განმავლობაში ქართველურ დიალექტებში უნდა მომხდარიყო დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: შიშინა სიბილანტიანი ფუძეები დამკვიდრდა სისინა სიბილანტიანი დიალექტების (თქმების, მიკრო-ენობრივი ერთეულების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალმორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური ან მორფოლოგიური ცვლილებების შედეგად სისინა ან შიშინა ეკვივალენტების ჩამოყალიბებით ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

§9. სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი II

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შეესატყვისება, ერთი მხრივ, ასევე წინა რიგის (სისინა ზ ს ძ ც წ) და, მეორე მხრივ, უკანა რიგის (შიშინა ქ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გავრცელებული თვლასზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი შუა რიგის (სისინ-შიშინა ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთა ლექსიკური მასალაც იძლევა.

ქართული ენის დიალექტებშიც, ისევე როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტ-ნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისაც სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძე-ენის რიგის, სისინა – ქართული დიალექტების წინა რიგის, (სისინა) და საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა – ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა), ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა – ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისთვის ბუნებრივ (resp. და ამდენად მოსალოდნელ) სართო თვისებას.

სიბილანტები, როგორც ცნობილია, „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში (და სამწერლობო ქართულში შემონახული საერთო-

ქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი, სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სახეცვლილების ფონეტიკური (ან სხავ ხასიათის, გარდა დიალექტურისა) საფუძველი არ უჩანთ:

წინა რიგის (სისინა)

სიბილანტიანი ფუძეები:

ბეზ-ვა (ქეგელ., იმერ.) (ზან. ბაზ-უ-ა)

ზეზ-ვა (იმერ.) (ზან. ჟაჟ-უ-ა)

ზეპ-ვა (ქეგლ.) (ზან. ზაპ-უ-ა)

ზრზ-ოლ-ა (ძვ.ქართ.), ზორზ-ალ-ი (მესხ.)

(ზან. ზარზ-ალ-უ-ა/ჟარჟ-ალ-უ-ა)

ზღმარტლ-ი (ქეგლ.)

კვნიწ-ი (ქართლ., ქიზიყ.)

კნაწ-ა (ქიზიყ.)

ნარცხ-ი (ქიზიყ.)

ცენდ-არ-ი (ფშ. იმერ.)

(ზან. ცანდ-არ-ელ-ი, სვან. ჩენდ-არ)

ძაბ-უნ-ი (გურ., ქეგლ.)

ძა?ველ-ი, ძახველ-ი, ძახველ-ა,

მძახველ-ი (მთიულ., ფშ., ხევს., ქვ. რაჭ., ლეჩხ., იმერ).

ძენძ-ი (ქეგლ.)

ძონძ-ი (ქეგლ.)

ძაგარ-ი (ხევს.) ძაგარ-ა-ი (გურ.)

ძირკ-ი (გურ.) (ზან. ჯიკ-ი)

ძმერხლ-ი (გურ.)

წნეხ-ა, წნეხ-ვა (ქეგლ., გურ., იმერ.)

(ზან. ო-ჭინახ-უ)

წვინტ-ი, მო-წვინტ-ულ-ი (გურ.)

უკანა რიგის (შიშინა)
 სიბილანტიანი ფუძეები:
 ბეჟ-ა (ქეგლ.)
 ჟეჟ-ა (ქეგლ., გურ.)
 ჟეპ-ა (ქეგლ., ქსნის ხეობის ქართლ., რაჭ.)
 ჟრჟ-ოლ-ა (ახ.ქართ.), ჟრჟ-ო (ქიზიყ.)
 ჟღმარტლ-ი (ქართლ., მესხ.)
 კენიჭ-ი (ლენხ.)
 კნაჭ-ა (ლენხ., ზ.იმერ., ქიზიყ.)
 ნარჩხ-ი (ქიზიყ.)
 ჩენდ-არ-ი (ლენხ.)
 ჯაბ-უნ-ი (გურ.)
 ჯახველ-ა (ქართლ., მესხ., რაჭ., სვან. ჟა?უერ)
 ჯენჯ-ი (ქეგლ., იმერ., გურ.)
 ჯონჯ-ი (მთიულ.)
 ჯაგარ-ი (ქედლ.)
 ჯირკ-ი (ქეგლ.)
 ჯმერხლ-ი (იმერ.)
 ჭნეხ-ა (გურ.), ჭნეხ-ა (იმერ.)
 ჭვინტ-ი (ქეგლ.), მო-ჭვინტ-ულ-ი (გურ.)
 წმახ-ე (მესხ.)
 წყურტ-ი (ქეგლ., ლენხ.)
 წეს-იერ-ი (ქეგლ.)
 წყენ-ა (ქეგლ.)
 წირპლ-ი (ქეგლ.)
 წიწიტ-ა (ქეგლ., ხევს.)
 მჭახ-ე (გურ., აჭარ.)
 ჭყურტ-ი (ქეგლ., ზ.აჭარ.)
 ჭემ-ნ-ერ-ი (იმერ.) ჭომ-ნ-ერ-ი (ზ.იმერ.)
 ჭყენ-ა (ლენხ.)
 ჭიპლ-ი (ინგილ.)
 ჭიჭიტ-ან-ა (ქართლ.), ჭიჭიტ-ალ-ა (იმერ.) და ა.შ.

წარმოდგენილ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტებს არა აქვთ ფუნქციური დატვირთვა ად, შესაბამისად, არ იწვევენ მორფოლოგიურ ან სემანტიკურ ცვლილებებს, თუ გამოვრიცხავთ ამ ლექსემების შესაძლო ბგერწერით (ხმაბაძვით, ექსპრესიულ) ხასიათს, მაშინ საერთო ფუძეებში სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობების არსებობის მიზეზი მათ დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძეების სისინა (წინა რიგის) სიბილანტმა ქართულ დიალექტებში მოგვცა როგორც სისინა, ისე შიშინა ეკვივალენტი:

ქართველური ფუძე-ენა

***ზეზ-** ქართული დიალექტები: **ზეზ-**(იმერ.) **ჟეჟ-**(გურ.) – **ჟეჟ** (სამწ.ქართ.)

ე.ი. ქართულ დიალექტებში და რომელიმე დიალექტის (ან დიალექტების) მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრდა შიშინა სახეობაც: **ჟეჟ-ვა**, ქართულისათვის მოსალოდნელი ე გახმოვანებით მაშინ, როცა ზანურში გვაქვს ასევე შიშინა სახეობა **ჟაჟ-უა**, -**ა** გახმოვანებით.

სამწერლობო ქართულში დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის როგორც სისინა (ძვ. ქართ. **ზრზოლა**), ისე – შიშინა (ახ. ქართ. **ჟრჟოლა**) ვარიანტები, ასევე, სამწერლობო ქართულში ერთდროულადაც დასტურდება დიალექტური სისინა სიბილანტიანი (ლექსუმური **წყურტი**) და შიშინა სიბილანტიანი (ზ. აჭარ. **ჭყურტი**) ფუძეები.

სიბილანტურ ფონემათა ამგვარი განაწილებისათვის ისტორიული საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საგულეებელი, რაც გულისხმობს სიბილანტთა ეკვივალენტების ცამოყალიბებას ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის, ამ დიალექტთა ურთიერთგავლენის, გარდამავალი და ნარევი დიალექტური ზოლების მიხედვით.

დროთა განმავლობაში ქართველურ დიალექტებში უნდა მომხდარიყო დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: შიშინა სიბილანტიანი ფუძეები დამკვიდრდა სისინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, აღმორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური ან მორფოლოგიური ცვლილებების შედეგად სისინა ან შიშინა ეკვივალენტების ჩამოყალიბებით ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

ფხოვ-ი – ფხოვ-ელ-ი
ფშავ-ი – ფშავ-ელ-ი
რაჭა – რაჭვ-ელ-ი
აჭარა – აჭარ-ელ-ი
თორ-ი – თორ-ელ-ი
ტაო – ტაო-ელ-ი
ქიზიყი – ქიზიყ-ელ-ი
ლენხუმ-ი – ლენხუმ-ელ-ი
გუდამაყარ-ი – გუდამაყარ-ელ-ი
იმერხევი – იმერხევი-ელ-ი
ეგრ(ის)-ი – მ-ეგრ(ელ)-ი
ხევი – მო-ხევი-ე
გურია – გურ-ულ-ი

ისეთი მიმართება, როდესაც ორგვარივე წარმოება ქმნის საოპოზიციო წყვილს, მეორეული (გვიანდელი) ჩანს:

იმერ-ეთ-ი – იმერ-ელ-ი
თიან-ეთ-ი – თიან-ელ-ი
კახ-ეთ-ი – კახ-ელ-ი
ჯავახ-ეთ-ი – ჯავახ-ელ-ი
კლარჯ-ეთ-ი – კლარჯ-ელ-ი

ნიშანდობლივია, რომ ეთნონიმის წარმოებამ ამ შემთხვევაში მეორეული გაფორმება მიიღო (მეორე „ადგილზე“ გადაინაცვლა, შდრ. ხელოვნური: ფშავ-ეთ-ი, მესხეთ-ელ-ი), საპირისპირო შემთხვევა არ დასტურდება.

როგორც ვხედავთ, მითითებული ძირითადი (-ეთ, -ელ) წარმოების გვერდით თავს იჩენს განსხვავებული გაფორმების ერთეული შემთხვევებიც. კერძოდ, პირველ შემთხვევაში: სა-ო (სა-მეგრელ-ო), მეორე შემთხვევაში: მ- ელ (მ-ეგრ-ელ-ი), მო-ე (მო-ხევი-ე), -ულ (გურ-ულ-ი).

საყურადღებოა ზოგი სხვა მომენტიც: ზოგჯერ ეთნიკური სახელი არ ემთხვევა იმ ლოკალურ საზღვრებს, რასაც ისტორიულად ჩამოყალიბებული შესაბამისი მაკროტოპონიმი ასახავს (იმერ-ი – იმერ-ეთ-ი), ზოგ შემთხვევაში კი აღნიშნული ურთიერთმიმართების ჩამოყალიბებას რამდენიმე საფეხური გაუვლია (ეგრ-ის-ი – მ-ეგრ-ელ-ი – სა-მეგრელ-ო). ეთნიკურ ტერმინთა წარმომავლობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირველი ტიპის

მაგალითები, ვინაიდან ისინი მეტ არქაულობას წარმოაჩენენ მეორეგვარ მიმართებასთან შედარებით, თუმცა მაკროტოპონიმებისათვის ამოსავალი ეთნონიმების ანალიზი არაერთ შემთხვევაში წარმოაჩენს თვით მათ მეორეულობასაც (მაგ.:

§10. მორფემათა შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში

ქართველური ენების საანალიზო მორფემათა (აფიქსთა) შედარება-შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებელი ჩანს შესატყვისობის დადგენა არა მხოლოდ ამ ელემენტთა შორის, არამედ ამ ელემენტებით გაფორმებულ ფუძეთა (resp. ძირთა) შორისაც.

1. ქართული -ევ-ნ: ზანური (მეგრული) -ა-ნ: ზანური (ჭანური) -ა-ნ: სვანური -გნ/-ნ.

ქართული -ევ-ნ რთული სუფიქსია, რომელიც შედგება ორი დამოუკიდებელი – -ევ (ზმნური ფუძის მწარმოებელი) და -ნ (მასდარის ფუძის მწარმოებელი) – სუფიქსისაგან. ამდენად -ევ სუფიქსის შესატყვისად ზანურში -ა (<*-ავ) დაჩნდება, ხოლო ქართული -ნ სუფიქსის ადგილს ზანურსა და სვანურში ასევე -ნ დაიჭერს.

2. ქართ. ჩუ-ევ (<*ჩუ-ევ-ნ-ა);

ზან. (მეგრ.) რჩქე-ა-ნ-ა, მე-რჩქე-ა-ნ-ა, რჩქე-ა-ნ-აფ-ა „id“;

სვან. ლი-ჩქუ-ნ-ე „id“.

(K. H. Schmidt, 1962; Г. Климов, 1964; H. Fahnrich, 1982).

საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში არქექტიპებად სავარაუდებელია *ჩუ- ძირისა და *ჩუ-ეუ-ნ- ფუძის არსებობა.

3. ქართ. წ-ევ-ნ-ა; მო-წ-ევ-ნ-ა; მო-ღ-წ-ევ-ა; გა-მო-წ-ევ-ა...

ზან. (მეგრ.) ჭ-ა-ნ-ა, ჭ-ა-ნ-აფ-ა „წვევა“; დაბარება;

ზან. (ჭან.) ჭ-ა-ნ-დ-ა, ო-ჭ-ა-ნ-დ-უ „id“.

ქართულ-ზანური ფუძე-ენის დონეზე არქექტიპებად *წ. ძირი და *წ-ეუ-ნ- ფუძე იგულისხმება.

4. ქართ. ძ-ევ-ნ-ა (<ძ-ევ-ს; ძ-ებ-ა);

ზან. (მეგრ.) ჯ-ა-ნ-უ „წოლა, დაძინება“ („Лжание, сонъ“ _ и. Кипшидзе, 1914);

ჯ-ა-ნ-გ/უ „წვეს“ (ეტიმოლოგიურად „ძვეს“);

ზან. (ჭან.) ჯ-ა-ნ-ს „წვეს“, ჯ-ა-ნ-ტ-უ „წვა“, ჯ-ა-ნ-ან „წვანან“.

საანალიზო ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით ქართულ-ზანური ერთიანობის დროისათვის არქექტიპებად *ძ- ძირი და *ძ-ეუ-ნ- ფუძე უნდა ვივარაუდოთ.

ზემოთ წარმოდგენილი სუფიქსური შესატყვისობის მიხედვით საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე არქტიპებად **-*ეუ** და **-*ნ** (მარტივი) და **-*ეუნ** (რთული) სუფიქსები აღდგება.

II. ქართული **-ენ**: ზან (მეგრ.) –ან: ზან. (ჭან.) –ან: სვანური **-ენ**.

1. ქართ. **მა-რჯუ-ენ-ე**, **მა-რჯე-ენ-ა**;

ზან. (მეგრ.) **მა-რძგე-ან-ი** „id“;

ზან. (ჭან.) **მა-რძგე-ან-ი** „id“;

სვან. **ლე-რსგ-ენ** „id“. (პ. ჭარაია, 1985; R. Erckert, 1895; H. Я. Mapp, 1913).

არქტიპებად საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში ***რჯუ-** ძირი, ხოლო ქართულ-ზანური ფუძე-ენის დონეზე ***მა-რჯუ-ენ-** ფუძე ჩანს სავარაუდებელი.

2. ქართ. **მა-რცხ-ენ-ე**, **მა-რცხ-ენ-ა**;

ზან. (მეგრ.) **კვარჩხ-ან-ი** „id“;

სვან. **ლე-რთ-ენ** „id“.

ამჯერად შესატყვისობა ფუძეთა შორის არა გვაქვს, თუმაც სუფიქსური ბგერათფარდობა (ქართ. **-ენ**: ზან. **-ან**: სვან. **-ენ**) აქაც კანონზომიერია.

საერთო-ქართველურ არქტიპებად ***ენ** სუფიქსი უნდა ვიგულისხმოთ.

III. ქართული **ს**: ზანური (მეგრული) **შ**.

ქართ. **ს-ულ**; **ს-ულ-ად-(აც)**; **ს-რ-ულ-**; **ს-რ-ულ-ი**, **ს-რ-ულ-ად**; **ს-რ-ულ-ი-ა-დ**, **ს-რ-ულ-ებ-ით...**

ზან. (მეგრ.) **შ-ურ-ო**, **შ-ურ-ოთ** „სულ მთლად, სრულაიდ“.

ქართულში **ს-** პრეფიქსის მასდარის უძველესი მწარმოებელია: **ს-ვლ-ა-?** (>**ს-ლვ-ა-?**), **ს-რბ-ა-?**, **ს-ყიდ-ა-?**, **ს-რვ-ა-?**...

ს-ულ<ს-რ-ულ (ს-რ-ულ-ი, ს-რ-ულ-ად...)<**ს-ლ-ულ<ს-ვლ-ულ<.*ს-ვალ-ულ**.

მაშასადამე, **სვლა** (ს-ვლ-ა, ვალ-ს) მასდარისაგან რედუქციის (ვალ>ვლ),

დისიმილაციის (სლულ>სრულ) და ძირისცვეთის (ვლ>ლ, სრულ>სულ)

შედევად მივიღეთ **სულ** (ს-ულ), სადაც ძირეული ელემენტი არც კი შემორჩა

(**ს-** მასდარის ოდინდელი პრეფიქსია, **-ულ** – მიმდებარის სუფიქსი).

ქართულ-ზანურ პრეფიქსთა სისინ-შიშინა (ს:შ) ბგერათფარდობის სხვა

მაგალითი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

§11. სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში

ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა (წინა რიგის) და შიშინა (უკანა რიგის) სიბილატთა ჩამოყალიბება და განაწილება სხვადასხვა დიალექტურ არეალსა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველ საფეხურზე სისინა სიბილანტები (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატები) უცვლელად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში. ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურისა და სვანურის იმ დიალექტებში, რომლებიც არ ემიჯნავენ ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები (ჟ შ ჯ ჩ ჭ), ამასთანავე, ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში ისევ სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში – მომიჯნავე და პერიფერიულ (დაცილებულ) დიალექტებს შორის – ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგრამ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებშიც ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ სისინა სიბილანტების შემცველი საერთო-ქართველური ლექსიკის უმეტესი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში (resp. თქმებში) ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების (თქმების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი – ამ ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სისინა სიბილანტთა შიშინად ქცევის ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული პირვანდელი ფონემური (სისინა სიბილანტური) სახით.

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შეესატყვისება, ერთი

მხრივ, უკანა რიგის (შიშინა უ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გავრცელებული თვლასაზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი შუა რიგის (სისინა-შიშინა ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთან ლექსიკური მასალაც იძლევა.

ქართული ენის დიალექტებშიც ისევე, როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე – შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტნაკლებად ცხადყოფს საერთო ქარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისა სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა → ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა) და საწარმოთქმო ადგილას უკან გადაწევა (ფუძე ენის წინა რიგის, სისინა → ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა) ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინა-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინა-შიშინა → ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისათვის ბუნებრივ და ამდენად, მოსალოდნელ, საერთო თვისებას.

სიბილანტები, როგორც ცნობილია „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართული ენის დიალექტებში (და ამ დიალექტების მეშვეობის (საწერლობო ქართულში) შემონახული საერთო-ქართველური ფუძეებიც, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები ისევე, როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადერმარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი (მეორე ნაწილის შესახებ იხ. რ. აბაშია – „სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეობისათვის ქართველურ

ენებსა და დიალექტებში“, I, 2003წ.), სადაც სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობებისათვის ამოსავალია ოდენ წინა რიგის (სისინა) სიბილანტები, ამ ვითარებას ისტორიულად – ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში – ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა: ძირითადად ასეთ ფუძეებში უკანა წარმოების ველარული ხშულებების ასიმილაციური გავლენა:

1. ა) **ბეც-ი** (სამწ. ქართ.); **ბენც-ი** (რაჭ.ლექს.) 1. „ბენბეცი, ბერბეცი, ძლიერ ბნელი დამე“ (გ. ბერიძე); 2. „ბეცი“; 3. „ბეჩი, წინდაუხედავი“ (მ. ჩიქოვანი, ალ. ღლონტი);
ბ) **ბეჩ-ი** (გურ., ზ. აჭარ.) „ლენჩი, მოსულელო, უჭკუო“ (ალ. ღლონტი; შ. ნიჟარაძე); ზანური (მეგრ.) შესატყვისი – **ბაც-უ-ა, ბაცი-აფ-ი** „მიპარვა ჩუმად“ ... (გ. კლიმოვი).
2. ა) **ბზუილ-ი** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟუილ-ი** (თუშ.) „ფუტკრების ბზუილი“ (პ. ხუბუტია).
3. ა) **ბლაცუნ-ი** (გურ.) „ტანმოშლით, უშნოდ, უაზროდ სიარული“ (მ. შარაშიძე);
ბ) **ბლახუნ-ი** (აჭარ.)ნ. ბლაცუნი (ალ. ღლონტი).
4. ა) **ბრწყინვა** (სამწ. ქართ.); ნაბერწყალი, ნაპერწყალი (ძვ. ქართ.);
ბ) **ბრწყინვა, ბრყინვა** „მცირე ბრწყინვალება“ (ს.ს. ორბელიანი); ზანური: **რწყინუა, რყინუა** (მეგრ.), **ნოპირწყალე, ნოპიწყალე** (ჭან.); სვან. ბერწყ (არნ. ჩიქობავა; გ. დეეტერსი).
5. ა) **ბურცხალა** (იმერ., გურ.) „ლიჭა, მცენარეა“ (ა. მაყაშვილი);
ბ) **ბურჩხა-ი** (გურ.) „სარეველა ბალახია“ (ა. მაყაშვილი; ალ. ღლონტი).
ზანური: **ბურჩხ-ი** (მეგრ.), **ბურჩხ-ი** (ჭან.) „სარეველა“ (ო. კახაძე).
6. ა) **ზეპა, ზეპვა** (სამწ. ქართ.); **ზეეპა** (ქიზიყ.) „ცემა, ტყეპა“ (ს. მენტეშაშვილი);
ბ) **ჟეპა** (სამწ. ქართ., ქსნ. ხეობის ქართლ.) „მიწის ტკეპნა რაიმე სიმძიმით ან ხილის დაჩეჩქვა“ (ქეგლ.), „ძლიერი ცემა“ (გ. სომხიშვილი); ზანური: **ზაპუა** (მეგრ.), **ოზაპუ** (ჭან.) – სისინა შესატყვისობა (გ. კლიმოვი);
სვანური: **ჟლიპე; ლიჟღბგნე, ხაჟღებ**.
7. ა) **ზღაზვნა** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟრანჟვა** (გურ.) „ზღაზვნა“ (მ. შარაშიძე);
8. ა) **ზრიალ-ი** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟრიალ-ი** (სამწ. ქართ.);
ზანური: **რჟიოდ-ი** „ზრიალი“ (გ. კლიმოვი); **ჟლიორ-ი** „ჟრიალი“.

9. ა) **ზრობა** (ფშ.) „გაყინვა“ (ვაჟა-ფშაველა; ა. შანიძე); „ყონვით დაწვა“ (ს.-ს. ორბელიანი);
- ბ) **ჟრობა** (გურ.) „ნელი ხარშვა“ (გ. შარაშენიძე);
ზანური: ქლირაფა „ჭკნობა“ (ეტიმოლოგიურად – „ჟრობა“).
10. ა) **ზუზღა** (სამწ. ქართ.);
- ბ) **ჟუჟღა** (ძვ. ქართ.) „ზუზღა, თხრამლი, ბოლღამი“ (ილ. აბულაძე);
ჟუჟღი „წყლულის მონადენი“ (ს.-ს. ორბელიანი); **ჟუჟღო** (ქიზ.) „წყლულის ნადენი, ჩირქოვანი სითხე“ (ს. მენტეშაშვილი).
11. ა) **კრინცხვა** (ქიზ.) ნ. კრინჩხვა (ს. მენტეშ., ალ. ღლონტი);
- ბ) **კრინჩხვა** (ქიზ.) „გაკიღვა, სხვისი ძრახვა“ (ს. მენტეშ.).
12. ა) **ლუწი** (სამწ. ქართ.);
- ბ) **ლუჭი** (ფშ.) „ლუწი“ (გ. ცოცანიძე).
13. ა) **რცხალ-ი** (ქართლ.) „ნასვენი მიწა“ (გ. შატბერაშვილი; ალ. ღლონტი);
- ბ) **რჩხალ-ი** (ქართლ.) „ნაჩხატი (მიწა), უხნავად დარჩენილი მეორე წელიწადს“ (თ. სალარიძე; ალ. ღლონტი).
14. ა) **სუსხ-ი, დასუსხ-ვა** (სამწ. ქართ.)
- ბ) **შუშხ-ი** (იმერ.) „ძლიერ შავი, დამწვარი“; **შუშხია** „ჭინჭარი“ (გ. ბერიძე),
დაშუშხვა (გურ.) „დასუსხვა“ (გ. შარაშიძე).
15. ა) **ფუცხ-ი** (სამწ. ქართ., რაჭ., ლეჩხ., მთიულ.) „ხორცის ამოსაღები ჩანგალი; საკბილა ჩანგალი ჭიდან ვედროს ამოსაღებად“ (ქეგლ., ლ. კაიშაური);
ფუცხვი „ესე არს კავოედი რკინა ქვაძით ზორცთა ამოსაღები“ (საბა);
„რკინის ფოცხი“ (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი);
- ბ) **ფურჩხ-ი** (ქართლ., ზ. იმერ., ლეჩხ.) „ფიჩხი“ (შ. ძიძიგური; ნ. კეცხოველი;
- პ. ხუბუტია); „ფოთოლგაცვენილი ტოტი“ (გ. სომხიშვილი); „მოჭრილი ხის განასხეპი წვრილი შტოები, ნაკაფის შემა“; ნ. ფორჩხი (მ. ალავეძე);
ფორჩხ-ი 1. (გურ.) „ჯღაბიანი შტო ხისა, მოჭრილი და ფოთლებჩამოცვენილი“ (ი. ჭყონია); „მრავალწვრილტოტა შტო ხისა“ (ალ. ღლონტი); 2. (სამწ. ქართ. იმერ.) „ფოცხი“ (ქეგლ.; გ. ბერიძე); 3. (კახ.) „ფარცხი“ (ა. მარტირ.);
- ზანური:** **ფოცხ-ი, ბოცხ-ი** „ფოცხი“ (მეგრ.), **ბუცხა, ბირცხა** „ფრჩხილი“;
ბუცხა (ჭან.) „ფრჩხილი; ფოცხი“ (არნ. ჩიქობავა);
- სვანური: ცხა, ცხჲ @-ჲ „ფრჩხილი“, ნაჲ @ცხ „მონაფოცხი“ (გ. კლიმოვი).
- 16 ა) **ღრძუ, ღრძო** (სამწ. ქართ.);

- ბ) **ღრჯუ** (ქართლ., იმერ.) „მიუკარებელი, უხასიათო“ ... (შ. ძიმ., ნ. კეცხ., პ. ხუბ., გ. ბერ.)
17. ა) **ღოწიალ-ი** (იმერ.) ნ. ღოღიალი (აღ. ღლონტი);
 ბ) **ღოჭიალ-ი** (რაჭ.) „ერთსა და იმავე ალაგას ტრიალი“ (გ. ბერიძე; აღ. ღლონტი).
18. ა) **ცეხვა** (სამწ. ქართ.)
 ბ) **მოჩეხება** (ლომისა) (გურ.) „ლომის საბოლოოდ გაცეხვა“ (გ. შარაშიძე; აღ. ღლონტი).
- ზანური: **ცახუა** (სისინა, შესატყვისობა); **ჩახუა** (მეგრ.); **ონჩახულე** (ჭან.) (შიშინა შესატყვისობა).
19. ა) **ცინცხალ-ი** (სამწ. ქართ.) „ნაპერწკალი, შხეფი“ (ქეგლ.);
 ბ) **ჩინჩხალ-ი** (გურ., იმერ., ლეჩხ., ფშ.) „ნაკვერცხლებიანი მუგუზალი“ (აღ. ღლონტი; ი. ჭყონია; მ. ალაგიძე; ა. შანიძე); **ჩინჩხელა** (ფშ.) „ცინცახლი, ნაპერწკალი“ (ვაჟა-ფშაველა; აღ. ჭინჭარაული).
20. ა) **წერთხალ-ი** (მოს., ხევს.) „მცენარეა ერთგვარი“, ნ. წერთხალა, წართხალი (აღ. მაყ., აღ. ჭინჭ.);
 ბ) **ჭერთხალ-ი** (მოს., მთიულ.) „წართხალა, მცენარეა“ (მაყ., დიალექტ).
21. ა) **გაწვრეთა** (ხევს) ნ. ნაწვრეთი. ნაწვრეთი „კეცეულის ნაჭერი“; გაწვრეთა „გაჭრა“ (აღ. ჭინჭარაული);
 ბ) **ჭვრეთა-ი** (თუშ.) „ტყავის დახვრება საჭვრეთლით“ (თ. უთურგაიძე);
საჭვრეთელი-ი (თუშ., მთიულ.) „ტყავის სახვრეტი იარაღი, ერთგვარი სადგისი“ (თ. უთურგაიძე; ლ. კაიშაური);
საჭვრეთა (ხევს.) „პურის საჭრელბეგლი იარაღია“ (ს. მაკალათია);
 ზანური: **ჭვერთ-ი**, **ჭორთ-ი** „მსხვილი წნელი“; წვათურუა „წათელა; დაწვეტიანება“.
22. ა) **წიკარტ-ი** (სამწ. ქართ., ლეჩხ.) „ქამრის ბალთა; აბზინდა, შესაბნევი ქამრისა“ (მ. ალაგიძე; ქეგლ.)
ჭიკარტ-ი (სამწ. ქართ.) 1. „იგივეა, რაც კნობი“; 2. კუთხ. (იმერ) „იგივეა, რაც ლურსმანი“ (ქეგლ.)
23. ა) **წიპწა** (სამწ. ქართ.) „ყურძნის კურკა“ (ქეგლ.);
 ბ) **ჭიმჭა** (იმერ.) „წიპწა, ყურძნის კურკა“ (მ. ალაგიძე).
24. ა) **წყვეტა** (სამწ. ქართ.);
 ბ) **ჭყმენტა** (ქიზიყ.) „კვნეტა; წყვეტა“ (ს. მენტეშაშვილი).
25. ა) **ძაბუნი** (სამწ. ქართ.);

ბ) ჯაბუნ-ი (გურ.) „ძაბუნი“ (აღ. ღლონტი)

26. ბეზუა (ქეგლ., იმერ.)

– ბეჟუა (ქეგლ.) ზანური შესატყვისი ბაზ-უა;

27. ბურძგ-ი (გურ.) ბუძგ-ი (ლენხ.)

– ბუჯგ-ი (აჭარ.) – ბუძგ-ი (ზან.)

ზრზ-ოლ-ა (ძვ. ქართ.) ზრზ-აღ-ი (მესხ.)

ჟრჟ-ო (ქიზიყ.) – ჟრჟ-ოლ-ა (ახ. ქართ.) – ზარზ-აღ-უა, ჟარჟ-აღ-უა (ზან.);

კენიწ-ი (ქართლ., ქიზ.) – კენიჭ-ი (ლენხ.);

კნაწა (ქიზიყ.) – კნაჭა (ლენხ., ზ. იმერ., ქიზიყ.);

ნარცხ-ი (ქიზიყ.), – ნარჩხ-ი (ქიზიყ.);

ღრძ-ილ-ი (ქეგლ.), – ღჯ-ილ-ი (ქეგლ., გურ., ლენხ.) – ღინჯგ-ილ-ი (ზან.);

ფარცხ-ვა (ქეგლ.) – ფარჩხ-ვა (ლენხ.) – ფოცხ-უა (ზან.);

ფრცხ-ილ-ი (ქეგლ.) – ფრჩხ-ილ-ი (ქეგლ.) – ბირცხ-ა; ბუცხა (ზან.);

ფოცხ-ი (ქეგლ.), ფორცხ-ი (ქიზ.) – ფორჩხ-ი (ქეგლ., კახ., იმერ.) ფონხ-ი (ქართლ., რაჭ.) – ფოცხ-ი, ბოცხ-ი (ზან.);

ცენდ-არ-ი (ფშ., იმერ.), – ჩენდ-არ-ი (ლენხ.) – ცანდ-არ-ელ-ი (ზან.);

ძა?ველ-ი, ზახველი, ძახველ-ა, მძახველ-ი (მთიულ., ფშ., ხევს., ქვ. რაჭ.) – ჯახველ-ა (ქართლ., მესხ., რაჭ., ლენხ., იმერ.) – ჟა?უერ (სვან.);

ძენძ-ი (ქეგლ.) – ჯენჯ-ი (ქეგლ., იმერ., გურ.);

ძონძ-ი (ქეგლ.) – ჯონჯ-ი (მთიულ.);

ძაგარ-ი (ხევს.) ძაგარა-ი (გურ.) – ჯაგარ-ი (ქეგლ.);

ძირკ-ი, ძირკ-გი (გურ.) – ჯირკ-ი (ქეგლ.) ჯიკ-გი (გურ.), (ზან.)

ძმერხლ-ი (გურ.) – ჯმერხლ-ი (იმერ.);

წნეხ-ა, წნეხ-ვა (ქეგლ., გურ., იმერ.) – ჭნეხ-ა (გურ.), ჭნეხ-ვა (იმერ.),

დაჭნეხ-ა (გურ., აჭარ.) – ოჭინახ-უ (ზან.)

დაწრეხ-ა, დაწრეხ-ილ-ი (მოს., მთიულ.) – დაჭრეხ-ილ-ი (ფშ., ხევს.) წირახ-ილ-ი/წილახ-ილ-ი (ზან.)

დაწუხ-ვა „დახუჭვა“ (საბა) – დაჭუხ-ვა „თვალთ დახურვა, დაწუხვა“ (საბა);

და-ხუჭ-ვა „თვალთ მოკრება, დაჭუხვა“ (საბა);

წმახე (მესხ.) – მჭახე (გურ., აჭარ.);

წყურტ-ი (ქეგლ., ლენხ.) – ჭყურტ-ი (ქეგლ., ზ. აჭარ.) და სხვ.

წარმოდგენილ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტებს არა აქვთ ფუნქციური დატვირთვა და, შესაბამისად, არ იწვევენ მორფოლოგიურ ან სემანტიკურ ცვლილებებს. როგორც ჩანს, ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტმა ქართული ენის დიალექტებშიც (როგორც ზანურ-სვანურში) მოგვცა არა მხოლოდ სისინა, არამედ – შიშინა ეკვივალენტიც.


სამწერლობო ქართულშიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის როგორც სისინა (მაგ., ძვ. ქართ. ზრზოლა), ისე – შიშინა (ახ. ქართ. ჟრჟოალ) სახეობა, ასევე, სამწერლობო ქართულში ერთდროულადაც დასტურდება დიალექტური სისინა სიბილიანტიანი (მაგ., ლეჩხუმური წყურტი) და შიშინა სიბილიანტიანი (ზ. აწარული ჭყურტი) ფუძეები.

ამ სახით დროთა განმავლობაში ქართველურ ენებსა და დიალექტებში (resp. თქმებში, მიკრო-ენობრივ ერთეულებში) მკვიდრდებოდა როგორც სისინა, ისე – შიშინა სიბილიანტიანი ფუძე ან, უმეტესწილად – ერთ-ერთი მათ შორის (ქართულში: მეტად-სისინა, ნაკლებად-შიშინა; ზანურსა და სვანურში: ძირითადად-შიშინა, ნაკლებად-სისინა).

ქართველური ფუძე-ენის სისინა (წინა რიგის) სიბილანტთა ეკვივალენტების განაწილება ქართველურ ენებსა და დიალექტებში მარტივი სქემით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

სვანური დიალექტები
(ერთი დიალექტური წრე)

ქართული ენა და დიალექტები
(ერთი დიალექტური წრე)



ქართველურ ენებში სიბილანტთა შესატყვისობის ასეთი პირობების ვარგლებში შესაძლებლად გვესახება შემდეგი ვარაუდების დაშვება:

1. ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალია ოდენ სისინა (წინა რიგის) სიბილანტები;
2. ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტებმა ზანურ-სვანურ დიალექტების მსგავსად ქართული ენის დიალექტებშიც (და ამ დიალექტების მეშვეობით – ზოგჯერ სამწერლობო ქართულშიც) მოგვცეს არა მხოლოდ სისინა, არამედ – შიშინა ეკვივალენტებიც;
3. ქართულ-ზანურ-სვანური დუბლეტური ფუძეები შიშინა სიბილანტების ამოსავლად ფუძე-ენაში ვერ დავუშვებთ ასევე შიშინა სიბილანტებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ზანურ-სვანურში შესატყვისად უნდა გვექონოდა სიბილანტური თანხმოვანკომპლექსები;
4. ქართველურ ფუძე-ენაში სისინ-შიშინა (შუა რიგის) სიბილანტთა დაშვებას ეწინააღმდეგება ქართველურ ენებსა და დიალექტებში სიბილანტურ ფონემათა გადაწევის წესი:

საარტიკულაციო ადგილის ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ – გადაწევის საერთო-ქართველური წესის შესაბამისად ფუძე-ენის სავარაუდო სისინ-შიშინა (შუა რიგის) სიბილანტებს ქართულ ენა-

დიალექტებშიც უნდა მოეცა შიშინა (უკანა რიგის) და არა – სისინა (წინა რიგის) სიბილანტები. ქართულში მოსალოდნელ შიშინა სიბილანტებს კი – ზანურსა და სვანურში უნდა ჰქონოდა შესატყვისად სიბილიანტური თანხმოვანთკომპლექსები, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ გამორიცხავს ქართულ ენასა და დიალექტებში ისტორიულად არსებული და დღესაც ცოცხალი დუბლეტური ფუძეები ქართველურ ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვებას.

5. სამწერლობო ქართულსა და მის დიალექტებში დუბლეტური ფუძეების (სისინა და შიშინა სიბილანტიანი სახეობების) არსებობა აშკარად ასახავს იმ რეალობას, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი „შიშინა“ ჯგუფის ენა-დიალექტებში – ზანურსა და სვანურში. ეს ვიტარება ქართულ ენასა და დიალექტებსაც ერთგვარად „შიშინა“ ჯგუფის წრეში აქცევს და ქართველურ ენათა ფონემატურ სტრუქტურას სიბილანტური სხვადასხვაობის ბარიერის მოშლით აახლოვებს ერთმანეთთან.
6. ცხადია, უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა შესატყვისობის შემთხვევაში (ქართული – შიშინა სიბილანტი: ზანურ-სვანური – სიბილანტური თანხმოვანთკომპლექსი) დუბლეტურ ფუძეებთან დაკავშირებული ზემოხსენებული წესი არ ვრცელდება, ვინაიდან ასეთი შესატყვისობა ფუძე-ენაში შიშინა სიბილანტის რეკონსტრუქციას გულისხმობს.
7. ქართულ ენასა და დიალექტებში დასტურდება ერთი ფუძე, სადაც სისინა და შიშინა სახეობებს შორის ამოსავალია არა სისინა და შიშინა სახეობებს შორის ამოსავალია არა სისინა (იხ. ზემოთ), არამედ – შიშინა სიბილანტი, ვინაიდან ზანურ-სვანურ შესატყვის ფუძეში ქართული შიშინა სიბილანტის ეკვივალენტად სიბილანტური თანხმოვანთკომპლექსი დაჩნდება. მაგალითად, ქართული **ღრძ-ილ-ი** (სამწ. ქართ.), **ღჯ-ილ-ი** (გურ., ლეჩხ.): ზანური **ღინჯგ-ილ-ი** „ღრძილი; ძირა კბილი“ (ჭან.). შესატყვისობის მიხედვით ზანური **ღინჯგ-ილ-** (სადაც ჯგ სიბილანტური თანხმოვანთკომპლექსია წარმოდგენილი) ვერ მიიჩნევა ქართული ღრძ-ი- ფუძის შესატყვისად, ვინაიდან ქართულ-ზანურ ძ:ჯგ ბგერათფარდობა არღვევს კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის ცნობილ წესს, მაგრამ ქართულში აღმოჩნდა შიშინა სახეობაც (ღჯ-ილ-), რომელიც დიალექტებმა შემოინახეს და რომელშიც სწორედ ქართველური ფუძე-ენის შიშინა (ჯ) სიბილანტის,

როგორც მოსალოდნელი იყო, ასევე შიშინა (ჯ) ეკვივალენტია წარმოდგენილი, – ზანური (ჯგ) სიბილანტური თანხმოვანთკომპლექსის კანონზომიერი შესატყვისი.

8. ვინაიდან ქართულში ძირითადად დასტურდეს ისეთი დუბლეტური ფუძეები, რომელთათვის ამოსავალია სისინა და არა – შიშინა სიბილანტიანი სახეობა, აქედან დავასკვნათ: ქართულ ენასა და დიალექტებშიც, ზანურ-სვანურის მსგავსად, მომხდარა არტიკულასიური ბაზისის უკან გადაწევა: სისინა – შიშინა (წინა რიგი – უკანა რიგი).
9. საერთო-ქართველურ ფუძეთა ხმაბაძვითი ხასიათი არ ქმნის დაბრკოლებას ფუძე-ენაში სისინა სიბილანტების აღსადგენად, ვინაიდან ამ რიგის ხმაბაძვით სიტყვებშიც ქართულ სისინა სიბილანტიან ფუძეს შეესატყვისება ზანურ-სვანური სისინა ან შიშინა სიბილანტიანი ფუძე და ისევ ხორციელდება ბერათშესატყვისობის ცნობილი წესი, როგორც სხვა რიგის სტყვებში.
10. სიბილანტთა მეორე (უკანა) რიგის შესატყვისობაც – ქართ. – შიშინა: ზანურ-სვანური – შიშინა + უკანა წარმოების ველარული (ხშული და სპირანტი) (შ: შქ, შგ; ჟ: ჟღ, ჟღ; ჩ:ჩქ, შგ; ჭ: ჭკ, შკ, შკ; ჯ: ჯგ) – ადასტურებს ქართველურ ენებში ფუძე-ენის სიბილანტურტ ფონემათა (როგორც სისინათა, ისე – შიშინათა) ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ – გადაწევის საერთო წესს, ვინაიდან ზანურ-სვანურში (ფართოდ) და ქართულში (ნაწილობრივ: მჭნარი-მჭკნარი, ბრჭალი-ბრჭყალი, ჟერა-ჟღერა ...) ფუძე-ენის შიშინა სიბილანტებმა განივითარეს უკანა წარმოების (და არა წინა წარმოების) ხშულები (გ, ქ, კ, ღ და არა – დ, თ, ტ ...) საწარმოთქმო ადგილის უკანა მიმართულებით გადაწევის საკომპენსაციოდ.

ამრიგად, ქართველურ ენებსა და დიალექტებში სიბილანტურ ფონემათა ამგვარი განაწილებისათვის ისტორიული საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საგულვებელი, რაც გულისხმობს სიბილანტთა ეკვივალენტების ჩამოყალიბებას ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის, ამ დიალექტთა ურთიერთგავლენის, გარდამავალი და ნარევი დიალექტური ზოლების მიხედვით.

თავი II

საერთოქართველური ლექსიკა სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით და ქართველური ეტიმოლოგიები

ქართველურ ენათა ისტორიის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, საერთო-ქართველური ფუძეების (resp. ძირების) გამოვლენასა და ანალიზს გულისხმობს. ამ მხრივ მოძიებული თითოეული ლექსემა უაღრესად ფასეულია ქართული, ზანური და სვანური ენების უძველეს მონაცემთა აღსადგენად და საერთო-ქართველური ფუძე-ენის არქეტიპთა სარეკოსტრუქციოდ. აქ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების ფუძე-ძირთა შედარებითი ანალიზი, თუ მათ შორის ფონემურ-სემანტიკური შესატყვისობა მისაღები იქნება, ამ მიზანს ემსახურება.

1. ქართ. ბანჯველ-ი „ავი ბალანი“ (ს.ს. ორბელიანი, I, 1991);

ბანჯველ-იანი „იგივეა, რაც ბანჯგველიანი“ (ქველ.);

ბანჯგველ-ი, ბანჯგველ-ია-.

მეგრ. ბონძგორ-ი „ბანჯგველი“;

ბონძგორ-ამ-ი „ბანჯგველიანი“.

ბანჯგველ- ფუძეში მეორე ა ხმოვანი აღდგება, რასაც ადასტურებს დიალექტური ბანჯგველ-ი „ბანჯგველი, ტანზე დიდი თმა“ (ლევხ., მ. ჩიქ., 1941, იხ. ლლონტი, 1984). ზანური (მეგრული) ბონძგორ- ქართული ბანჯგველ- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია. ჯ : ძგ ბგერათფარდობა ვ(<*O)-ს გავლენის შედეგია.

ქართულ დიალექტებში „ბანჯგველისა“ და „ბანჯგველიანის“ მნიშვნელობით ასევე გვხვდება: ბანჯველ-ი, ბონძვერ-ა || ბონძვერ-ა-ი (შარაშ., 1938; ა. ლლონტი, 1984); ბანგელ (ინგილ., 1913); ბანდღელ-ი, ბანდღელ-იანი-ი (მთიულ., ლ. კაიშ., 1967); ბარდღალ-ა (ქართლ., სტ. მენტეშ., 1970). მეგრულში დასტურდება: ბოდორ-ი, ბონძორ-ი (И. Кипшидзе, 1914); ბოდობ-ი, ბონძორ-ი, ბოდღორ-ი (გ. ელიავა, 1997).

დიალექტური ვარიაცია ქართულ-ზანური ბგერათშესატყვისობის კიდევ ერთი მაგალითის გამოვლენის საშაულებას იძლევა.

ქართ. ბანდღელ-ი, ბანდღელ-იანი-ი (მთიულ.);

ბარდღალ-ა (ქართლ.).

მეგრ. ბორდღორ-ი, ბონდღორ-ი (იხ. აგრეთვე, რ. აბაშია, VIII, 1998).

ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დონეზე არქეტიპად ***ბანჯგაალ-** და ***ბანდღალ-** ფუძეებია სავარაუდებელი.

2. ქართ. **ბრჭ-**ალ-ი „ფრჩხილი“ (ს.ს. ორბელიანი, 1991); „ქუსლი, ტერფი, თათი, მუჭი“ (ილ. აბულაძე, 1973);
ბჭ-ალ-ი „ბრჭალი“ (ზ. სარჯველაძე, 1995).

მეგრ. **ბიწკ-**ი „ცერი: თითის წვერი“.

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „ვ ელი მისი მოხუეულ იყო **ბრჭალსა** ესავისსა“, დაბ., 25, 26; „**ბრჭალითგან** ფერვ ისა?თ ვიდრე თავადმდე“, II მფ. 14, 25 (იხ. აბულაძე, 1973); „ყოველი ქუეყანაჲ **ბჭალითა**“. ლატალ. ლექც. 5r, 23-24b (იხ. სარჯველაძე, 1995).

ბრჭ- ძირის კანონზომიერ შესატყვისად ზანურში **ბიწკ-** გვაქვს (შდრ. რ. აბაშია, IX, 1998); ი რეფლექსია **რ** სონანტისა, ასევე **რ-**ს გავლენის შედეგად მივიღეთ **ჭ** : **წკ** ბგერათფარდობა.

ბრჭ- ძირში (**ბრჭყ-**ალ-ი) **ყ** განვითარებულია. აფრიკატების მომდევნო პოზიციაში უკანაენისმიერთა განვითარება ქართულისათვის უცხო მოვლენა არაა (შდრ.: ძვ. ქართ. **მჭნარი** > ახ. ქართ. **მჭკნარი**). ამდენად, ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ამოსავლად ***ბრჭ-** არქეტიპი უნდა ვიგულისხმოთ. ამასთანავე, საფიქრებელია, **ბრჭ-**ალ- (> **ბრჭყ-**ალ-) ფუძეს დიალექტური სისინა ვარიანტებიც ჰქონოდა ქართულში, რასაც ადასტურებს **ბრწკ-**ალ-ი „ხიწვი“ (ქეგელ.), „ბრჭყალი, კლანჭი“ (ქეგელ.), **ბწკ-**ალ-ი „ფრჩხილი“ (მთიულ.) **პწკ-**ილ-ი „ფრჩხილი“ (ქიზიყ.), „ფრჩხილის წაზრდილი ნაწილი“ (ქართლ.); **პწკ-**ალ-ი „ბრჭყალი“ (თუშ., მთიულ., გუდამაყარ., იხ. ა. ღლონტი, 1984).

როგორც ჩანს, ამავე ეტიმოლოგიურ წრეში შემოდის გ. კლიმოვისა და ზ. სარჯველაძის მიერ გამოვლენილი შრსატყვისობის მაგალითებიც, რომლებიც საანალიზო (**ბწკ-/პწკ-**) ფუძისგან ნაწარმოებ ნასახელოდ ზმნებს უნდა წარმოადგენდნენ: ქართ. **ბრწკ-ენ-ა/ბწკ-ენ-ა**: მეგრ. **ბიწკ-ონ-უ-ა**: სვან. **ლი-ჰენწკუ-ე** (Г. Климов. 1964; ზ. სარჯველაძე, იხ. პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

3. ქართ. **დონდ-**ლ-ო;

მეგრ. **დორდ-**ი-ა||**ჯორჯ-**ი-ა „დონდლო, ზანტი, დუნე, დინჯი...“

ი-**დორდ-**უ „დონდლოდ, ზანტად იქცევა“.

ამავე ეტიმოლოგიური წრისაა დიალექტური ლექსემებიც: **დონდლე** (რაჭ.) „ტლანქი, მოუხეშავი“ (ვ. ბერიძე, 1912); **დონდლოა** (ზ. იმერ.) „წყნარი, ბუნჩულა“ (ბ. წერეთელი, 1938); **დონდლო-ჩინა** (ქართლ.) „დუნე კაცი“ (თ. რაზიკაშვილი, 1900; ი. ჭყონია, 1910).

დონდ-ლ-ო ლექსემაში -ლ სუფიქსის ელემენტი ჩანს, რასაც დიალექტური დონდ-ოლ-ა-ც (ზ. იმერ.) ადასტურებს (იხ. აგრეთვე რ. აბაშია, VII, 1989). იმერულ დიალექტში გვხვდება ასევე **ჯორჯალი** ლექსემაც მნიშვნელობით – „მიჯორჯლება, ნელა, ზანტად მიტრიალ-მოტრიალება“ (ვ. ბერიძე, 1912), რომელიც თითქოს ზანიზმი ჩანს. **დორდია** მეგრულის არც ერთ ცნობილ ლექსიკონში დასტურდება. მხოლოდ **ჯორჯ-ი** „ზანტი“ გვხვდება (გ. ელიავა, 1997).

ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე ***დონდ-** არქეტიპი უნდა ვივარაუდოთ.

4. ქართ. **მუჭ-ი; მუჭ-ა; მუჭ-ავ-ს; მო-მუჭ-ვა; მუჭა-მუჭა;**

მეგრ. **მუწკ-ა** „მუჭა“; **მუწკა-მუწკა** „მუჭა-მუჭა“.

როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური შესატყვისობისათვის წარმოდგენილ ფუძეებს შორის თითქოს დაბრკოლება არა ჩანს. ქართულ-ზანური ჭ : წკ ბგერთფარდობა პოზიციურია.

მუჭ-ი ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ძველ ქართულის ლექსემებს: **მჭელ-ი** „მუჭი, მუშტი, მჯილი; ძნა“ (ი. აბულაძე, 1973), „პეშვი“ (ს.-საბა, 1991); **მჭელ-ეულ-ი, მჭელ-ეულ-ი, მჭ-ეულ-ი** „თაველი, ძნა“, **სა-მჭ-ელ-ეულ-ი** „ძნა, კონა“, ასევე, დიალექტურ ფორმებს: **ნა-მუჭ-ი** „ხელეული, მჭელეული“...; **ნა-მჭ-ობ-ი** „ნამჯა; ნამუჭი“ (ქიზიყ), **მუჭკ-ა** „სათესლედ შენახული ღომის თავთავი“, „ერთი მუჭა ღომის თავთავი“... (გურ.). დაკავშირება ეკუთვნის ალ. ჭინჭარაულს. იხ. ა. ჭინჭარაული, 1985, 125).

ფუძე-ენის დონეზე სავარაუდოა ***მუჭ-** არქეტიპი.

5. ქართ. **სრულ; სრულ-ი** <<სავსე>> მრთელი, <<ცოცხალი>>, მთლიანი;

სრულ-ად, სრულ-ი-ად, სრულ-ებ-ით... (ილ. აბულაძე, 1973);

სულმცირედ „მოკლედ“ (ზ. სარჯველაძე, 1995); **სულ** (<სრულ);

სულ-ად-(აც), სულ მთლად, სულ ცოტა, სულ მუდამ, სუყველა (<სულყველა)...) (ახ. ქართ.)

მეგრ. **შურ-ო** „სულ; მთლად; სრულიად“; **შურ-ოთ** „id“,

დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „**სრული** საქმ? ქმნეს დმერთმან შენ თანა“ O, ივდ. 11, 4; „ამათ **სრულ** ქმნეს სიკეთ? შენი“ O, ეზეკ. 27, 11 (იხ. ი. აბულაძე, 1973); „რადენ უძლო, მარტივად და **სულმცირედ** აღვწერო... პირისა მისისაგან მოთხრობილი...“ გიორგი მთაწმ. 105, 14; „ყოველივე **სულმცირედ** და მოკლედ მიგითხრა“, იქვე 114, 22 (იხ. ზ. სარჯველაძე, 1995).

სულ მიღებულია **სრულ** ფორმისაგან, მეორეს მხრივ კი **სრულ<სლულ-** (ა. ჩიქობავა, 1942, 67).

საანალიზო ფუძისაგანაა ნაწარმოები: აღმასრულებელი, აღსასრული, გამოსრულება, გა(ნ)სრულება, დასასრული, დასრულება, დაუსრულებელი, მისრულება, მოსრულება, სისრულე, უსრული, შესრულება, წარმოსრულება, წასრულება, სრულად, სრულება, სრულებით, სრულიად, სრულ-ქმნა, სრულმყოფელი, სრულ-ყოფა და სხვ. (იხ. ი. აბულაძე, 1973).

სრული „მთელი, მთლიანი“ ეტიმოლოგიურად **სღვა-ს** (<ს-ვლ-გ-ა <*ს-ვალ-გ-ა) უნდა უკავშირდებოდეს, ამ უკანასკნელს კი საყრდენად აქვს ვალ ზმნური ძირი. ამდენად, ერთი საერთო ძირისაგან წარმოქმნილი ფუძეა (ფუძეებია), რომელსაც სემანტიკური გადაწევის შედეგად სხვადასხვა კონტექსტში ასევე სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა მოეპოვება.

მართებული არაა პ. ჭარაიას თვალსაზრისი **შურ-ო** „სულ, მთლად“ ლექსემის **შურ-ი** „სული; სუნი“ სახელთან დაკავშირების შესახებ (პ. ჭარაია, 1997, 156) **შური** ი. ყიფშიძესაც აქვს დამოწმებული: **შურო** «совсем, совершенно», **შურო-თი** „и совсем“ (И. Кипшидзе, 1914), თუმცა ის არაფერს ამბობს მისი ეტიმოლოგიის შესახებ. პ. ფენრიხს **სრ-ულ-ი/სრ-ულ-იად** ფორმათა სვანურ შესატყვისად **სურ-უ** „ძლიერ; მთლიანად“ მოაქვს (პ. ფენიხი, 1982a, 36; პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990). სვანურში, როგორც ზანურში, შიშინა შესატყვისი უნდა გვექნოდნა. ამიტომ სვანურშიც, როგორც ზანურის სისინა ფორმებში (**სრულ-ი**, **რსულ-ი**, **რსულ-ო** „სულ, სრულიად“) ქართულიდან შესული ფუძე უფრო უნდა გვექნოდნეს, ვიდრე შესატყვისი.

მაშასადამე, ქართულში: **სულ<სრულ<*სლულ<*სვლ-ულ** (**სვლ-ა<*ს-ვალ-ა<ვალ-**). ვალ ზმნური ძირისგანაა ნაწარმოები ასევე ძველი ქართული **გუალ-** „წასვლა; მოსვლა; ადგომა; რბენა“ (ი. აბულაძე, 1973), რომელიც ზანურში შევიდა **გვალ-** (**გვალ-ო**, **გვალ-ე**, **გვალ-ას** „სულ, მთლად, სრულად“) ფუძის სახით და გადატანითი მნიშვნელობით (აქ ასეთივე სემანტიკური გადაწევა მოხდა, როგორც სრულ-სულ-შური შემთხვევაში გვაქვს).

ქართული **სულ** და ზანური (მეგრული) **შურ-** ფორმებისათვის ფუძე-ენის ერთიანობის გარკვეულ საფეხურზე **სრ-ულ-/*ს-ულ-** არქეტიპი ჩანს ამოსავალი.

6.ქართ. მ-ტკიც-ე <<მძლავრი>>, მყარი, <<მაგარი>>, <<ძლიერი>>, <<გულპყრობილი>>; მ-ტკიც-ებ-ა მიკვრა, მიმაგრება“, გან-მტკიც-ებ-ა <<განმაგრება>>, <<განძლიერება>>, <<გამყარება>>; მ-ტკევ-ა, და-მტკევ-ა „დამტკიცება“ (ი. აბაშიძე, 1973); მ-ტკიც-ე-ობ-ა-? „სიმტკიცე“, მ-ტკიც-ობ-ა „მტკიცედ დგომა“, მ-ტკიც-ოვ-ა

„დამტკიცება“, და-მ-ტკეც-ილ-ი „გამაგრებული“ (ზ. სარჯველაძე, 1995).

მეგრ. ტკიხ-ინ-აფ-ა, გო-ტკიხ-ინ-აფ-ა „განმტკიცება; გამაგრება; გამყარება; გასკდომამდე გაბერვა (ტყავის გამაგრება)“;

ტკიხ-ალ-ი, გო-ტკიხ-ინ-აფ-ილ-ი „მტკიცე; მაგარი, მკვრივი; მყარი; განმტკიცებული“, გო-ტკიხ-ონ-დ-გ/უ „გამაგრდა; გამკვრივდა, გამყარდა“; გადატ. „დასკდომამდე გაიბაერა, გამაგრდა“.

გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში:

„ყენა მკლავნი ჩემნი ვითარცა მშლდი მტკიცე“ ფს. 17, 35; „მძლავრ (მტკიცე M) არს ვითარცა სიკუდილი სიყუარული“ O, ქება, 8, 6; „მხულივი ჳ ელითა იმტკიცების კლდესა“ O, იგ. სოლ. 30, 28; „დამტკეცილ არს ჩუენ შორის“ O, ივდ. 8, 21.

მ-ტკიც-ე ნაზმნარი სახელაი, მ- – -ე მიმღეობური აფიქსებით გაფორმებული. მისი საყრდენი ზმნური ფუძე დრეკადია: ტკეც-/ტკიც- ქართული ტკიც- და ზანური ტკიხ- კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მაგალითებს წარმოადგენენ, სემანტიკური შესატყვისობისთვისაც დაბრკოლება არა ჩანს. საანალიზო ფუძეს უნდა შეიცავდეს ზმნური ტკეც-ს/ს-ტკიც-ა ფორემბი, რომელთაც მეგრულში ტკაჩ-უ-ა „დარტყმა, ცემა“ და სვანურში ლი-ტკჩ-ე „დარტყმა“ მოუღით შესატყვისად (პ. ჭარაია, 1997; Г. Климов, 1964). ტკიც- ძირისაგან ჩანს აგრეთვე ნაწარმოები ხმაბაძვითი სიტყვები: ტკიც-ინ-ი –1. „უხმარი მტკიცე ქაღალდის მოძრაობით გამოცემული ხმა“, 2. „ხმელი შეშის წვით გამოცემული ხმა“, ტკიც-ინ-ა – 1. „რაც ტკიცინებს“, 2. „ახალი უხმარი“ (ქეგლ.) შდრ.: აგრეთვე ტკაც-ან-ი, ტკაც-უნ-ა.

ი. ყიფშიძის მოწმობით მეგრულში გვხვდება ასევე გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული – ტკიხ-უ-ა, გილა-ტკიხ-უ-ა надувается, раздуваться (И. Кипшидзе, 1914), ხოლო მეგრული ტკეც-უ-ა/ტკიც-უ-ა (И. Кипшидзе, 1914), და ჭანური მ-ტკეც-ი (Н. Мара, 1910) ქართულიდან შემო-სულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

ფუძე-ენის დონეზე არქექტიპად *ტკეც-/*ტკიც- ძირი და *ტკიც-ინ- ფუძე არის საეარაუდებელი.

7.ქართ. წუწ-ვ-ა; გა-ი-წუწ-ა; გა-წუწ-ავ-ს;

გა-მ-წუწ-ვ-ელ-ი; სა-წუწ-არ-ი;

მეგრ. ჭუჭ-ელ-ი, ჭუჭ-ელ-ე „ჭინჭარი“,

ჭან. ტუტ-უჯ-ი (<*ჭუჭ-უჯ-ი) „ჭინჭარი“.

ჭინჭარ-ს (ძველი ქართული ჭინჭარ-ი) ჭანურში დიჭკიჯ-ი „ჭინჭარი“ მოუდის შესატყვისად (H. Mapp, 1910 139). ჭანური (ვიწრო კილოკავი) ო-ჩხაპ-ულ-ე „ჭინჭარი“ (ეტიმოლოგიურად „მჭრელი, კბენია“) ლექსემის ჩხაპ- ძირის ძველ ქართულ ქართულ შესატყვისად კი ჩხუეპ- (ჩხუეპ-ა „დაჭრა“) არის ცნობილი (ბ. გიგინეიშვილი, იხ. გ. კარტოზია, 1986, 6).

მეგრულში ხსენებულ ძირთა შესატყვისი თითქოს არ ჩანს: აქ „ჭინჭრის“ აღსანიშნავად ჭუჭ-ელ-ი/ჭუჭ-ელ-ე გამოიყენება, რომლის ჭუჭ- ძირი ქართულ წუწ- (წუწ-ვ-ა) ძირს უნდა უკავშირდებოდეს. ფონემურად კანონზომიერი შესატყვისობაა, მაგრამ სემანტიკური დაკავშირება უდავო ვერ იქნება (მნიშვნელოვანი დაცილებაა) თუმცა ამოსავალი, საზიარო მნიშვნელობის დანახვაც შესაძლებელი ჩანს: ჭუჭ-ელ-ი = მ-წუწ-ავ-ი, მ-წუწ-ვ-ელ-ი. შდრ.: სუსხ- ი>მ-სუსხ-ავ-ი (ჭინჭარი).

ჭანურში ტუტ-უჯ-ი ლექსემაც დასტურდება „ჭინჭრის“ მნიშვნელობით, (H. Mapp, 1910), რომელიც *ჭუჭ-უჯ- ფუძის დეზაფრიკატიზებული ფორმა ჩანს: ჭანურ ფუძეში აფრიკატთა (ორი ან ორზე მეტი) თავმოყრა დამახასიათებელი არაა, ასეთ შემთხვევაში დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია იჩენს თავს. უნდა ვიფიქროთ, რომ საანალიზო ფუძეშიც ასეთი ფონეტიკური პროცესი განხორციელდა (ამას მეგრულის შესაბამისი ფუძეც გვაფიქრებინებს) : ტუტ-უჯ- <*ჭუჭ-უჯ-. მეგრულში ქართული -ელ სუფიქსია (ჭუჭ-ელ-) წარმოდგენილი, ჭანურში კი ქართული -ელ სუფიქსია (ჭუჭ-ელ-) წარმოდგენილი, ჭანურში კი ქართული -(ა)რ სუფიქსის შესატყვისი -(უ)ჯ (შდრ.: ჯინჭ-არ- : დიჭკ-იჯ-; ბუტკ- არ-ბუტკ-უჯ- და სხვ.)

ამასთანავე, ვფიქრობთ, მეგრული ჩხაპ-ძირი (ჩხაპ-უ-ა „გაწუწვა, სხურება; რწყვა“) ჭანური ო-ჩხაპ-ულ-ე-ს ჩხაპ- ძირის კანონზომიერი ეკვივალენტია. ძველ ქართულ ჩხუეპ-ა-სთან დაკავშირებაც მართებული ჩანს, მაგრამ ასახსნელია, თუ რატომ არ მივიღეთ მეგრულ-ჭანურში მოსალოდნელი ჩხეაპ- შესატყვისი, მითუმეტეს, რომ მეგრულში ეს ჩხეაპ- კი დასტურდება, მაგრამ არა „ჭინჭრის“ აღმნიშვნელ ფუძეში, არამედ „ცემა; გარტყმა“-ის მნიშვნელობით.

ფუძე-ენის დონეზე არქეტიპად *წუწ- ძირი უნდა ვიგულისხმოთ.

ქართველურ ენათა ისტორიის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, საერთო ქართველური ფუძეების (resp. ძირების) გამოვლენასა და ანალიზს გულისხმობს. ამ მხრივ მოძიებული თითოეული ლექსემა უაღრესად ფასეულია ქართული, ზანური და სვანური ენების უძველეს მონაცემთა აღსადგენად და საერთო-ქართველური ფუძე-ენის არქეტიპთა სარეკონსტრუქციოთ. აქ წარმოდგენილი

ლექსიკური ერთეულების ფუძე-ძირთა შედარებითი ანალიზი, თუ მათ შორის ფონემურ-სემანტიკური შესატყვისობა მისაღები იქნება, ამ მიზანს ემსახურება.

ქართ. ბანჯველ-ი „ავი ბალანი“ (ს. ს. ორბელიანი, I, 1991);

ბანჯველ-იან-ი „იგივეა, რაც ბანჯგველიანი“ (ქველ);

ბანჯგველ-ი, ბანჯგველ-იან-ი.

მეგრ. ბონძგორ-ი „ბანჯგველი“,

ბონძგორ-ამ-ი „ბანჯგველიანი“,

ბანჯგველ- ფუძეში მეორე ა ხმოვანი აღდგება, რასაც ადასტურებს დიალექტური ბანჯგველ-ი, „ბანჯგველი, ტანზე დიდი თმა“ (ლექს., მ.ჩიქ., 1941, იხ. ა. ლლონტი, 1984). ზაანური (მეგრული) ბონძგორ – ქართული ბანჯგველ-ფუძის კანონზომიერი შესატყვისია. ჯ:ძგ ბგერათფარდობა ვ(<*უ)-ს გავლენის შედეგია.

ქართულ დიალექტებში „ბანჯგველისა“ და „ბანჯგველიანის“ მნიშვნელობით ასევე გვხვდება: ბანჯველ-ი, ბონძვერ-ა-ი (შარაშ., 1938; ა. ლლონტი, 1984); ბანგლ (ინგილ., 1913); ბანდლლ-ი, ბანდლლ-იან-ი (მთიულ., ლ. კაიშ., 1967); ბარდლალ-ა (ქართლ., სტ. მენთეშ., ც1970). მეგრულში დასტურდება: ბოდორ-ი, ბონძორ-ი (И. Кипшидзе, 1914); ბოდოდ-ი, ბონძორ-ი, ბოდლორ-ი (გ. ელიავა 1997).

დიალექტიკური ვარიაცია ქართულ-ზაანური ბგერათშესატყვისობის კიდევ ერთი მაგალითის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ქართ. ბანდლლ-ი, ბანდლლ-იან-ი (მთიულ.);

ბარდლალ-ა (ქართლ.)

მეგრ. ბოდლორ-ი, ბონდლორ-ი (იხ. აგრეთვე, რ. აბაშია, VIII, 1998).

ქართულ-ზაანური ენობრივი ერთიანობის დონეზე არქეტიპად *ბანჯუალ-და *ბანდლალ-ფუძეებია სავარაუდებელი.

ქართ. ბრჭ-ალ-ი „ფრჩხილი“ (ს.ს. ორბელიანი, 1991); „ქუსლი, ტერფი, თათი, მუჭი“ (ილ. აბულაძე, 1973);

ბჭ-ალ-ი „ბრჭყალი“ (ზ. სარჯველაძე, 1995).

მეგრ. ბიწკ-ი „ცერი: თითის წვერი“.

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „?ელი მისი მოხუეულ იყო ბრჭყალსა ესავისსა“, დაბ., 25, 26; „ბრჭალითგან ფერ?ისაით ვიდრე თავადმდე“, II მფ. 14, 25 (იხ. აბულაძე, 1973); „ყოველი ქუეყანა? ბჭალითა“. ლატალ. ლექც. 5r, 23-24b (იხ. სარჯველაძე, 1995).

ბრჭ-ძირის კანონზომიერ შესატყვისად ზანურში ბიწკ- გავექს (მდრ. რ. აბაშია, IX, 1998); ი. რეფლექსია რ სონანტისა, ასევე რ-ს გავექსის შედეგად მივიღეთ ჭ:წკ ბგერათფარდობა.

ბრჭ-ძირში (ბრჭყ-ალ-ი ყ განვითარებულია. აფრიკატების მომდევნო პოზიციაში უკანაენისმიერთა განვითარება ქართულისათვის უცხო მოვლენა არაა (მდრ.: ძვ. ქართ. მჭნარი > ახ. ქართ. მჭკნარი). ამდენად, ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ამოსავლად *ბრჭ- არქეტიპი უნდა ვიგულისხმოთ. ამასთანავე, საფიქრებელია, ბრჭ-ალ- (>ბრჭყ-ალ-) ფუძეს დიალექტური სისინა ვარიანტებიც ჰქონოდა ქართულში, რასაც ადასტურებს ბრწკ-ალ-ი „ფრჩხილი“ (მთიულ.), პწკ-ილ-ი „ფრჩხილი“ (ქიზიყ.), „ფრჩხილის წაზრდილი ნაწილი“ (ქართლ.); პწკ-ალ-ი „ბრჭყალი“ (თუშ., მთიულ.-გუდამაყრ., იხ. ა. ღლონტი, 1984).

როგორც ჩანს, ამავე ეტიმოლოგიურ წრეში შემოდის გ. კლიმოვისა და ზ. სარჯველაძის მიერ გამოვლენილი შესატყვისობის მაგალითებიც, რომლებიც საანალიზო (ბწკ-/პწკ-) ფუძისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნებს უნდა წარმოადგენდნენ: ქართ ბრწკ-ენ-ა/პწკ-ენ-ა: მეგრ. ბიწკ-ონ-უ-ა: სვან. ლი პენწკუ-ე (Г. Климов, 1964; ზ. სარჯველაძე, იხ. პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990).

ქართ. დონდ-ლ-ო;

მეგრ. დორდ-ი-ა ჯორჯ-ი-ა „დონდლო, ზანტი, დუნე, დინჯი...“

ი-დორდ-უ „დონდლოდ, ზანტად იქცევა.“

ამავე ეტიმოლოგიური წრისაა დიალექტური ლექსეებიც: დონდლე (რაჭ.) „ტლანქი, მოუხეშავი“ (ვ. ბერიძე, 1912); დონ დოლა (ზ. იმერ.) „წყნარი ბუნხულა“ (ბ. წერეთელი, 1938); დონდლო-ჩინა (ქართლ.) „დუნე კაცი“ (თ. რაზიკაშვილი, 1900; ი. ჭყონია, 1910).

დონდ-ლ-ო ლექსემაში-ლ სუფიქსის ელემენტი ჩანს. რასაც დიალექტური დონდ-ოლ-ა-ც (ზ. იმერ.) ადასტურებს (იხ. აგრეთვე რ. აბაშია, VII, 1989). იმერულ დიალექტში გვხვდება ასევე ჯორჯალი ლექსემაც მნიშვნელობით - „მიჯორჯლება, ნელა, ზანტად მიტრიალ-მოტრიალება“ (ვ. ბერიძე, 1912), რომელიც თითქოს ზანიზმი ჩანს. დორდია მეგრულის არც ერთ ცნობილ ლექსიკონში დასტურდება, მხოლოდ ჯორჯ-ი „ზანტი“ გვხვდება (გ. ელიავა, 1997).

ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე *დონდ-არქეტიპი უნდა ვივარაუდოთ.

ქართ. მუჭ-ი; მუჭ-ა; მუჭ-ავ-ს; მო-მუჭ-ვ-ა; მუჭა-მუჭა;

მეგრ. მუწკ-ა „მუჭა“, მუწკა-მუწკა „მუჭა-მუჭა“.

როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური შესატყვისობისათვის წარმოდგენილ ფუძეებს შორის თითქოს დაბრკოლება არა ჩანს. ქართულ-ზნაური ჭ:წკ ბგერათფართობა პოზიციურია.

მუჭ-ი ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ძველ ქართულის ლექსემებს: მჭელ-ი „მუჭი, მუშტი, მჯიდი, ძნა“ (ი. აბულაძე, 1973), „პეშვი“ (ს-საბა. 1991); მჭელ-ეულ-ი, მჭლ-ეულ-ი, მჭ-ეულ-ი „თაველი, ძნა“, სა-მჭ-ელ-ეულ-ი „ძნა, კონა“, ასევე, დიალექტურ ფორმებს: ნა-მუჭ-ი „ხელეული, მჭელეული“..., ნა-მჭ-ობ-ი „ნამჯა; ნამუჭი“ (ქიზიყ.), მუჭკ-ა „სათესლედ შენახული ღომის თავთავი“, „ერთი მუჭა ღომის თავთავი“... (გურ.). (დაკავშირება ეკუთვნის ალ. ჭინჭარაულს, იხ. ა. ჭინჭარაული, 1985, 125).

ფუძე-ენის დონეზე სავარაუდოა *მუჭ-არქეტიპი

ქართ. სრულ; სრულ-ი <<სავსე>>, მრტელი, <<ცოცხალი>>, მთლიანი, სრულ-ად, სრულ-ი-ად, სრულ-ებ-ით... (ილ. აბულაძე, 1973); სულმცირედ „მოკლედ“ (ზ. სარჯველაძე, 1995); სულ (<სრულ), სულ-ად-(აც), სულ მთლად, სულ ცოტა, სულ მუდამ, სიყველა (<სულყველა)...) (ახ. ქართ.)

მეგრ. შურ-ო „სულ; მთლად; სრულიად“, შურ-ოთ „id“,

დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „სრული საქმ? ქმნეს ღმერთმან შენ თანა“ O, ივდ. 11, 4; „ამათ სრულ ქმნეს სიკეთ? შენი“ O, ეზეკ. 27, 11 (იხ. ი. აბულაძე, 1973); „რაოდენ უძლო, მარტივად და სულმცირედ აღვწერო... პირისა მისისაგან მოთხრობილი...“ გიორგი მთაწმ. 105, 14; „ყოველივე სულ-მცირედ და მოკლედ გითხრა“, იქვე 114, 22 (იხ. ზ. სარჯველაძე, 1995).

სულ მიღებულია სრულ ფორმისაგან, მეორეს მხრივ კი სრულ<სლულ- (ა. ჩიქობავა, 1942, 67).

საანალიზო ფუძისაგანაა ნაწარმოებები: აღმასრულებელი, აღსასრული, გამოსრულება, გა(ნ)სრულება, დასასრული, დასრულება, დაუსრულებელი, მისრულება, მოსრულება, სისრულე, უსრული, შესრულება, წარმოსრულება, წარსრულება. სრულად, სრულება, სრულებით, სრულიად, სრულ-ქმნა, სრულმყოფელი, სრულ-ყოფა და სხვ. (იხ.ი. აბულაძე, 1973).

სრული „მთელი, მთლიანი“ ეტიმოლოგიურად სლვა-ს (<ს-ელ-ვა <*ს-ვალ-ვა) უნდა უკავშირდებოდეს, ამ უკანასკნელს კი საყრდენად აქვს ვალ ზმნური ძირი. ამდენად, ერთი საერთო ძირისაგან წარმოქმნილი ფუძეა (ფუძეებია), რომელსაც სემანტიკური გადაწევის შედეგად სხვადასხვა კონტექსტში ასევე სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა მოეპოვება.

მაქრობული არაა პ. ჭარაიას თვალსაზრისი შურ-ო „სულ, მთლად“ ლექსების შურ-ი „სული; სუნი“ სახელთან დაკავშირების შესახებ (პ. ჭარაია, 1997, 156) შური ი. ყიფშიძესაც აქვს დამოწმებული: შურო „совсем, совершенно“, შურო-თი „и совсем“ (И. Кипшидзе, 1914), თუმცა ის არაფერს ამბობს მისი ეტიმოლოგიის შესახებ პ. ფენრიხს სრ-ულ-ი/სრ-ულ-იად ფორმათა სვანურ შესატყვისად სურ-უ „ძლიერ; მთლიანად“ მოაქვს (პ. ფენრიხი, 1982a, 36; პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990). სვანურში, როგორც ზანურში, შიშინა შესატყვისი უნდა გვქონოდა. ამიტომ სვანურშიც, როგორც ზანურის სისინა ფორმებში (სრულ-ი, რსულ-ი, რსულ-ო, „სულ, სრულიად“) ქართულიდან შესული ფუძე უფრო უნდა გვქონდეს, ვიდრე შესატყვისი.

მაშასადამე, ქართულში: სულ<სრულ<*სლულ<*სვლ-ულ (სვლ-ა<*ს-ვალ-ა<ვალ-). ვალ ზმნური ძირისგანაა ნაწარმოები ასევე ძველი ქართული გუალ- „წასვლა; მოსვლა; ადგომა; რბენა“ (ი. აბულაძე, 1973), რომელიც ზანურში შევიდა გვალ- (გვალ-ო, გვალ-ე, გვალ-ას „სულ, მთლად, სრულად“) ფუძის სახით და გადატანითი მნიშვნელობით (აქ ასეთივე სემანტიკური გადაწევა მოხდა, როგორც სრულ-სულ-შური შემთხვევაში გვაქვს).

ქართული სულ და ზანური (მეგრული) შურ-ფორმებისათვის ფუძე-ენის ერთიანობის გარკვეულ საფეხურზე სრ-ულ-/*ს-ულ-არქეტიპი ჩანს ამოსავალი.

ქართ. მ-ტკიც-ე <<მძღავრი>>, მყარი, <<მაგარი>>, <<ძლიერი>>, <<გულპერობილი>>; მ-ტკიც-ებ-ა „მიკვრა, მიმაგრება“, განმტკიც-ებ-ა <<გამაგრება>>, <<გამყარება>>, მ-ტკეც-ა, და-მტკეც-ა „დამტკიცება“ (ი. აბულაძე, 1973); მ-ტკიც-ე-ობ-ა-? „სიმტკიცე“, მ-ტკიც-ობ-ა „მტკიცედ დგომა“, მ-ტკიც-ოფ-ა „დამტკიცება“, და-მ-ტკეც-ილ-ი „გამაგრებული“ (ზ. სარჯველაძე, 1995).

მეგრ. ტკიჩ-ინ-აფ-ა, გო-ტკიჩ-ინ-აფ-ა „განმტკიცება; გამაგრება; გამყარება; გასკდომამდე გაბერვა (ტყავის გამაგრება)“.

ტკიჩ-ალ-ი, გო-ტკიჩ-ინ-აფ-ილ-ი „მტკიცე; მაგარი, მკვრივი; მყარი; განმტკიცებული“, გო-ტკიჩ-ონ-დ-გ/უ „გამაგრდა; გამკვრივდა, გამყარდა“, გადატ. „დასკდომამდე გაიბერა, გამაგრდა“.

გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში; „ყენა მკლავნი ჩემნი ვითარცა მშვილდი მტკიცე“ ფს. 17,35; „მძღავრ (მტკიცე M) არს ვითარცა სიყუდილი სიყუარული“ O, ქება,8,6; „მხულივი ?ელითა იმტკიცებიან კლდესა“ O, ივ. სოლ. 30,28; „დამტკეცილ არს ჩუენ შორის“ O, ივდ. 8, 21.

მ-ტკიც-ე ნაზმნარი სახელია, მ- - -ე მიმდებარე აფიქსებით გაფორმებული. მისი საყრდენი ზმნური ფუძე დრეკადია: ტკეც-/ტკიც-ა ფორმები, რომელთაც მეგრულში ტკაჩ-უ-ა „დარტყმა ცემა“ და სვანურში ლი-ტკჩ-ე „დარტყმა“ მოუღიო შესატყვისად (პ. ჭარაია, 1997; Г. Климов, 1964). ტკიც-ძირისაგან ჩანს აგრეთვე ნაწარმოები ხმაბადვითი სიტყვები: ტკიც-ინ-ი –1. „უხმარი მტკიცე ქალაღდის ინ-ა – 1. „რაც ტკიცინებს“, 2. „ახალი უხმარი“ (ქეგლ.) შდრ.: აგრეთვე ტკაც-ან-ი, ტკაც-უნ-ა.

ი. ყიფშიძის მოწმობით მეგრულში გვხვდება ასევე გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული – ტკიჩ-უ-ა, გილა-ტკიჩ-უ-ა надуваться, раздуваться (И. Кипшидзе, 1914) და ჭანური მ-ტკეც-ი (Н. Мара, 1910) ქართულიდან შემოსულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

ფუძე-ენის დონეზე არქეტიპად *ტკეც-/*ტკიც – ძირი და *ტკიც-ინ- ფუძე არის სავარაუდებელი.

ქართ. წუწ-ვ-ა; გა-ი—წუწ-ა; გა-წუწ-ავ-ს;

გა-მ-წუწ-ვ-ელ-ი; სა-წუწ-არ-ი;

მეგრ. ჭუჭ-ელ-ი, ჭუჭ-ელ-ე „ჭინჭარი“,

ჭან. ტუტ-უჯ-ი (<*ჭუჭ-უჯ-ი) „ჭინჭარი“.

ჭინჭარ-ს (ძველი ქართული ჯინჭარ-ი) ჭანურში დიჭკიჯ-ი „ჭინჭარი“ მოუღის შესატყვისად (Н. Мара, 1910: 139). ჭანური (ვიწური კილოკავი) ო-ჩხაპ-ულ-ე „ჭინჭარი“ (ეტიმოლოგიურად „მჭრელი, კენია“) ლექსემის ჩხაპ-ძირისწ ძველ ქართულ შესატყვისად კი ჩხუპ – (ჩხუპ-ა „დაჭრა“) არის ცნობილი (ბ. გიგინეიშვილი, იხ. გ. კარტოზია, 1986, 6).

მეგრულში ხსენებულ ძირტა შესატყვისი თითქოს არ ჩანს: აქ „ჭინჭრის“ არსანიშნავად ჭუჭ-ელ-ი/ჭუჭ-ელ-ე გამოიყენება, რომლის ჭუჭ. ძირი ქართულ წუწ (წუწ-ვ-ა) ძირს უნდა უკავშირდებოდეს. ფონემურად კანონზომიერი შესატყვისობაა, მაგრამ სემანტიკური დაკავშირება უდავო ვერ იქნება (მნიშვნელოვანი დაცილებაა), თუმცა ამოსავალი, საზიარო მნიშვნელობის დანახვაც შესაძლებელი ჩანს: ჭუჭ-ელ-ი – მ-წუწ-ავ-ი, მ-წუწ-ვ-ელ-ი; შდრ.: სუსხ-ი > მ-სუსხ-ავ-ი (ჭინჭარი).

ჭანურში ტუტ-უჯ-ი ლექსემაც დასტურდება „ჭინჭრის“ მნიშვნელობით (Н. Мара, 1910) რომელიც *ჭუჭ-უჯ-ფუძიძს დეზაფრიკატიზებული ფორმა ჩანს: ჭანურ ფუძეში აფრიკატთა (ორი ან ორზე მეტი) თავმოყრა დამახასიათებელი არაა, ასეთ შემთხვევაში დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია იჩენს თავს. უნდა ვიფიქროთ, რომ საანალიზო ფუძეშიც ასეთი ფონეტიკური პროცესი

განხორციელდა (ამას მეგრულის შესაბამისი ფუძეც გვაფიქრებინებს): ტუტ-უჯ- <*ჭუჭ-უჯ-. მეგრულში ქართული – ელ სუფიქსია (ჭუჭ-ელ-) წარმოდგენილი, ჭანურში კი ქართული - *(ა)რ სუფიქსის შესატყვისი – (უ)ჯ (შდრ.: ჯინჭ-არ- : დიჭკ-იჯ-; ბუტკ-არ- ბუტლ-უჯ- და სხვ.)

ამასთანავე, ვფიქრობთ, მეგრული ჩხაპ-ძირი (ჩხაპ-უ-ა „გაწუწვა, სხურება, რწყვა“) ჭანური ო-ჩხაპ-ულ-ე-ს ჩხაპ- ძირის კანონზომიერი ეკვივალენტია. ძველქართულ ჩხუეპ-ა-სთან დაკავშირებითაც მართებული ჩანს, მაგრამ ასახსნელია, თუ რატომ არ მივიღეთ მეგრულ-ჭანურში მოსალოდნელი ჩხვაპ – შესატყვისი, მითუმეტეს, რომ მეგრულში ეს ჩხვაპ-კი დასტურდება, მაგრამ არა „ჭინჭრის“ აღმნიშვნელ ფუძეში (შდრ.: რ. აბაშია, I, 1997, 36), არამედ „ცემა: გარტემა“-ს მნიშვნელობით.

ქართულ-ზანური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპად *წუწ- ძირი უნდა ვიგულისხმოთ.

ქართ. ჭონჭყ-ი, ჭონჭყ-ო „ჭაობიანი ადგილი, - ჭანჭრობი“ (ქეგლ.)

მეგრ. ჭყონჭყო, ჭყონჭყო „ჭონწყო, ჭანჭრობი“.

ქართულ ჭონჭყ-ფუძეს ზანურში შესატყვისად *ჭკონჭკყ- უნდა ჰქონოდა, მაგრამ *ჭკყ – კომპლექსის გამარტივებისა (*ჭკყ>ჭყ) და ჭყ კომპლექსის ასიმილაციური გავლენით (ჭყ<*ჭკ) მივიღეთ ჭყონჭყ- ფუძე (იხ. აგრეთვე, რ. აბაშია, VIII, 1998).

*ჭონჭყ – არქეტიპი აღდგება.

8.ქართ. ზერგ-ნ-ა, და-ზერგ-ნ-ა „დატკეპნა“, ზერგ-ნ-ი-ს „ტკეპნის“;

მეგრ. ზარგ-ან-უ-ა „აზელვა; არევ-დარევა; უხეიროდ კეთება; „ტკეპნა...“

დო-ზარგ-ან-უ „აზელა, არია“...

ზარგ-ან-ელ-ი „აზელილი, არეული“...

გვხვდება ძველ ქართულშიც: „დამზერგნოს მე გამოსავლასა მას თუსსა“, მ.ცხ. 359 r (აბულაძე, 1973).

მეგრულში საანალიზო ლექსემის მნიშვნელობები უფრო ფართოა. პარალელურად ო ხმოვნიანი ფუძეც გვაქვს: ზერგონ-უ-ა, ზერგონ-უ-ნ-ს.

9.ქართ. ზრქ-ელ-ი „სქელი“, „მსუქანი“, პოხილი (აბულაძე, 1973).

გან-ზრქ-ომ-ა, სი-ზრქ-ე;

მეგრ. ზირქ-ალ-ი „მსუქანი; მსხვილი; გასიებული“...

ო-ზირქ-ინ-ან-ს „მსუქნად, გასიებულად... გამოიყურება“.

გო-ზირქ-ინ-აფ-ილ-ი „გასუქებული, გამსხვილებული“...

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „ზროხანი მათნი **ზრქელ** (პოხილ L) არიან“ ფს. 143,14; „ნუსადა **განზრქნეს** გული შენი“ G (აბულაძე, 1973). ძველ ქართულში **სქელ-** ფუძეც დასტურდება: „რომლისა?მე ნაყოფი ჩხ?ილ, ხოლო ფურცელი – **სქელ**“, ბ.კეს.-ექუს.დღ. 73,24. ეგევე **სქელ-**, რომელიც ახალ ქართულშიც გვაქვს, შეთვისებულია მეგრულში **ფსქელ-** და სვანურში **ზგელ-** სახით. გიორგი როგავა რეგრესული ასიმილაციის მაგალითებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „ანალოგიური ერთი შემთხვევა (სქ. –ზგ-, რ.ა.) შენიშნულია სვანურში ქართულიდან შეთვისებულ **სქელ** სიტყვაში: ქართ. **სქელი** > სვან. ***სგელ** > **ზგელ**, ოღონდ ამ შემთხვევაში ქართ. **სქელ** სიტყვის **სქ** კომპლექსი მეორეული ჩანს, შრდ. ძვ. ქართ. **ზრქელი** – ახ. ქართ. **სქელი**“ (როგავა, 1984, 45). ვფიქრობთ, გ. როგავას ამ საინტერესო დაკვირვებას მხარს უჭერს ქართ. **ზრქელ-** და მეგრ. **ზირქალ-** ფუძეთა შესატყვისობა: **ზირქ-** ხმოვნთან ფუძეში ჩანს, რომ ამოსავალი **სქ** კომპლექსი არ ყოფილა.

10.ქართ. **ლაწ-**უნ-ი, **ლაწ-**ან-ი, **ლაწ-**ა-ლუწ-ი;

გა-უ-**ლაწ-**უნ-ა...

მეგრ. **ლორწ-**უ-ა „გალაწუნება, გარტყმა“...

ქო-ლორწ-გ/უ „გაულაწუნა, შემოჰკრა, სთხლიშა“...

მიკუ-**ლორწ-**გ/უ „შემოულაწუნა“...

სვან. ლი-ლწ-ი „მიკვრა, მიკრობა, მიტყეპება“...

ლა-ხ-ლაწ „მიაკრა (ცემით, გარტყმით)“

არ ჩანს ძველ ქართულში, მაგრამ ამ ფუძესთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული **ლეწ-**ა, **ლეწ-**გ-ა ხშირად გვხვდება: **ლეწ-**ა „მსხვრევა“, მო-**ლეწ-**ილ-ი, **ლეწ-**გ-ა ?ღალვა?, **დალეწ(ვ)**ა „დაფშვნა“, „შემუსრვა“, „დამსხვრევა“ (იხ. აბულაძე, 1973). **ლეწ-**ა || **ლეწ-**გ-ა ახალ ქართულში გადატანით ცემა-გარტყმის მნიშვნელობითაც იხმარება, ი ხმოვნთან **ლიწ-** ფუძეც (ლიწინ-ი) ალბათ ეტიმოლოგიურად შორს არ დგას **ლაწ-** ფუძისაგან.

მეგრულში **-რ-** განვითარებულია.

11.ქართ. **ღრძ-**ო, **ღრძ-**უ, **ღრძ-**უვ-ი „ბოროტი, ღვარძლიანი, შურიანი“ (ქეგელი),

მეგრ. **რღვინჯ-**აფ-ა „გაბრაზება, გაღიზიანება, გაბოროტება, გაგულისება, გაჯავრება“...

«сердится» (ყიფშიძე, 1914);

пшго-**რღვინჯ-**აფ-ილ-ი „გაბრაზებული, გაღიზიანებული, გაგულისებული“...

ი-**რღვინჯ-**უ-ან-ს „ბრაზდება, ღიზიანდება“...

სვან. ლი-ღჯ-გნ-ე „გაღიზიანება“;

ხ-ო-ღჯ-გნ-ე „გაღიზიანება“;

ნა-ღჯ-გნ „ნაღიზიანები“.

მეგრულში რ-ს მეტათეზისი მოხდა, სვანურში კი რ დაკარგული ჩანს:
*ღრჯ-> ღჯ-.

ქართულში გვაქვს ღრძ- ფუძის შიშინა (რ აფრიკატიანი) ვარიანტი: ღრჯ || ღრჯ-უ. „ღორჯო, ღრჯუ იგივეა, რაც ღრძო, ღრძუ“ (ქეგლ).

ზ. სარჯველაძეს სვანური ღი-ღჯ-გნ-ე-ს შესატყვისად ქართულში ღრჯ-უ (შიშინა ვარიანტი) მოაქვს, რაც დაბრკოლებას ჰქმნის ქართ. ჯ: სვან. ჯგ ფონემური შესატყვისობისათვის (სარჯველაძე, 1990). ეს დაბრკოლება მოიხსნება, მეგრულ და სვანურ ლექსემებს ქართულის სისინა, ძ აფრიკატიან ღრძ- ფუძეს შევუდარებთ (იგულისხმება, რომ ისტორიულად სწორედ ეს უკანასკნელია ამოსავალი).

ღრძო || ღრძ-უ-ი ქართულისავე ღრძ-ობ-ა სახელთან ეტიმოლოგიური (შესაძლოა, ასევე, ძირეულ-ფონეტიკური) დაკავშირებისაკენ გვიბიძგებს. შრდ. სულხან-საბასეული განმარტება: ღრძობა „ფერხის და ხელის მოჭენტა (მოგრესა)“ (ორბელიანი, 1991), გადატანითი მნიშვნელობით: ღრძობა – მოგრესა, შეცვლა, გამრუდება (ხასიათისა, ზნისა, ქცევისა).

12.ქართ. ჩლიქ-ინ-ი; ჩლექ-ა; ა-ჩლექ-ილ-ი;

მეგრ. ჩირქ-ინ-ი, ჩირქ-ინ-აფ-ა „ჩლექა, გაშეშება“...

ჩირქ-ალ-ი „აჩლექილი; გაშეშებული“...

გო-ჩირქ-ინ-აფ-ილ-ი „id“;

ო-ჩირქ-ინ-ან-ს „ზჩლექილია; გაშეშებულია“...

ამ ფუძეებს შორის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას ჩ (ქართ.) : ჩქ (მეგრ.) შეფარდება უნდა მოეცა, მაგრამ მეგრულში მოსალოდნელი ჩქ კომპლექსი არ განვითარდა ფუძისეული ქ-ს გავლენით, ამასთანავე, მეგრულის ფუძემ განიცადა მეტათეზისი. შრდ. ქართ. ჩლიქ-ი – მეგრ. ჩირქ-ე (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990).

13.ქართ. ჩქუ-ეფ-ა „დეღვა, ხეთქება, წყდომა“ (აბულაძე, 1973).

ჩქუ-ეფ-ებ-ა „ხეთქება“

მ-ჩქუეფ-რ „უეცრად“ (აბულაძე, 1973), „ზედზედ“ (ს. -საბა).

მეგრ. ჩქვაფ-უ-ა; ჩქვაფ-აფ-ი „ხეთქვა; ჯახება, გარტყმა“...

ჩქვაფ-უნ-ს „ხეთქავს (სცემს ან ჭამს), გაარტყამს“...

დასტურდება ძველ ქართულში წერილობით წყაროებში: „... არა ჩქუეფნ იგი გულის-სიტყ?თა აქა და იქი“...მ. სწ. 234,13. „დაბრმა და ეჩქუეფებოდა იგი

კედელთა სახლისათა“ საკ.წიგნ. II, 26,38 (იხ. აბულაძე, 1973). ხევსურულ დიალექტში **ჩქეფა** წყალში ჩავარდნილი საგნის მიერ გამოცემულ ხმას გამოხატავს (ა. შანიძე), ე.ი. ხმაბადვიითა. სავარაუდლოა ეტიმოლოგიური კავშირი **მ-ჩქეფ-არ-ე, ჩქეფ-ა, ჩქეფ-ს** ლექსიკურ ერთეულებთან. მეგრულში ამ უკანასკნელის შესატყვისი **ჩქაფ-უ-ა** „თქვლეფა; ჭამის დროს გამოცემული ხმა“ ფუძეში გვაქვს. ასევე სვანურშიც **ლი-ჩქეფ-გნ-ე** „ჩქეფა“ (წყლისა) სახელშიც ქართული და მეგრული ფუძეების შესატყვისს ვხედავთ.

14.ქართ. **ჩხუეპ-ა** „დაჭრა, მოწყლვა, დაწყლულება“ (აბულაძე, 1973).

მეგრ. **ჩხვაპ-უ-ა, ჩხვაპ-ინ-ი** „გარტყმა, ცემა, ხეთქება“.

ჩხვაპ-უნ-ს „ურტყამს, სცემს“...

ქა-ა-ჩხვაპ-უ „შეეჯახა, მიეხეთქა“...

ბ. გიგინეიშვილი ქართულ ფუძეს უკავშირებს ჭანურის **ო-ჩხაპ-ულ-ე-ს** „ჭინჭარი“ – ეტიმოლოგიურად „მჭრელი, კბენია“ (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე, 1990).

15.ქართ. **ცინც-ლ-გ-ა, გა-მო-ცინც-ლ-გ-ა;**

ს-ცინც-ლ-აგ-ს.

მეგრ. **ჩინჩ-ი** „წვრილი; მცირე, პატარა“,

ჩინჩ-ოლ-უ-ა „დაწვრილება, დანაწილება, დაფშვნა“...

ჩინჩ-ოლ-უნ-ს „ფშვნის, წვრილ-წვრილად ამსხვრევს, ამტვრევს“...

წარმოდგენილ ფუძეებს შორის კანონზომიერი ფონემური შესატყვისობაა, მაგრამ დაცილებაა სემანტიკუარდ, თუმცა, გასათვალისწინებელია გადატანითი მნიშვნელობაც: **სცინცლავს = წვრილ-წვრილად ართმევს, მოტყუებით, ნელ-ნელა ართმევს“**...

შესაძლებელია, ხსენებულ ლექსემას კავშირი ჰქონდეს დიალექტურ ფორმებთან: **ცენც-აგ-ს** (ცენც-ა; უ-ცენც-აგ-ს 1. კუთხ., ქართლ. „ძენზავს“, 2. კუთხ. ხევს. „ციცქნის“, ასევე – **ცენც-ა-ზე** (კუთხ. ლენხ.) „ბეწვზე“, „წკიპზე“ (ქგელ).

16.ქართ. **ცქერ-ა; უ-ცქერ-ს;**

ი-ცქირ-ებ-ა

მეგრ. **ცირქ-ინ-ი** „მხედველობის დაძაბვით ყურება, შეხედვა, ცქერა“;

უ-ცირქ-ინ-ან-ს „დაძაბვით, ყურადღებით, თამამად უყურებს; მოურიდებლად შესცქერის“...

ცირქ-ალ-ი „ვინც (რაც) მოურიდებლად იყურება, იხედება“.

მეგრულის ფუძეში მოხდა **რ-ს** მეტათეზიის, რის შედეგადაც **ცქირ- ცირქ-**

17.ქართ. **ზღველ**-ა „დიდი, კოკისპირული წვიმა“ (იმერ., ბერიძე, 1912; დლონტი, 1984);

ზან. (მეგრ.) **ჟღვარ**-ი „“;

ჟღვარ-უა / აკო-**ჟღვარ**-უა „გალუმპვა, კოკისპირულ წვიმაში დასველება“ (აბაშია, 1998);

სვან. **ჟღერ** „თქეში, თავსხმა წვიმა“ (სვანური ლექსიკონი, 2000).

ქართული **ზღველ**- ზანურ **ჟღვარ**- და სვანურ **ჟღერ** ფუძეები კანონზომიერი ფონემური და სემანტიკური შესატყვისობის მაგალითებს წარმოადგენენ. ქართულ-ზანურ **ზღველ**-: **ჟღვარ**- სრული შესატყვისობის ნიმუშია, სვანური **ჟღერ** კი მიღებულია ***ჟღუერ** ფუძისაგან უ-ის დაკარგვით, რომელიც დამახასიათებელია სვანურისათვის და, განსაკუთრებით, ლაშხური დიალექტისათვის, სადაც გვხვდება **ჟღერ**. შდრ.: ტუეტ / ტეტ „ხელი“, ტუელ / ტელ „ტოლი“, დღულ (ქართ. დღვა-ბ-: ზან დღვა-ბ- (მეგრ.), დღვა-ლ- (ჭან.): სვან. დღ-ულ. (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

ცნობილია დაკავშირება ზანურ სისინა სპირანტიან **ზღვარ**- ფუძესთან: ქართ. **ზღველ**-ა: ზან. (მეგრ.) **ზღვარ-ზღვალ**-ი (ჭარაია, 1997; ფენრიხი, 1982; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000). ქართული სისინა სიბილიანტის (სპრატ-აფრიკატის) ზანურ-სვანურ ეკვივალენტად როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილიანტის არსებობა, როგორც ჩანს, ქართველურ ფუძე-ენაში სიბილიანტთა ახალი რიგის – სისინ-შიშინა სპირანტ-აფრიკატების – რეკონსტრუქციას არ საჭიროებს. ქართული სისინა და ზანურ-სვანური როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილიანტების ამოსავლად ქართველურ ფუძე-ენაში ოდენ სისინა სიბილიანტი ჩანს ამოსავალი. სისინა და შიშინა დუბლეტების არსებობა ზანურსა და სვანურში უნდა გამოეწვია მათ სხვადასხვა დიალექტურ წარმომავლობას საკუთრივ ზანურსა და სვანურში.

ამდენად, **ზღველ**- : **ჟღვარ**- : **ჟღერ** შესატყვისობის მიხედვითაც ქართველურ ფუძე-ენაში არქტიპად ასევე სისინა სიბილიანტიანი ***ზღუელ**- ფუძე უნდა ვიგულისხმოდ.

18.ქართ. **სხლ-ეტ**-ა; **სხლ-იტ**-ა; მო-**სხლ-ტ**-ა, მ-**სხლ-ეტ**-არ-ე; ნა-**სხლ-ეტ**-ი...

ზან. (მეგრ.) **სხილ-ატ**-უნ-ს / **ცხილ-ატ**-უნ-ს „სხლეტს“; **სხირ-ტ**-უ / **ცხირ-ტ**-უ „სხლტება“;

ცხილ-ატ-უა / **ცხილ-იტ**-უა „სხლეტა; ფეხის დაცდენა“; ქეგლა-**ცხირ-ტ**-უ „დასხლეტა“;

სვან. ლი-**ცხტ**-ე (ზ. სვ.), ლი-**ცხუტ**-ე (ლხმ.) ლი-**ცხტ**-ენ-ი (ზ. სვ., ლშხ.),

ლი-ცხატ-ი (ლნტ.) „ყელში გადაცდენა, გაჩხერა“;

ხ-ე-ცხტ-ი (ბ. ზემ.), ხ-ე-ცხტ-ენ-ი (ლშხ.), ხ-ე-ცხატ-ი (ლნტ.) „ეჩხირება“ (სვანური ლექსიკონი, 2000).

საანალიზო ფუძე გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „წყალი ბუნებით მდინარე არს და მსხლეტარ სიმაღლისაგან“ (აბულაძე, 1973, ბ.კეს.-ექუს. დღ. 43,3); „მუ?ლი მრგუალ არს და მსხლეტარე და და?სნილ და მძრწოლარე“ (იქვე, 1973, დღ., 132,10); „უკუეთუ კულა მოსხლტეს გონება? კეთილისა მისგან წურთისა“ (აბულაძე, 1973, A-1104, 258v, 9-11).

ქართულ-ზანური შესატყვისობის მიხედვით ქართული სხლ-ეტ- ფუძის ზანური ეკვივალენტია სხილ-ატ- / ცხილ-ატ-, სხლ-იტ- ფუძეს ცხილ-იტ- შეესატყვისება, სხლ-ტ- ფუძეს – სხირ-ტ- / ცხირ-ტ (ქობალავა, 1958; იხ. აგრეთვე კლიმოვი, 1964; 1998; გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965; ფენიხი, სარჯველაძე, 2000). ამ მაგალითების საფუძველზე გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა *სხლ-ეტ- / *სხლ-ტ არქეტიპები.

ვფიქრობთ, საანალიზო ფუძეებს დაუკავშირდება სვანური ლი-ცხტ-ე / ლი-ცხუტ-ე / ლი-ცხტ-ენ-ი ... ფუძეებიც. სვანურში, როგორც ზანურში, მოხდა ს სპირანტის აფრიკატიზაცია *სხტ- > ცხტ. ამდენად, სვანურის გათვალისწინებით შესაძლებელი ჩანს არქეტიპების აღდგენა ქართველური ფუძე-ენის დონეზეც. სავარაუდოა, ასეთ არქეტიპებად *სხ-/ *სხლ- ძირსა და *სხლ-ეტ-/*სხლ-იტ- ფუძის დაშვება.

19.ქართ. ჯიჯგე-ი „ჯიჯგინა, ტიტკვინა, დაბალი, სქელი“ (იმერ.); მაგარი, ურყევი ნაგებობა“ (ლენხ.); „ჩაფსკვნილი კაცი“ (გურ., ღლონტი, 1984).

ზან. (მეგრ.) ჯგვიჯგე-ი, ჯგვეჯგე-ი „id“;

ჯგვიჯგე-ალ-ი „ჩაფსკვნილი, ძარღვიანი, მაგარი“...

ო-ჯგვიჯგე-ინ-ან-ს „სქლად, ჩაფსკვნილად, უხეშად გამოიყურება“.

საანალიზო ფუძე არ ცანს ძველ ქართულ ტექსტებში.

ქართული ჯიჯგე- ფუძის კანონზომიერი ფონემიური ეკვივალენტია ზანური ჯგვიჯგე- : ჯგვიჯგე- <*ჯგვიჯგე- < ჯიჯგე-. ზანურში თაგვიდურა ჯგე- კომპლექსი ასიმილაციურად არის ჩამოყალიბებული.

ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის საფიქრებელია ჯიჯგე-უ- არქეტიპის დაშვება.

20.ქართ. ცივ-ი; სი-ცივ-ე;

ცი-ებ-ა (< ცივ-ებ-ა); გან-ცივ-ებ-ა; შე-მ-ცივ-ნ-ებ-ა;

მ-ცივ-ან-ა||ცივ-ან-ა; მა-ცივ-არ-ი; სა-ცივ-ი...

მეგრ. ჩი-ონ-ი „დაცხიკება, ცხვირის დაცემინება“, გადატ. „გაციება“;

ჩი-ონ-ა „ვინც აცხიკებს, ცხვირს აცემინებს“;

გო-ჩი-ონ-უ „დააცხიკვა, ცხვირი დააცემინა“.

ჭან. ო-ჩი-ნ-დ-უ „დაცხიკება, ცხვირის დაცემინება“;

დი-ჩი-ნ-დ-უ „დააცხიკვა, ცხვირი დააცემინა“.

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „ვითარცა განაცივის ჯურღმულმან წყალი თ?სი“ იერემ. 6.7; „შემთხ?ა ... შიშველი ვინმე, რომელიც სასტიკად განცივნებოდა“ მ. ცხ. 316v.

არნ. ჩიქობავა მეგრული და ჭანური ფუძეების ქართულ ცხვირ-თან (<*ცვირ-) კავშირს ვარაუდობს (ჩიქობავა, 1938). ამ შესატყვისობისათვის სემანტიკური საფუძველი უდაოდ არსებობს, მაგრამ ფონემათშესატყვისობის მხრივ გარკვეული დაბრკოლებები ჩნდება.

ხომ არ არის ამ ფუძეების შესატყვისი ქართულში ცივ-/ცი-? მეგრულში --- ონ ელემენტი სუფიქსი ჩანს – ქართული –ან (-იან, -ვან, -ოვან) სუფიქსის შესატყვისი. ჭანურში ამ –ონ სუფიქსის უხმოვნო ვარიანტია წარმოდგენილი, ამასთან ვნებითობის დ ნიშანი ფუძისეულ ელემენტად ქცეულა. ასევე მეგრულსა და ჭანურში ხმოვნებს შორის ვ დაკარგულია, რაც ქართულისთვისაც არ არის უცხო მოვლენა: ცივ-ებ-ა > ცი-ებ-ა.

ასეთი ვიტარება (ხმოვნებს შორის ვ-ს დაკარგვა, ზანურში –ონ ელემენტის სუფიქსად გამოყოფა ...) ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის სხვა მაგალითშიც ჩანს. შდრ.: ქართ. ყივ-ა; ყივ-ილ-ი : მეგრ. ?ი-ონ-ი (< ?ივ-ონ-ი) : ჭან. ო-ყი-უ (< ო-ყივ-უ) (ჩიქობავა, 1938).

ქართულ და ზანურ შესადარებელ ლექსემებს შორის სემანტიკური სხავობა საგულისხმოა, მაგრამ „გაცივებასა“ და „დაცხიკებას“ საზიარო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამოსავლად: „აცხიკებს, ცხვირს აცემინებს“ – გადატანითი მნიშვნელობით „აციებს, ცივდება“ გასათვალისწინებელია ხმაბაძვითი მხარეც (შდრ. რუს. чихнуть), თუმცა ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიული სურათი ბგერათშესატყვისობას ხმაბაძვით სიტყვებშიც გვიჩვენებს.

21. ქართ. წეწ-ვ-ა; გა-წეწ-ვ-ა;

წეწ-ავ-ს; გა-წეწ-ილ-ი;

ა-წეწ-ილ-ობ-ა..

მეგრ. ჭაჭ-უ-ა „წეწვა; ასხმა; მოცმევა“...

ჭაჭ-ვნ-ს „წესავს; ასხამს (ერთმანეთზე); წამოაცმევს“...

მე-ჭაჭ-ილ-ი „გაწეწილი; ერთმანეთზე ასხმული, მიწყობილი, მიკრული“...

შესადარებელ ლექსიკურ ერთეულებში კანონზომიერი ფონემური შესატყვისობაა. სემანტიკური მხარეც (გარკვეული ნიუანსებით მნიშვნელობათა ცვლისა) შესატყვისობას გვიჩვენებს. მეგრულში ჭაჭ-უ-ა გავრცელების ფართო მასშტაბს წარმოადგენს. შდრ. აგრეთვე ჭაჭუა „შეკვრა“ – ართი ჭაჭუა ზარფანა „ერთი შეკვრა (ასხმა) წიწაკა“, მი-ჭაჭ-ულ- „ქლიავის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ნაყოფს ერთამნეთზე მიჯრიტ, გაბმულად, მრავლად ისხამს“. მეგრულში ქართულიდან ნასესხები **წეწუა** ლექსემაც გამოიყენება.

22.ქართ. **წიღნ-ე** „რტო, რქა“ (აბულაძე, 1973);

წიღნ-ა „ვენა?ის გარდაფელა“ (ს.-საბა);

წინდ-ი „ვალისათვის მძევალი“ (ს.-საბა ორბელიანი, 1949);

წინდ-ი (ახ. ქართ.) „1. გირაო; 2. ბელგა“ (ქეგლ.);

და-წინდ-ვ-ა, და-წინდ-ავ-ს;

სა-წინდ-არ-ი...

მეგრ. **ჭინდ-ი** „წნელი“.

დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: „იქმნა იგი ვენა? და ვენა **წიდ-ნენი**“ O, ეზეკ. 17,6 (აბულაძე, 1973).

ქართულში წიღნე/წიღნა უნდა იყოს ამოსავალი წინდი/დაწინდვა/საწინდარი ლექსემებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ საზიარო მნიშვნელობა რტოს („წიღნეს“) „გარდაფლვით“ რისმე მონიშვნა, აღნიშვნა, ე.ი. „დაწინდვა“ უნდა ყოფილიყო. **წიღნ- > წინდ- ნ-ს** მეტათეზისის შედეგია. მეგრული ჭინდ- ფუძე კანონზომიერ ფონემურ და -----

ქართულსა და ზანურში „წნელის“ აღმნიშვნელი სხვა საერთო ფუძეებიც გვაქვს ქართ. **წნ-ელ-ი, წნ-ვ-ა** : მეგრ. **ჭინ-ი** : ჭან. **ჭინ-ი/ჭუნ-ი** (მარი, ჭარაია, ჩიქობავა).

23.ქართ. **წურთ-ა** „?გუემა?, ?სიტყუა?, ფიქირ, აზრი, სწავლა, ზრახვა, სწრაფვა, ზრუნვა, გაწვრთნა, განსწავლა“ (აბულაძე, 1973).

წურთ-ილ-ი, წურთ-ილ-ებ-ა, აღ-წურთ-ა, მ-წურთ-ელ-ი;

წვრთ-ნ-ა, წვრთ-ნ-ი-ს, მ-წვრთ-ნ-ელ-ი, გა-წვრთ-ნ-ილ-ი (ახ. ქართ.).

მეგრ. **ჭვირთ-ი** „მარდი, ცქვიტი, სწრაფი; გაწვრთნილი“...

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „ფერ?ნი, რომელნი **იწურთიან** ბოროტსა ყოფად“ O, იგ. სოლ. 6, 18; „ვითარცა **წურთისაგან** რომლისამე იფუფუნებოდა“ ბ. კეს. -40-თ?, 120, 29; „არა წინა?სწარ **იწურთიდეთ**, რა? სიტყუა? მიუგოთ“ ლ. 21, 14.

მეგრულის ზმნურ ფორმაში **ჭვირთ-გნ-ს** „ტვირთავს“ თითქოს ეგვევ **ჭვირთ-** ძირი ჩანს წარმოდგენილი, თუმცა **ჭვირთ-** (**ჭვირთ-გნ-ს**) და **ტვირთ-** ფუძეთა სემანტიკური იდენტურობა და შესაძლოა, ფონეტიკურიც (ტ-ს გააფრიკატების შედეგად **ტვირთ-** > **ჭვირთ-**. იხ. ჩიქობავა, 1942, 87) მათ ერთ წრეში ვერ მოაქცევს. ამასთან თუ შესაძლებელი გახდა „დატვირთვის“ და „გაწვრთნის“ სემანტიკათა გაერთმნიშვნელობა, საზიარო მნიშვნელობის მონახვა ამოსავლად (დატვირთვა, ანუ „გუემა?, გაწვრთნა), მაშინ შესაძარებელ ლექსიკურ ერთეულთა რიგში მოხვდება მეგრ. **ჭვირთ-უნ-ს/ჭვირთ-გნ-ს** „ტვირთავს“, ი-**ჭვირთ-უ** „იტვირთება“, დო-**ჭვირთ-ელ-ი**, „დატვირთული“... ეგვევ **ჭვირთ-** ფუძე „დატვირთვის“ აღსანიშნავად გვხვდება ქართულის დასავლურ (გურ., იმერ., აჭარ.) დიალექტებში (ღლონტი, 1974), რაც ზანიზმია.

24.ქართ. **ჩიჩხვი** (ღენხ.) „ნათესავი, მონათესავე, მემკვიდრე“, (ალავიძე, 1938).

მეგრ. **ჩხვიჩხვი**-ი „ფესვი; განტოტება“;
«верхушка кукурузы, корень, основание»
(ეიფშიძე, 1914)

ჩხვიჩხვი-ალ-ი „დატოტვილი“;
მო-**ჩხვიჩხვი**-ე „მემკვიდრე, შთამომავალი“.

სვან. ლგ-**ჩიჩხუ** (ბ.ზემ.) „ქსოვილის, მცენარის განტოტვილი, გამოყრილი ბოლოები, ტოტები...“

ჩიჩხვი-ი ღენხუმურის გარდა არც სალიტერატურო ქართულში არც მის სხავ დიალექტში არა ჩანს.

მეგრულში შესატყვისად ***ჩქიჩხვი**-ი უნდა გვქონდეს, ასიმილაციისა ვ სონანტის განვითარების შედეგად მივიღეთ ***ჩიჩხვი** > ***ჩქიჩხვი** > ***ჩხიჩხ-** > **ჩხვიჩხვი**-. სვანური შესატყვისობა თავკიდურა **ჩხ-** კომპლექსის უქონლობის აგმო პრობლემატურია.

ეტიმოლოგიურად **ჩიჩხვი**- ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს დიალექტური ლექსემები: **ჩინჩხ-**ალ-ი „ტოტებიანი ნარიყი ხე“ (კახ.) „ნაკვერცხლებიანი მუგუზალი, ნაკვერცხლები, წინწკლები“ (გურ., იმერ., ღენხ., ფშ., – ღლონტი, 1984); **ჩინჩხვი**-არ-ი „ნაფოტი, ხმელი ფიჩხის შტოები, ხმელი ტოტების ნამსხვრევები“ (ქართლ., ქიზიყ., მოხ., მესხ. – იხ. ღლონტი, 1984).

25.ქართ. **ჩხუერ-ა**;
და-**ჩხუერ-ულ-ი** „დახვრეტილი, ხვრელებიანი“
(აბულაძე, 1973)

ჩხვერ-ვა; ჩხვერ-ავ-ს (ახ. ქართ.) „დანხველტს, დაჭრის (ხანჯლით და მისთ.)
|| ურქენს“ (ქეგლ.)

ჩხვერ-ა, ჩხვერ-ვა (ფშ.) „რწებით რჩოლა, რქებით მიწის თხრა“ (ვაჟა-ფშაველა, 1969).

მეგრ. **ჩხვარ-უ-ა** „ცეხვა“, «выбивать зерна» (ყიფშიძე, 1914);

ჭან. დონ-**ჩხვარ-უ** „გაცეხვა“ (ჩიქობავა, 1938);

სვან. ლი-**ჩხუარ-ე** „დამარცვლა, გარჩევა, გამოყრა (სიმინდის მარცვლებისა...)“

ძველ ქართულში დასტურდება აგრეთვე **ჩხერა** ლექსემაც „დამტვერვა, გატეხვა“-ს მნიშვნელობით (აბულაძე, 1973), რომელიც შესაძლებელია, საანალიზო ფუძეს უკავშირდებოდეს.

მეგრულ-ჭანური ლექსემები ნასახელარია – მეგრ. **ჩხვერ-ი** და ჭან. **ჩხვარ-ი** „ლომი (მარცვალი“ სახელებისაგან ნაწარმოები (იხ. ჩიქობავა, 1938).

26.ქართ. **წურ-წურ-ი, მო-წურ-წურ-ებ-ს;**

მეგრ. **ჭურ-ჭულ-ი, ჭვარ-ჭვალ-ი** „წურწური“;

„წანწკარი, წურწური“ (ჭარაია, 1997);

«плеск воды, брызги» (ყიფშიძე, 1914)

მი-**ჭურ-ჭულ-გ, მი-ჭვარ-ჭვალ-გ** „მოწურწულებს“.

ჰ.ფენრიხი წურ-წურ-ის შესატყვისად სვანურში **წურ-** ფუძეს (მე-წურ-ე „თხევადი“) გამოჰყოფს (ფენრიხი, 1990). სვანურში, როგორც მეგრულში, მოსალოდნელი იყო ჭ აფრიკატიანი ფუძე.

აქ წარმოდგენილი შესატყვისობა რედუპლიცირებულ ფუძეებს შეიცავს, ეტიმოლოგიურად **წურ-ვა-სთან** დაკავშირებულს.

27.ქართ. **ხვის-ნ-ა** (<*ხუს-ნ-ა) „გაწმენდა, გასუფთავება; დაბანა“

(ზ.-იმერ.);

ხვის-ნ-ი-ს (გა-**ხვის-ნ-ა, გა-უ-ხვის-ნ-ი-ა**) კუთხ. ზ.-იმერ.

„კარგად ბანს; წმენდს, ასუფთავებს

ბეწვისაგან, ბუსუსებისაგან...“ (ქეგლ.).

მეგრ. **ხუშ-უ-ა** „გაწმენდა; გახვრეტა; დაგვა“ (ყიფშიძე, 1914;

ჭარაია, 1997);

ხუშ-უ-ნ-ს „წმენდს; ხვეტავს; გვის“.

28.ქართ. **ძ-ებ-ა** „გდება“ (საბა);

გან-**ძ-ებ-ა** „გან?და“, „დარღუევა“, გაძევება;

გან-**ძ-ებ-ულ-ი** „განგდებული“, „განდევნილი“, გაძევებული.

„განყენებული“ (აბულაძე);

ძ-ევ-ებ-ა-?, **გა-მო-ძ-ევ-ებ-ა-?** «изгнание, изгонять» (ყიფშიძე);

გან-ა-ძ-ო, გა-მო-ა-ძ-ო...

ზან. (მეგრ.) **ჯ-ამ-ა**, **ნჯ-ამ-ა**, გო-ნჯ-ამ-ა „გახსნა“, „გაღება“;

გა-ნჯ-გუ „გახსნა; გაადო“; **ო-ნჯ-ა-ნ-ს** „ხსნის, აღებს“;

გო-ნჯ-ამ-ილ-ი „გახსნილი; გაღებული, ღია“;

თოლ-გო-ნჯ-ამ-ილ-ი „თვალგახელილი, თვალღია“...

ძება – ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვა – დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში. მათ შორის V-VIII სკ.-ების ხანმეტ ტექსტებში;

„კაცისა ვისგანმე **განხადო** ეშმაკი“ ლ. 11,14; „რომელი ჩემდა მოვიდეს, არა **განხუადო** გარე“ ი. 6,37; „**გამოდახეს** იგი“ ლ. 20,12; „**განგადონ** შენ“ C, – „**დაგარღონ** შენ“ DE, ლ. 19,14; „**განიძის** სამკ?დრებელისაგან მამულისა“ მ. სწ. 79,7; „უკუეთუ იყოს ქურივ ანუ **განძებულ** (განდევნილ G)“ pb, ლევიტ. 22,13.

ქართული **ძ** ძირის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისად ზანურში **ჯ**-დაჩნდება (**ნჯ**- ძირში **ნ** ფონეტიკური დანართია, რაც დამახასიათებელია ზანურისათვის).

სემანტიკური დიფერენციაცია – „გაძეგება, გაღება“ (ქართ.) და „გახსნა, გაღება“ (ზან.) – მეორეულია, ამოსავლად საზიარო მნიშვნელობა – „განცალკევება, მოშორება“ – უნდა გვექონოდა, შდრ.: „განძება ცხოველთათვის (სულიერთათვის – რ.ა.) ითქმის, ხოლო უსულოთათვის – განგდება“ (საბა).

ძ-ებ-ა/ძ-ევ-ებ-ა ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჩანს ამავე **ძ** ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებთანაც: **ძ-ევ-ს** (ძვ. ქართული **ძ-ეს**; **მი-ც** < **მი-ძ-ს**; დიალექტ. (იმერხ.) **ძ-ი-ა** (<ძ-ივ-ა) „ძევს, აგდია“) **მ-ძ-ევ-აღ-ი** (ზანური შესატყვისი **ჯ-აღ-ი**). ასევე, ვფიქრობთ, არ გამოირიცხება ქართ. **ძ-ევ-ნ-ა**, **ძ-ევ-ს** : ზან. **ჯ-ა-ნ-უ** „წოლა, დაძინება“ («лжание, сон» – ყიფშიძე, 1914); **ჯ-ა-ნ-გ/უ** (მეგრ.), **ჯ-ა-ნ-ს** (ჭან.) „წევს“ (ეტიმოლოგიურად „ძევს“) – ბგერათშესატყვისობა.

ამდენად, საანალიზო ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით შესაძლებელია ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანაში არქექტიპად ***ძ**-ძირი და ***ძ-ეუ** /***ძ-ეუ-ნ**- ფუძე არსებულიყო (ქართ. **ძ** (ძირი) : ზან. **ჯ**-; ქართ. ***-ეუ** (სუფიქსი) : ზან. ***-ა** (***-აუ**); ქართ. **-ნ** (სუფიქსი) : ზან. **-ნ**).

ამასთანავე, საფიქრებელია, **ძ-ებ-ა** (გან-ძ-ებ-ა/გა-ძ-ევ-ებ-ა და **ძ-ებ-ნ-ა/ძ-ევ-ნ-ა**, **ძ-ი-ებ-ა**(იხ. ქვემოთ) ფუძეები ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ფორმებს წარმოადგენენ (სემანტიკური და მორფოლოგიური ცვლის თავისებურებათა გათვალისწინებით).

ქართ. **ძ-ევ-ნ-ა** „მოძიება“, **ძ-ებ-ნ-ა** „მონახვა“ (საბა);

ძ-ი-ებ-ა „თხოვა“, „გულება“, „მოძიება, გამოკულევა“, ცდილობა, გამოკითხვა, ძებნა, „ბრინვა“;

მო-**ძ-ი-ებ-ა** „ძიება, მონახვა, ძებნა, პოვნა“; „ზედამიხედვა“; მოღება“;

მო-**ძ-ი-ნ-ებ-ა** „მოხედვა“, მონახვა (აბუღაძე).

ზან. (მეგრ.) **ჯ-ი-ნ-ა**, **ო-ჯ-ი-ნ-უ** „ყურება; ხედვა; თვალთვალი, დაცლა, ლოდინი“;

გო-**ჯ-ი-ნ-ა** „დათვალიერება“, „გასინჯვა“;

გი-ნო-**ჯ-ი-ნ-ა** „გადახედვა“;

მე-**ჯ-ი-ნ-ა** „მიხედვა“; რიდი; მოკრძალება“;

უ-ჯ-ი-ნ-ე „უყურებს“; „ელოდება, უცდის“;

გო-**ჯ-ი-ნ-ელ-ი** „ნანახი, დათვალიერებული“; „ლამაზი, მომხიბვლელი“ (ეტიმოლოგიურად „კარგი შესახედაობისა“).

ძევნა/ძებნა/ძიება ქართულში ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვებია (გვხვდება, ცხადია, ხანმეტ ტექსტებშიც):

„**ხიძოს** ნათესავისა ამისგან“ ლ. 11,51; „იესუს ჯუარცუმულსა **ხეძიებთ**“ მ. 28,5; „რომელი **ხეძიებდეს** პოვოს“ ლ. 11,10; „წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი“ მ. 18,12; „იძიეთ ქუეყანა?“ M, მსაჯ. 18,2; „რომელთა **მოგუძინნეს** ჩუენ მზემან აღმომავალმან“ C, ლ. 1,78.

ძველ ქართულში საანალიზო ფუძისაგან ნაწარმოები არაერთი სხვა ლექსემაც დასტურდება; გამომძიებელი, გამოძიება, მეძებარი, საძიებელი, ღონისძიება, შურისძიება და სხვა.

ქართულ დიალექტებში გვხვდება: **ძ-ევ-ა** (ხევს) „ძებნა“, **ძ-ებ-ილ-ი** (რაჭ.) „ძებნა“ (ქართ. დიალექტ.; ღლონტი); **ძ-ებ-ინ-ი** „ძებნა“ (ჯორბენაძე)

საანალიზო ფუძეები ე/ი ხმოვანმონაცვლეა. **ძ-ი-ებ-ა** მიღებულია ***ძ-ი-ე-ებ-ა**-საგან, **ძ-ი-ნ-ებ-ა** კი – **ძ-ი-ე-ნ-ებ-ა**-საგან. ამ ფუძეებისათვის საყრდენია აორისტის, ხოლო ე ხმოვნისათვის – **ძ-ევ-ნ-ა**, **ძ-ებ-ნ-ა** – აწმყოს ფორმები.

ზ. სარჯველაძემ მართებულად დაუკავშირა ზანურ ჯინ- ფუძეს ქართული **ძინ-** (მო-გუ-ზინ-ა); „ქართული **ძინ-**(<***ძ-ინ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჯინ- და ლაზური ჯინ-/ჯვინ-“ (სარჯველაძე, 1985, 25; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990;2000). ჩვენი აზრით, **ძინ-** ფუძეა (**ძ-ინ-**) –ძ – ძირისაგან –ი (<***-იე**) და –**ნ** სუფიქსებით გაფორმებული. ამას ადასტურებს ძველი ქართული ტექსტიც – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, სადაც ნუსხების მიხედვით სამი სხვადასხვა ვარიანტია წარმოდგენილი:

„და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თ?სთა ოდენ სამეფოტა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ ... იძინა (იძივნა C₁, იძია cet) და კეთილად გამოიძინა (გამოიძივნა C₁, გამოიძია cet.), მოიყვანნა და დაამკ?დრნა მას შინა“ AMm, „ქართლის ცხოვრება“ 1, 330, 14.

მაშასადამე, საზიარო ძ- ძირისაგან არის მიღებული ძ-ი-, ძ-ივ-ნ- და ძ-ი-ნ- ფუძეები.

საანალიზო ფორმათა შედარების საფუძველზე არქექტიპებად უნდა ვივარაუდოთ *ძ- ძირი, *ძ-ევ-, *ძ-ივ- და *ძ-ევ-ნ-/*ძ-ივ-ნ- ფუძეები.

**საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის
ქართულში და ქართველურ ენათა
ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საკითხი**

საქართველოში ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიას, საღვთისმეტყველო ძეგლების ქართულ ენაზე ძველთაგანვე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, გადმოდებასა და ორიგინალური ქრისტიანული ლიტერატურის შექმნას, მრავალ სიკეთესთან ერთად, ქართულ და, საერთოდ, ქართველურ ენათა ლექსიკური ფონდის გამდიდრება და განვითარება მოჰყვა. ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიის საკვლევად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიის, ფონემურად შესატყვის ფუძეთა გამოვლენისა და მათი შედარებითი ანალიზის საკითხები, ვინაიდან ასეთი ტერმინების დიდი ნაწილი ძირეული ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა და საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე არქექტიპთა აღდგენის საშუალებას იძლევა.

საღვთისმეტყველო შინაარსი, რომელიც ამ ლექსემებს მოეპოვებათ, ცხადია, გვიანდელი შენაძენია და გარკვეულ კონტექსტში ან სათანადო აფიქსთა დართვით სემანტიკური გადაწვევის (დიფერენციაციის) შედეგია.

ამჯერად, რამდენიმე საღვთისმეტყველო ტერმინი გამოგვაქვს საანალიზოდ.

1. *შეწევა*, *შეწევნა*, „წევნა“, „ხელის-აპყრობა, დახმარება, დაცვა, ხელის შეწყობა, გამართვა, მიშველება, ზრუნვა“ (ილ. აბულაძე, 1973). გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში (მათ შორის, ხანმეტ ტექსტებში): „*შემეწიე (მეწიე) ურწმუნობასა ჩემსა*“ მრ. 9,23; „რომელსა მაგას *შევეწიე* კიდითგან ქუეყანისაით“ J, ეს. 41, 9; „ღმერთი მათი *შეწევის* მათ“ 0, ივდ. 6, 2;

„უძლურ იქმნიან გრძნებანი და ვერ შეეწინიან წამლობანი“ ანტ. დ. 31; „შეეწიე სიბერესა მამისა შენისასა“ 0, ზირ. 3, 14; „შეეწოდა მორწმუნეთა მათ“ ს. გაბ. - ს. 93, 19; „მომეც ჩუენ შეწევნაი ჭირსა“ ფს. 59, 13; „ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწევნითა“ მრ. 29, 20; „შემძლებელ არს... სარწმუნოებაჲ, სიყუარულისაგან შეწევნული“ გალ. 5, 6; „არა თუმცა უფალი შეწუელ იყო ჩუენდა“ ი. - ე. 50, 26. შეწევა, შეწევნა ლექსემები წევა, წევნა ფუძეებისაგან ზმნისწინით ნაწარმოები ფორმებია.

წევა, წევნა „მიწევა, მოწევნა, შეხვედრა, მოსწრება, მოსვლა, „დაჭერა“, „აღქუმა“, დაწევა“ (ილ. აბულაძე): „ვსდევ ვერე, რაითა ეეწიო“ ფლბ. 3, 12; „ეგრეთ რბოდეთ, რაითა ეწინნეთ“ Q, I კორ. 9, 24; „მეწინნეს მე უსჯულოებანი ჩემნი“ ფს. 39, 13; „ნუ გეწევნიან ზრახვაი ბოროტი“ 0, იგ. სოლ. 2, 16; „წყობა ეწია მათ ზედა“ G, მსჯ. 20, 42; „ბნელი იგი მას ვერ ეწია“ I. ?, 5;

წევა, წევნა ლექსემათა აქ წარმოდგენილი განმარტებები ისტორიულად ამოსავალ სემანტიკურ ვითარებას ასახავენ. მოგვიანებით მათ საღვთისმეტყველო შინაარსი შეიძინეს: წევა, წევნა „დახმარება“, შეწევნა“, „შველა“ (ილ. აბულაძე): „მეწიე (შემეწიე DE) ურწმუნოებასა“ C, მრ. 9, 23; „ჩვეულებისაებრ შენისა მეწიე ჩუენ“ საკ. წიგ. II 86, 13.

წ. ძირისაგან (წ-ევ-ა, წ-ევ-ნ-ა; შე-წ-ევ-ა, შე-წ-ევ-ნ-ა) სათანადო აფიქსთა დართვით არა ერთი სხვა ლექსემაც შეიქმნა ძველ ქართულში და არა მხოლოდ საღვთისმეტყველო შინაარსისა: აღწევა, გამოწევა, განწევა, დაწევა, ზედა-მიწევნა, ზედა მიწევნით, ზედ-მიწევნულ წარწევნა. ასევე: მწე, „შემწე, დამხმარე, მშველელი“; შემწე, თანაშემწე, შემწეობა. ამავე ძირისაგან ჩანს ნაწარმოები: მწევარი (მ-წ-ევ-არ-ი) „ძალდი მაწევარი“ (საბა); ნაწევარი (ნა-წ-ევ-არ-ი) „სადრეკი, ნასხამი, „საკრველი“, „შეკრება“ (ილ. აბულაძე), „სახსართ შედგმულობა“ (საბა); წევრი (წ-ევ-რ-ი) [წევრი შდრ. ნაწევარი – საბა]... ახალი ქართული: ამწე, მიღწევა, მოწევა, დაღწევა და სხვა.

როგორც ცნობილია, საანალიზო წ. ძირს ქართველურ ენებში შესატყვისი ეძებნება:

ქართ. წ-ევ-ა; მო-წ-ევ-ნა; მო-წ-იფ-ებ-ა...

მეგრ. აფ-ა// ნჭ-აფ-ა „დაწევა“; მო-ნჭ-აფ-ილ-ი „დაწეული“...

ჭან. ო-ნჭ-უ „მოწევა“; მე-ბ-ი-ნჭ-ი „მივაღწიე“...

სვან. ლი-ჰ-ე//ლი-მჰ-ე „მოწევა“ (არნ. ჩიქობავა, 1938; ნ. მარი, 1918, 333).

ამ შესატყვისობების მიხედვით გ. კლიმოვმა ქართველური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპად აღადგინა *წ- ძირი (კლიმოვი, ეტიმ. ლექს., 248), ჰ.

ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ კი *წ- ძირი. ვფიქრობთ, ბგერათშესატყვისობის დადგენა არა მხოლოდ ძირტა, არამედ ფუძეთა შორის და ამის მიხედვით არქტიპად ფუძის რეკონსტრუქციაც (ამჯერად ქართულ-ზანური ფუძე-ენის დონეზე) შესაძლებელი ჩანს. კერძოდ, წ-ეგ-ნ- (წ-ეგ-ნ-ა შე-წ-ეგ-ნ-ა) ფუძის შესატყვისად ზანურში უნდა გვქონდეს ჭ-ა-ნ: ჭ-ა-ნ-აფ-ა, მო-ჭ-ა-ნ-აფ-ა „წვევა, მოწვევა; ხმობა; დაბარება; მოწოდება“, ეტიმოლოგიურად „მოწვენა; მოყვანა“ (მეგრ.) და ჭ-ა-ნ-დ-ა, ო-ჭ-ა-ნ-დ-უ „id“ (ჭან.). საანალიზო ქართულ-ზანურ ფუძეთა შორის (ქართ. წ-ეგ-ნ-: ზან. ჭ-ა-ნ-) ფონემური შესატყვისობისათვის დაბრკოლება არა ჩანს (ქართ.წ. ზან. ჭ, ქართ. ე: ზან. ა კანონზომიერი ბგერათფარდობაა), თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზანურში ვ იკარგვის არა მხოლოდ ინტერვოკალურ, არამედ პოსტვოკალურ-პრეკონსონანტურ პოზიციაშიც (ჭ-ა-ნ- <*ჭ-ა-ე-ნ-:წ-ეგ-ნ-).

წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობის საფუძველზე (ქართ. წ-ეგ-ნ-: მეგრ. ჭ-ა-ნ-: ჭან. ჭ-ა-ნ-) ქართულ ზანური ფუძე-ენის დონეზე შესაძლებელია არქტიპად *წ- ძირისა და *წ-ეგ-ნ- ფუძის რეკონსტრუქცია. ასევე, ზანურში კიდევ ერთი შესატყვისი ფუძის დადგენაც ხერხდება:

ქართ. მო-წ-ეგ-ა; მო-წ-ე-ულ-ი (<მო-წ-ეგ-ულ-ი); მო-ნა-წ-ეგ-ი...

მეგრ. მო-ნჭ-ა „მწიფე“ (ეტიმოლოგიურად „მოწეული, მონაწევი, შემოსული“);

ჭან. მო-ნჭ-ონ-ი, მო-ნჭ-აფ-ერ-ი „id“.

ამ შესატყვისობის მიხედვით არქტიპად ოდენ ძირის (*წ-) რეკონსტრუქციაა შესაძლებელი.

ზანურში (მეგრულში) „მწიფე“-ს აღსანიშნავად სხვა ფუძეც გვხვდება – მო-ნდ-ა, რომლის ნდ-ძირის შესატყვისს ვპოულობთ ქართულ ფუძეში უ-ნდ-ილ-ი „უმწიფარი“, „მკვახე“, „შემოუსვლელი“.

ქართულ-ზანურ ფუძეთა (უ-ნდ-ილ-ი : მო-ნდ-ა) შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებელია არქტიპად *ნდ – ძირის აღდგენა.

2. წირვა; შეწირვა; მწირი;

წირვა (ჟამის წირვა) „ლიტურგია“: ადასრულებს ჟამის წირვასა სამ ჟამს“ ლიმ. 11, 5; „მოიწია ჟამი ჟამის-წირვისა“ ი.ე. 33, 15.

შეწირვა „მირთუმა“, „მოგურა“, „შერთუმა“, „აღრთუმა“, „შეწყნარება“, „მსხუერპლება“, „ზორვა“, ძღვნა, „განჩინება“, „შეწირვა მსხუერპლისა“ (ილ. აბულაძე, 1973):

„*შეწიროს* (მიაართუა G) მსხუერპლი“ M, ლევიტ. 2, 8; „*შეწიროს* უფალსა შეცოდებისა მისისათჳს“ Pb., - „მოჰგუაროს ბრალისა მისისათჳს“ G, ლევიტ. 19,21; „უფალმან თაყუანის-ცემადი ჩემი *შეწიროა* A, ფს. 6, 10; „რომელი ჰმსახურებდეს სათნოებით, *შეწირულ* იყოს“ O, ზირ. 32, 19;

მწირო „ვედრი“, „მოქცეული“, „დამონებული“, უცხო, მოსული, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა, „შემყოფი“, „მდგმური“, მსხემი“ (ილ. აბულაძე):

„უფალმან დაიცვნის *მწირნი* (ვედრნი A) ფს. 145, 9; „*მწირო* და მკ?დრი იყვნეს ნახევარნი“ G, - „მოქცეულნი და მკვდრნი“ M, ისუ ნ. 8, 33; „*მწირ* იყავ ქუეყანასა მისსა“ Pb., - „მსხემ იყავ ქუეყანასა მათსა“ ლევიტ. 23, 7; „მივალ *მწირობად*“ M, „ვრონინებ დამკვდრებად“ G, მსჯ. 17, 9; „*მწირობისა* იგი დასაბამი ესე ერს“ O, - „გარდასახლებისა დასაბამი ესე არს“ Pb., აბდ. 1, 20.

წირვა ფუძისაგან ძველ ქართულში ნაწარმოებია: *განწირვა, განწირულება, თავგანწირვა, საწირავი, უწირველი, შემოწირვა, შეწირვა, შემწირველი, შესაწირავი...*

წირვა-სა (უამის-წირვა) და *შეწირვა*-ს შორის საზიარო მნიშვნელობა აშკარაა. იგივე მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ამოსავალი *მწირი* ლექსემისათვის. *წირ-ულ-ი, შე წირ-ულ-ი, ნა-წირ-ავ-ი, სა-წირ-ავ-ი, სა-წირ-გ-ელ-ი, შე-ნა-წირ-ი, შე-სა-წირ-ი* – საობიექტო მიმდებობის ფორმებია, ხოლო *მ-წირ-ი, მ-წირ-ავ-ი, მ-წირ-გ-ელი, შე-მ-წირ-გ-ელ-ი, შე-მო-მ-წირ-გ-ელ-ი* – სასუბიექტო მიმდებობისა.

სათანადო ლექსემებისათვის ისტორიულად ამოსავალი სემანტიკური მნიშვნელობა „*მიძღვნა, მირთმევა, გაცემა*“ უნდა ყოფილიყო (შდრ. *შეწირვა* „საღმრთოდ შეძღვნა“ - საბა). ამას გარკვეულწილად ადასტურებს ზანურის მონაცემებიც, სადაც საანალიზო წირ- ფუძის შესატყვისად უნდა გვქონდეს *ჭირ- /ნჭირ-: ჭირ-ინ-ავ-ა, მე-ჭირ-ინ-ავ-ა, მე-ნჭირ-ინ-ავ-ა* „მიწოდება; მიცემა; მიღწევა“. ქართული *წირ* და ზანური (მეგრ.) *ჭირ-ნჭირ* კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობას გვიჩვენებენ. ქართულ-ზანური ფუძე-ენის დონეზე არქექტიპად **წირ*- უნდა ვიგულისხმოთ.

ქართველური ეტიმოლოგიები

I წული; ყმაწვილი; წულილი; წვლილი; წვრილი

საანალიზო ლექსემათა ეტიმოლოგიასა და ქართველურ ენებში მათი შესატყვისობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო (ა. შანიძე, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი, ი. ჩანტლაძე, ვ. შენგელია, ა. არაბული, ლ. ნადარეიშვილი და სხვ.).

ქართველოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილ და ახლად გამოვლენილ მასალათა საფუძველზე შესაძლებლად გვესახება შემდეგი დაკავშირებების დაშვება:

წულ-ი (უფლისწული, სეფეწული, დედაწული, ქალწული, ძმისწული, დისწული, ძისწული...) ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს **წულ-ილ-** ფუძეს, რომელსაც ძველ ქართულშივე უჩანს პარალელური **წურ-ილ-** (**წულ-ილ-ი** > **წურ-ილ-ი** დისიმილაციით). მეორე მხრივ: **წულ-ილ-ი** > **წვლ-ილ-ი** > **წვრ-ილ-ი**. ამ უკანასკნელს დაუკავშირდება რედუცირებული ფორმები: ი-წრ-ო, ვ-ი-წრ-ო, ისევე, როგორც: სი-წლ-ო (<*სი-წულ-ო).

გვაკვ **წულ-** ფონეტიკური ვარიანტი ჩანს **წვილ-** (<*წვილ-) ფუძისა, რომელიც შემონახულია კომპოზიტში ყმაწვილ-ი. შდრ.: ყმაწვილ-ი ? ყმაწულ-ი (საბა). ამასთანავე, **წვილ-** / **წულ-** / **წურ-** ფუძეთა კავშირს ცხადყოფს ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებული ფორმები: „იყო ერთი ყრმაი წული“ მამ. ცხ. 346 V (შდრ. ყმაწვილი); დარჩეს შვილნი მისნი წურილნი“ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, 217, 4 (შდრ. წვრილშვილი); „გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა ყმაწურილთა“ იქვე, 152, 13 (შდრ. ყმაწვილთა).

წულ- / **წულ-ილ-** / **წურ-ილ-** ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირის საფუძველზე შესაძლებელი ჩანს ქართულ-სვანური ცნობილი შესატყვისობის (ქართ. წულ-ი: სვან. ჭუშ „ვაჟი“ ნაჭულ-აშ „საწულისი“) შევსება მაგალითით: **მო-ნჭირ-ილ-ი** ? **მო-ნჭირ-ელ-ი** „მოჭერილი; ვიწრო“; ეტიმოლოგიურად:

„დაწვრილებული“; მო-ნჭირ-ა „მოჭერა; დავიწროება“. ქართ. წულ- / წურ- : ზან. ნჭირ-: სვან. ჭუმ- / ჭულ- კანონზომიერ შესატყვისობას წარმოგვიდგენენ.

საანალიზო ფუძეთა შეპირისპირების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ქართველურ ფუძე-ენაში *წულ- / *წული- არქეტიპის არსებობა (შდრ.: გ. კლიმოვი – წ,უზ; კ. ფენრიხი – წ,ულ’).

ჭანური წულ-უ „მცირე; პატარა“ და სვანური წული „პატარადალი; დედოფალი“, ვფიქრობთ, ქართულიდან შემოსული ფუძეებია, რომლებიც სესხების სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს ასახავენ და არა – ბგერათშესატყვისობის მაგალითები.

II გრძილი, ღრძილი, ღჯილი

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ღრძილის მნიშვნელობით გრძილი დასტურდება: „გარნა გრძილნი კბილთანი მოსდნეს მრავლითა მით მარხვითა“... მრთ. ანტ. A, დ. 36 (ილ. აბულაძე).

გრძილ-ი ლექსემა ნაზმნარი სახელი ჩანს – -ილ სუფიქსით გაფორმებული ნამყო დროის საობიექტო მიმდებარეობა. მას ძველ ქართულში მეორე მნიშვნელობაც ჰქონია: „მკლავები ჯგრისა“ (ილ. აბულაძე), „ქონგური“ (ც. ქურციკიძე). ამასთანავე ძველ ქართულში დასტურდება გძილ-ი „ძვიდე“, „გისოსი“ (ილ. აბულაძე), რომელიც გრძილ- ფუძის გამარტივებული ფორმა ჩანს. ამას ადასტურებს XI სკ-ის აპოკრიფული ხელნაწერი „წამება? წმიდისა პეტრე მოციქულისა?“, სადაც რედაქციულად ორივე ვარიანტია წარმოდგენილი: „შეპყრობილ არს მართალსა ძელსა გრძილი (გძილი A) იგი საშოვალ“. (იხ. ქურციკიძე, 1959; 47,4).

გრძილ- ფუძის შესატყვისად ზანურში უნდა გვქონდეს: ჯირგ-ილ-ი „ღრძილი, ძირა კბილი“ (მეგრ.) და ჯირჯ-ილ-ი „ღრძილი“ (ჭან.), (გ. ბურჭულაძე). ქართ. გრძ-: მეგრ. ჯირგ-: ჭან. ჯირჯ- ძირთა შესატყვისობა ასე შეიძლება აიხსნას: გრძ- ძირისაგან ძ-ს მეტათეზისით მივიღებდით *ძგრ-ს. ასეთი პროცესის დაშვებას ძველ ქართულში ადასტურებს ყურდგელ-ი<ყურგდელ-ი (დგ-ელ-<გდ-ელ-<გძ-ელ-<გრძ-ელ-). შემდეგ უკვე რ-ს მეტათეზისი ჩანს მომხდარი – *ძგრ->*ძრგ-. ამ უკანასკნელს ძირის გახმოვანებით მეგრულსა და ჭანურში უნდა მოეცა ჯირგ- შესატყვისი, რაც დღეს ფაქტია მეგრულისათვის, მაგარმ განვლილი ეტაპია ჭანურისათვის, სადაც გ-ს ასიმილაციური აფრიკატიზაციით

მივიღეთ ჯირჯ-(<*ჯირგ-). ჯირჯ-ილ-ი ჭანურის ათიმური კილოს კუთვნილებაა, ხოფურში ღრძილის აღსანიშნავად **ღინჯგ-ილ-ი** ჭანურის ათინური კილოს კუთვნილებაა, ხოფურში ღრძილის აღსანიშნავად **ღინჯგ-ილ-ი** (ნ. მარის ცნობით), **ღენჯგ-ილ-ი** (არნ. ჩიქობავას ცნობით) არის წარმოდგენილი.

არნ. ჩიქობავას მიერ დადგენილი შესატყვისობის მიხედვით – ქართ. **ღრძ-ილ-ი**: ჭან. **ღინჯგ-ილ-ი/ღენჯგ-ილ-ი** – ქართულში ნავარაუდები იყო შიშინა (ჯ-იანი) ვარიანტის აგმოჩენა, რომელიც, ვფიქრობთ, დიალექტებს შემოუნახავთ **ღჯილ-** ფუძის სახით: **ღჯილ-ი** „ღრძილი“ (გურ., ივ. შილაკაძე; აღ. ღლონტი), „დიდი საღეჭი კბილი, ძირა კბილი“ (ლენხ., მ. ალაგვიძე, აღ. ღლონტი).

გრძ-ილ-, გძ-ილ- და ღრძ-ილ- ფუძეთა აგებულება და სემანტიკა მათ საერთო წარმოშობას გვაფიქრებინებს. ამასთანავე, ვფიქრობთ, პოზიციურ-კომბინატორულ ცვლილებებზე მეტად სხვადასხვა დიალექტური წრისადმი მათ კუთვნილებას უნდა გამოეწვია ვარიანტთა მრავალფეროვნება. ეს ვითარება განსაკუთვრებით თვალსაჩინოდ არის ასახული ჭანურ კილოებში. დიალექტური ვარიაცია ჯერ კიდევ ფუძე-ენიდან ზანურის გამოყოფამდე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, სხვაგვარად არ გვექნებოდა ქართულ-ზანური ბერათშესატყვისობის მაგალითთა ისეთი მრავალფეროვნებაც, როგორიცაა:

ქართ. გრძ-ილ-ი: მეგრ. ჯირგ-ილ-ი: ჭან. ჯირჯ-ილ-ი (გ. ბურჭულაძე);

ქართ. ღრძ-ილ-ი: ჭან. ღინჯგ-ილ-ი/ღენჯგ-ილ-ი (არნ. ჩიქობავა);

ქართ. ღიჯ-ღიჯ-ი: მეგრ. ღიჯგ-ინ-ი, ი-ღიჯგ-ინ-ან-ს (პ. ფენიხი);

ქართ. ღრჯ-ნ-ა/ღიჯ-ნ-ა/ღჯ-ნ-ა: მეგრ. ღირძგ-ონ-უ-ა/ღიძგ-ონ-უ-ა.

გრძილი/გძილი/ღრძილი ლექსემებისათვის ამოსავალი მნიშვნელობა, შესაძლებელია, „ჭერა“, „პყრობა“, „დაკავება“ ყოფილიყო. შდრ.: ღრძილი „კბილთ საპყრობი ხორცი“ (საბა); გძილი „გისოსი“ (ილ. აბულაძე).

ქართ. გრძ-ილ-: მეგრ. ჯირგ-ილ-: ჭან. ჯირჯ-ილ- ფონემური შესატყვისობა ფუძე-ენის დონეზე არქტიპებად ***გრძ-** ძირსა და ***გრძ-ილ-** ფუძეს გვაგვარაუდებინებს.

მეგრულში ღრძილის აღსანიშნავად ძირითადად **ნოლ-ი** დასტურდება, რომელიც ასევე ნამყო ღროის საობიექტო მიმღებობა ჩანს – **ულ-ა** „ვლა“, „სვლა“ ზმნისაგან **ნო-** პრეფიქსით გაფორმებული: **ნო-ლ-ი<ნო-ოლ-ი<ნო-*ულ-ი<ნო-ვლ-ი<ნო-ვოლ-ი** : **ნა-ვალ-ი**. ჭანურში გვხვდება **ნო-ველ-ი** „კვალი“ (ნ. მარი), რომელიც ასევე **ნა-ვალ-** ფუძისაგან ჩანს მიღებული. საანალიზო მეგრულ-ჭანურ ძირთა შესატყვისი ქართულში უნდა გვქონდეს **ვლ-ა** (ვალ) ზმნისაგან ნაწარმოებ

ფორმებში: ვლ-ებ-ა, მო-ვლ-ებ-ა „შემოვლება, მოსმა; „გარე-მოვლა“ (ილ. აბულაძე).

ამავე ძირისა ჩანს ქართულში ნავლ-ი (<*ნა-ვალ-ი) „ფერფლი“ (ეტიმოლოგიურად „ცეცხლის ნავალი, ცეცხლმონავლები“), მი-ნავლ-ებ-ა, მი-ინავლ-ა...

ქართ. ნა-ვლ- (<*ნა-ვალ-): მეგრ. ნო-ლ-: ჭან. ნო-ველ ბგერათშესატყვისობა ფუძე-ენის დონეზე *ნა-val- არქეტიპის არსებობას გვაფიქრებინებს.

III ქართ. მე-წყერ-ი;

ზან. წყარ-ი „წყალი“.

ზანური (მეგრულ-ჭანური) წყარ ფორმა ვერ იქნება შესატყვისი ქართულ წყალ ფუძისა, ვინაიდან დარღვეულია შესატყვისობა ხმოვნებს შორის და არც ლ: რ ბგერათფარდობა (წარმოდგენილ პოზიციაში) ასახავს შესატყვისობას თანხმოვნებს შორის. ამასთანავე, წყალ ფუძის ზანურ შესატყვისად წყუ ფუძეა ცნობილი. ამდენად, ვფიქრობთ, წყარ ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ქართულში მე-წყერ სახელში უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ ასეთი სეგმენტაცია მისაღები იქნება: მე-წყერ-ი, ე. ი. წყლიანი ადგილი (საბას განმარტებით: მეწყერი „გუზრდობა დამზღუდეული). მე-წყერ-ი ისეთივე აგებულებისა ჩანს, როგორც მე-მღერ-ი (ძვ. ქართ.) „მომღერალი“.

ქართ. წყერ – (მე-წყერ-ი) და ზან. წყარ-ფუძეთა შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვიობაა წარმოდგენილი, რის მიხედვითაც ქართველური ფუძე-ენის დონეზე *წყერ-ფუძის რეკონსტრუქციაა შესაძლებელი.

IV ქართ. ბაწ-არ-ი „ლარი, საბელი“ (ილ. აბულაძე), „სხვილი დაზლა ქალამნისა“ (საბა);

ზან. (მეგრ.) ბუჭ-ონ-ი, ბუჭ-ონ-უ-ა „შეგროვება; მოხვეჭა“.

(ეტიმოლოგიურად „გაბაწრვა“. „შეკვრა“).

ბაწ. ძირის კანონზომიერი ზანური შესატყვისი „ბოჭ- უნდა ყოფილიყო, რომლისგანაც ზანურისთვის დამახასიათებელი ო>უ

გადასვლით (ბაგისმიერი თანხმონის ასიმილაციური გავლენით) მივიღეთ ბუჭ- (ბუჭ-ონ-ი). ვფიქრობთ პირვანდელი *ბოჭ-ძირი, რომელიც დაიკარგა ზანურში, შემონახული უნდა იყოს სამწერლობო ქართულში წარმოდგენილ ბოჭ-ვა, შე-ბოჭ-ილ-ი ფუძეებში. ამაზე მეტყველებს ის ვითარებაც, რომ ბოჭვა ძველ ქართულ წყაროებში არა ჩანს (სულხან-საბას ლექსიკონ შიგ არაა დამოწმებული), ე. ი. გვიანდელი შემონატანია.

ბაწარ და ბოჭვა, ბოჭილ ფუძეებს შორის ისეთივე მიმართება ჩანს, როგორც ქართ. ბარკ-ალ და ზან. ბორკ-უ-ა (ბორკ-ვა), ბორკ-ილ-ი (შეკრული, შე-ბორკ-ილ-ი) ფუძეებს შორისაა წარმოდგენილი. ბორკ-ვა და ბორკ-ილ ფუძეები, როგორც ცნობილია, ზანიზმებად არის მიჩნეული (ნ. მარი; თ. გონიაშვილი; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

საანალიზო ფუძეთა ბგერათშესატყვისობის მიხედვით, ვფიქრობთ, ქართველური ფუძე-ენის დონეზე შესაძლებელია *ბაწ- ძირის რეკონსტრუქცია.

თავი III

სიბილანტურ ფონემათა სისტემა დაღესტნურ ენებში

§1. სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სისტემის შედგენილობისათვის დაღესტნურ ენებში

დაღესტნურ ენათა ფონემატური სისტემა განარჩევს **ს**, **ს** , **შ** **შ** , **ზ**, და **ჟ** სიბილანტურ სპირანტებს. ამ ფონემათა რეფლექსები თითქმის ყველა დაღესტნურ ენაში დასტურდება, ხოლო გემინირებული (სხვაგვარად – მაგარი, ინტენსიური) **ს** და **ს** სპირანტები არ მოეპოვება დიდოურ ენებსა და ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს. **ზ** და **ჟ** მქდურ სპირანტებს, ისევე, როგორც სხვა მქდურ თანხმოვნებს, დაღესტნურ ენებში გემინირებული კორელატები, ჩვეულებრივ, როგორც წესი, არ უდასტურდებათ (ერთადერთ გამონაკლისს უდიური ენა წარმოადგენს, სადაც გემინირებული **ჟ** სპირანტი და **ჯ** აფრიკატი გვხვდება).

დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში გემინირებულ **ს** და **შ** სპირანტთა ლეზგიური ქვეჯგუფების ენებში (ასევე დიდოურ ენებში) დაუდასტურებლობის გამო სადავოდ არის მიჩნეული საერთო-დაღესტნურ ფუძე-ენაში ამ ფონემათა რეკონსტრუქცია (СИЛДЯ 1971; 28) . დამატებითი მასალის მოძიებამდე ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება (იხ. ქვემოთ). ასევე სადავოდ არის მიჩნეული **ზ** და **ჟ** მქდურ სპირანტთა ფუძე-ენაში არსებობა, თუმცა დაღესტნურ ენებში გამოვლენილი საერთო დაღესტნური ფუძეები, სადაც **ზ** და **ჟ** სპირანტთა რეფლექსები კანონზომიერადაა წარმოდგენილი, შესაძლებლობას გვაძლევს, ფუძე-ენის დონეზეც აღვადგინოთ ისინი.

საილუსტრაციოდ მოგვაქვს რამდენიმე საერთო-დაღესტნური ფუძე:

ფუძე-ენა *ზ: ხუნძური ჳ აზო/ჳ აზუ: ანდიური ანზი: ახვახური ანჟი, ბოთლისური ანზი: ტინდიური ანზი: ბაგვალაღური ანზუ: ჭამალაღური ანზ: კარატაული ანზე: დიდოური ისი: ჰუნზიბური ზ: ბეჟიტური ონზ: ხვარშიული ონსა: ჰინუხური ო ოშე: ლეხგიური ჟივ: თაბასარანული ო იფ: რუთულური ო იზ: წახურული ო იზ: ხინალულური გ ზა; ბუდუხური ო იზ: უდიური იჟ „თოვლი“;

ფუძე-ენა *ზ: ანდ. ზიგუ. ბოთლ., ღოდ., ბაგვ., ტინდ., კარ. ზინი: ჭამ. ზინ: ახვ. ჟინგო/ჟონ: წახ. ზერ: რუთ. ზერ: ბუდ. ზარ: კრიწ. ზარ „ძროხა“;

ფუძე-ენა *ჟ: ხუნძ. ნუჟ/მუჟ: ანდ. ბიშთი: ღოდ. ბიშთე: კარ. ბიშდი: ახვ უშდი: დიდ. მეჟი: ხვარშ. მიჟო: ჰინ. მეჟი: ბეჟ. მაჟე/მიჟე: ჰუნზ. მიჟე: ლაკ. ზუ/ჟვი: თაბ. იჩეჟ/უჩეჟ: არჩ. ჟვენ: ად. ჩუნ: რუთ. ჟუ: წახ. შუ: ხინ. ზურ: ბუდ. ვინ: უდ. ვან „თქვენ“ (პირის ნაცვალსახელი);

ფუძე-ენა *ჟ: ხუნძ. ჟი-ვ: ანდ. ჟივ-ვ: ღოდ. ჟი-ვ-და: კარ. ჟევ-და: ახვ. ჟი-ვე-და: ბაგვ. ე-ვ(-და): ტინდ. ე-ვ-ა: ჭამ. ზი-ვ: ჰუნზ. ჟუ: ლაკ. ჟუ-ვ-ა: ლეხგ. ჟუ-ვ: თაბ. ჟეჟ-ვ: ად. უჩ: რუთ. ვუჯ: წახ. ვუჯ/ვუჟ: არჩ. ინჟუ/ ინჟა-ვ-უ: კრიწ. იჯ: უდ. იჩ „თვით თვითონ“ (უკუქცევითი ნაცვალსახელი).

ცხადია, ზ და ჟ სპირანტთა რეფლექსაციის სრულ ანალიზს დამატებითი მასალა და არგუმენტაციაც ესაჭიროება, მანამდე საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად.

ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში დადგენილი ზოგი უნივერსალური წესიც, ბუნებრივია, ასეთი დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ფუძე-ენაში საანალიზო სიბილანტურ სპირანტთა სარეკონსტრუქციოდ, კერძოდ, ფონოლოგიური დაპირისპირების არსებობა ცალკეული რიგის სიბილანტურ აფრიკატებს შორის (*ც - *ჩ, *წ -*ჭ, *ძ -*ჯ), რომელიც დაშვებულია საერთო დაღესტნურ ფუძე-ენაში, ასევე გულისხმობს დაპირისპირებას სპირანტებს შორისაც (მჟღერი *ზ – მჟღერი *ჟ) და, ამდენად, მათი ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. რაც შეეხება არაგემინირებულ ს და შ სპირანტებს, მათი დაშვება საერთო-დაღესტნური ფუძე-ენის დონეზე სადავო არ ჩანს, ვინაიდან ეს ფონემები ყველა დაღესტნურ ენას მოეპოვება და ზოგ ენაში არსებული განსხვავებული რეფლექსები დაბრკოლებას არ ქმნის მათ სარეკონსტრუქციოდ. სირთულეს ქმნის მხოლოდ ამ განსხვავებულ (არაიდენტურ) ეკვივალენტთა მეორეულობა ზოგ ენასა და დიალექტში (თქმაში) და ს, შ სპირანტთა შემცველი ფუძეების ნასესხობა. მიუხედავად ამისა, სიბილანტურ ს და შ სპირანტთა საერთო-დაღესტნური ფუძე-ენის დონეზე დაშვება ეჭვს არ იწვევს, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებული

არაერთი შესატყვისი ფუძე (ძირი, მორფემა) ადასტურებს და რაც წარმოდგენილ ცხრილში თვალსაჩინოა:

საერთო				
დაღესტნური	*ს	*ზ	*ჟ	*ქ
ხუნძური	ს(შ)	ზ,ჟ	ს,შ,ხ	ქ,(ზ)
ანდიური	ს	ზ	შ	ქ, შ?,შთ
ბოთლიხური	ს	ზ	შ	ქ
ლოდობერიული	ს	ზ	შ	ქ
ტინდიური	ს	ზ	შ	ქ
ბაგვალაური	ს	ზ	შ	ქ
ჭამალაური	ს	ზ	შ	ზ
კარატაული	ს	ზ	შ	ქ
ახვახური	შ	ქ	შ	ქ, ს?, შდ
დიდოური	ს,ზ	ზ,ს	შ,ქ	ქ
ბეჟიტური	ს	ზ,ს	ჭ,ქ,შ	ქ
ხვარშიული	ს	ზ,ს	შ	ქ
ჰინუხური	ს	ზ,შ	შ	ქ
ჰუნზიბური	ს	ზ	შ,ჭ,ქ	ქ
ლაკური	ს	ზ, (ს?)	შ	ქ,ზ
დარგუული	ს,ზ	ზ, (ძ)	შ,ს	შ
ლეზგიური	ს,ზ,ქ	ქ,კ,ზ,ძ	შ,ს	ქ,ჩ
არჩიბული	ს	ზ,ც	შ	ქ
თაბასარანული	ს,შ	ზ,ძ,ფ	შ,ქ,ს	ჩ
აღულური	ს	ზ	შ	ქ,ჩ,ჯ
რუთულური	ს	ზ, (ძ)	შ,ს	ქ,ჯ,შ
წახური	ს,ზ	ზ, (ძ)	შ,ს	ზ,ჯ,შ,შ?
ხინალულური	ს	ზ, (ძ)	შ,ს	ქ,ზ
კრიწული	ს	ზ	შ,ს	ქ,მ
ბუდუხური	ს	ზ	შ,ს	ქ,მ
უდიური	ს,ზ	ზ,ქ,(ც)	შ,ჩ,ს	ჩ,კ, ?

(შდრ. Trubezkoy 1926, 20; Бокарев 1961; Гудава 1964, 158; Гигинеишвили 19776 118).

წარმოდგენილი ცხრილი ემყარება შემდეგ საერთო-დადესტნურ ფუძეთა შედარებით ანალიზს (მოგვაქვს ხუნძური ან სხვა რომელიმე დადესტნური ენის მიხედვით): სონ „გუშინ“, ნისუ „ხაჭო“, ასორ (ანდიური) „სხვა“, მისა (ანდიური) „ადგილი“, მესედ „ოქრო“, სურა (წახური) „გვერდი ნახევარი“, σ ას „ქალიშვილი, გოგონა“, ვას „გაჟიშვილი; ბიჭი“, ბოსენ „ლოგინი“, ნუსგო „ასი“, სონ „წელიწადი“; φ აზო/ფ აზუ „თოვლი“, ზივუ (ანდიური) „ძროხა“, ზაზ „ეკალი“, ზობ „ცა“, ნუჟ/მუჟ „თქვენ“ (ნაცვალსახ.), უივ „თვით“ (ნაცვალსახ.), მეგეჟ „წვერი“, გოჟო „ემვი“ და სხვა (აბაშია 2004, I, II).

რაც შეეხება სიბილანტურ აფრიკატთა სისტემას, დადესტნურ ენებში ძირითადად წარმოდგენილია სიბილანტურ აფრიკატთა სამეულები, ოთხეულები და ხუთეულები, აფრიკატთა სისტემის შედგენილობას განსაზღვრავს ფონოლოგიური დაპირისპირება მჟღერობის, ფშვინვიერობისა და აბრუპტივობის (სიმკვეთრის) მიხედვით ისევე, როგორც ქართველურ ენებში. ამასთანავე, ქართველური ენებისაგან განსხვავებით, ნაწილი დადესტნური ენებისა განარჩევს ფშვინიერ და აბრუპტივ სიბილანტურ აფრიკატთა გემინირებულ (resp. მაგარ, ინტენსიურ) სახეობებს, ე.წ. გემინატებს.

ფშვინიერი **ც**, **ჩ** და მკვეთრი (აბრუპტივი) **წ**, **ჭ** აფრიკატები წარმოდგენილია დადესტნის ყველა ენაში (ლოდობერიულ, ტინდიურ ენებში **ც** სპორადულად ჩანს).

ძ, **ც**, **წ** და **ჯ**, **ჩ**, **ჭ** აფრიკატთა სამეულები დასტურდება დარგულ, თაბასარანულ, რუთულურ (აქ **ძ** აფრიკატი სპორადულად დაჩნდება), არჩიულ, კრიწულ, ბუღუხურ, ხინალულურ და უდიურ ენებში.

ც, **ჩ**, **წ**, **ჭ** გემინატები წარმოდგენილია ხუნძურ, ანდიურ, ბოთლიხურ, კარატაულ, არჩიულ ენებში. ტინდიურ, ლაკურ, თაბასარანულ, აღულურ და ხინალულურ ენებში ამ აფრიკატებიდან მხოლოდ **ც**, და **ჩ** გემინატებია წარმოდგენილი, ხოლო წახურში – ოდენ **ჩ** გემინატი. უდიურში ყველა შიშინა გემინატი – **ჟ**, **შ**, **ჯ**, **ჩ**, **ჭ**, - დასტურდება. ბაგვალაურ, ჭამალაურ ენებში, **წ**, **ჭ**, აფრიკატები რეალიზდება, როგორც გემინირებული სპირანტები.

მჟღერი **ძ** და **ჯ** აფრიკატები წარმოდგენილია დარგულ, თაბასარანულ, რუთულურ, არჩიულ, კრიწულ, ბუღუხურ, ხინალულურ და უდიურ ენებში. ანდიურ, ბოთლიხურ, კარატაულ, ჭამალაურ, აღულურ და წახურ ენებში შიშინა **ჯ** აფრიკატი დასტურდება.

გემინირებული აფრიკატები, ჩვეულებრივ, არ მოეპოვებათ დიდოურ ენებს, ბაგვალაღურს, ჭამალაღურს, დარგუულს, ლეზგიურს, რუთულურს, კრიწულს და ბუდუხურს.

სრული შედგენილობით (გემინირებულ აფრიკატებთან ერთად) სისინა და შიშინა სიბილანტური რიგები არ დასტურდება არც ერთ დადესტნურ ენაში, თუმცა შიშინა სიბილანტური რიგი – ჯ, ჩ, ჩ , ჭ, ჭ , -სრულად დაუცავს ანდიურ, ბოთლიხურ, კარატაულ, ჭამალაღურ, არჩიულ და უდიურ ენებს. უდიურ ენაში დასტურდება ჯ და ჟ გემინატიც, განსხვავებით ყველა სხვა დადესტნური ენისაგან, რომელთაც, ჩვეულებრივ, არ მოეპოვებათ მქდერი აფრიკატებისა და სპირანტების (ისევე, როგორც სხვა მქდერების) გემინირებული კორელატები.

ამასთანავე, ზოგ დადესტნურ ენაში გვხვდება ლაბიალიზებული და დენტოლაბიალიზებული აფრიკატები.

როგორცფ ვხედავთ, დადესტნურ ენაში გვხვდება ლაბიალიზებული და დენტოლაბიალიზებული აფრიკატები.

როგორც ვხედავთ, დადესტნურ ენებში სიბილანტურ აფრიკატთა სისტემა (ისევე, როგორც საერთოდ კონსონანტური სისტემა) სინქონიულ დონეზე რთულ სურათს გვიჩვენებს – აფრიკატთა რაოდენობა რომელიმე ცალკეულ (სისინა ან შიშინა) სიბილანტურ რიგში ორიდან ექვსამდე მერყეობს, რაც ალბათ გულისხმობს ასეთივე რთულ სურათს დიაქრონიულ დონეზეც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი დადესტნური ენისა და დიალექტის გათვალისწინებით საერთო-დადესტნურ ფუძე-ენაში საეჭვოა გემინირებული თანხმოვნების დაშვება და ასეთ შემთხვევაში დიაქრონიულ დონეზე სიბილანტურ აფრიკატთა შედარებით მარტივი სისტემა უნდა ვიგულისხმოთ, კერძოდ, ისეთივე, როგორიც ქართველურ და ნახურ ენებშია წარმოდგენილი. ამას მხარს უჭერს ანდიური ენის ჩვენება, სადაც გემინატიების არსებობა პოზიციურად არის შეპირობებული (ილ. ცერცვაძე 1965, 24), ე.ი. მეორეულია. სხვა დადესტნურ ენებშიც გემინაციას ერთ-ერთ მიზეზად სწორედ პოზიციური შეპირობებულობა უნდა ჰქონოდა.

ასევე, ვფიქრობთ, გემინატიების მეორეულობის სასარგებლოდ მეტყველებს ზოგი დადესტნური ენისა და დიალექტის ვითარება. მაგალითად, დარგუული ენის წუდახარულ, ხაიდაყურ და ყუბახურ დიალექტებში გვაქვს ც , ჩ გემინირებული აფრიკატები, მაგრამ არა გვაქვს ძ, ჯ, მქდერი აფრიკატები, ხოლო ახუშურ და ურახულ დიალექტებში (ასევე – სალიტერატურო ენაში) კი, პირიქით, - გვაქვს ძ, ჯ აფრიკატები, მაგრამ არა გვაქვს ც , ჩ , გემინატიები

(აღ. მაჰომეტოვი 1976, 279). მაშასადამე, დარგული ენის დიალექტთა ჩვენებით გემინირებული აფრიკატების არსებობას გარკვეულწილად განაპირობებს მჟღერი აფრიკატების არარსებობა. „სადაც ინტენსიური (ე.ი. გემინირებული – რ.ა.) აფრიკატი გვაქვს, მჟღერი არ გვექნება“ (არნ. ჩიქობავა 1979, 65).

როგორც ირკვევა, ეს ვითარება არაერთ სხვა დადესტნურ ენასა და დიალექტშიც შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ მჟღერი **ძ, ჯ** აფრიკატები დღეს ყველა დადესტნურ ენაში არ დასტურდება, ამ აფრიკატთა დაშვებას საერთო-დადესტნური ფუძე-ენის დონეზე არ გამორიცხავს არც ერთი სპეციალისტი (განსხვავებით **ზ, ჟ** სპირანტებისაგან, რომელთა დაშვებას ფუძე-ენაში ზოგი მკვლევარი უარყოფს). აქედან დასკვნა; ვინაიდან საერთო-დადესტნურ ფუძე-ენაში უნდა ვიგულისხმოთ მჟღერი აფრიკატების არსებობა, ამიტომაც გემინირებული (მაგარი, ინტენსიური) აფრიკატები ფუძე-ენაში არ გვექნოდა.

**§2. ხუნძური ენის სიბილანტურ ფონემათა სისტემა
და დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის
ზოგიერთი საკითხი**

ხუნძური ენის ფონემატური სისტემა განარჩევს ოთხი რიგის სიბილანტურ თანხმოვნებს: 1. წინა რიგის: **ზ, ს, ც, წ**; 2. წინა რიგის (გემინირებული): **ს , ც , წ**; 3. უკანა რიგის: **ჟ, შ, ჩ, ჭ**; 4. უკანა რიგის (გემინირებული): **შ , ჩ , ჭ** . როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ხუნძურ ენაში არ დასტურდება **ძ** და **ჯ** აფრიკატები, რომლებიც მოეპოვება ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებს: ჰინდურ-ანდალალურ-ყარახულს, ანწუხურს, ჭარულს (ჯ) და ანწუხურსა და ჭარაულს (ძ). მჟღერ აფრიკატებს, ისევე როგორც მჟღერ სპირანტებს, ხუნძურში და, საერთოდ, დაღესტნურ ენებში ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ გემინირებული (resp. მაგარი, ინტენსიური) კორელატები. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს უდიური ენა, სადაც დასტურდება მჟღერი **ჯ** და **ჟ** გემინატები.

ხუნძური ენის საბილანტურ ფონემათა სისტემის შედარება-შეპირისპირება სხვა დაღესტნურ ენათა შესაბამის სისტემასთან რამდენიმე ზოგადი ხასიათის დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, კერძოდ:

სიბილანტური სპირანტები **ზ, ს, ჟ, შ**. გვხვდება თითქმის ყველა დაღესტნურ ენაში (ჟ არ დასტურდება მხოლოდ წახურ ენაში და სპორადულად ჩანს ჭამაღალურში). **ს** და **შ** სპირანტების დაშვება საერთო-დაღესტნური ფუძე-ენის დონეზეც, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, სადავო არ არის. დავას იწვევს **ზ** და **ჟ** მჟღერი სპირანტების რეკონსტრუქცია ფუძე-ენაში, მაგრამ საერთო-დაღესტნური ფუძეების შესატყვისობა (ხუნძ. **ზაზო** „თოვლი“,

ანდ. ზიგუ „ძროხა“, ხუნდ. ნუჟ „თქვენ“ და ჟივ „თვითონ“ (ნაცვალსახელები) და სხვა, სადაც ძირითადი ლექსიკური ფონდის (და არაპერიფერიული ლექსიკისა) სიტყვებია წარმოდგენილი, საფუძველს არ გვაძლევს ფუძე-ენაში ზ და ჟ სპირანტების რეკონსტრუქციის საწინააღმდეგოდ.

გემინირებული სპირანტები ს და შ არ დასტურდება დიდოურ ენებში, დარგუულ ენაში და ლეზგიურ ენათა უმეტესობაში, რაც ამ ფონემათა ფუძე-ენის დონეზე დაშვების სასარგებლოდ არ მეტყველებს.

სიბილანტური აფრიკატები - ც, წ, ჩ, ჭ – დასტურდება ყველა დარესტნურ ენაში (მხოლოდ ც ჩანს სპორადულად ღოდობერიულ და ტინდიურ ენებში). ეს აფრიკატები წარმოდგენილია ასევე მრავალ საერთო-დადესტნურ ფუძეში, რაც უდავო არგუმენტია ფუძე-ენის დონეზე მათ სარეკონსტრუქციოდ.

გემინირებული სიბილანტური აფრიკატები – ც , წ , ჩ ჭ – არ მოეპოვება დადესტნურ ენათა უდიდეს ნაწილს. გემინატების დაშვება ფუძე-ენაში ამ და ზოგიერთ სხვა მიზეზთა გამო, როგორც ჩანს, საეჭვოა. ამაზე მეტყველებს ასევე ზოგიერთი დადესტნური ენისა და დიალექტის ჩვენებაც, სადაც გემინატების არსებობა პოზიციურად არის შეპირობებული (მაგ., ანდიურში). დარგუულ სალიტერატურო ენაში და მის ახუმურ და ურახულ დიალექტებში არც ერთ სიბილანტს არ მოეპოვება გემინირებული კორელატები, მაგრამ დასტურდება ძ და ჯ აფრიკატები, ხოლო წუდახარულ, ხაიდაყურ და ყუბაჩურ დიალექტებში გვაქვს ც , ჩ , გემინირებული აფრიკატები, მაგრამ არა გვაქვს ძ, ჯ მჟღერი აფრიკატები. მაშასადამე, სადაც მჟღერი აფრიკატები გვაქვს, იქ გემინირებული აფრიკატები არ გვექნება, რაც გემინატების მეორეულობაზე მეტყველებს და საერთო-დადესტნური ფუძე-ენის დონეზე მათ დაშვებას საეჭვოს ხდის.

სიბილანტური აფრიკატები –ძ, ჯ – ყველა დადესტნურ ენაში არ დასტურდება, მაგრამ ამ აფრიკატთა არსებობა მრავალ საერთო-დადესტნურ ფუძეში საფუძვლიანი არგუმენტია ფუძე-ენის დონეზე მათ სარეკონსტრუქციოდ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ხუნძური ენისა და მისი დიალექტების მონაცემები საერთო-დადესტნური ფუძე-ენის სიბილანტურ სისტემასთან შემდეგ მიმართებებს გამოგვივლენს:

ხუნძურ ენასა და დიალექტებში დაცულია საერთო-დადესტნური ფუძე-ენის ზ, ს, ჟ, შ სპირანტები და ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ აფრიკატები. ამასთანავე, ხუნძურ ენას მოეპოვება გემინირებული სპირანტები და აფრიკატები, რომელთა არსებობა ფუძე-ენის დონეზე საეჭვოა.

§3. „კავკასიური ბგერები“ და დაღესტნურ ენათა ფონემატური სისტემა

როგორც ცნობილია, „კავკასიური ბგერები“ ანუ იბერიულ-კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მკვეთრი (აბრუპტიული) თანხმოვნები – პ ტ წ ჭ კ ყ – ქმნიან სამეულთა სისტემას და ამ მხრივაც მსოფლიოს სხვადასხვა (ინდო-ევროპულ, სემიტურ...) ოჯახის ენათაგან სრულიად განსხვავებულ, თავისებურ სახეს აძლევენ იბერიულ-კავკასიურ ენებს. ამასთანავე, ვინაიდან „კავკასიური ბგერების“ არსებობა ივარაუდება იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის დონეზეც, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ფონემათა ისტორიის კვლევა ამა თუ იმ ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

„კავკასიური ბგერები, რომლებიც შეიცავენ სიბილანტებსაც, არა მხოლოდ დასტურდება დაღესტნური ჯგუფის ენებშიც, არამედ ზოგ დაღესტნურ ენაში ისინი ქმნიან ოთხეულთა და ხუთეულთა სისტემასაც კი. სამეულთა სისტემის ასეთ გართულებას ამ ენებში იწვევს პრერუპტივების (ნახევარ-აბრუპტივების), ინტენსიურ (მაგარ, გემინირებულ) და სხვა სერიის თანხმოვანთა არსებობა.

სინქრონულ დონეზე დაღესტნურ ენებში „კავკასიური ბგერების“ არსებობა სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

ხუნძური	(პ)	ტ	წ	წ?	ჭ	ჭ	კ	კ	ყ	
ანდიური		ტ	წ	წ?	ჭ	ჭ	კ	კ	ყ	ყ
ბოთლიხური		ტ	წ	წ?	ჭ	ჭ	კ		ყ	
ლოდობერიუ		ტ	წ		ჭ		კ		ყ	

ტინდიური		ტ	წ		ჭ		კ		ყ
ბაგვალური		ტ	წ		ჭ		კ	კ	ყ
ჭამალალური		ტ	წ		ჭ		კ		ყ
კარატაული	პ	ტ	წ	წ	ჭ		კ	კ	ყ
ახვასური	(პ)	ტ	წ	წ	ჭ		კ	კ	ყ ყ
დიდოური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ბეუიტური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ხვარშიული	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ჰინუხური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ჰუნზიბური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ლაკური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
დარგუული	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ლეზგიური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
არჩიბული	პ	ტ	წ	(წ)	ჭ	(ჭ)	კ		ყ
თაბასარანული	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
აღულური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
რუთულური	(პ)	ტ	წ		ჭ		კ		ყ
წახური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ხინალულური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
კრიწული	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
ბუდუხური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ
უდიური	პ	ტ	წ		ჭ		კ		ყ

დადესტნურ ენებში სინქრონულ დონეზე წარმოდგენილი ასეთი სურათი, ცხადია, ართულებს დიაქრონიულ დონეზე არსებული ვითარების რეკონსტრუქციას, მაგრამ დარესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფინეტიკის კვლევაში მიღებული შედეგები, ვფიქრობთ, იძლევა რამდენიმე ზოგადი ხასიათის დასკვნის გამოტანის საშუალებას, კერძოდ:

ტ წ ჭ კ ყ აბრუპტივების რეკონსტრუქცია საერთოდადესტნური ფუძე-ენის დონეზე სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ამაზე მეტყველებს ამ ფონემათა პოზიციერება ყველა დადესტნურ ენაში და, რაც მთავარია, მრავალ საერთოდადესტნურ ფუძეში;

ამ აბრუპტივთა ინტენსიური კორელატების დაშვება საეჭვოა საერთოდარესტნური ფუძე-ენის ადრინდელ ეტაპზე, მაგრამ მათი პოსტულირება

შესაძლებელი ჩანს მხოლოდ გვიანდელ ეტაპზე – ფუძე-ენის დიფერენციაციის პერიოდში;

საეჭვოა ბაგისმიერი პ აბრუპტივისა და პრერუპტივების რეკონსტრუქცია საერთოდადესტნური ფუძე-ენის ყველა ეტაპზე – თანამედროვე დადესტნურ ენებში მათი იშვიათი პოზიციებისა და საერთოდარესტნურ ფუძეებში ჯერ-ჯერობით დაუდასტურებლობის გამო;

მიუხედავად ასეთი ხასიათის ცალკეული სირთულისა, „კავკასიური ბგერების“ არსებობა დადესტნურ ენებში, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, სრულიად რეალურია დარესტნურ ენათა ფონემატური სისტემის როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეზე.

§4. „სისინასიბილანტური“ და „შიშინასიბილანტური“ დადესტნური ენები და დიალექტები

როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის რეგულარულ წესს: ერთი მხრივ, ქართული ენის სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურსა და სვანურში წარმოდგენილია ასევე სისინა, იდენტური კორელატები და, მეორე მხრივ, - შიშინა სიბილანტები, ხოლო ქართული ენის ენის შიშინა სიბილანტებს შეესატყვისება ზანურ-სვანური თანხმოვანთკომპლექსები (შიშინა სიბილანტები ვეღარულ ხშულებთან ერთად). ამიტომაც ითქვა, რომ სწორედ „სიბილანტები ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ მიზეზითვე ნ. მარმა ქართულ ენას „სისინა ჯგუფის“, ხოლო ზანურსა (მეგრულ-ჭანურსა) და სვანურს „შიშინა ჯგუფის“ ენები უწოდა.

სიბილანტურ ფონემათა ასეთი „ყოფაქცევა“ მეტნაკლებად დამახასიათებელია ყველა იბერიულ კავკასიური ენისათვის და, მათ შორის, დადესტნური ენებისთვისაც. დარესტნის მონათესავე მრავალრიცხოვან ენათა შორის თითოეული ენა მონოგრაფიულადაა შესწავლილი, რაც გვაძლევს გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას ამ ენათა „სისინა“ თუ „შიშინა“ ჯგუფის ენებად კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით, დადესტნურ ენათა უმრავლესობა (დაახლოებით 20 ენა) „სისინა ჯგუფის“, უფრო ზუსტად, „სისინა-სიბილანტური“ ენებია. ერთადერთი ენა დადესტნურ ენათა შორის, რომელიც აშკარად შეიძლება ჩაითვალოს „შიშინა-სიბილანტურ“ ენად, ახვახური ენაა (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფი), ვინაიდან ახვახური ენა თითქმის უგამონაკლისოდ წარმოგვიდგენს შიშინა სიბილანტებს სხვა დარესტნურ ენათა სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად (ბევრად უფრო მეტად და რეგულარულად, ვიდრე ზანური და სვანური ქართულ

ენასთან მიმართებით). უდიურ ენაშიც თითქმის ასეთივე ვითარებაა ასახული – სხვა დადესტნურ ენათა სისინა სიბილანტებს აქ ზოგჯერ შიშინა შეესატყვისება, მაგრამ ეს შესატყვისობა რეგულარული ხასიაქთისა არ არის, როგორც ახვასურში. ამის გამო უდიურის კვალიფიკაცია „შიშინა-სიბილანტურ“ ენად გაჭირდება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ უდიურ ენაში შიშინა სიბილანტური რიგის სრულ შედგენილობას (უდიური ენა ერთადერთია დადესტნურ ენათა შორის, რომელსაც შიშინა სიბილანტები – არამაგარიც და მაგარიც, ანუ ინტენსიურიც – სრულად დაუცავს, ხოლო სისინა-სიბილანტური რიგი ნაკლული აქვს – არ მოეპოვება ინტენსიური კორელატები), მაშინ უდიური ენის „შიშინა-სიბილანტურ“ ენად მიღება შესაძლებელი ჩანს.

სისინა სიბილანტთა გადასვლა შიშინებში დასტურდება დიდოურ ენებსა და დიალექტებშიც (ელ. ლომთაძე, ტ. გუდავა): ბეჟიტურში (ტლადალურ დიალექტში), ჰუნზიბურში, ჰინუხურში, თუმცა ამ ენებში და დიალექტებში ის პოზიციურ-კომბინაციური ხასიათისაა.

რეგულარულ ხასიათს ატარებს შიშინა – სიბილანტური შესატყვისობა ხუნძური ენის ბათლუხურ დიალექტში, ყოროდის თქმაში და განსაკუთრებით, ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ თქმაში. ამდენად ეს დიალექტები და თქმები სალიტერატურო ხუნძურთან და მის სხვა დიალექტებთან და თქმებთან მიმართებით (ისევე, როგორც „სისინა-სიბილანტურ“ სხვა დადესტნურ ენობრივ ერთეულებთან მიმართებით) „შიშინა-სიბილანტური“ აღმოჩნდა.

ასევე, ლეზგიური ენის სამურის დიალექტსა და თქმებში კიურიული დიალექტისა და თქმების სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად შიშინა სიბილანტებია წარმოდგენილი (უ. მეილანოვა).

სალიტერატურო ლაკურ ენასა და დიალექტებშიც აშთიყულის დიალექტის სისინა სიბილანტების (სპირანტების) ეკვივალენტებად შიშინა სიბილანტები (ასევე სპირანტები) დასტურდება (გ. მურყელინსკი).

ეს ვითარება ნაწილობრივ არაერთ სხვა დარესტნურ ენაში, დიალექტში, თქმაში თუ მეტყველებაშიც ვლინდება.

დადესტნურ ენებში ისევე, როგორც ქართველურ ენებში, სიბილანტთა შესატყვისობასწ, როგორც ცანს, საარტიკულაციო ბაზისის ერთი მიმარტულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისკენ – ვგადაწვევის წესი განაპირობებს, თუმცა ხსენებულ ენებსა და დიალექტებში მოქმედებს ბგერათშესატყვისობის უკუპროცესიც (ინტენსიური შიშინა სიბილანტების გადასვლა ინტენსიურ სისინა სიბილანტებში), რომელსაც გარკვეული ახსნა

მოეპოვება და ვერ არღვევს ბგერათშესატყვისობის მაგისტრალურ ხაზს – სისინა (არაინტენსიური) სიბილანტების გადასვლას შიშინა (ასევე არაინტენსიური) სიბილანტებში ისევე, როგორც ქართულ ენასა და დიალექტებში არსებული დუბლეტური ფუძეები, სადაც ხდება სისინა და შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუცია (ასეთი ფუძეები მრავლად გვხვდება), ვერ არღვევს ქართველურ ენათა შორის ბგერათს სატყვისობის კანონზომიერ, რეგულარულ ხასიათს.

§5. სიბილანტურ სპირანტთა შესატყვისობისათვის დადესტნურ და ქართველურ ენებში

დარესტნურ ენათა ფონემატური სისტემა განარჩევს **ს, ს?, შ, შ?, ზ** და **ჟ** სიბილანტურ სპირანტებს. ამ ფონემათა რეფლექსები თითქმის ყველა დადესტნურ ენაშია წარმოდგენილი: **ს, შ, ზ, ჟ** სპირანტები ყველა ენაში დასტურდება, ხოლო გემინირებული (სხვაგვარად მაგარი, ინტენსიური) **ს?** და **შ?** სპირანტები არ მოეპოვება დიდოურ ენებსა და ლეზგიური ქვეჯგოფის ენებს. **ზ** და **ჟ** მუდერ სპირანტებს, ისევე, როგორც სხვა მუდერ თანხმოვნებს, დადესტნურ ენებში გემინირებული კორელატები, ჩვეულებრივ, როგორც წესი არ უდასტურდებათ.

დადესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში გემინირებულ **ს?** და **შ?** სპირანტთა ლეზგიური ქვეჯგოფის ენებში (ასევე დიდოურ ენებში) დაუდასტურებლობის გამო სადავოდ არის მიჩნეული საერთო-დადესტნურ ფუძე-ენაში ამ ფონემათა რეკონსტრუქცია (СИЛДЯ 1971; 28). დამატებითი მასალის მოძიებამდე ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება. ასევე სადავოდ არის მიჩნეული **ზ** და **ჟ** მუდერ სპირანტთა ფუძე-ენაში არსებობა, თუმცა დარესტნურ ენებში გამოვლენილი საერთო-დადესტნური ფუძეები, სადაც **ზ** და **ჟ** სპირანტთა რეფლექსები კანონზომიერადაა წარმოდგენილი, შესაძლებლობას გვაძლევს, ფუძე-ენის დონეზეც აღვადგინოთ ისინი.

რაც შეეხება არაგემინირებულ **ს** და **შ** სპირანტებს, მათი დაშვება საერთო-დადესტნური ფუძე-ენის დონეზე სადავო არ ჩანს, ვინაიდან ეს ფონემები ყველა დადესტნურ ენას მოეპოვება და ზოგ ენაში არსებული განსხვავებული რეფლექსები დაბრკოლებას არ ქმნის მხოლოდ ამ განსხვავებულ (არაიდენტურ) ეკვივალენტთა მეორეულობა ზოგ ენასა და დიალექტში (თქმაში) და **ს, შ**

სპირანტთა შემცველი ფუძეების ნასესხობა. მიუხედავად ამისა, სიბილანტურ ს, და შ, სპირანტთა საერთო-დადესტნური ფუძე-ენის დონეზე დაშვება ეჭვს არ იწვევს, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებული არაერთი შესატყვისი ფუძე (ძირი, მორფემა) ადასტურებს და რაც წარმოდგენილ ცხრილში თვალსაჩინოა.

საერთო- დადესტნური	*ს	*ზ	*შ	*ჟ
ხუნძური	ს (შ)	ზ, ჟ	ს, შ, ს	ჟ, (ზ)
ანდიური	ს	ზ	შ	ჟ
ბოთლიხური	ს	ზ	შ	ჟ
ლოდობერიული	ს	ზ	შ	ჟ
ტინდიური	ს	ზ	შ	ჟ
ბაგვალური	ს	ზ	შ	ჟ
ჭამალაღური	ს	ზ	შ	ზ
კარატაული	ს	ზ	შ	ჟ
ახვახური	შ	ჟ	შ	ჟ, ს?, შდ
დიდოური	ს, ზ	ზ, ს	შ, ჟ	ჟ
ბეკიტური	ს	ზ, ს	ჭ, ჟ, შ	ჟ
ხვარშიული	ს	ზ, ს	შ	ჟ
ჰინუსური	ს	ზ, შ	შ	ჟ
ჰუნზიბური	ს	ზ	შ, ჭ, ჟ	ჟ
ლაკური	ს	ზ, (ს?)	შ	ჟ, ზ
დარგუელი	ს, ზ	ზ, (ძ)	შ, ს	შ
ლეზგიური	ს, ზ, ჟ	ჟ, ვ, ზ, ძ	შ, ს	ჟ, ჩ
არჩიბული	ს	ზ, ც	შ	ჟ
თაბასარანული	ს, შ	ზ, ძ, ღ	შ, ჟ, ს	ჩ
აღულური	ს	ზ	შ	ჟ, ჩ, ჯ
რუთულური	ს	ზ, (ძ)	შ, ს	ზ, ჯ, შ
წახური	ს, ზ	ზ, (ძ)	შ, ს	ჟ, ჯ, შ, შ?
ხინაღულური	ს	ზ, (ძ)	შ, ს	ჟ, ზ

კრიწული	ს	ზ	შ, ს	ჟ, ვ
ბუღუხური	ს	ზ	შ, ს	ჟ, ვ
უდიური	ს, ზ	ზ, ჟ, (ც)	შ, ჩ, ს	ჩ, ვ ?

(შდრ. Trubezkoy 1926, 20; Бокарев 1961 Гудава 1964б 158; Гигинеишвили 1977б 118).

წარმოდგენილი ცხრილი ემყარება შემდეგ საერთო-დაღესტნურ ფუძეთა შედარებით ანალიზს (მოგვაქვს ხუნძური ან სხვა რომელიმე დაღესტნური ენის მიხედვით): სონ „გუშინ“, ნისუ „ხაჭო“, ასორ (ანდიური) „სხვა“, მისა (ანდიური) „ადგილი“, მესედ „ოქრო“, სურა (წახური „გვერდი; ნახევარი“); იას „ქალიშვილი; გოგონა“, ვას „ვაჟიშვილი; ბიჭი“, ბოსენ „ლოგინი“, ნუსგო „ასი“, სონ „წელიწადი“; ?აზო/?ზუ „თოვლი“, ზივუ (ანდიური) „ძროხა“ ზაზ „ეკალი“, ზობ „ცა“; ნუჟ/მუჟ „თქვენ“ (ნაცვალსახ.), ჟივ „თვით“ (ნაცვალსახ.), მეგეჟ „წვერი“, გოჟო „ეშვი“ და სხვა.

ქართველურ ენებში სიბილანტურ სპირანტებს შორის შესატყვისობის შემდეგი წესია ცნობილი:

საერთო-ქართველური ფუძე-ენა ქართული **ზ**: ზანური **ზ**, სვანური **ზ**.

საერთო ქართველური ფუძე-ენა **ს**- ქართული **ს**: ზანური-**ს**: სვანური **ს**:

საერთო ქართველური ფუძე-ენა **შ** – ქართული **შ** : ზანური **შქ/ს** : სვანური **შქ/სგ**.

რეგულარული ხასიათისაა შესატყვისობა სისინა და შიშინა სპირანტებს შორისაც:

ქართული **ზ** : ზანური **ჟ** : სვანური **ჟ**, რის მიხედვითაც საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში აღდგება ასევე სისინა (წინა რიგის) ***ზ** სპირანტი და არა – სისინ-შიშინა (შუა რიგის) ***ზ**, როგორც ეს დაშვებულია ქართველოლოგთა ნაწილის მიერ.

ქართული **ს** : ზანური **შ** : სვანური **შ** შესატყვისობის მიხედვითაც ფუძე-ენაში უნდა აღვადგინოთ სისინა (წინა რიგის) ***ს** სპირანტი და არა – სისინ-შიშინა (შუა რიგის) ***ს**.

ამასთანავე, ვფიქრობთ, ბოლო დროს გამოვლენილი საერთო ქართველური ფუძეების შესატყვისობის მიხედვით (ორი ათეული საერთო-ქართველური ფუძე) შესაძლებელია ბგერათშესატყვისობის ახალი რიგის – ქართული **ჟ**: ზანური **ჟდ**: სვანური **ჟდ** – მიღებაც, რის საფუძველზეც საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში

აღდგება ქართველოლოგიაში საექვოდ *ჟ შიშინა (უკანა რიგის) სპირანტი და ამით შეივსება სიბილანტურ სპირანტთა ნაკლული რიგი.

როგორც ირკვევა, დაღესტნურ და ქართველურ ენებსა და დიალექტებში სიბილანტურ სპირანტთა შესატყვისობის მიხედვითაც არაერთი ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესის გამოვლენაა შესაძლებელი.

§6. სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

იბერიულ-კავკასიურ ენებში (დიალექტებში, კილოკავებში, მიკროენობრივ ერთეულებში) სისინა და შიშინა სიბილანტთა (სპირანტ-აფრიკატთა) განაწილების თვალსაზრისით შეინიშნება ერთი საერთო წესი: თითოეული იბერიულ-კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი სისინა და შიშინა სიბილანტები, რომელთაც ამოსავლად რომელიმე საერთო (სისინა და შიშინა) ფონემა აქვთ, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთდროულად არა მხოლოდ ცალკეული ენისა და დიალექტის, არამედ თქმის, მეტყველების ან უმცირესი ენობრივ-დიალექტური ერთეულის ფარგლებშიც.

მაგალითად, აბაზური ენის ტაპანთიურ დიალექტში „ორივე რიგის ბგერების არსებობის შემთხვევაში ერთნაირად აღრევით გამოიყენება როგორც სისინა, ისე შიშინა სახეობები: $\text{p}^{\text{h}}\text{z}^{\text{h}}$, $\text{c}^{\text{h}}\text{r}^{\text{h}}$, $\text{v}^{\text{h}}\text{k}^{\text{h}}$. ამ ნიადაგზე, მაგ., ა-წ⁰ა „ვაშლი“ ტაპანთურში არის როგორც წ⁰ა, ისე ჭ⁰ა...

აქ სხვადასხვა მთქმელის ენაში არის ან შიშინა, ან „სისინა“ სახეობები ლაბიალიზებული სპირანტებისა და აფრიკატებისა ისე, რომ საერთო ტაპანთური დიალექტის მიხედვით იგივე, ორივე სახეობის ბგერები გვაქვს, როგორც ბზიფურში (ე.ი. ჟ⁰შ⁰ და ზ⁰ს⁰), ოღონდ ფუნქციურად განუსხვავებელი: შესაძლოა ერთი მთქმელი როგორც „ძველს“ (აჟ⁰), ისე „ძროხას“ (აზ⁰) გამოთქვამდეს ზ⁰ ბგერით, მეორე კი – ორივეს ჟ⁰ ბგერით და ა.შ.“ (ქ. ლომთათიძე 1976; 166).

ყაბარდოული ენის მალკის კილოკავში მთქმელთა ერთი ჯგუფის მეტყველებაში სისინა სიბილანტია (სპირანტებია) წარმოდგენილი, მეორე ჯგუფის მეტყველებაში კი – შიშინა ეკვივალენტები (ასევე სპირანტები) (ა. შაგიროვი – 1967; 165).

ადილურ ენებში შეინიშნება პირველადი შიშინა აფრიკატების სპირანტიზაცია (გ. როგავა, 1967; 97), რაც იწვევს ამ ენებსა და დიალექტებში ოპოზიციური წყვილების შექმნას არა მხოლოდ სისინა-შიშინობის მიხედვით.

ეს ვითარება დამახასიათებელია ნახური ენებისთვისაც, სადაც ადპირისპირებას ერთი საერთო სიბილანტური ფონემისაგან მომდინარე რეფლექსების შორის ქმნის მათი სპირანტობა, აფრიკატობა და აბრუპტივობა. მაგ., ჩეჩნური ზ (ბუორზ „მგელი“): ინგუშური ძ (ბუორძ): ბაცბური წ (ბროწ) (ი. დეშერიევი – 1967; 185).

სისინა და შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუცია საერთო ფუძეებში აშკარად ჩანს დადესტნის მრავალ ენასა და დიალექტში (კილოკავში). ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავები, სადაც სისინა და შიშინა სიბილანტებს შორის ისეთი რეგულარული ბერათშესატყვისობაა წარმოდგენილი, როგორც ქართველურ ენებში (ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის). სისინა>შიშინა (ან შიშინა>სისინა) გადასვლის მაგალითები დასტურდება ხუნძურის სხვა დიალექტებსა და კილოკავებშიც (პ. უსლარი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, შ. მიქაილოვი...) ასეთივე პროცესი ვლინდება ახვახურ და ჭამალურ ენებშიც (ნ. ტრუბეცკოი, ტ. გუდავა).

ლეზგიური ენის კიურიულ დიალექტში (კილოკავებში) სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო სამურის დიალექტში (კილოკავებში) – შიშინა ეკვივალენტები (უ. მეილანოვა – 1967; 529).

ლაკური ენის აშთიყულის დიალექტში სისინა სიბილანტები (ზ ს სე სპირანტები) სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტების შიშინა სიბილანტებს (ჟ შ შე სპირანტებს) ენაცვლება (პ. მურყელინსკი – 1967; 488).

სისინა და შიშინა სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციის ეს წესი, ვფიქრობთ, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართველური ენებისა და დიალექტებისთვისაც. ამ წესს საფუძვლად უნდა დასდებოდა **დიალექტური პოზიციის პრინციპი** (ქართველურ დიალექტთა კილოკავთა) გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით. რაც გულისხმობს როგორც ზანურში, ისე სვანურში დიალექტთა (კოლოკავთა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ამ ენებში საერთ-ქართველური სისინა სიბილანტიანი ფუძეების გვერდით შიშინა სიბილანტიანი ფუძეების არსებობას.

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს

ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შეესატყვისება, ერთი მხრივ, ასევე წინა რიგის (სისინა ზ ს ძ ც) და, მეორე მხრივ, უკანა რიგის (შიშინა ჟ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გავრცელებული თვლასაზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი შუა რიგის (სისინ-შიშინა ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთა ლექსიკური მასალაც იძლევა:

ქართული ენის დიალექტებშიც ისევე, როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა-სიბილანტების როგორც შიშინა (იდენტური), ისე – შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში) ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისაც სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა – ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა) და საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა (ფუძე-ენის წინა რიგის, სისინა – ქართული დიალექტის უკანა რიგის, შიშინა) ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვექნებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა – ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისათვის ბუნებრივ და, ამდენად მოსალოდნელ, საერთო თვისებას. სიბილანტები, როგორც ცნობილია, „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში (და ამ დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში) შემონახული საერთო-ქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტიო საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის

ერთი ნაწილი (მეორე ნაწილის შესახებ იხ. აბაშია, 2003, I; 2003, II), სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სახეცვლილების ფონეტიკური (ან სხვა ხასიათის, გარდა დიალექტურისა) საფუძველი არ უჩანთ resp. ცხადია, დიალექტურ ცვლილებებსაც ისტორიულად – ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში – გარკვეულწილად ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა):

წინა რიგის (სისინა)

სიბილანტიანი ფუძეები:

ბლაცუნ-ი (გურ.)

ბრწყინვა (ქეგლ.)

ბურძგი (გურ.), ბურძგვი (ლექს.)

ზლაზუნა (ქეგლ.)

ზვპა (ქიზიყ.), ზეპვა (ქეგლ.)

ცეხვა (ქეგლ.)

ღრძ-ილ-ი (ქეგლ.)

და-წნეს-ა (ქეგლ.)

და-წრეს-ა, და-წრეს-ილ-ი (მოხ., მთიულ.)

და-წუხ-გ-ა „დახუჭვა“ (საბა)

გა-წვრეთ-ა (ხევს.)

ფარცხვა (ქეგლ.)

ფრცხ-ილ-ი (ქეგლ.)

ფორცხ-ი (ქიზიყ.), ფოცხ-ი (ქეგლ.)

ღოწიალ-ი (იმერ.)

უკანა რიგის (შიშინა)

სიბილანტიანი ფუძეები:

– ბლანუნ-ი (აჭარ.), ბანუნი (ზ. იმერ.)

– ბრჭყუნვა „მცირე ბრწყინვალება“ (საბა)

– ბუჯგ-ი (აჭარ.)

– ჟრანუვა (გურ.)

- ჟება (ქეგლ., ქართლ., რაჭ.)
- მოჩეხ-ებ-ა (გურ.)
- ღჯ-ილ-ი (გურ., ლახხ., ქეგლ.)
- და-ჭნეს-ა (გურ., აჭარ.)
- და-ჭრეს-ილ-ი (ფშ., ხევს.).
- და-ხუჭ-ვა „თვალთ მოკრება, დაჭუხვა“.
- და-ხუჭ-ვა „თვა;თ დახურვა, დაწუხვა“ (საბა)
- ჭკრეთ-ა-? (თუშ.), სა-ჭკრეთელ-ი (ფშ., თუშ., მთიულ.)
- ფარჩხვა (ლენხ.)
- ფრჩხ-ილ-ი (ქეგლ.)
- ფორჩხ-ი (კახ., იმერ., ქეგლ.)
- ფიჩხ-ი (ქართლ., რაჭ.)
- ღოჭიალ-ი (რაჭ.) და სხვ.

წარმოდგენილ ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტებს არა აქვთ ფუნქციური დატვირთვა და, შესაბამისად, არ იწვევენ მორფოლოგიურ და სემანტიკურ ცვლილებებს. თუ გამოვრიცხავთ ამ ლექსემების შესაძლო ბგერწერით (ხმაბაძვით, ექსპრესიულ) ხასიათს, მაშინ საერთო ფუძეებში სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობების არსებობის მიზეზი მათ დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძე-ენის სისინა (წინა რიგის) სიბილანტმა ქართულ დიალექტებში მოგვცა როგორც სისინა, ისე – შიშინა ეკვივალენტი:

ქართველური ფუძე-ენა ქართული დიალექტები

***წუხ-** (და-წუხ-ვა, წუხ-ილ-ი, მ-წუხ-რ-ი)

წუხ-

ჭუხ- (და-ჭუხ-ვა)

ქართული სამწერლობო ენა

- წუხ- (წუხ-ილ-ი, მ-წუხ-რ-ი)

- ჭუხ- – ხუჭ- (და-ხუჭ-ვა)

ე.ი. ქართული ენის დიალექტებში და რომელიმე დიალექტის (ან დიალექტების) მეშვეობით სამწერლობო ქართულშიც დამკვიდრდა სხვადასხვა

დიალექტური წარმომავლობის როგორც სისინა-სიბილანტური, ისე – შიშინა-სიბილანტური ფუძეები.

სიბილანტური ფონემების ამგვარი განაწილებისათვის ისტორიული საფუძველი დიალექტური პოზიციის პრინციპშია საგულეებელი, რაც გულისხმობს სიბილანტთა ეკვივალენტების ჩამოყალიბებას ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის, ამ დიალექტთა ურთიერთგავლენის, გარდამავალი და ნარევი დიალექტური ზოლების მიხედვით.

ქროთა განმავლობაში ქართველურ და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებსა და დიალექტებში უნდა მომხდარიყო დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: შიშინა სიბილანტიანი ფუძეები დამკვიდრდა სისინა სიბილანტიანი დიალექტების (თქმების, მიკრო-ენობრივი ერთეულების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური ან მორფოლოგიური ცვლილებების შედეგად სისინა ან შიშინა ეკვივალენტების ჩამოყალიბებით ან სემანტიკური გადაწვეისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

§7 სიბილანტურ სპირანტთა რეფლექსებისათვის დაღესტნურ ენებში

დაღესტნურ ენებში ს, ს, შ, შ სპირანტთა რეფლექსების მიხედვით საერთოდ დაღესტნურ ფუძე-ენაში ამ ფონემათა რეკონსტრუქცია, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, საეჭვო არა ჩანს.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ფუძე-ენასი მჟღერ ზ და ჟ სპირანტთა რეკონსტრუქციის საკითხი. მკვლევართა ერთი ნაწილი არც მიიჩნევს მათ ფუძე-ენის კონსონანტური სისტემის წევრ ფონემებად.

როგორც ცნობილია, ფუძე-ენაში არსებული ვითარების აღსადგნად ისტორიულად დაფიქსირებულ შესადარებელ ერთეულთა შორის კანონზომიერი ურთიერთმიმართების გავლენა შეადგენს საფუძვლიან არგუმენტს. დაღესტნურ ენებში თუნდაც რამდენიმე საერთო-დაღესტნური ძირეული მორფემის გავლენა, სადაც ზ და ჟ სპირანტთა რეფლექსები კანონზომიერადაა წარმოდგენილი, შესაძლებლობას გვაძლევს, ფუძე-ენის დონეზეც აღვადგინოთ ისინი. საილუსტრაციოდ მოგვაქვს რამდენიმე საერთო-დაღესტნური ფუძე:

1. ფუძე-ენა *ზ: ზუნძური ?აზო/?აზუ: ანდიური ანზი: ახვასური ანჟი, ბოთლიხური ანზი: ტინდიური ანზი: ბაგვალური ანზუ: ჭამალური ანზ: კარატაული ანზე: დიდოური ისი: ჰუნზიბური გზ: ბეჟიტური ონზ: ხვარშიული ინსა: ჰინუხური ?ოშე: ლეზგიური ჟივ: თაბასარანული ?ი?: აღულური ?ი?: რუთულური ?იზ: წახური ?იზ: ხინალულური გ?ზა: ბუდუხური ?იზ: იდიური იჟ „თოვლი“;

ფუძე-ენა *ზ ანდ. ზივუ. ბოთლ., ლოდ., ბაგვ., ტინდ., კარ. ზინი: ჭამ. ზინ: ახვ. ჟინვო/ჟონ: წახ. ზერ: რუთ ზერ: ბუდ. ზარ: კრიწ. ზარ „ძროხა“.

2. ფუძე-ენა *ჟ: ხუნძ ნუჟ/მუჟ: ანდ. ბიშთი: ლოდ. ბიშთე: კრ. ბიშდი: ახვ. უშდი: დიდ. მეჟი: ხვარშ. მიჟო: ჰინ. მეჟი: ბეჟ. მაჟე/მიჟე: ჰუნზ. მიჟე: ლაკ. ზუ/ჟვი: თაბ. იჩვუ/უჩვუ: არჩ. ჟვენ: აღ. ჩუნ: რუთ. ჟუ: წახ. შუ:

ხინ. ზურ. ბუდ. ვინ: კრიწ. ვინ. უდ. ვან „თქვენ“ (პირის ნაცვალსახელი);

ფუძეენა *ჟ: ხუნძ. ჟი-ვ: ანდ. ჟი-ვ: ღოდ. ჟი-ვ-და: კარ. ჟე-ვ-და: ახვ. ჟი-ვე-და: ბაგვ. ე-ვ(-და): ტინდ. ე-ვ-ა: ჭამ. ზი-ვ: ჰუნზ. ჟუ: ლაკ. ჟუ-ვ-ა: ლეზგ. ჟუ-ვ: თაბ. ჟვუ-ვ: აღ. უჩ: რუთ. ვუჯ: წახ. ვუჯ/ვეუ: არჩ. ინჟუ/ინჟა-ვ-უ: კრიწ. იჯ: უდ. იჩ „თვით, თვითონ“ (უკუქცევითი ნაცვალსახელი).

საერთო-დაღესტნურ *ზ და *ჟ სპირანტთა რეფლექსები დაღესტნურ ენებში (ამ და სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებულ სხვა ფუძეთა მიხედვით), შესაძლებელია, ასეტი სახით იყოს წარმოდგენილი:

საერთო-დაღესტნური *ზ

საერთო-დაღესტნური *ჟ

- | | |
|--------------------------|----------|
| 1. ხუნძური ზ, ჟ | ჟ შ, შთ |
| 2. ანდიური ზ | ჟ |
| 3. ბოთლიხური ზ | ჟ |
| 4. ღოდობერიული ზ | ჟ |
| 5. ტინდიური ზ | ჟ |
| 6. ბაგვალური ზ | ზ |
| 7. ჭამალური ზ | ჟ |
| 8. კარატაული ზ | ჟ, ს, შდ |
| 9. ახვასური ჟ | ჟ |
| 10. დიდოური ზ, ს | ჟ |
| 11. ბეუტური ზ, ს | ჟ |
| 12. ხვარშიული ზ, ს | ჟ |
| 13. ჰინუხური ზ, შ | ჟ |
| 14. ჰუნზიბური ზ | ჟ, ზ |
| 15. ლაკური ზ, (ს) | შ |
| 16. დარგუული ზ, (d) | ჟ, ჩ |
| 17. ლეზგიური ჟ, ვ, ზ, ძ | ჟ |
| 18. არჩიბული ზ, ც | ჩ |
| 19. თაბასარანული ზ, ძ, ? | ჟ, ჩ, ჯ |
| 20. აღულური ზ | ჟ, ჯ, შ |
| 21. რუთულური ზ, (d) | ჟ, ჯ, შ |
| 22. წახური ზ, (d) | ჯ, ზ |

23. სინალური ზ, (d)	ჟ, მ
24. კრიწული ზ	ჟ, მ
25. ბუდუხური ზ	ჟ, მ
26. უდიური ზ, ჟ, (ვ)	ჩ, მ

ცხადია, ზ და ჟ სპირანტთა რეფლექსაციის სრულ ანალიზს დამატებითი მასალა და არგუმენტაციაც ესაჭიროება, მანამდე საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად.

ერთი რამ ამინც უნდა ითქვას: ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში დადგენილი ზოგი უნივერსალური წესიც, ბუნებრივია, ასეთი დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ფუძე-ენაში საანალიზო სიბილანტურ სპირანტთა სარეკომენდაციოდ, კერძოდ, ფონოლოგიური დაპირისპირების არსებობა ცალკეული რიგის სიბილანტურ აფრიკატებს შორის (*ც – *ჩ, *წ – *ჭ, *ძ – *ჯ), რომელიც დაშვებულია საერთო-დადესტურ ფუძე-ენაში, ასევე გულისხმობს დაპირისპირებას სპირანტებს შორისაც (მჟღერი *ზ – მჟღერი *ჟ) და, ამდენად, მათი ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

დასკვნა

ქართველურ ენათა და დიალექტთა ურთიერთმიმართება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტთა (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატთა) საფეხურებრივი ცვლილებისა და განაწილების მიხედვით შესაძლებელია პირობითად ასეთი სქემით წარმოვიდგინოთ:

ამოსავალი a სისტემა (ქართველური ფუძე-ენა)
სისინა სიბილანტები

I ქრონოლოგიური საფეხური

a ქვესისტემა (ქართული დიალექტი) სისინა სიბილანტები

b ქვესისტემა (ზანური დიალექტი) სისინა სიბილანტები

c ქვესისტემა (სვანური დიალექტი) სისინა სიბილანტები

A სისტემა (ქართული სამწიგნობრო ენა და დიალექტები)
სისინა სიბილანტები

B სისტემა (ზანური დიალექტები)
სისინა და შიშინა სიბილანტები

C სისტემა (სვანური დიალექტები) სისინა და შიშინა სიბილანტები

II ქრონოლოგიური საფეხური

a_1, a_2, a_3 ქვესისტემები
(დიალექტები) სისინა სიბილანტები

b_1, b_2, b_3 ქვესისტემები (დიალექტები):

b_1 – სისინა სიბილანტები;

b_2 – ნარევი: სისინა და შიშინა სიბილანტები;

b_3 – შიშინა სიბილანტები

III ქრონოლოგიური საფეხური

c_1, c_2, c_3 ქვესისტემები
(დიალექტები):

c_1 – სისინა სიბილანტები

c_2 – ნარევი: სისინა და შიშინა სიბილანტები;

c_3 – შიშინა სიბილანტები

შენიშვნა: 1. პირობითად ქართულ-ზანურ-სვანური $a_1-b_1-c_1$ ქვესისტემები (დიალექტები) ერთმანეთთან მომიჯნავე დიალექტებია; $a_2-b_2-c_2$ – მომიჯნავე და პერიფერიულ (დაცილებულ) დიალექტებს შორისაა მოქცეული; $a_3-b_3-c_3$ კი – პერიფერიული (დაცილებული) დიალექტებია.

2. წარმოდგენილი სქემა პირობითია: ამჯერად არ ვეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაცია და რა სახით: ჯერ სვანური გამოეყო, ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა თუ თავიდანვე ცალკეულ ენობრივ (დიალექტურ) ერთეულებად დაიშალა, ვინაიდან ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ქართველურ ენებში (დიალექტებში) სიბილანტების ურთიერთმიმართების საკვალიფიკაციოდ.

A სისტემაშიც (ქართულის a_1 ქვესისტემაში) ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ ეს პროცესი (სისინა სიბილანტთა გაშიშინება) არ განვითარებულა, ის გარკვეულ ეტაპზე შეჩერდა და ქართული სამწიგნობრო ენა და დიალექტები დარჩა სისინა რიგისა.

B სისტემაში (კერძოდ, ზანურის b_3 ქვესისტემაში) და C სისტემაში (სვანურის c_3 ქვესისტემაში) საერთო ქართველური სისინა სიბილანტებს ენაცვლება შიშინა სიბილანტები. ზანურისა და სვანურის b_2 და c_2 ქვესისტემებში წარმოდგენილია როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტები, ხოლო საკუთრივ ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ და სვანურ დიალექტებში (b_1 და c_1 ქვესისტემებში) შენარჩუნებულია საერთო-ქართველური სისინა სიბილანტები.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს (თუ მას გავიზიარებთ), ქართველოლოგიაში გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, ქართველურ ფუძე-ენაში დამატებითი რიგის (შუა რიგის სისინ-შიშინა) სიბილანტების რეკონსტრუქციის საჭიროება უნდა მოიხსნას.

ამის კვალობაზე ზანურ და სვანურ დიალექტებში (B და C სისტემებში) წარმოდგენილი უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა ამოსავლადაც ქართველურ ფუძე-ენაში წინა რიგის (სისინა) სიბილანტები უნდა ვიგულისხმოდ, ისევე, როგორც ეს ნავარაუდევია ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში წარმოდგენილი სისინა სიბილანტებისათვის.

ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: ზანურ და სვანურ დიალექტებში წარმოდგენილი სისინა სიბილანტები საკუთრივ ქართული ენა-დიალექტებიდან

შესული ფონემებია თუ ქართველური ფუძე-ენის შესაბამისი რიგის (წინა რიგის – სისინა) სიბილანტთა ეკვივალენტები?

მიუხედავად იმისა, რომ ზანურსა და სვანურში ქართული ენა-დიალექტებიდან შესული ან ფონეტიკურად ცვლილი (შიშინა -> სისინა) არაერთი ფუძე (resp. ძირი, მორფემა) გვხვდება, რომელიც სისინა სიბილანტს შეიცავს. ვფიქრობთ, **მრავალ ზანურ-სვანურ ფუძეში ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტის ასევე სისინა ეკვივალენტია შენარჩუნებული.**

ამ ვითარების ძიირთად მიზეზად დიალექტური პოზიციის პრინციპი ჩანს სავარაუდებელი.

ეს პრინციპი (ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთამნეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით) გულისხმობს ზანურ და სვანურ დიალექტებში (თქმებში) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ზანურსა და სვანურში (ნაწილობრივ – ქართულ დიალექტებშიც) საერთოქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას.

ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა სიბილანტთა განაწილება და მათ ეკვივალენტთა ჩამოყალიბება სხვადასხვა დიალექტურ არეალს და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურისა და სვანურის იმ დიალექტებში (b_3 და c_3 ქვესისტემებში), რომლებიც არ ესაზღვრებიან საკუთრივ ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები (ჟ შ ჯ ჩ ჭ), ამასთანავე, ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში (b_1 და c_1 ქვესისტემებში) ისევე სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში – b_2 და c_2 ქვესისტემებში – ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგარმ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ და სვანურ დიალექტებშიც (b_1 და c_1 ქვესისტემებში) ნაწილობრივ ცამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგარმ სისინა სიბილანტების შემცველი საერთოქართველური ლექსიკის დიდი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებას იწყებს ბგერათშესატყვისობა ხმოვნებს შორის, რომელმაც ერთგვარად შეაჩერა სისინა სიბილანტთა შიშინად ქცევის პროცესი: საერთოქართველურიად მომდინარე ზანურ ფუძეებში

(რომლებიც სისინა სიბილანტებსა და ე/ა ხმოვნებს შეიცავდნენ) ხმოვნებს შორის განსხვავების შექმნამ (ქართულ-სვანური ე/ა: ზანური ა/ო) გარკვეულ წილად შეზღუდა ასეთივე განსხვავების წარმოქმნა თანხმოვნებს შორის (**სისინა** : **შიშინას** ნაცვლად დარჩა **სისინა: სისინა**). სვანური ამ მიმართებით ფართო გასაქანს აძლევს ფონეტიკურ პროცესებს: უმლაუტიზაციას (ხმოვნებში), სპირანტიზაციას, აფრიკატიზაციას, დეზაფრიკატიზაციას (თანხმოვნებში).

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში (თქმებში) ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: სისინა სიბილანტიანი (b₁ და c₁ ქვესისტემების) ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების (b₂ b₃ და c₂ c₃ ქვესისტემების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი – ფუძეებში ფონეტიკური პროცესისი ნიადაგზე სისინა სიბილანტთა გაშიშინებით ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული პირვანდელი ფონემური (სისინა-სიბილანტური) სახით.

საერთოქართველურ ლექსიკაში მოიპოვება არაერთი ფუძე (resp. ძირი, მორფომა, აფიქსი), რომელიც საკუთრივ ქართული წინა რიგის (სისინა) და ზანურ-სვანური როგორც წინა რიგის (სისინა), ისე უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა შესატყვისობაში დიალექტური პოზიციის პრინციპს ათვალსაჩინოებს:

1 ქართვ. ფუძე-ენა ***ზ**: ქართ. **ზ**: ზან. **ზ**: (სისინა ეკვივალენტები); ***ზიდ**: ქართ. **ზიდ-ვ-ა**: **ზინდ-უ-ა** „ზიდვა; ჭიმვა“ (მეგრ.); **ო-ზდ-უ** „ადება“ (ჭან.). (არნ. ჩიქობავა). **ზ**: ქართ. **ზ**: ზან. **ჟ** (შიშინა ეკვივალენტი); ***ზიდ**: ქართ. **ზიდ-ვ-ა**: ზან. **ჟიდ-უ-ა/გო-ჟიდ-უ-ა** „გაჭიმვა“.

2 ქართვ. ფუძე-ენა ***ს**: ქართ. **ს**: ზან. **ს**: სვან. **ს** (სის. ეკვივ.) ***სუ**: ქართ. **სუ-მ-ა**: „ყოლა“: სვან. **ლ-ა-სუ** „იყო“ (ეკ. ოსიძე; ბ. გიგინეიშვილი); ***სუ**: ქართ. **სუ-მ-ა/მო-სუ-მ-ა** „წასმა“: ზან. **სუ-მ-ა-ლ-ა** (მეგრ.). **ო-ს-უმ-უ** (ჭან.) „წასმა“ (არნ. ჩიქობავა); ***ს**: ქართ.**ს**: ზან. **შ**: სვან. **შ** (შიშ. ეკვივ.); ***სუ**: ქართ. **სუ-მ-ა** „სმა, დაღევა“: ზან. **შუ-მ-ა** „სმა“, **ნა-შე-ი** „ნასვამი“ (მეგრ.), **ო-შუ-მ-უ** „სმა“, **შე-ერ-ი** „ნასვამი“

(ჭან.): ნა- შუ „ნასვამი“ (სვან.). (მ. ბროსე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია).

3. ქართვ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ძ: სვან. ძ(>ზ) (სის. ეკვივ.); ქართ. ძ-ეგ-ს: ზან. ძ-უნ/ძ-გ (მეგრ.), ძ-უნ *ძ-: (ჭან.) „ძეგს“: სვან. ზ-ი/ზ-გ „არის“, „უძეგს“ (არნ. ჩიქობავა, ა. შმიდტი). *ძ-ინ: ქართ. შე-ძ-ინ-ებ-ა/შე-ძ-ენ-ა: ზან. ძ-ინ-ა (მეგრ.), მო-ნძ-ინ-უ (ჭან.) „მატება, შეძენა“ (არნ. ჩიქობავა); *ძ: ქართ. ძ: ზან. ჯ (შიშინა ეკვივალენტი) *ძ-ინ: ქართ. მო-ძ-ინ-ებ-ა „მოხედვა“: ზან. ჯ-ინ-ა „ხედვა“ (მეგრ.) (ზ. სარჯველაძე).
4. ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ც (სის. ეკვივ.); *ცეხ: ქართ. ცეხ-ვ-ა, სა-ცეხ-ვ-ელ-ი: ზან. ცახ-უ-ა „დაფქვა“ (მეგრ.) (კ. შმიდტი); *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (შიშ. ეკვივ.); *ცეხ-: ქართ. ცეხ-ვ-ა, სა-ცეხ-ვ-ელ-ი: ზან. ჩახ-უ-ა „ჯღღრვეა“ (მეგრ.) „თქვეფა, დღვება“ (ჭან.), ო-მ-ჩახ-ულ-ე „სადღვებელი“ (ჭან.).
5. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ: სვან. წ (სის. ეკვივ.); *წულ-: ქართ. წულ-ი: სვან. ლი-წუილ-ე „განწულება“ (ვ. თოფურია) *წულ-: ქართ. წულ-ილ—ი/წურ-ილ-ი: ზან. წულ-უ მცირე“ (ჭან.) (ლ. ნადარეიშვილი); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ: სვან. ჭ: (შიშ. ეკვივ.); *წულ-: ქართ. წულ-ი: სვან. ჭუმ „ვაჟი“ (გ. როგავა), ნა-ჭულ-აშ „საწულისი“ (ზ. სარჯველაძე); *წულ-: ქართ. წულ-ილ-ი/წურ-ილ-ი/წვრ-ილ-ი: ზან. მო-ნჭირ-ილ-ი „მოჭერილი, ვიწრო; დაწვრილებული“ (მეგრ.).

6. ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ც (სისინა ეკვივალენტი); *ცეც-: ქართ. ფუძე-ენა ცეც-ებ-ა: ზან. (მეგრ.) ცაცაფ-ი (ჰ. ფენრიხი) *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (შიშინა ეკვივალენტი); *ცეც-: ქართ. ცეც-ებ-ა: ზან. (მეგრ.) ჩაჩ-ჩაჩ-ი (რედუპლიცირებული ჩაჩ-„ცეცებით სიარული“).
7. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წაფ-: ქართ. გა-წაფ-ვ-ა; და-ე-წაფ-ა, მო-წაფ-ე: ზან. (ჭან.) ო-ნწოფ-ულ-უ „სწავლება“, ნწოფ-ულ-ა, „სასწავლებელი“ (არნ. ჩიქობავა); *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წაფ-: ქართ. გა-წაფ-ვ-ა, და-ე-წაფ-ა: ზან. ჭოფ-უ-ა (მეგრ.), ო-ჭოფ-უ (ჭან.) „დაჭერა; აღება; მითვისება ...“ (ზ.სარჯველაძე, ვ. შენგელია).
8. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ (სისინა ეკვივალენტი); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა: ზან. წიწ-ონ-უ-ა „წევა; გლეჯა“ (მეგრ.), ბ-წიწ-უმ „ვწევ; ვჭიმავ“ (ჭან.) (ნ. მარი; არნ. ჩიქობავა); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა, გა-წეწ-ილ-ი: ზან. (მეგრ.), მო-წაწ-უ-ა, მო-წაწ-ილ-ი „Ld; *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წეწ-: ქართ. წეწ-ვ-ა, გა-წეწ-ილ-ი, გა-და-წეწ-ილ-ი: ზან. (მეგრ.) ჭაჭ-უ-ა, გო-ჭაჭ-ილ-ი „id“.
9. ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. წ : სვან. წ (სისინა ეკვივალენტი); წუელ-ი, წუელა-?: ზან. წუ (მეგრ.) წუ, ო-წუალ-ე (ჭან.): (სვან.) წუუ, წუ-ი (ვ. თოფურია; გ. კლიმოვი; ჰ. ფენრიხი); *წ: ქართ. წ : ზან. ჭ (შიშინა ეკვივალენტი); *წუელ-: ქართ. წუელ-ი : ზან. (მეგრ.) ჭველ-ა „წვრილი მცენარე, ნერგი“; იმერულ

დიალექტში დასტურდება ჭეალო „წველი, პურეულის ღერო“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართ. დიალექტოლოგია, I, 674), რომელიც ზანიზმი ჩანს და ძველქართული წუელა-ს კანონზომიერი შიშინა შესატყვისია.

10. ქართვ. ფუძე-ენა *ს: ქართ. ს: ზან. ს: სვან. ს (სისინა ეკვივალენტი); *სერ-: ქართ. მე-სერ-ი: ზან. (მეგრ. ჭან.). მა-სარ-ი: სვან. მე-სერ. მა-სერ „id“ (პ. ჭარაია; არნ. ჩიქობავა; გ. კლიმოვი); *ს: ქართ. ს: სვან. შ (შიშინა ეკვივალენტი); *სერ-: ქართ. სა-სრ-ე-ი: სვან. ლი-შერ-ე „ლესვა“ ლა-შერ „სალესი“ (ზ. სარჯველაძე).
11. ა) ქართვ. ფუძე-ენა *ზ: ქართ. ზ: ზან. ზ (სისინა : შიშინა შესატყვისობა); *ზიზ: ქართ. გა-ზიზ-ინ-ებ-ა: ზან. გო-ზიზ-ინ-აფ-ა „გადავსება“ (ს. უდენტი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა *ზ: ქართ. ზ: ზან. ჟ (სისინა : შიშინა შესატყვისობა); *ზიზ: ქართ. გა-ზიზ-ინ-ებ-ა: ზან. გო-ჟიჟ-ინ-აფ-ა „გავსება, გაჟღენთა: გასივება“.
12. ა) ქართვ. ფუძე-ენა *ს: ქართ. ს: სვან. ს (სისინა : სისინა); *ს-უალ: ქართ. ს-რ-უ-ლ-ი, ს-რ-უ-ლ-ი-ა-დ: სვან. სურ-უ „ძლიერ; მთლად“ (ჰ.ფენრიხი). ბ) ქართვ. ფუძე-ენა ს : ქართ. ს: ზან. შ (სისინა : შიშინა); *ს-უალ: ქართ. ს-რ-უ-ლ-ი (<*ს-ლ-ულ-ი<*ს-ვლ-ულ-ი<*ს-ვალ-ულ-ი), ს-რ-უ-ლ-ი-ად: ზან. შურ-ო „სულ; მთლად“.
13. ა) ქართვ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ძ: სვან. ძ(>ზ) (სისინა : სისინა); *ძ/*ძ-ეუ: ქართ. ძ-ე-ს „ძევა“ : ზან. ძ-გ-ნ/ძ-უნ (მეგრ.) „ძევს“, ძ-უნ (ჭან.) „ძევს“ : სვან. ზ-ი „არის“, ხ-ო-ზ „უძევს“ (ზ<ძ) (არნ. ჩიქობავა, კ. შმიდტი).ბ) ქართვ. ფუძე-ენა *ძ: ქართ. ძ: ზან. ჯ (სისინა : შიშინა); *ძ-

/*ძ-ეუ: ქართ. ძ-ე-ს „ძევს“, ძ-ევ-ნ-ა: ზან. ჯ-ა-ნ-გ/უ „წეს“ (ეტიმოლოგიურად „ძევს“), ჯ-ა-ნ-უ „წოლა“ (ეტიმოლოგიურად „ძევნა“).

14. ა) ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: სვან. ც (სისინა : სისინა); ცინც: ქართ . ცინც-ლ-გ-ა: სვან. ლი-ცინც-ურ-ე „წაგლეჯა; წართმევა“ (ჰ. ფენრიხი). ბ) ქართვ. ფუძე-ენა *ც: ქართ. ც: ზან. ჩ (სისინა : შიშინა); *ცინც: ქართ. ცინც-ლ-გ-ა, ცინც-ლ-აგ-ს: ზან. ჩინჩ-ი „მცირე; წვრილი“, ჩინჩ-ოლ-უ-ა „დაფშენა, დანამცეცება“ (ეტიმოლოგიურად „დაცინცვლა“).
15. ა) ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. *წ: ზან. *წ: სვან. *წ (სისინა: სისინა); *წურ: ქართ. წურ-გ-ა, წურ-აგ-ს: ზან. წირ-უ-ა, წირ-უნ-ს (მეგრ.), წირ-უმ-ს, წორ-უმ-ს (ჭან.) „id“: სვან. ლი-წურ-ე „წურვა“, ხ-წურ „სღის“ (გ.კლიმოვი; ჰ.ფენრიხი). ბ) ქართვ. ფუძე-ენა *წ: ქართ. წ: ზან. ჭ (სისინა : შიშინა); *წურ:ქართ. წურ-წურ-ი (რედუპლიცირებული წურ-) ზან. ჭურ-ჭულ-ი „წურწური“.

ქართველურ ენებში სისინა სიბილანტოა განაწილება და მათ ეკვივალენტებად როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტების არსებობა ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის ეპოქაში სხვადასხვა დიალექტურ არეალში და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე ბგერათშესატყვისობათა ჩამოყალიბებას გულისხმობს.

ბგერათშესატყვისობას, როგორც ენათა უძველესი ისტორიისა და ნათესაობის გამოსარკვევად აუცილებელ უტყუარ კრიტერიუმს, ფონემატური მიმართებებისა და გარდაქმნების გარკვეული წესი (resp. წესები) განაპირობებს.

ამ წესების გამოვლენისა და გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია ცალკეული მონათესავე ენისა თუ ენათა

ჯგუფის ამოსავალი სტრუქტურის სანდო რეკონსტრუქცია.

იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, გამოირჩევიან ფონემატური სისტემის განსაკუთრებული სირთულით, ცალკეულ ჯგუფსა და ქვეჯგუფში შემავალ ენობრივ ერთეულთა შორის ბგერათს სატყვისობას ფონეტიკური ცვლილებების (იდენტური და განსხვავებული ეკვივალენტების განაწილების) გარკვეული წესი უდევს საფუძვლად. ზოგიერთი ასეთი წესი, სისტემატური და რეგულარული ხასიათის გამო, ამ ენათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ტიპოლოგიური ერთიანობის ფარგლებს სცილდება და გენეტიკურად საერთო ნიშნების არსებობაზე მიუთითებს. თანხმოვანთა საარტიკულაციო ბაზისის ერთი მიმართულებით გადაწევის წესი, ძირისეულ მორფემებში სისინა და შიშინა სპირანტთა და აფრიკატთა შეთავსებადობის წესი, დუბლეტურ ფუძეებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სუბსტიტუციის წესი და სხვა, რომლებიც დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, მეტ-ნაკლებად ვლინდება აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენებშიც.

ზემოაღნიშნული წესები ძირითადად მოქმედებს სიბილანტურ ფონემებთან მიმართებით, რომლებიც ართულებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონემატურ სისტემას და ქმნიან „სადემარკაციო ხაზს“ ამ ენათა შორის (სიბილანტთა რაოდენობა ამ ენებში მერყეობს 10-დან (ქართველური ენები) 30-მდე (აფხაზურ-ადიღური ენები).

თანხმოვანთა საარტიკულაციო ბაზისის (საწარმოთქმო ადგილის) ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ – გადაწევის წესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველურ ენათა სათანადო მონაცემების მიხედვით. კერძოდ, ქართულ ენასა და დიალექტებშიც წინა რიგის სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის სიბილანტები, ე.ი. ზანურსა და სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული ენისა და დიალექტებისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა: ფუძე-ენის წინა რიგის (სისინა) სიბილანტებმა მოგვცეს არა მხოლოდ წინა რიგის (სისინა ? სისინა), არამედ უკანა რიგის სისინა (სისინა ? შიშინა) სიბილანტები (ზეპვა ? ჟეპა, ფრჩხილი ? ფრჩხილი, წნეხა ? ჭნეხა, ძა?ველი ? ჯახველი და სხვ.) სიბილანტურ ფონემათა მეორე (უკანა) რიგის შესატყვისობაც – ქართული შიშინა: ზანურ-სვანური შიშინა უკანა წარმოების ხშულთან ერთად

– ადასტურებს ქართველურ ენებში ფუძე-ენის სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისკენ – გადაწევის საერთო წესს, ვინაიდან ქართულშიც ზანურ-სვანურის მსგავსად შიშინა სიბილანტებმა განავითარეს უკანა წარმოების ფონემები (ჟერა ? ჟღერა, მჭნარი ? მჭკნარი...), საწარმოთქმო ადგილის უკანა მიმართულებით გადაწევის საკომპენსაციოდ. არ განხორციელდა საპირისპირო პროცესი, რომელიც ქართველოლოგიაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით გვეჩვენებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვების შემთხვევაში, ე.ი. ქართველური ფუძე-ენის სავარაუდო შუა რიგის სიბილანტებს ქართულ ენაში უნდა მოეცა წინა რიგის სიბილანტები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვება საეჭვოა.

თანხმოვანთა გადაწევის ასეთი წესი მეტნაკლებად გამოვლინდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. მაგ. აფხაზური წ (ა-წა „ფსკერი“), ადიღური ჭ (ჭა „id“) ბგერათშესატყვისობის მიხედვით განხორციელდა წინა რიგის სიბილანტების საწარმოთქმო ადგილის უკანა რიგისაკენ გადაწევა (წ ? ჭ?). აფხაზურ-ადიღურ ენებში სიბილანტური სისტემის შეცვლა ისტორიულად არაერთხელ მომხდარა (გ. როგავა) და გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე უკუპროცესით განხორციელდა (შიშინა სიბილანტი ? სისინა სიბილანტი), მაგრამ, როგორც ჩანს, სიბილანტურ ფონემათა საწარმოთქმო ადგილის წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ გადაწევის წესი გასდევდა ისტორიულად ამ ფონემათა ჩამოყალიბებისათვის ამოსავალ კარდინალურ ხაზს. ეს ვითარება თვალსაჩინოდ აისახა დადესტნურ ენათა მაგალითზე. საერთო-დადესტნურ ფუძეებში, სადაც წინა რიგის სიბილანტებს შეესატყვისება) უფრო რეგულარული ხასიათისაა, ვიდრე ქართველურ ენებში.

სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი გულისხმობს ძირისეულ (დაუშლელ) მორფემებში, არქექტიპებში ერთი საერთო რიგის სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა თანაარსებობას, სადაც დაუშვებელია სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა რეკონსტრუქცია. ქართველური ფუძე-ენის მაგალითზე ეს წესი უგამონაკლისოა და, ჩვენი აზრით, დარღვევის არც ერთ მაგალითს არ იცნობს. კერძოდ, საერთო-ქართველურ ფუძეებში, სადაც ორი ან ორზე მეტი სიბილანტური ფონემაა რეკონსტრუირებული, ეს ფონემები უნდა წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ერთი (საერთო) ლოკალური რიგის (წინა რიგის ან უკანა რიგის) წევრებს და არა – სხვადასხვა რიგისას.

სიბილანტურ ფონემათა ძირისეულ მორფემებში შეთავსებადობის ასეთი წესი თვალსაჩინოა საერთო-აფხაზურ-ადიღურ, საერთო-ნახურ და საერთო-დაღესტნურ ფუძე-ენათა დონეზე აღდგენილ არქეტიპებში, რაც ამ წესის საერთო-კავკასიურ ხასიათზე მეტყველებს.

დუბლეტურ ფუძეებში **სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სიბსტიტუციის წესიც**, რომელიც აშკარაა ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით (რაზეც მეტყველებს ზანურ-სვანურ-ში და, განსაკუთრებით, ქართულ ენასა და დიალექტებში დღესაც ცოცხალი დუბლეტური ფუძეები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა ლოკალური რიგის – სისინა და შიშინა სიბილანტები), აფხაზურ-ადიღურ ენებში მოქმედებს მიკროენობრივი ერთეულის დონეზეც. უფრო მეტიც, აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში „სხვადასხვა მთქმელის ენაში არის ან შიშინა, ან სისინა სახეობები ლაბიალიზებული სპირანტებისა და აფრიკატებისა ისე, რომ საერთოდ ტაპანთური დიალექტის მიხედვით იგივე, ორივე სახეობის ბგერები გვაქვს, როგორც ბზიფურში (ე.ი. ჟ⁰, შ⁰, და ზ⁰, ს⁰), ოღონდ ფუნქციურად განუსხვავებელი“ (ქ. ლომთათიძე).

ყაბარდოული ენის მალკის თქმაში მთქმელთა ერთი ჯგუფის მეტყველებაში სისინა სიბილანტებია (სპირანტები) წარმოდგენილი, მეორე ჯგუფის მეტყველებაში კი – შიშინა ეკვივალენტები (ა. შაგიროვი).

სისინა და შიშინა სიბილანტთა მონაცვლეობა აშკარად ჩანს დაღესტნის მრავალ ენასა და დიალექტშიც.

ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური თქმები, ბათლუხური დიალექტი (თქმა), სადაც სისინა და შიშინა სიბილანტებს შორის ისეთი რეგულარული შესატყვისობაა წარმოდგენილი, როგორც ქართველურ ენებში ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის. ასევე ახვახურ, ჭამალურ, ლეზგიურ (სამურის დიალექტი) და ლაკურ ენებში საერთო-დაღესტნური წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს რეგულარულად შეესატყვისება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სისინა და შიშინა სიბილანტთა განაწილების მიხედვით, ქართველოლოგიაში ცნობილი განმარტება – ქართული „სისინა ჯგუფის“ ენაა, ზანური „შიშინა ჯგუფისა“ (ნ. მარი) – შეიძლება განვავრცოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა მასშტაბით.

სისინა-სიბილანტური ენებია: ქართული, ჩეჩნური, იმგუშური, ბაცბური, დაღესტნურ ენათა უმეტესობა (ხუნძურ-ანდიურ-დიღოური ენები – გარდა ახვახურისა, ლაკურ-დარგუული ენები, ლეზგიური ენები – გარდა უდიურისა,

სადაც ნაკლული სისინა-სიბილანტური ენები – გარდა უდიურისა, სადაც ნაკლული სისინა-სიბილანტური რიგი და სრული შიშინა-სიბილანტური რიგია წარმოდგენილი).

შიშინა-სიბილანტური ენებია: ზანური (მეგრულ-ლაზური), სვანური, აფხაზური, ადიღური, ყაბარდოული, უბიხური, ახვაზური, უდიური.

იბერიულ-კავკასიურ ენებში სიბილანტური ფონემების განაწილებისა და გარდაქმნების ისტორიულ გზას, ცხადია, ბგერათშესატყვისობის გარკვეული კანონზომიერი წესები განსაზღვრავდა და განსაზღვრავს დღესაც.

ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საერთო წესისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

ბგერათშესატყვისობას, როგორც ენათა უძველესი ისტორიისა და ნათესაობის გამოსარკვევად აუცილებელ უტყუარ კრიტერიუმს, ფონემატური მიმართებებისა და გარდაქმნების გარკვეული წესი (resp. წესები) განაპირობებს. ამ წესების გამოვლენისა და გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია ცალკეული მონათესავე ენისა თუ ენათა ჯგუფის ამოსავალი სტრუქტურის სანდო რეკონსტრუქცია.

იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, გამოირჩევიან ფონემატური სისტემის განსაკუთრებული სირთულით, ცალკეულ ჯგუფსა და ქვეჯგუფში შემავალ ენობრივ ერთეულთა შორის ბგერათს სატყვისობას ფონეტიკური ცვლილებების (იდენტური და განსხვავებული ეკვივალენტების განაწილების) გარკვეული წესი უდევს საფუძვლად. ზოგიერთი ასეთი წესი, სისტემატური და რეგულარული ხასიათის გამო, ამ ენათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ტიპოლოგიური ერთიანობის ფარგლებს სცილდება და გენეტიკურად საერთო ნიშნების არსებობაზე მიუთითებს. თანხმოვანთა საარტიკულაციო ბაზისის ერთი მიმართულებით გადაწევის წესი, ძირისეულ მორფემებში სისინა და შიშინა სპირანტთა და აფრიკატთა შეთავსებადობის წესი, დუბლეტურ ფუძეებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სუბსტიტუციის წესი და სხვა, რომლებიც დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, მეტ-ნაკლებად ვლინდება აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენებშიც.

ზემოაღნიშნული წესები ძირითადად მოქმედებს სიბილანტურ ფონემებთან მიმართებით, რომლებიც ართულებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონემატურ სისტემას და ქმნიან „სადემარკაციო ხაზს“ ამ ენათა შორის (სიბილანტთა რაოდენობა ამ ენებში მერყეობს 10-დან (ქართველური ენები) 30-მდე (აფხაზურ-ადიღური ენები).

თანხმოვანთა საარტიკულაციო ბაზისის (საწარმოთქმო ადგილის) ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ – გადაწევის წესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველურ ენათა სათანადო მონაცემების მიხედვით. კერძოდ, ქართულ ენასა და დიალექტებშიც წინა რიგის სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის სიბილანტები, ე.ი. ზანურსა და სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართული ენისა და დიალექტებისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევა: ფუძე-ენის წინა რიგის (სისინა) სიბილანტებმა მოგვცეს არა მხოლოდ წინა რიგის (სისინა ? სისინა), არამედ უკანა რიგის სისინა (სისინა ? შიშინა) სიბილანტები (ზეკვა ? ჟეპა, ფრჩხილი ? ფრჩხილი, წნეხა ? ჭნეხა, ძა?ველი ? ჯახველი და სხვ.) სიბილანტურ ფონემათა მეორე (უკანა) რიგის შესატყვისობაც – ქართული შიშინა: ზანურ-სვანური შიშინა უკანა წარმოების ხშულთან ერთად – ადასტურებს ქართველურ ენებში ფუძე-ენის სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისკენ – გადაწევის საერთო წესს, ვინაიდან ქართულშიც ზანურ-სვანურის მსგავსად შიშინა სიბილანტებმა განავითარეს უკანა წარმოების ფონემები (ჟერა ? ჟღერა, მჭნარი ? მჭკნარი...), საწარმოთქმო ადგილის უკანა მიმართულებით გადაწევის საკომპენსაციოდ. არ განხორციელდა საპირისპირო პროცესი, რომელიც ქართველოლოგიაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით გვეჩვენებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვების შემთხვევაში, ე.ი. ქართველური ფუძე-ენის სავარაუდო შუა რიგის სიბილანტებს ქართულ ენაში უნ და მოეცა წინა რიგის სიბილანტები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა დაშვება საეჭვოა.

თანხმოვანთა გადაწევის ასეთი წესი მეტნაკლებად გამოვლინდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. მაგ. აფხაზური წ (ა-წა „ფსკერი“), ადიღური ჭ? (ჭ?ა „id“) ბგერათშესატყვისობის მიხედვით განხორციელდა წინა რიგის სიბილანტების საწარმოთქმო ადგილის უკანა რიგისაკენ გადაწევა (წ ? ჭ?). აფხაზურ-ადიღურ ენებში სიბილანტური სისტემის შეცვლა ისტორიულად არაერთხელ მომხდარა (გ. როგავა) და გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე

უკუპროცესით განხორციელდა (შიშინა სიბილანტი ? სისინა სიბილანტი), მაგრამ, როგორც ჩანს, სიბილანტურ ფონემათა საწარმოთქმო ადგილის წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ გადაწევის წესი გასდევდა ისტორიულად ამ ფონემათა ჩამოყალიბებისათვის ამოსავალ კარდინალურ ხაზს. ეს ვითარება თვალსაჩინოდ აისახა დადესტნურ ენათა მაგალითზე. საერთო-დადესტნურ ფუძეებში, სადაც წინა რიგის სიბილანტებს შეესატყვისება) უფრო რეგულარული ხასიათისაა, ვიდრე ქართველურ ენებში.

სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი გულისხმობს ძირისეულ (დაუშლელ) მორფემებში, არქექტიპებში ერთი საერთო რიგის სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა თანაარსებობას, სადაც დაუშვებელია სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა რეკონსტრუქცია. ქართველური ფუძე-ენის მაგალითზე ეს წესი უგამონაკლისოა და, ჩვენი აზრით, დარღვევის არც ერთ მაგალითს არ იცნობს. კერძოდ, საერთო-ქართველურ ფუძეებში, სადაც ორი ან ორზე მეტი სიბილანტური ფონემაა რეკონსტრუირებული, ეს ფონემები უნდა წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ერთი (საერთო) ლოკალური რიგის (წინა რიგის ან უკანა რიგის) წევრებს და არა – სხვადასხვა რიგისას.

სიბილანტურ ფონემათა ძირისეულ მორფემებში შეთავსებადობის ასეთი წესი თვალსაჩინოა საერთო-აფხაზურ-ადიღურ, საერთო-ნახურ და საერთო-დადესტნურ ფუძე-ენათა დონეზე აღდგენილ არქექტიპებში, რაც ამ წესის საერთო-კავკასიურ ხასიათზე მეტყველებს.

დუბლეტურ ფუძეებში **სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სიბსტიტუციის წესიც**, რომელიც აშკარაა ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით (რაზეც მეტყველებს ზანურ-სვანურ-ში და, განსაკუთრებით, ქართულ ენასა და დიალექტებში დღესაც ცოცხალი დუბლეტური ფუძეები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა ლოკალური რიგის – სისინა და შიშინა სიბილანტები), აფხაზურ-ადიღურ ენებში მოქმედებს მიკროენობრივი ერთეულის დონეზეც. უფრო მეტიც, აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში „სხვადასხვა მთქმელის ენაში არის ან შიშინა, ან სისინა სახეობები ლაბიალიზებული სპირანტებისა და აფრიკატებისა ისე, რომ საერთოდ ტაპანთური დიალექტის მიხედვით იგივე სახეობის ბგერები გვაქვს, როგორც ბზიფურში (ე.ი. ჟ⁰, შ⁰, და ზ⁰, ს⁰), ოღონდ ფუნქციურად განუსხვავებელი“ (ქ. ლომთათიძე).

ყაბარდოული ენის მალკის თქმაში მთქმელთა ერთი ჯგუფის მეტყველებაში სისინა სიბილანტებია (სპირანტები) წარმოდგენილი, მეორე ჯგუფის მეტყველებაში კი – შიშინა ეკვივალენტები (ა. შაგიროვი).

სისინა და შიშინა სიბილანტთა მონაცვლეობა აშკარად ჩანს დაღესტნის მრავალ ენასა და დიალექტშიც.

ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოსური და ჭადაქოლოური თქმები, ბათლუხური დიალექტი (თქმა), სადაც სისინა და შიშინა სიბილანტებს შორის ისეთი რეგულარული შესატყვისობაა წარმოდგენილი, როგორც ქართველურ ენებში ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის. ასევე ახვახურ, ჭამალურ, ლეზგიურ (სამურის დიალექტი) და ლაკურ ენებში საერთო-დაღესტნური წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს რეგულარულად შეესატყვისება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სისინა და შიშინა სიბილანტთა განაწილების მიხედვით, ქართველოლოგიაში ცნობილი განმარტება – ქართული „სისინა ჯგუფის“ ენაა, ზანური „შიშინა ჯგუფისა“ (ნ. მარი) – შეიძლება განვაგრძოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა მასშტაბით.

სისინა-სიბილანტური ენებია: ქართული, ჩეჩნური, იმგუშური, ბაცბური, დაღესტნურ ენათა უმეტესობა (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები – გარდა ახვახურისა, ლაკურ-დარგუული ენები, ლეზგიური ენები – გარდა უდიურისა, სადაც ნაკლული სისინა-სიბილანტური ენები – გარდა უდიურისა, სადაც ნაკლული სისინა-სიბილანტური რიგი და სრული შიშინა-სიბილანტური რიგია წარმოდგენილი).

შიშინა-სიბილანტური ენებია: ზანური (მეგრულ-ლაზური), სვანური, აფხაზური, ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური, ახვახური, უდიური.

იბერიულ-კავკასიურ ენებში სიბილანტური ფონემების განაწილებისა და გარდაქმნების ისტორიულ გზას, ცხადია, ბგერათშესატყვისობის გარკვეული კანონზომიერი წესები განსაზღვრავდა და განსაზღვრავს დღესაც.

ლიტერატურა

- აბაშია, 1996 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. I. საქ. მეცნ. აკად-ის ენათმეცნ. ინსტიტუტის და თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია – მიძღვნილი პროფ. გ. როგავას დაბ. 90-ე წლისთავისადმი, თეზისები, გვ. 3; თბ., 1996წ. 25-27 ივნისი;
- აბაშია, 1996 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. II. ენათმეცნ. ინსტიტუტის 55-ე სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 5; თბ., 1996წ. 12-15 ნოემბერი;
- აბაშია, 1997 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. III. სიმპოზიუმის – „ქუთაისური საუბრები –IV“, მასალები, გვ. 22-24; ქუთაისი, 1997 წ. 2-6 მაისი;
- აბაშია, 1997 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. IV. თსუ ფილოლ. ფაკ-ის სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 11-12; თბ., 1997წ. 28-30 მაისი;
- აბაშია, 1997 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. V. XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 6; თბ., 1997წ. 24-25 ოქტომბერი;
- აბაშია, 1997 – ხუნძებისა და ხუნძეთის აღმნიშვნელ ტერმინთა ისტორიისათვის: ენათმეცნიერების ინსტ.-ისა და თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის პროგრამა, თბ., 1997წ.;
- აბაშია, 1997 – მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. I. კრებული „გიორგი როგავას“, თბ., 1997წ., გვ. 28-42;
- აბაშია, 1998 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. VI. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 12; თბ., 1998წ. 13-15 მაისი;

- აბაშია, 1998 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. VII. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნ. სესია – „არნ. ჩიქობავას საკითხავები – IX“, გვ. 7-8; თბ., 1998წ. 14-17 აპრილი;
- აბაშია, 1998 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. VIII. სიმპოზიუმი – „ქუთაისური საუბრები – V, მასალები, გვ. 16-18; ქუთ., 1998წ. 1-3 მაისი;
- აბაშია, 1998 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. IX. XVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 6-7; თბ., 1998წ., 30-31 ოქტომბერი;
- აბაშია, 1998 – ისტორიულ-ეტიმოლოგიური დაკვირვებანი. I. თსუ ფილოლ. ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1998წ.
- აბაშია, 1998 – მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. II. კრებული „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. VII, გვ. 3-9; საქ. მეცნ. აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1998წ.
- აბაშია, 1998 – მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. III. კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. II, გვ. 7-11; ქუთაისი, 1998წ.
- აბაშია, 1999 – ისტორიულ-ეტიმოლოგიური დაკვირვებანი. II: საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მასალები – „არნ. ჩიქობავას საკითხავები – X“, გვ. 7, 1999წ.
- აბაშია, 1999 – სუფიქსური შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში. I: თსუ ფილოლ. ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 3-5, 1999წ.;
- აბაშია, 1999 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XI: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 7-8, 1999წ.;
- აბაშია, 1999 – სუფიქსური შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში, II: ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 24-27, 1999წ.;
- აბაშია, 1999 – მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. IV: კრებული „ენათმეცნიერების საკითხები“, II, გვ. 32-43, 1999წ.;
- აბაშია, 2000 – ისტორიულ-ეტიმოლოგიური დაკვირვებანი. III: „არნ. ჩიქობავას საკითხავები – XI“, გვ. 7-8, 2000წ.;

- აბაშია, 2000 – ისტორიულ-ეტიმოლოგიური დაკვირვებანი. IV. საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის: „ქუთაისური საუბრები –VII“, გვ. 23-25, 2000წ.;
- აბაშია, 2000 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XII: თსუ ფილოლ. ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 9-13, 2000წ.;
- აბაშია, 2000 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XIII: თსუ ფილოლ. ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების III სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 5-9, 2000წ.;
- აბაშია, 2000 – მორფემათა შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში: XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 3-5, 2000წ.;
- აბაშია, 2000 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XIV: ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 7-10, 2000წ.;
- აბაშია, 2000 – მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. V: კრებული „ენათმეცნიერების საკითხები“, №4, გვ. 11-18, 2000წ.;
- აბაშია, 2001 – ქართველური ეტიმოლოგიები. I: „არნ. ჩიქობავას საკითხავები – XII“, გვ. 7-8, 2001წ.;
- აბაშია, 2001 – ქართველური ეტიმოლოგიები. II: თსუ ფილოლ. ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 8-9, 2001წ.;
- აბაშია, 2001 – სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. I: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 13-15, 2001წ.;
- აბაშია, 2001 – სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. II: ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 8-11, 2001 წ.;
- აბაშია, 2001 – საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის ქართულში და ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საკითხი: „ქართველური მემკვიდრეობა“, V, გვ. 13-17, 2001წ.;
- აბაშია, 2002 – სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. III: „არნ. ჩიქობავას საკითხავები – XIII“, გვ. 7-8, 2002წ.;
- აბაშია, 2002 – სიბილანტთა ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციისათვის ქართველურ ფუძე-ენაში: თსუ ფილოლ. ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების V სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 5-7, 2002წ.;

- აბაშია, 2002 – დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი: „ქუთაისური საუბრები – IX“, გვ. 15-18, 2002წ.;
- აბაშია, 2002 – სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. IV: ფილოლ. ფაკულტეტის სამეცნ. სესიის მასალები, გვ. 16-17, 2002წ.;
- აბაშია, 2002 – О составе сибилантных фонем в картвельском языке-основе: ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების XI კოლოკვიუმის მასალები, გვ. 13-14, მოსკოვი, 2002წ.;
- აბაშია, 2002 – სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. V: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 9-10, 2002წ.;
- აბაშია, 2002 – მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. VI: „ქართველოლოგიური კრებული“, ტ. I, გვ. 5-17, 2002წ.;
- აბაშია, 2003 – სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების თანაარსებობისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებსა და დიალექტებში: „არნ. ჩიქობავას საკითხავები – XIV“, გვ. 7-9, 2003წ.;
- აბაშია, 2003 – სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. I: „ქუთაისური საუბრები – X“, გვ. 19-22, 2003წ.;
- აბაშია, 2003 – სიბილანტთა შესატყვისობის ზოგიერთი საკითხი ქართველურ ენებში. VI: თსუ ფილოლ. ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 6-9, 2003წ.;
- აბაშია, 2003 – სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. II: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 3-7, 2003წ.;
- აბაშია, 2003 – ქართველური ფუძე-ენის სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი: ჟურნალი „ენის სახლი“, №1(5), გვ. 19-25; 2003წ.;
- აბაშია, 2003 – დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით: კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. VII, გვ. 7-15, 2003წ.

- აბაშია, 2003 – სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში: კრებული „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. VIII, გვ. 3-12, 2003წ.;
- აბაშია, 2003 – ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში: არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 62-ე სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 3-7, 2003წ.
- აბაშია, 2004 – სიბილანტურ სპირანტთა რეფლექსებისათვის დადესტნურ ენებში. I: ენათმეცნ. ინსტიტუტისა და თსუ ფილოლ. ფაკ-ის XV სამეცნიერო სესიის – „არნ. ჩიქობავას საკითხავები“ – მასალები, თბ., 2004წ. 20-23 აპრილი, გვ. 7-9.
- აბაშია, 2004 – სიბილანტურ სპირანტთა შესატყვისობისათვის დადესტნურ და ქართველურ ენებში. XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. 11-13, თბ., 2004;
- აბაშია, 2004 – სიბილანტურ სპირანტთა რეფლექსებისათვის დადესტნურ ენებში. II: სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი „ენის სახლი“, №1 (9), გვ. 16-19, თბ., 2004;
- აბაშია, 2004 – სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სისტემის შედგენილობისათვის დადესტნურ და ქართველურ ენებში, I: თსუ კავკასიურ ენათა კათედრის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004, გვ. 128-135;
- აბაშია, 2004 – ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში. II: „ქართველოლოგიური კრებული“, III, თბ., 2004, გვ. 3-10.
- აბაშია, 2004 – სიბილანტურ აფრიკატთა სისტემა დადესტნურ ენებში. I: ენათმ. ინსტიტუტის 63-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 7-8 გვ. 14-15 დეკ. 2004წ.;
- აბაშია, 2004 – ბგერათშესატყვისობის ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესები დადესტნურ და ქართველურ ენებში: თსუ კავკასიურ ენათა კათედრის საიუბილეო საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა, თბ., 2004წ.;
- აბაშია, 2004 – სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტურ ფონემათა მონაცვლეობისათვის ქართველურ და დადესტნურ ენებსა და დიალექტებში: კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. VIII, ქ. ქუთაისი, 2004 წ., გვ. 7-11;

- აბაშია, 2005 – „სისინა-სიბილანტური“ და „შიშინა-სიბილანტური“ დადესტნური ენები: ენათმეცნ. ინსტ-ისა და თსუ ფილ. ფაკ.-ის სამ. სესიის – „არნ. ჩიქობავას საკითხავები – XVI“ - მასალები, გვ. 5-7, თბ., 2005წ.;
- აბაშია, 2005 – სიბილანტურ ფონემათა სტუბტიტუციისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში: სამეცნ.-ლიტ. ჟურნალი „ენის სახლი“, №1, გვ. 7-14, თბ., 2005წ.;
- აბაშია, 2005 – ბგერათშესატყვისობის ლოგიკური საფუძვლებისათვის ქართველურ ენებში, I: სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“; გვ. 3-8, თბ., 2005წ., ივნისი-დეკემბერი;
- აბაშია, 2005 – სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში: XXV რესპ.-ური დიალექტოლოგიური სამეცნ. სესიის მასალები; გვ. 8-9, თბ., 2005წ.;
- აბაშია, 2005 – სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეო ბისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში. II: კრებული „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. IX, თბ., 2005წ.;
- აბაშია, 2005 – ხუნძური ენის სიბილანტური ფონემატური სისტემა და დადესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი: ენათმეცნიერების ინსტ.-ის 64-ე სამეცნიერო სესიის მასალები, გვ. თბ., 2005წ.;
- აბაშია, 2005 – სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში. II: კრებული „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. IX, თბ., 2005წ.;
- აბაშია, 2006 – „კავკასიური ბგერები“ და დადესტნურ ენათა ფონემატური სისტემა. სამეცნიერო სესიის – “არნოდ ჩიქობავას საკითხავები. XVII”– მასალები, თბ., 2006 წ., 2-5 მაისი, გვ. 7-9;
- აბაშია, 2006 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XV, XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2006წ., 14-16 ნოემბერი, გვ. 10-11;
- აბაშია, 2006 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XVI., არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2006წ., 25-28 დეკემბერი, გვ. 9-10;
- აბაშია, 2007 – საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XVII. სამეცნიერო სესიის - არნ. ჩიქობავას საკითხავები. XVIII - მასალები, თბ., 2007 წ. 10-13 აპრილი; გვ. 7-8;

- აბაშია, 2007 – თანხმოვანთა გადაწვევის საერთო წესი ქართველურ ენებსა და დიალექტებში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა, თბ., 2007 წ. 25-27 ივნისი.
- აბაშია, 2007 – ქართული დიალექტური ლექსიკა და საერთოქართველური ფუძე-ენის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2007წ. 9-10 ნოემბერი; გვ. 7-10.
- აბაშია, 2007 – ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საერთო წესისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007წ., გვ 5-9;
- აბაშია, 2007 – Исторические и ареальные черты фонематической системы картвельских и дагестанских языков. ქ. ლაიფციგის მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა და მოხსენების ელექტრონული ვერსია (<http://www.eva.mpg.de>), ქ. ლაიფციგი, 2007წ., 7-9 დეკემბერი;
- აბაშია, 2007 – ქართველური ფუძე-ენის სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. II. “კავკასიოლოგიური კრებული”, თბ., 2007წ.
- აბაშია, 2007 – აფხაზურ-ადიღურ ენათა შედარებით ფონეტიკაში დადგენილი ზოგიერთი წესის საერთო იბერიულ-კავკასიური მნიშვნელობისათვის. ქეთ. ლომთათიძის საიუბილეო რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა, თბ., 2007წ. 12-13 თებერვალი.
- აბულაძე 1960: ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან: იკვ, XII, თბილისი.
- აბულაძე 1973: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
- ავალიანი 1995: გ. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბილისი, 1995.
- ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.
- ახვლედიანი 1938: გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონემატიკის საკითხები, I, თბილისი.
- ბერიძე 1956: ვ. ბერიძე, როგორ აღინიშნება <<სიმწარის>> ცნება მეგრულში?: თსუ შრომები, 61, თბილისი.

- ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლული დიალექტიკის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.
- გაგუა 1970: კ. გაგუა, ერთი ტიპის დრონაკლი ზმნები სვანურში: იკე, XVII, თბილისი.
- გამყრელიძე 1959: თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.
- გამყრელიძე 1968: თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში. <<გადაწერის წესები>> დიაქრონიული ფონოლოგიაში, თბილისი.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.
- გელენიძე 1974: ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.
- გიგინეიშვილი 1965: ბ. გიგინეიშვილი, ჯაჭვისა და ძეწკვის ურთიერთმიმართებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXXVIII, 3, თბილისი.
- გიგინეიშვილი 1967: ბ. გიგინეიშვილი, ეტიმოლოგიური შენიშვნები ბიბლიის ქართულ თარგმანთა ლექსიკის გამო: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბილისი.
- გიგინეიშვილი 1975: ბ. გიგინეიშვილი, ეთნომიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის: <<მაცნე>> (ისტორიის ... სერია), I, თბილისი.
- გიგინეიშვილი 1979: ბ. გიგინეიშვილი, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: <<მაცნე>> (ენისა და ლიტ. სერია), I, თბილისი.
- გიგინეიშვილი 1981ა: ბ. გიგინეიშვილი, მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის: <<მაცნე>> (ენისა და ლიტ. სერია), 2, თბილისი.
- საერთო ლექსიკურ ფონდში: თსუ შრომები, 245 (ენათმეცნიერება 8), თბილისი.
- გიგინეიშვილი 1985: ბ. გიგინეიშვილი, ზოგი ეტნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში: <<მაცნე>> (ისტორიის ... სერია), 2, თბილისი.
- გიგინეიშვილი, სარჯველაძე 1978: ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობიტარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: მრავალთავი, VI, თბილისი.

- გონიაშვილი 1938: თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში: ენიმკის მოამბე, IV-2, თბილისი.
- გონიაშვილი 1940: თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან: ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.
- გუდავა 1950: ტ. გუდავა, ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულხმოვნობის ახსნის ცდა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XI, 7, თბილისი.
- გუდავა 1954: ტ. გუდავა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ: სა. მეცნ. აკად. მოამბე, XV, 10, თბილისი.
- გუდავა ტ., იმნაიშვილი დ., ლომთაძე ელ., მაჰომედბეკოვა ზ., ცერცვაძე ილ., 1952.: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ბგერათშესატყვისობისთვის; საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ენათმცნიერების ინსტიტუტის III (IX) სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი
- გუდავა 1958: ტ. გუდავა, ხმაბადვის ერთი სახეობა მეგრულში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბილისი.
- გუდავა 1964ა: ტ. გუდავა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ჭანურში): საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXXIII, 2, თბილისი.
- გუდავა 1964ბ: ტ. გუდავა, **მერცხალი** (ეტიმოლოგიური ძიება): იკვ, XIV, თბილისი.
- გუდავა 1974: ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში: <<მაცნე>> (ენისა და ლიტ. სერია), 4. თბილისი.
- გუდავა 1979: ტ. გუდავა, ბაგისმიერი თანხმოვნები ჩქამიერთა წინ მეგრულში: საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.
- გუდავა, გამყრელიძე 1981: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში: <<აკაკი შანიძეს>>, თბილისი.
- დანელია 1976: კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი.
- დანელია 1984: კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში: თსუ შრომები, 245 (ენათმეცნიერება 8), თბილისი.
- დანელია, ცანავა 1991: კ. დანელია, ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბილისი.
- ელიავა 1987: გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

- ერთელიშვილი 1950: ფ. ერთელიშვილი, <<სხვა>> სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: თსუ სტუდენტთა შრომები, V, თბილისი.
- ერთელიშვილი 1976: ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.
- ერთელიშვილი 1980: ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.
- ზურაბიშვილი 1962: თ. ზურაბიშვილი, ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXIX, თბილისი.
- თანდილავა, ნარაკაძე 1986: ზ. თანდილავა, ც. ნარაკაძე, ზანური ლექსიკის კვალი აჭარულ დიალექტში: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი.
- თედევი 1988: ო. თედევი, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.
- თოფურია 1926: ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: I ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა: მიმომხილველი, I, ტფილისი.
- თოფურია 1927ა: ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII ტფილისი.
- თოფურია 1927: ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III ? და ს სიბილანტურ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, ტფილისი.
- თოფურია 1930: ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X ტფილისი.
- თოფურია 1931: ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი.
- თოფურია 1937ა: ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმიკის მოამბე, I, ტფილისი.
- თოფურია 1937ბ: ვ. თოფურია, -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიმიკის მოამბე, I, ტფილისი.
- თოფურია 1940ბ: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III –ენ, მ-, -არ, სე-, -აქა აფიქსებისათვის: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XV, თბილისი.
- თოფურია 1941: ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V ვ სონანტის გადასვლა ღვ, გვ, ქვ-დ: ენიკის მოამბე, X, თბილისი.

- თოფურია 1943: ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, 5, თბილისი.
- თოფურია 1944: ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, 3, თბილისი.
- თოფურია 1946: ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, თბილისი.
- თოფურია 1947: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV ხმოვანთავსართოვანი სახელები; თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXIბ, თბილისი.
- თოფურია 1960: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი: იკე, XII, თბილისი.
- თოფურია 1979: ვ. თოფურია, შრომები, III, თბილისი.
- თოფურია 1991: ვ. თოფურია, ზოგიერთი ქართული სიტყვის ეტიმოლოგია: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.
- იმნაიშვილი 1971: ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I. ნაკვ. I, თბილისი.
- კარტოზია 1970: გ. კარტოზია, ალზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები): <<მაცნე>> (ენისა ად ლიტ. სერია), 4, თბილისი.
- კარტოზია 1979: გ. კარტოზია, რამდენიმე საერთოქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბილისი.
- კარტოზია 1984: გ. კარტოზია, სიბილანტთა შესატყვისობი დარღვევათა ახსნისათვის ქართველურ ენებში: მაცნე, 2, თბილისი.
- კარტოზია 1986: გ. კარტოზია, რამდენიმე საერთოქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში, II: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი.
- კარტოზია 1990: გ. კარტოზია, ქართ. ჭუ : ზან. წკვ ბგერათშესატყვისობისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.
- კარტოზია 1996: გ. კარტოზია, რამდენიმე ქართველური ფუძისათვის მეგრულსა და ლაზურში: ანტონ პირველის (ბაგრატიონის) დაბადებიდან 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბილისი.
- კახაძე 1987: ო. კახაძე, ლექსიკური ზანიზმებისათვის იმერულში: იკე, XXI, თბილისი.

- ლომთათიძე 1945: ქ. ლომთათიძე, აფხაზური **აფსაა/აფსაატი** (<<ფრინველი>>) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, 4, თბილისი.
- ლომთათიძე 1959: ქ. ლომთათიძე, **ლ/რ** მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. მოამბე, I, თბილისი.
- ლომთათიძე 1962: ქ. ლომთათიძე, წინაენისმიერ სპირანტთა უძველესისისტემისათვის ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXIX, 2, თბილისი.
- ლომთათიძე 1962: ქ. ლომთათიძე, <<ერთი>> რიცხვითი სახელის ისტორიისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში: იკე, XIII, თბილისი.
- ლომთათიძე 1984: ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბილური ხშულები ქართველურ ენებში, თბილისი.
- მაჭავარიანი 1959: გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 71, თბილისი.
- მაჭავარიანი 1961: გ. მაჭავარიანი, რეცენზია ვ. პოლაკის ნაშრომზე (ჩონტრიბუტიონს ა' და გრამმაირე ჰისტორიქუე დეს ლანგუეს კარტველლიენნეს: რცჰივ რიენტალნი, XXII, 1-2, რაჭა, 1955): ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი.
- მაჭავარიანი 1962: გ. მაჭავარიანი, სვანური **მეშხე** (<<შავი>>) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: იკე, XII, თბილისი.
- მაჭავარიანი 1965: გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.
- მაჭავარიანი 1969: გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხი: თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბილისი.
